

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა

დავით გაგოშიძე

პირველი საუკუნის წარჩინებულის ყოფა ქართლის სამეფოში  
(დედოფლის გორის სასახლის  
არქეოლოგიური გათხრების მიხედვით)

არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
ვახტანგ ლიჩელი

თბილისი

2025

## აბსტრაქტი

ქ.წ. პირველი საუკუნის დასაწყისში მახლობელ აღმოსავლეთში აღინიშნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრებით, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს აგრეთვე ძველი საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიაში. უმთავრესი ამათში იყო პონტოსა და მეზობელი სომხეთის სახელმწიფოს გაძლიერება. უკვე მეფობის დასაწყისში პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორმა თავის სამეფოს შეუერთა ჩრდილო შავიზღვისპირეთი, კოლხეთი და "მცირე არმენია". ამის შემდეგ მან დაიწყო ბრძოლა მთელს მცირე აზიაში გაბატონებისთვის. მაგრამ პონტოს სამეფოსა და სომხეთის გაძლიერებას წინ აღუდგა მძლავრი მეტოქე - რომი. დაიწყო მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური ბატონობისთვის მძაფრი და ხანგრძლივი ომი, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებიც. რომის პოლიტიკური ინტერესების სფეროში მოექცნენ ქართლი (კავკასიის იბერია) და კოლხეთიც. ამიერკავკასიის ქვეყნებზე გაბატონება მრავალმხრივ იყო რომისთვის ხელსაყრელი: მათთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ამიერკავკასიის, როგორც სტრატეგიული ბარიერის, მნიშვნელობა ჩრდილოეთის მომთაბარეთათვის კავკასიონის გზების ჩასაკეტად. ეს მხარე უეჭველად იქცევდა რომაელთა ყურადღებას აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო-სატრანზიტო გზად გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისითაც. რომაელთა პირველი ლეგიონები პომპეუსის მეთაურობით საქართველოში გამოჩნდნენ ქ.წ. 65 წელს. პომპეუსმა შეძლო ქართლის (კავკასიის იბერიის) დამორჩილება. რომაელთა პოლიტიკური გავლენა ქართლის სამეფოზე დიდხანს არ გაგრძელებულა.

ქ.შ. I-II სს. ქართლის სამეფო მნიშვნელოვნად განმტკიცდა და გაძლიერდა. ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური ვითარება ხელს უწყობდა იბერიის ასე გაძლიერებას; კერძოდ, სამხრეთის ძლიერი მეზობლის, სომხეთის დასუსტება, რომსა და პართიას შორის ბრძოლა და სხვ. თავის მხრივ, ქართლის სამეფოს გამოსვლა ფართო საერთაშორისო ასპარეზზე, მისი საზღვრების გაფართოება, წარმატებული ომების შედეგად დიდძალი სიმდიდრისა მოპოვება ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების დაწინაურებას. ქ.შ. პირველი საუკუნეების ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერება თვალსაჩინოდ აისახა მატერიალურ კულტურასა და ეპიგრაფიკის

მეგლებში, რომლებიც თვალნათლივ გვისურათებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობას.

პირველი საუკუნეების ქართლის სამეფოს ძლიერება კარგად ჩანს დედოფლის გორის სასახლეში 1985-2019 წლებში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაში. სასახლე აშენებული უნდა იყოს ქ.წ. მეორე-პირველ საუკუნეთა მიჯნაზე და დაინგრა ქ.შ. პირველი საუკუნის ბოლოს ძლიერი მიწისძვრის შედეგად, რომელმაც ხანძარიც გამოიწვია.

ორ ან სამსართულიანი სასახლის კედლებისა და კრამიტის სახურავის ნანგრევებმა, რომელიც სიმბურვალისაგან ერთიან პემზისებურ მასად არის ქცეული, საიმედოდ დააკონსერვა პირველი სართულის ოთახები და ყველაფერი, რაც ცეცხლს გადაურჩა, ადგილზევე დარჩა. ცეცხლს კი საკმაოდ ბევრი რამ გადაურჩა, რადგანაც პირველი სართულის იატაკის პირას ტემპერატურა ძალიან მაღალი არ ყოფილა: შემორჩენილია არა მარტო ლითონის, ქვისა, თიხისა და მინის ნივთები, არამედ ორგანული წარმოშობის მასალაც - ხისა და ძვლის ნაკეთობანი, ხილის კურკები, კაკალი, მარცვლეული და, ასე განსაჯეთ, გამომცხვარი პური და ქსოვილებიც კი და სწორედ ამიტომ არის ესოდენ მდიდრული და მრავალფეროვანი, ხანდახან მოულოდნელიც, დედოფლის გორის ციხე-დარბაზის გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალა - ავეჯი, ჭურჭელი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღ-საჭურველი, საკვები პროდუქტები და სხვა. მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაპოვარი უნიკალურ საშუალებას იძლევა, ჩავიხედოთ I საუკუნის ქართლის დიდებულის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვიმსჯელოთ მისი მეურნეობის ხასიათზე, შემოსავალ-გასავლის აღრიცხვიანობაზე, გართობასა და განათლების დონეზე, სარწმუნოებაზე, საშინაო და საგარეო ურთიერთობაზე, ტანსაცმელსა და შეიარაღებაზე, გავარკვიოთ მრავალი ყოფითი დეტალი, რასაც ძნელად თუ წარმოგვიჩენდა წერილობითი წყაროებიც კი. ერთი სიტყვით, ვაწარმოოთ ეთნოგრაფიული კვლევა I საუკუნის იბერიაში, რაც სადოქტორო ნაშრომის ძირითადი მიზანია. ამის საშუალებას იძლევა არა მარტო არქეოლოგიური არტეფაქტების სიუხვე და მრავალფეროვნება, არამედ გამოვლენილი სათავსების განსხვავებული დანიშნულებებიც.

## Abstract

At the beginning of the 1<sup>st</sup> century BCE, the Near East experienced significant political changes that also played a major role in the history of the local populations of ancient Georgia. The most important among these developments was the strengthening of the Kingdoms of Pontus and neighboring Armenia. Early in his reign, Mithridates VI Eupator, king of Pontus, annexed the northern Black Sea coast, Colchis, and “Lesser Armenia” into his kingdom. He then launched a campaign to establish dominance across all of Asia Minor. However, the growing power of Pontus and Armenia faced strong opposition from Rome. This led to a long and intense struggle for control in the region, which also involved the countries of the South Caucasus. Kartli (also known as Caucasian Iberia, in eastern Georgia) and Colchis became part of Rome’s political interests. Rome had several reasons to try to control the South Caucasus. The region was important for blocking the movement of nomadic tribes from the north by securing the mountain passes of the Caucasus. It also had value as a possible trade route to the Far East, which made it even more attractive to the Romans. The first Roman legions arrived in Georgia in 65 BCE, led by the general Pompey. He managed to bring Iberia under Roman control, but Rome’s political influence in the region did not last very long.

In the 1<sup>st</sup> - 2<sup>nd</sup> centuries CE, the Kingdom of Kartli (Caucasian Iberia) significantly strengthened and consolidated its power. Favorable external political conditions supported this rise - particularly the weakening of its powerful southern neighbor, Armenia, and the ongoing conflict between Rome and Parthia. At the same time, Kartli’s growing presence on the international stage, the expansion of its borders, and the wealth gained through successful military campaigns contributed to the advancement of the kingdom’s economic life. The strength of Kartli (Iberia) during the early centuries of the Common Era is clearly reflected in its material culture and epigraphic monuments, which vividly illustrate the flourishing of the kingdom’s social and economic life.

The dominance of the Kingdom of Kartli in the early centuries CE is clearly evident in the abundant archaeological materials, obtained as a result of the archaeological excavations of Dedoplist Gora palace during 1985-2019.

The palace must have been built at the turn of the 2nd to 1st centuries BCE and was destroyed at the end of the 1st century CE as a result of a powerful earthquake, which also caused a fire.

The ruins of the two or three-storey palace-walls and of the tile roof, which has turned into a pumice-like substance because of the heat, have preserved the rooms on the ground floor and everything that survived from the fire here untouched. There are quite a number of finds that were not damaged, since the temperature was not too high near the floor: not only metal, stone, clay and glass items have survived, but also organic material - wood and bone ware, fruit-stones, walnuts, grains and even some cloth as well. That is the reason why the material excavated in the complex at Dedoplis Gora is so rich and varied, sometimes even unexpected - pieces of furniture, dishes, weapons and tools, food items, and so on. This archaeological material gives us a unique opportunity to look into the everyday life of an Iberian nobleman, and to discuss his economy, entertainment, education, religion, internal and foreign relations, clothes and armour. Thus it lets us illuminate many details of everyday life, which would have been difficult to discuss even with the help of written sources. In short, it gives us an opportunity to carry out ethnological research into 1<sup>st</sup> c. Iberia. This is supported not only by the abundance and variety of archaeological artifacts but also by the different functions of the uncovered rooms.

## შინაარსი

შესავალი .....	1
თავი I. დედოფლის გორის სასახლე.....	12
თავი II. სასახლის ოთახების ფუნქცია.....	23
თავი III. დედოფლის გორის სასახლის არქეოლოგიური მასალა.....	38
3.1. ეგვიპტური ნაწარმი დედოფლის გორის სასახლეში.....	92
თავი IV. დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი არამეული წარწერები და წინაქრისტიანულ საქართველოში დამწერლობის გავრცელების საკითხები.....	103
თავი V. რელიგიური სიტუაცია პირველი საუკუნის ქართლში.....	109
თავი VI. სავაჭრო გზები პირველი საუკუნეების ქართლში.....	152
დასკვნა.....	157
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	164
ილუსტრაციების აღწერილობა.....	182
ილუსტრაციები.....	187

## შესავალი

ქ.წ. I საუკუნის დასაწყისში მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესები მიმდინარეობდა. ძლიერდება საქართველოს სამხრეთით მდებარე სამეფოები - პონტო და სომხეთი. პონტოს მეფე მიტრიდატე VI ევპატორმა თავის სამეფოს შემოუერთა ჩრდილო-შავიზღვისპირეთი, კოლხეთი და მცირე არმენია, რის შემდეგაც მცირე აზიის დასაპყრობად დაიწყო ბრძოლა. მისი მოკავშირე სომხეთის მეფე ტიგრან II გახლდათ, რომელმაც შეძლო დაებრუნებინა მანამდე პართიის მიერ მიტაცებული თავისი ტერიტორიები. რომი, რომელიც მცირე აზიით ჯერ კიდევ ქ.წ. II საუკუნიდან იყო დაინტერესებული შეეწინააღმდეგა პონტოსა და სომხეთის ასეთ გაძლიერებას. რომაელებმა ქ.წ. 73 წელს ლუკულუსის მეთაურობით დაამარცხეს მითრიდატე. ამის შემდეგ ლუკულუსი შეიჭრა სომხეთში და ქ.წ. 69 წელს აიღო სომხეთის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი - ტიგრანაკერტი. როგორც წერილობითი წყაროებიდან ვიგებთ ამ დროს ქართლის და ალბანეთის სამეფოები პონტოსა და სომხეთის მხარეს იბრძოდნენ. ტიგრანაკერტის აღების შემდეგ რომაელები გაემართნენ სომხეთის დედაქალაქ არტაშატისკენ. ქალაქის მისადგომებთან ლუკულუსმა დაამარცხა სომხები, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო (მოახლოებული ზამთარი, ჯარში არსებული უკმაყოფილება და სხვ.) უკან მოუხდა გაბრუნებულიყო.

ქ.წ. 66 წელიდან ლუკულუსის ნაცვლად პონტოსა და სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლას პომპეუსი ჩაუდგა სათავეში. პომპეუსმა სასტიკად დაამარცხა მითრიდატე და უკვე ქ.წ. 66 წელს პონტომ შეწყვიტა წინააღმდეგობა. მითრიდატემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. იმავე წელს ტიგრან II-მ ზავი დადო რომაელებთან და მიიღო „რომის მეგობრისა და მოკავშირის“ წოდება. ამის შემდეგ პომპეუსმა გადაწყვიტა ალბანეთის, ქართლის (კავკასიის იბერია) და კოლხეთის დალაშქვრა.

ამიერკავკასიის ქვეყნებზე გაბატონება მრავალმხრივ იყო რომისთვის ხელსაყრელი: მათ კარგად იცოდნენ ამიერკავკასიის, როგორც სტრატეგიული ბარიერის, მნიშვნელობა ჩრდილოეთის მომთაბარეთათვის კავკასიონის გზების ჩასაკეტად. ეს მხარე უეჭველად იქცევდა რომაელთა ყურადღებას აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო-სატრანზიტო გზად გამოყენების შესაძლებლობის

თვალსაზრისითაც. რომაელთა პირველი ლეგიონები პომპეუსის მეთაურობით საქართველოში გამოჩნდნენ ქ.წ. 65 წელს. პომპეუსმა შეძლო ქართლის დამორჩილება. მაგრამ რომაელთა პოლიტიკური გავლენა ქართლის სამეფოზე დიდხანს არ გაგრძელებულა.

ქ.შ. I-II სს. ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაა. ქართლის გაძლიერებას რამოდენიმე ფაქტი უწყობდა ხელს. მათგან გამოსარჩევია სამხრეთის ძლიერი მეზობლის, სომხეთის დასუსტება და რომი-პართიას შორის ბრძოლა. საზღვრების გაფართოება და ომების შედეგად მოპოვებული სიმდიდრე ხელს უწყობდა კავკასიის იბერიის ეკონომიკური ცხოვრების დაწინაურებას (მელიქიშვილი, 1970, გვ. 500-510).

ქ.შ. პირველი საუკუნეების ქართლის სამეფოს ძლიერება თვალსაჩინოდ აისახა მატერიალურ კულტურასა და ეპიგრაფიკის ძეგლებში, რომლებიც თვალნათლივ გვისურათებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების აღმავლობას. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად იბერიის დედაქალაქ მცხეთაში აღმოჩენილია სამეფო ოჯახისა და იბერიის წარჩინებულთა მდიდრული სამარხები, მრავალი დასახლებები - დაწინაურებული მრავადარგობრივი ხელოსნური წარმოებით და გარე სამყაროსთან ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მცხეთაში, არმაზციხეზე გამოვლენილი სამეფო რეზიდენცია. ქ.შ. პირველი საუკუნეებით თარიღდება იქ აღმოჩენილი მთელი წყება ნაგებობებისა: სასახლე, აბანო, სამეურნეო სატავსები, აგრეთვე წყალსადენი და სხვა. განსაკუთრებით შამბეჭდავია ექვსაბსიდინაი საკულტო ნაგებობის ნაშთები. ქართლის სამეფოს კულტურას (მისი ყველაზე უფრო დიდი აღმავლობის ხანისა) თვალსაჩინოდ ასახავს არმაზისხევში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი უაღრესად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. იბერიის მეფეების ძლიერება მათ ტიტულატურაშიც აისახა: ისინი უკვე „დიდ მეფეებად“ იწოდებიან. ასე, მაგალითად, ერთენოვან არამეულ წარწერაში იხსენიება „მიჰრდატ, მეფე დიდი, მე ფარსმანისა, დიდი მეფისა“ (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 267-269).

საინტერესო გამოდგა ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ დოდლაურთან მდებარე დედოფლის გორის სასახლის გათხრები, რომლის არქეოლოგიურ მასალაში ასევე კარგად ჩანს პირველი საუკუნეების ქართლის სამეფოს ძლიერება. სასახლე აშენებული უნდა იყოს ქ.წ. მეორე-პირველ საუკუნეთა მიჯნაზე და დაინგრა ძლიერი მიწისძვრის შედეგად, რომელმაც ხანძარიც გამოიწვია.

ორ ან სამსართულიანი სასახლის კედლებისა და კრამიტის სახურავის ნანგრევებმა, რომელიც სიმხურვალისაგან ერთიან კემზისებურ მასად არის ქცეული, საიმედოდ დააკონსერვა პირველი სართულის ოთახები და ყველაფერი, რაც ცეცხლს გადაურჩა, ადგილზევე დარჩა. ცეცხლს კი საკმაოდ ბევრი რამ გადაურჩა, რადგანაც პირველი სართულის იატაკის პირას ტემპერატურა ძალიან მაღალი არ ყოფილა: შემორჩენილია არა მარტო ლითონის, ქვისა, თიხისა და მინის ნივთები, არამედ ორგანული წარმოშობის მასალაც - ხისა და ძვლის ნაკეთობანი, ხილის კურკები, კაკალი, მარცვლეული და, ასე განსაჯეთ, გამომცხვარი პური და ქსოვილებიც კი და სწორედ ამიტომ არის ესოდენ მდიდრული და მრავალფეროვანი, ხანდახან მოულოდნელიც, დედოფლის გორის ციხე-დარბაზის გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალა - ავეჯი, ჭურჭელი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღ-საჭურველი, საკვები პროდუქტები და სხვა. მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაპოვარი უნიკალურ საშუალებას იძლევა, ჩავიხედოთ I საუკუნის ქართლის დიდებულის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვიმსჯელოთ მისი მეურნეობის ხასიათზე, შემოსავალ-გასავლის აღრიცხვიანობაზე, გართობასა და განათლების დონეზე, სარწმუნოებაზე, საშინაო და საგარეო ურთიერთობაზე, ტანსაცმელსა და შეიარაღებაზე, გავარკვიოთ მრავალი ყოფითი დეტალი, რასაც ძნელად თუ წარმოგვიჩენდა წერილობითი წყაროებიც კი. ერთი სიტყვით, ვაწარმოთ ეთნოგრაფიული კვლევა I საუკუნის იბერიაში, რაც სადოქტორო ნაშრომის ძირითადი მიზანია. ამის საშუალებას იძლევა არა მარტო არქეოლოგიური არტეფაქტების სიუხვე და მრავალფეროვნება, არამედ გამოვლენილი სათავსების განსხვავებული დანიშნულებებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლის და ამიერკავკასიის სხვა სამეფოების გარესამყაროსთან ურთიერთობა თუ შიდა პროცესები, როგორც პოლიტიკური, ასევე

სოციო-ეკონომიკური კუთხით, არაერთხელ ყოფილა სამეცნიერო კვლევის ობიექტი, საკვლევი ხანის ფაქტობრივი მასალის სიმწირის გამო მიღებული დასკვნები ხშირად ნაკლებად დამაჯერებელი, ხანდახან კი მცდარიც არის. კვლევის პროცესში შედარებით-ქრონოლოგიური, პალინოლოგიური, პალეობოტანიკური, მეტალოგრაფიული, ანალიზების შედეგების გააზრების საფუძველზე მიღებული დასკვნები, ვფიქრობთ, გამოასწორებს ამ მდგომარეობას. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შესწავლილი ძეგლებიდან სწორედ დედოფლის გორის სასახლის კომპლექსი მოგვცემს ყველაზე ამომწურავ შედეგს, რომლის გაანალიზებაც მოხდება არა მხოლოდ ვიწრო რეგიონის ფარგლებში, არამედ რომის იმპერიის მეტროპოლიისა და პერიფერიის პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების კონტექსტში.

დედოფლის გორა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც მდებარეობს სოფელ დოღლაურთან, ქარელის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხენა შენაკადის დასავლეთის ფრონის (ფცა) მარცხენა ნაპირას, მისი მტკვართან შესართავის მახლობლად, დასავლეთ და აღმოსავლეთ ფრონეებითა და კვერნაკის ქედის მონაკვეთით მოზღუდული ვრცელი ვაკის, ე.წ. დედოფლის მინდვრის სამხრეთ ბოლოში (სურ 1). დედოფლის გორა არადეთის ორგორის დასავლეთის, უფრო მაღალი ბორცვია. ციცაბო ფერდობიანი გორის სიმაღლე მდინარე დასავლეთი ფრონის დონიდან 34 მეტრია (ზღვის დონიდან 678 მ.), ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაქანებული ოვალური მოხაზულობის მისი თხემის ფართობი დაახლოებით 3500 კვ.მ.-ს შეადგენს; დედოფლის მინდვირიდან და ორგორის დასავლეთი, უფრო ვრცელი, მაგრამ დაბალი გორისაგან ღრმა თხრილითაა გამოყოფილი.

არადეთის ორგორას ზოგჯერ დოღლაურის ორგორასაც უწოდებენ, რადგან აქ 1920-იან წლებში დოღლაურის ველიდან (მდებარეობს აგარის გასწვრივ, მტკვრის პირას) გადმოსული ოსები დასახლებულან და არადეთის კუთვნილ მიწებზე სოფელი დოღლაური დაუარსებიათ. ორგორას, ადგილობრივი მცხოვრებლები ზოგჯერ ფომტიგორასაც უწოდებენ, რადგანაც დედოფლის გორის ჩრდილოეთით, თხრილგაღმა, დედოფლის მინდვრის კიდეზე აღმართულ შედარებით დაბალ გორაზე XIX საუკუნეში ქართლ-იმერეთის სამხედრო გზის ერთ-ერთი საფოსტო სადგური იდგა (გაგომიძე და წოწელია, 1991, გვ. 72). ყველაზე მაღალი, დასავლეთის გორა

თამარის გორის სახელითაც მოიხსენიება. ლეგენდა ამ გორის წარმოშობას თამარ მეფის ლაშქრობას უკავშირებს. ლეგენდის მიხედვით თამარის ლაშქარს დედოფლის მინდორი ნაწვიმარზე გამოუვლია და მინდვრის ბოლოში, მდინარის პირას ფეხები ტალახისგან გაუწმენდავს და იმ ტალახს მაღალი გორა შეუქმნია.

თვით ტოპონიმი „დედოფლის მინდორი“, როგორც ჩანს, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც საქართველოს დედოფლების საკუთრება იყო. მართლაც, XVI-XVIII საუკუნეების ქართულ სიგელ-გუჯრები პირდაპირ მიუთითებენ, რომ დედოფლის მინდორი და მისი შემოგარენი სამეფო დომენში შედიოდა და სადედოფლო მიწა იყო. სავარაუდოა, რომ დედოფლის მინდორი ძველთაგანვე სამეფო დომენში შედიოდა. ამგვარი ვარაუდის გასაქარწყლებლად რაიმე გონივრული არგუმენტის მოტანა გაჭირდებოდა, მის სასარგებლოდ კი შეიძლება გამოიძებნოს ზოგიერთი ირიბული საბუთი მაინც. 1926 წელს ა. შანიძემ გამოაქვეყნა ადრეული (XI საუკუნეზე უძველესი) ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ სოფელ არადეთში (სოფელი დედოფლის მინდვრის ტერიტორიაზე) ჯვარი აღუმართავთ მამასახლისებს. ანალოგიური შინაარსის წარწერებში ჩვეულებრივ ერთი კერძო პირია ხოლმე მოხსენიებული. აქ კი ჯვარს რამოდენიმე მამასახლისი ერთად აღმართავს და სწორედ ეს გარემოებაა განსაკუთრებით საინტერესო: დოკუმენტურად დასტურდება ერთ სოფელში (არადეთში) ერთდროულად რამდენიმე მამასახლისის არსებობა. როგორც ცნობილია, სტრაბონის ცნობით, ივერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსის ცალკეულ გვარებს მამასახლისები მართვადნენ. სავარაუდებელია, რომ ამგვარი მდგომარეობა X-XI საუკუნემდე ყველაზე შეურყვნელად სწორედ ძველთაგანვე სამეფო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე უნდა შენარჩუნებულიყო. ასეთად მისაჩნევია სოფელი არადეთი და საერთოდ მთელი დედოფლის მინდორი (გაგოშიძე, 1978, გვ. 69-70).

დედოფლის გორა, როგორც საყურადღებო არქეოლოგიური ობიექტი ცნობილია 1926 წლიდან, როდესაც აქ მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა-გეოლოგმა ლეო ტიტვინიძემ. გათხრებით მოპოვებული მასალა - ოქროს, ბრინჯაოს, ძვლისა და კერამიკული ნაკეთობები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში და თარიღდება ქ.წ. I - ქ.შ. I საუკუნეებით (გაგოშიძე, 1973, გვ. 77-82).

1953-1963 წლებში არადეთის ორგორა არაერთხელ მოიხილა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელები ნ. ბერძენიშვილი, გ. ლომთათიძე, პ. ზაქარაია). 1957 წელს ეს ადგილები არქეოლოგმა ო. ღამბაშიძემ დაზვერა.

1971 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქსნის (სამადლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ი.გაგოშიძემ, ხოლო 1976 წელს იმავე მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრმა ვ.ლექვიანიძემ დედოფლის გორაზე სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების მიზანშეწონილების განსაზღვრის მიზნით ჩაატარეს მცირე მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები: 1971 წელს გაიწმინდა გორის გაშიშვლებული სამხრეთი ფერდობის დასავლეთ ბოლოში სულ 1 კვ.მ. ნახანძრალი იატაკი, ხოლო 1976 წელს გორის თხემის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა 4მX10მ ფართობი 60 სმ. სიღრმემდე, სადაც მხოლოდ ადრეული შუასაუკუნეების კერამიკული მასალა აღმოჩნდა. დაზვერვის შედეგად გაირკვა, რომ საქმე გვაქვს გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის მძლავრ ნახანძრალ ფენასთან, რომელიც გადაფარულია ადრეული შუასაუკუნეების კულტურული ფენებით. გაირკვა ისიც, რომ დედოფლის გორა მართლაც დიდმნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტია, სადაც არქეოლოგიური გათხრების დაწყება სერიოზული მომზადებისა და სათანადო დაფინანსების გარეშე შეუძლებელია. 1972 წლიდან დედოფლის მინდორზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი) შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ი.გაგოშიძე). დედოფლის გორა, ცხადია, მუდმივად მოქცეული იყო ექსპედიციის კვლევის სფეროში (გაგოშიძე, 2015, გვ. 119).

1972-76 წლებში ექსპედიციამ ნაწილობრივ გათხარა დედოფლის მინდვრის გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი, რომელიც განისაზღვრა როგორც ქართლის (იბერიის) მეფეთა საგვარეულო სალოცავი (გაგოშიძე, 1977, გვ. 72-83; გაგოშიძე, 1978, გვ. 62-77; Gagoshidze, 1992, გვ. 27-48). დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსი იმავე გვიანელინისტურ-ადრერომაულ პერიოდს მიეკუთვნება, რომელსაც დედოფლის გორის ზემოთნახსენები ნახანძრალი ფენა, და მაშინვე გაჩნდა ვარაუდი ამ

ორი არქეოლოგიური ობიექტის მჭიდრო ურთიერთკავშირის თაობაზე, რაც შემდგომში დამტკიცდა კიდევ.

1979-1981 წელს შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა დედოფლის გორის ჩრდილოეთით მდებარე გორა, სადაც საბოცვრე მეურნეობის მშენებლობის დროს გამოჩნდა კულტურული ფენები. შესწავლილ იქნა გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის სახლები და სამეურნეო ორმოები, რომლებიც შეიცავდა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ინვენტარს. იმავე წელს საბოცვრე მეურნეობის ჩრდილოეთით ე.წ. დედოფლის მინდვრის სამხრეთ ბოლოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სამაროვანი, სადაც გაითხარა III ათასწლეულის პირველი ნახევრის 13 სამარხი, II-I ათასწლეულის 41 ორმოსამარხი და გვიან ბრინჯაოს ხანის ერთი ყორღანი, რომელშიც ცხენებშებმული ეტლი აღმოჩნდა (გაგოშიძე და სხვ., 1986, გვ. 56-67). მაშინვე დადგინდა, რომ ეს სამაროვანი ჩრდილოეთით და დასავლეთით გრძელდებოდა. 2011 წელს ცნობილი გახდა, რომ ამ სამაროვანზე უნდა გაეგლო თბილისი-სენაკი-ლესელიძის მშენებარე ავტომაგისტრალს.

მიუხედავად ამისა, 2012 წლის ზაფხულში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის რუისი-აგარის მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები უკანონოდ, ტერიტორიის არქეოლოგიურად შესწავლის გარეშე დაიწყო, რამაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ძლიერ დააზიანა. სამშენებლო სამუშაოების შეჩერება მოხერხდა მხოლოდ მაშინ, როცა ჰუმუსიანი ფენა 8 ჰა ფართობის ტერიტორიაზე მთლიანად აღებული იყო. გადარჩენილი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ადრეული ბრინჯაოსა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 153 სამარხი გამოვლინდა.

2013 წელს დოღლაურის ექსპედიციამ სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი გათხარა, სადაც 257 სამარხი და 4 თონისებრი სტრუქტურა გამოვლინდა. 2014 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თ. ბიბილურის ხელმძღვანელობით ბრინჯაოს ხანის ერთი სამარხი და ოთხი სამარხის ნაშთი დააფიქსირა. 2015 წელს ძეგლზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 33 სამარხი შეისწავლა, რომელთაგან 30 გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას განეკუთვნება.

ამრიგად დოღლაურის სამაროვანზე შესწავლილია ბრინჯაოს ხანის 500-მდე სამარხი, რომელთა უმეტესობა ძვ.წ. XV-VIII საუკუნეებს განეკუთვნება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დოღლაურის სამაროვანი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური არქეოლოგიური ობიექტია საქართველოსა და კავკასიაში.

დოღლაურის სამაროვანზე 2012, 2013 და 2015 წლებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, ისე როგორც 1979-1981 წლებში მოპოვებული სამარხეული ინვენტარი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში (გაგომიძე და სხვ., 2023, გვ. 7-10).

1980-იან წლებში გაირკვა, რომ მდინარე აღმოსავლეთ ფრონის შესართავთან, მის მარცხენა სანაპიროსთან გამოვლენილი ბერიკლდეების არქეოლოგიური ძეგლი იმავე ნამოსახლარის ნაწილი, სატაძრო-საკულტო უბანი უნდა ყოფილიყო, რომლის ცენტრი იყო დედოფლის გორა. ბერიკლდეების საკულტო სამოსახლოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ვაკეზე აღრიცხულია ორმოცდაათზე მეტი ყორღანი, რომელთაგანაც 7 გაითხარა. მათგან 2 ადრეულ ბრინჯაოს ხანას (ბედენის კულტურა), 4 შუა ბრინჯაოს ხანას და ერთიც გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს (ქ.წ. XV ს.) განეკუთვნება. ამკარაა, რომ ამ ყორღანებში იმ სამოსახლოს მეთაურები იმარხებოდნენ, რომლის ცენტრი იყო დედოფლის გორა.

ბერიკლდეების გათხრებით დადასტურდა, რომ ამ ვრცელ სამოსახლოს საფუძველი უნდა ჩაჰყროდა ხალკოლითის ეპოქაში, ქ.წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში: ბერიკლდეებზე გაითხარა ბედენური და მტკვარ-არაქსული ფენებით გადაფარული ხალკოლითის ხანის ორი კულტურული ჰორიზონტი, რომელთაგანაც ერთ-ერთში ტაძარიც აღმოჩნდა.

მოგვიანებით ამავე კულტურის კუთვნილი კერამიკა დედოფლის გორის სამხრეთ ფერ-დობზეც დადასტურდა (მ.ჯალაბაძე). 2014 წელს ბერიკლდეების ჩრდილოეთით ავტომა-გისტრალის მშენებლებმა გახსნეს ინერტული მასალის კარიერი, რომელმაც დააზიანა არქე-ოლოგიური ობიექტები. 2015 წლის თებერვალში საქართველოს კულტურული მემკვიდრეო-ბის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ იქ გააგზავნა არქეოლოგიური ექსპედიცია ი.გაგომიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც

დაევალა ამ დაზიანებული ობიექტების შესწავლა. ექსპედიციამ გაარკვია, რომ კარიერს გაუნადგურებია ხალკოლითის ეპოქის ვრცელი ნასოფლარი და ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ყორღანი. ექსპედიციამ გათხარა შუაბრინჯაოს ხანის ერთი დანგრეული ყორღანი და ხალკოლითის ეპოქის ერთი მიწურისა და 4 სამეურნეო ორმოს ნაშთი. ექსპედიციამ დაზვერა ასევე კარიერისათვის მომზადებული ტერიტორია, რომლის ფართობი 8500 კვ.მ. აღწევს და გაარკვია, რომ აქ ჩანს სამარხებისა და ორმოების კვალი. კარიერის მუშაობა შეჩერებულია და გამოვლენილი ობიექტები ელოდება გათხრა-შესწავლას (გაგოშიძე, 2015, გვ. 119-120).

1985 წლიდან დედოფლის გორაზე სტაციონარული გათხრები დაიწყო, რომლის მთავარი მიზანი იყო გვიანელინისტური - ადრერომაული პერიოდის სასახლის შესწავლა (სურ. 2). გათხრები მიმდინარეობდა 1985-1990, 1992-1993, 2004-2007, 2013-2016 (ხელმძღვანელი ი. გაგოშიძე) და 2017-2019 (ხელმძღვანელი დ. გაგოშიძე) წლებში. 2013-2016 წლებში დედოფლის გორის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფერდებზე ქართულ-იტალიურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელები ი. გაგოშიძე, ე. როვა) გორის კულტურული ფენების დასაზუსტებლად სტრატეგრაფიული ჭრილები გაავლო (Gagoshidze and Rova, 2018, გვ. 497-510).

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ დედოფლის გორა მრავალფენიანი ნამოსახლარია, სადაც კულტურულ შრეთა საერთო სიმძლავრე 14 მეტრს აღემატება. დედოფლის გორის ქვედა ნამოსახლარი ფენები ხალკოლითურ, ადრეულ, გვიანდელ ბრინჯაოს და ადრეულ რკინის ხანას განეკუთვნება, მომდევნო ფენა, ჩვენთვის საინტერესო, გვიანელინისტური-ადრერომაული სასახლის ნანგრევითაა წარმოქმნილი, ეს ნანგრევები კი, თავის მხრივ, გადაფარულია გვიანრომაული - ადრეული შუა საუკუნეების კულტურული ფენის ოთხი ჰორიზონტით, რომელთაგანაც უკანასკნელი VI-VII ს-ით თარიღდება. VII ს-ის შემდეგ გორაზე აღარავინ დასახლებულა (Gagoshidze, 2008a, გვ. 41-44; Gagoshidze, 2001, გვ. 253-283) (სურ. 3).

დედოფლის გორის 1985-1993 წლების გათხრების შედეგები გამოქვეყნებულია მონოგრაფიაში „Iberia and Rome, The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia (Lahgenweißbach 2008)“ (მთავარი რედაქტორები ი.გაგოშიძე, ა.ფურტვენგლერი), ი.გაგოშიძის ნაშრომში „A Royal Palace

in First – Century Iberia, According to the Archaeological Material from Dedoplis Gora, Georgia (Monographs of the Danish Institute at Athens 2001)“ (კრებული „The Royal Palace Institution in the First Millenium BC“) და ასევე სხვადასხვა ჟურნალებში ი.გაგომიძის ავტორობით. დედოფლის გორის 1993 წლის შემდეგ გათხრების მხოლოდ მოკლე ანგარიშები და არქეოლოგიური მონაპოვარის ძალზედ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული.

სადოქტორო ნაშრომის წერისას ხშირად ვიყენებდი ზემოთ ნახსენებ ლიტერატურას. 1993 წლის შემდეგ დედოფლის გორის სასახლეში გამოვლენილი არქიტექტურისა და არქეოლოგიური მონაპოვრის აღწერისას გამოვიყენე იულონ გაგომიძისა და ჩემს მიერ შედგენილი ანგარიშები, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული, ისიც ძალიან მოკლე ვერსიები. დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი არტეფაქტები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში (საინვენტარო N – 29-977), სადაც 2017-2022 წლებში ვმუშაობდი და მქონდა ყოველდღიური საშუალება უშუალოდ გავცნობოდი ამ მასალებს. ამავე ფონდში ინახება დედოფლის გორის სასახლის არქეოლოგიური გათხრების დღიურები, საველე და სამუზეუმო დავთრები, რომელთაც დიდი დახმარება გამიწიეს მუშაობისას. დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის შესახებ საუბრისას ძირითადად გამოვიყენე ი. გაგომიძის ანგარიშები გამოქვეყნებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ტომებში და ასევე მისი სტატია - “The Temples at Dedoplis Gora” დაბეჭდილი 1992 წელს სამეცნიერო ჟურნალში - East and West.

ნაშრომში ცალ-ცალკე თავებში მაქვს განხილული სასახლის ზოგადი დახასიათება (თავი I), სასახლის ოთახების დანიშნულებები (თავი II), მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (თავი III), დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი არამეული წარწერები და წინაქრისტიანულ საქართველოში დამწერლობის გავრცელების საკითხები (თავი IV), რელიგიური სიტუაცია პირველი საუკუნის ქართლში (თავი V) და სავაჭრო გზები (თავი VI). სადისერტაციო ნაშრომი ბოლოვდება დასკვნით.

მოპოვებული გრანტის (European Comission, Europe Moves Culture) ფარგლებში ვიმყოფებოდი გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, ბერლინში,

სადაც მომეცა შესაძებლობა გავცნობოდი უცხოურ ლიტერატურას ბერძნულ-რომაულ სამყაროში არსებული რელიგიების შესახებ. ამავე ბიბლიოთეკაში დედოფლის გორის N20 ოთახის საკურთხეველზე აღმოჩენილი ქანდაკებების ანალოგიების მოსაძიებლად გამოვიყენე კრებული - LIMC (*Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae*), რომელშიც ერთადაა თავმოყრილი მთელს მსოფლიოში არსებული ბერძნულ-რომაული მითოლოგიური პერსონაჟების გამოსახულებიანი ნივთები. ზემოთმოყვანილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დავწერე სადოქტორო ნაშრომის ერთ-ერთი თავი - „რელიგიური სიტუაცია პირველი საუკუნის ქართლში“.

სადოქტოროს წერისას ხშირად ვიყენებდი ო.ლორთქიფანიძის ნაშრომებს განსაკუთრებით კი - „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“ (2002) და „ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო“ (1968).

დედოფლის გორის სასახლის ოთახების განსაზღვრისას და აღმოჩენილი ნივთების ანალოგიებისთვის გამოვიყენე ანტიკური პერიოდის საქართველოს და მიმდებარე ტერიტორიების შესახებ მომუშავე ბევრი, როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერის ნაშრომი (ი. ჯავახიშვილი, ა. აფაქიძე, ვ. ლიჩელი, გ. ცქიტიშვილი, დ. კაჭარავა, გ. კვიციანი, დ. ახვლედიანი, გ. ყიფიანი, მ. ფირცხალავა, ა. ბოხობაძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ნარიმანიშვილი, დ. ბრაუნდი, ე. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, ა. გაბუნია, ზ. კვიციანი, გ. ლომთათიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ლ. ჭილაშვილი, გ. გამყრელიძე, გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ნ. გოგიბერიძე, ჯ. ბორდმანი, მ. ბოისი, ფ. კნაუსი, ი. ბაბაევი, მ. შეროზია, ა. თეთრუაშვილი, მ. საგინაშვილი, მ. მშვილდაძე, ე. ალექსეევა, ბ. არაქელიანი, ტ. არსენიევა, მ. მაქსიმოვა, ე. ჰერცფელდი, ი. ფასბინდერი, მ. ჩარკვიანი, თ. ფარჯანაძე, რ. რამიშვილი, მ.პატარიძე, დ. კაპანაძე, მ. გველესიანი, მ. ანდრონიკაშვილი და სხვ.).

## თავი I

### დედოფლის გორის სასახლე

1985 წელს დაწყებული შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითად მიზანი იყო გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის სასახლის შესწავლა. გაირკვა, რომ სასახლე აშენებულია ქ.წ. II საუკუნის დასასრულს და პერიოდულად სამეფო რეზიდენციად იქცეოდა ხოლმე, იმ დროს როდესაც ქართლის მეფე და მისი ოჯახი მოსალოცად მიაკითხავდნენ ხოლმე დედოფლის მინდვრის ტაძრებს. დედოფლის გორის სასახლის თანადროული გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი - ქართლის მეფეთა საგვარეულო სამლოცველო 1972-1976 წლებში ნაწილობრივ გაითხარა დედოფლის გორის სასახლის ჩრდილოეთით, მისგან 3 კილომეტრით (გაგომიძე, 1978, გვ. 62-77; Gagoshidze, 1992, გვ. 27-34) (სურ 4). საფიქრებელია, რომ დედოფლის გორაზე გამოვლენილ სასახლეში უნდა ეცხოვრა ხელისუფალს, რომელიც, ალბათ, მართავდა სამეფო დომენს დედოფლის მინდვრის შემოგარენში (სურ. 5).

არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, რაც დაადასტურა რადიოკარბონულმა ანალიზმა, სასახლე დალუპულა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ბოლოს, ალბათ, დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსთან ერთად<sup>1</sup>. ციხე-დარბაზის გათხრების დროს მოპოვებული კერამიკული ჭურჭლის რამდენიმე ტიპი (პირმოყრილი და პირსწორი ქუსლიანი ჯამები, დერგები და სხვ.) იდენტურია დედოფლის მინდვრის ტაძრებსა და ტაძრებთან დაკავშირებულ სამეთუნეო სახელოსნოში ნაპოვნი კერამიკისა და, უნდა ვიფიქროთ, იმავე სახელოსნოშია დამზადებული. ტაძრებისა და ციხე-დარბაზის თანადროულობაზე მეტყველებს

---

<sup>1</sup> თბილისის უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიაში, ა. ბურჭულაძის ხელმძღვანელობით, განისაზღვრა ციხე-დარბაზში დარჩენილი დანახშირებული მარცვლეულის ასაკი (ნიმუში TB-464) –  $1910 \pm 60$  წ, რაც შეესაბამება ახ.წ. 40 წელს; დენდროქრონოლოგიის მონაცემთა შესაბამისად, კალიბრირების შედეგად მარცვლეულის ასაკი შესწორდა და შეადგინა  $1867 \pm 33$  წელი, რაც შეესაბამება ახ.წ. 83 წელს. გაზომვის ცდომილების დიაპაზონის გათვალისწინებით ( $\pm 60$  და  $\pm 33$  წ.წ.), ორივე ეს თარიღი ფარავს ერთმანეთს და ახლოა სასახლის დანგრევის არქეოლოგიური მეთოდებით განსაზღვრულ თარიღთანაც (ახ.წ. I ს-ის ბოლო მეოთხედი) (გაგომიძე და წოწელია, 1991, გვ. 72-73; Gagoshidze, 2001, გვ. 277).

რადიოკარბონული ანალიზიც.<sup>2</sup> სასახლე იმსხვერპლა ძლიერმა მიწისძვრამ (Varazanashvili and Tsereteli, 2011, გვ. 21), რომელსაც ხანძარი მოჰყვა. არქეოლოგიური გათხრების დროს ხშირად ჩნდებოდა სასახლის ერთიანად წაქცეულ-გადაწოლილ ალიზის აგურის გარე კედელი (სურ. 6). მოხერხდა ჭრილში ამ კედლის სავარაუდო სიმაღლის გაზომვაც: სასახლე (მისი გარე კედელი), სულ ცოტა, 10-12 მეტრი სიმაღლისა ყოფილა. თითქმის სამი მეტრის სისქის გარე კედელი წაიქცა მას შემდეგ, რაც სასახლის შიდა, ქვით ნაგები და უფრო თხელი, სულ 1 მეტრის სისქის კედლები უკვე დანგრეული იყო და სასახლეში ხანძარი მძვინვარებდა: წაქცეული გარე კედლის შიდა პირი ცეცხლით არის შერუჯული, მაშინ როცა კედლის სისქეში ალიზის აგურები „უშია“ არ არის ნახანძრალი, ხოლო თვით წაქცეული კედელი „გადატეხილია“ შიდა კედლის ნანგრევზე. კედლის წაქცევამ, რომელსაც წინ უსწრებდა სახურავისა და სართულებშორისი კონსტრუქციის ნგრევა, როგორც ჩანს, ჩააქრო ხანძარიც.

ამრიგად სახეზეა შენობის ნგრევის თალსაჩინო სურათი, რომელიც გამანადგურებელი მიწისძვრით გამოწვეული ნგრევის კლასიკური ილუსტრაციაა. N16 ოთახის სამი მეტრის სისქის ალიზის კედლის მიწისძვრის გარდა ვერავითარი იმ დროის არსებული სხვა ძალა ვერ დაანგრევდა. ალიზის ასეთი წყობა ხომ ყველაზე მედეგი იყო, ვიტრუვიუსის ცნობით, კედლის სანგრევი მანქანების მიმართაც. როგორც ჩანს, მიწისძვრას ორი ძლიერი ბიძგი მაინც ჰქონდა: პირველმა დაანგრია სასახლის შიდა კედლები და ხანძარი გამოიწვია, მეორე ბიძგის შედეგად კი ერთიანად გადაწვა გარე კედელი და ხანძარიც, ზოგან მაინც, ჩაქრა.

მიწისძვრა უნდა მომხდარიყო გვიან შემოდგომით, როცა მთელი ჭირნახული აღებული და საზამთროდ მომარაგებული იყო და მოზიდული იყო შეშაც.

---

<sup>2</sup> ციხე-დარბაზის დამწვარი ძელის ასაკი (ნიმუში TB-465) შეადგენს  $2215 \pm 60$  წ. ანუ ქ.წ. 265 წელს (კალიბრირებული თარიღი:  $2210 \pm 49$  ანუ ქ.წ. 260 წ.), და დედოფლის მიწისძვრის ტაძრის გადახურვის ძელის რადიოკარბონულმა ანალიზმაც (ნიმუში TB-93) თითქმის იგივე შედეგი მოგვცა:  $2220 \pm 40$  წელი; ე.ი. ქ.წ. 270 წ. (თუ გავითვალისწინებთ, რომ კაპიტალურ მშენებლობაში, ჩვეულებრივ, მრავალწილიანი, ზოგჯერ საუკუნოვანი ხეებისაგან დამზადებული მასალა იხმარება - დედოფლის მიწისძვრის კოჭი 60 სმ-ის სისქისა იყო! - უნდა ვადიაროთ, რომ ეს რადიოკარბონული თარიღებიც საკმაოდ ახლოა ტაძრებისა და ციხე-დარბაზის აგების სავარაუდო თარიღთან: ქ.წ. II-I სს.) (გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 72-73; Gagoshidze, 2001, გვ. 277).

ქრონოლოგიაც ასე თუ ისე გარკვეულია: პირველი საუკუნის 80 წლის მახლობელი ხანა.

თუკი მართლაც მიწისძვრა იყო დედოფლის გორის სასახლის მგრევის მიზეზი, მაშინ სეისმური ტალღები მიმართული ყოფილა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რადგანაც თუ შიდა კედელი კოშკში ჩაიქცა, გარეთა კედელი გარეთ გადაქცეულა, რადგანაც ქვის საფასადო მოპირკეთების ბლოკები კედლის პირიდან 2-3 მეტრის მანძილზე გადაყრილი და ალიზის ნანგრევში იყო დაფლული. როგორც ჩანს, სწორედ ამან გადაარჩინა ეს ქვათლილები XIX საუკუნის ბოლოს სამშენებლო ქვების მამიებლებისგან, რომელთაც მთლიანად შემოუცლიათ მოპირკეთების ქვები აქ სასახლის კედლის ქვედა, უძრავად დარჩენილი ნაწილისთვის: ისინი ვიწრო თხრილით გაჰყოლიან კედლის პირს და კედლიდან მოშორებით გადაყრილი ქვათლილები ვერ შეუნიშნავთ.

განათხარში კარგად აისახა შფოთი და ქაოსი, რომელიც წინ უსწრებდა სასახლის საბოლოო ნგრევის მომენტს: ნივთები უადგილო ადგილას ყრია, ერთ-ერთი (N1) ოთახის კარის ზღურბლზე ხორბლით სავსე დაბეჭდილი ტომარა დავარდნით, ბრინჯაოს ამფორა – ოთახის ერთ კუთხეში, მისი ყური კი ტახტზე აღმოჩნდა და ა.შ. ხანძრის შემდეგ სასახლე არ აღუდგენიათ, ისევე, როგორც არ აღუდგენიათ დედოფლის მინდვრის ტაძრებიც. პირველი საუკუნის დასასრულს ქართლის სამეფოში, როგორც ჩანს, რაღაც მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რაც, ეტყობა, სამეფო კარის რელიგიასა და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის სფეროებსაც შეეხო, თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ ეს კატასტროფული მიწისძვრა, რომელმაც არა მარტო სასახლე, არამედ ტაძრებიც დაანგრია, ღვთის რისხვად იყო აღქმული, რასაც, შესაბამისად, ნანგრევების მიტოვება უნდა მოჰყოლოდა (Gagoshidze 2001, გვ. 261-262).

ასეა თუ ისე, დედოფლის გორაზე სიცოცხლე ჩაკვდა და, დაახლოებით, ორასი წლის განმავლობაში იქ არავის უცხოვრია. მხოლოდ III საუკუნის დასასრულს ან IV საუკუნის დასაწყისში მივიდნენ გორაზე ახალმოსახლენი. ამ სამოსახლომ VI საუკუნემდე იარსება და სამი საუკუნის განმავლობაში დაგროვდა მძლავრი კულტურული ფენა, რომლის სისქე სხვადასხვა ადგილას 50 სმ-დან 4 მეტრამდეა.

IV საუკუნეში, როდესაც დედოფლის გორაზე ახალი მოსახლეები მივიდნენ მიწის ზედაპირი იყო ისეთი, როგორიც ის გვიანელინისტური-ადრერომაული

პერიოდის სასახლის ნგრევის შედეგად გახდა. თითქმის ოვალური მოყვანილობის გორის თხემის პერიმეტრს შემოუყვებოდა დაახლოებით 15-20 მეტრის სიგანის შემადღება, რომელიც ფარავდა სასახლის ნანგრევებს. ახალმოსახლეებმა საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გამოიყენეს სწორედ ეს შემადღება და ამ სამოსახლოს არსებობის განმავლობაში მისი გეგმარება, როგორც ეს გათხრებმა დაადასტურა, არ შეცვლილა. ძალიან ბევრია სხვადასხვა დანიშნულების ორმოები, რომელთაგანაც ზოგიერთი, განსაკუთრებით ქვედა ჰორიზონტში, აშკარად განძის მაძიებელთა ნახელავია: IV საუკუნის პირველმოსახლეები ციხე-დარბაზის ნანგრევებში, როგორც ჩანს, წაწყდომიან ნივთებს, რომელთაც მათთვის სახმარი ღირებულება გააჩნდა და შემდეგ „განძის“ ძებნას სისტემატური ხასიათი მიუღია. საბედნიეროდ, ციხე-დარბაზის ოთახები კედლებისა და გადახურვის დამწვარ-დადუღებული ნანგრევებით ისე საფუძვლიანადაა დაცული, რომ მძარცველებმა იატაკამდე ერთხელაც კი ვერ ჩააღწიეს. სამაგიეროდ, სასახლის შიდა ეზო, სადაც ნანგრევის ნაყარი უფრო თხელი იყო, თითქმის პირწმინდად გადათხრილია. ნივთები, როგორც ჩანს, ეზოშიც მრავლად ეყარა. ეზოს იმ ადგილებში, რომლებიც განძის მაძიებლებს გადაურჩა, ბევრი რამ აღმჩნდა: მინის, ქვისა და ლითონის მძივები, ბრინჯაოს ჭურჭელი და ოქროს ნივთებიც კი: საკერებელი ფირფიტა და მონეტა – ქ.წ. II ს-ის პირველ მეოთხედში ბიზანტიონში ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერი (Gagoshidze, 2001, გვ. 262).

ქ.წ. I საუკუნის დასაწყისში, როდესაც დედოფლის გორაზე სასახლის მშენებლობა დაუწყიათ, გორის სიმაღლე დედოფლის მინდვრის დონიდან 10 მეტრს აღწევდა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დედოფლის გორას მინდვრისაგან (ისევე, როგორც დანარჩენი ორი გორისაგან) ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ამოღებული თითქმის 10 მეტრის სიღრმის თხრილი ჰყოფს, უნდა ვაღიაროთ, რომ სტრატეგიული თვალსაზრისითაც ფრიად ხელსაყრელი ადგილი შეურჩევიათ ციხე-დარბაზის ასაგებად.

ციხე-დარბაზს ეკავა დედოფლის გორის დაბრტყელებული თხემის მთელი ზედაპირი, ასე რომ, მისი თავდაპირველი ფართობი 3000 კვ.მ-ზე გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო: სასახლის დანგრევის შემდეგ გორის სამხრეთი კალთის ეროზიამ

იმსხვერპლა თხემის, სულ ცოტა, 5-10 მ სიგანის და 50-60 მ სიგრძის ნაკვეთი, ციხე-დარბაზის სამხრეთ ნაწილთან ერთად (სურ. 7).

1985-2019 წლების გათხრებით გაიწმინდა ციხე - დარბაზის საერთო ფართობის, დაახლოებით ნახევარი: პილონებით შემოსაზღვრული (პერისტილური) შიდა ეზოს დასავლეთი ნაწილი, დასავლეთისა (მცირე) და ჩრდილოეთის კარიბჭეები, ასევე, ოცდასამი ოთახი, რომელთაგანაც ოცდაერთის კარი გადის შიდა ეზოს პერიმეტრზე მოწყობილ გალერეაში, რომელიც ეზოსაგან პილონებით არის გამოყოფილი (სურ. 8). სარკმლები ამ ოთახებს არ ჰქონია და არც ერთმანეთს უკავშირდებიან. მათი გარე კედელი, რომლის სისქე, დაახლოებით, 3 მეტრია, იმავდროულად, ციხე-დარბაზის გარე კედელიც არის და მას თავდაცვითი (საფორტიფიკაციო) ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. ოთახების შიდა კედლების სისქე, დაახლოებით, 1 მეტრია, გარდა N1 და N16 სათავსოებისა, რომელთა ოთხივე კედელი თანაბრად სქელია. ეს სათავსოები კოშკების ქვედა სართული იყო. კოშკები დგას სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში. მათი გარეთა კედლები კუთხით გაწეულია ძირითადი კედლისგან და, როგორც ჩანს, ორივე კოშკი სასახლის ძირითად ნაწილზე მაღალიც იყო, სულ ცოტა, ერთი სართულით მაინც (N16 კოშკი ერთადერთი სტრუქტურაა, რომლის მეორე სართულიც ნაწილობრივ შემორჩა) (სურ. 9).

დახურულ დერეფანში გამოდის ჩრდილო კარიბჭის (N12) შიდა კარიც, მაგრამ მის ორ მხარეს განლაგებული ოთახები (N11 და N13) კარებით მხოლოდ ვესტიბიულს (N12) უკავშირდებიან.

ციხე-დარბაზის გეგმარება გორის რელიეფს მიჰყვება, გორის ზედაპირი კი დაქანებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ამიტომ ოთახების იატაკები სხვადახვა დონეზეა. აქამდე გათხრილ სათავსოებში ყველაზე მაღალი დონე დადასტურდა N19 სათავსოში და იგი, თითქმის, 5 მ-ით მაღალია, ვიდრე N1 ოთხის (კოშკის) იატაკი. ოთახების იატაკები, ცხადია, მეტნაკლებად ჰორიზონტულია, შეძლებისდაგვარად, ნიველირებულია ოთახების წინა დერეფნის იატაკის ცალკეული მონაკვეთებიც, ამიტომ რამოდენიმე ადგილას დერეფანში ხის საფეხურებია მოწყობილი.

ეზოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაითხარა ცალკე მდგარი ნაგებობა - სახაბაზე, პურის საცხობი ოთხი თონისმაგვარი ღუმელით, ხოლო დერეფანში, N9

ოთახის პირდაპირ - მარანი, მიწაში ჩაფლული ოთხი საღვინე ქვევრით, რომელთა საერთო ტევადობა 3 500 ლ-ია (სურ. 10).

დედოფლის გორაზე ნაპოვნი კრამიტები ეკუთვნის ე.წ. "ბაგინეთის ტიპს", რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ფორმას საქართველოს უძველეს კრამიტებს — "სამადლოს ტიპს" (ქ.წ. IV–II სს.) და მცხეთაში ნაპოვნი კრამიტებს შორის (ქ.შ. I–III სს.) (Knauss, 2008, გვ. 60).

**სამშენებლო ტექნიკა.** სამშენებლო ტექნიკა ტიპურია ელინისტური ხანის ქართლისათვის (სამადლო, ციხიაგორა) (Гагошидзе, 1979, გვ. 56-57; Zkitischvili, 1995, გვ. 87). მზიდი კონსტრუქციები ხისაა. კედლებისა და პილონების ქვედა ნაწილი წარმოადგენს კედლის სიგრძივ და გარდიგარდმო დალაგებული ხის ძელებით შეკრულ გალიას, რომელიც 1,5-2 მ. სიმაღლემდე შევსებულია ბზენარევი თიხის ხსნარზე დაწყობილი მსხვილი რიყის ქვით (ამგვარი წყობა ცნობილია Opus Gallicum სახელწოდებით) (სურ. 11) და ასე შემზადებულ ცოკოლზე აყვანილია ალიზის კედელი, რომელიც ასევე არმირებულია ხის ძელებით.<sup>3</sup> ძელები აწყვია ყოველ 90 სმ-ში, როგორც სიგრძივ, ისე გარდიგარდმო და ერთმანეთთან ჩაჭრით (ჯარგვალურად) არიან დაკავშირებულნი<sup>4</sup>. კვადრატული აგურების გვერდის სიგრძე 48-52 სმ-ია, (ერთ შემთხვევაში, 60X60 სმ-იანი აგურიც შეგვხვდა), სისქე თითქმის ყოველთვის 16 სმ-ია. წყობაში, ცხადია, იხმარება ნახევარაგურებიც.

კედელი გარედან და ზოგჯერ შიგნიდანაც მოპირკეთებულია თლილი ქვიშაქვის ბლოკებით, რომლებიც ერთმანეთთან და კედლის არმატურის ძელებთან დაკავშირებულია ისრისპირის ფორმის ხის სამაგრებით (პირონებით). ეს არის

---

<sup>3</sup> ამგვარი წყობა - Timber-laced rampart - უკვე გამოიყენებოდა ტროა II-ში, მინოსური და მიკენური ხანის ნაგებობებში, ცენტრალურ ევროპაში ურნების ველის კულტურაში (ქ.წ. IX-VIII სს), ჰალშტატსა და ლატენში; მისი განსაკუთრებული ფორმა - Murus Gallicum ანუ გალური კედელი კეისარს დახვედრია გალიაში, ბავარიამდე. კედელში არ არის ვერტიკალური ძელები. შევსებულია რიყის ქვით. მოპირკეთებულია ფლეთილი ან თლილი ქვის მშრალი წყობით, ამასთან, ძელების ბოლოები გამოჩრილია მოპირკეთებაში. ასეთი ნაგებობის დაწვა იწვევს კედლის დაწიდება-გამინებას (Vitrified Fort) (Bray and Trump, 1970, გვ. 233).

<sup>4</sup> ვირუვიუსი რეკომენდაციას იძლევა, შეძლებისდაგვარად ხშირად ჩაიწყოს გარუჯული ძელები ალიზის წყობაში, რაც მას საუკუნო სიმტკიცეს ანიჭებს (Vitruvii, De Architectura, 1, V, 3).

ბერძნული, უფრო სწორად, ელინისტური არქიტექტურიდან გადმოღებული ინოვაცია. საქართველოში უძველესი პირონები ნახმარია ზადენ-ციხეზე, წიწამურში. ა. აფაქიძე მას ქ.წ. IV საუკუნით თარიღებს. ქ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე სამადლოში უკვე გვხვდება ორმაგი ისრისთავიანი ფორმის ტყვიის პირონები. შორაპნიდან, წიწამურიდან და დედოფლის გორიდან შემორჩენილი უფრო გვიანი ნიმუშები კი, რომლებიც ქ.წ. II საუკუნის ბოლოსა და I საუკუნის დასაწყისით თარიღდება, დამზადებულია ხისგან. ასეთი ტიპის სამაგრები თითქმის სრულიად უცნობია საქართველოს ფარგლებს გარეთ. მაშინ როდესაც ბერძნულ სამყაროში სამაგრები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყოველთვის ლითონის იყო, საქართველოში ჩვეულებრივ ხის გამოიყენებოდა. მხოლოდ სამადლოსა და მოგვიანებით ვანში გვხვდება ტყვიის სამაგრები; თუმცა რკინის სამაგრები არსად ფიქსირდება. ვანში გამოყენებული II-ფორმის სამაგრები ბერძნული ორიგინალების ფორმასაც კი იმეორებს. იგივე ითქმის ე.წ. მერცხლის ბოლოს ფორმის სამაგრებზე, რომლებიც აღმოჩენილია არმაზციხეში (ბაგინეთი), ღართისკარის ციხესიმაგრეში და წიწამურში (Gagoshidze, 2001, გვ. 264; Knauss, 2008, გვ. 59-60) (სურ. 12).

კედლები, რომლებიც ზოგან 2-3 მ. სიმაღლეზე შემორჩა, ყველგან, სადაც არ არის თლილი ქვით მოპირკეთება, ბუნებრივი თიხის ხსნარით არის შებათქაშებული. მშენებლობის დაწყების წინ კედლის გარეპირთან ამოულიათ 50-60 სმ. სიგანის და 30 სმ. სიღრმის თხრილი, რომლის ძირზე დააგეს რიყის ქვის ერთი ფენა, რომელზედაც დაყრდნობილია საფასადე მოპირკეთება. თავდაპირველად, მოპირკეთების ამ პირველი ფენის ქვები ნაწილობრივ ჩანდა მიწისპირას, მაგრამ დროთა განმავლობაში მიწით დაიფარა და ციხე-დარბაზის ნგრევის მომენტისთვის მოპირკეთების მეორე ფენაც კი ნაწილობრივ მიწისქვეშ მოხვდა. აქ, კედლის გარეთ, მოხერხდა ნგრევისა და მშენებლობის პერიოდის მიწის ზედაპირის დადგენა და გაწმენდა. გაირკვა, რომ ციხე-დარბაზის ორსაუკუნეანი არსებობის განმავლობაში მიწის დონე ციხე-დარბაზის გარეთ 20 სმ-ით აწეულა. ნგრევის პერიოდის ზედაპირი ნახშირითა და ნაცრითაა დაფარული, მშენებლობის დროისა კი – მოსაპირკეთებელი ქვის თლის დროს წარმოქმნილი ნაფხვენით.

მშენებლობის დაწყების წინ მიწის ზედაპირი დედოფლის გორის თხემზე მოუსწორებიათ საფეხურებად, რაგდანაც როგორც ზემოთ ითქვა გორის თხემი

დაქანებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. გორის ზედაპირის ნიველირებას, როგორც ჩანს, შეეწირა ქრონოლოგიურად უმაულოდ სასახლის მშენებლობის წინარე ხანის კულტურული ფენები: სასახლის გარე კედელი მაინც ყველგან, სადაც იგი გაითხარა, ადრეული რკინი ხანის ფენაში ზის, თუმცა გათხრების პროცესში დაგვიგროვდა მონაცემები, რომ დედოფლის გორაზე ქ.წ. მეშვიდე-მეექვსე და მომდევნო ხანის, მათ შორის ადრეელინისტური ხანის დანაშრევეებიც არსებულა.

დედოფლის გორის სასახლის ძირითადი სამშენებლო მასალა ალიზის აგურია, რომელიც არ არის მკაცრად სტანდარტული ზომისა. დღემდე ყველაზე დიდი ზომის აგური - 60სმx60სმx16სმ - აღმოჩნდა სასახლის შიდა ეზოში განცალკევებით მდგარი შენობის ნანგრევში. 2004 წელს გათხრილი კოშკის ალიზის აგურების ზომები მეყეობს შემდგომ ფარგლებში: სიგრძე - 57-45 სმ, სიგანე 56-40 სმ, სისქე - 18-12 სმ. მშენებლობაში, ცხადია იხმარებოდა ნახევარაგურებიც, რომელთა სიგრძე და სისქე ჩვეულებრივი აგურის ტოლია, სიგანე კი მერყეობს 30-24 სმ-ის ფარგლებში. N16 კოშკის კარის ღიობში ჩაცვენილ ალიზის აგურებს შორის შეგვხვდა ერთი „ფიგურული“ აგურიც, რომელსაც ცალი გრძივი გვერდი საფეხურისებრ აქვს შეჭრილი. ამ აგურის სიგრძეა 50 სმ, სიგანე - 39 სმ.

კედლის წყობაში ალიზის აგურების დამაკავშირებელი თიხის ბუნარევი ხსნარის სისქე 2-დან 4 სმ-მდე მერყეობს, აგურების ფენების ნიველირებისათვის ხის დერეფნის პილონების ბურჯები გეგმაში მართკუთხაა (1.60მx1.30მ). ბურჯები იმავე წესითაა ნაშენი, როგორც სასახლის კედლები, ანუ ხის ძელებით შეკრული ბუდეები, დაახლოებით, ორი მეტრის სიმაღლემდე მსხვლი რიყის ქვითა და თიხით არის შევსებული, ზემოთ კი, გრძელდება ალიზის აგურის წყობა, რომელიც ასევე ხის ძელებით არის არმირებული. ბურჯები ისევე, როგორც კედლები შელესილია.

ტალანის (დერეფნის) გათხრებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მიწისძვრით გამოწვეული ნგრევის თვალსაჩინო სურათი. ჩანს, თუ როგორ მოწყვიტა მიწისძვრის ბიძგმა ბურჯის ზედა ნაწილი იატაკიდან, დაახლოებით, 1.30მ-ის სიმაღლეზე და გადაისროლა სტრუქტურის დაურღვევლად 2მ-ზე სამხრეთ-დასავლეთით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს პირველ ბურჯზე, რომლის ზედა ნაწილი ალიზის წყობის ჩათვლით, თითქმის, პირვანდელი სახით დაფიქსირდა თხრილის დასავლეთ

ჭრილში. ადრეულ შუასაუკუნეებში, სწორედ, ბურჯის ზედა ნაწილის ალიზის წყობაში ამოუთხრიათ ორმო ქვევრის ჩასადგმელად. აღსანიშნავია, რომ ბურჯის ალიზის წყობა მხოლოდ შერუჯულია ხანძრისაგან.

მიწისძვრისგან ბურჯების ნგრევას, ცხადია, სართულეშორისი გადახურვის ნგრევაც მოყვებოდა. ამ კატასტროფის სურათიც აშკარად დაიხატა ტალანის ზოგიერთი მონაკვეთის გათხრების დროს. ტალანი ამოვსებული იყო ჯერ მსხვილი რიყის ქვითა და შემდეგ ნახანძრალი ალიზით.

N27 ოთახის სამხრეთით და დასავლეთით, სადაც, შესაბამისად ველოდით მორიგ სათავსოს (ბოლო სათავსოს, რადგან სამხრეთით უკვე გორის მდინარისპირა ფლატე იწყება) და დერეფნის გაგრძელებას, განსხვავებული სიტუაცია დაგვხვდა. N27 ოთახის სამხრეთით ღია სივრცეა და საკმაოდ რთულადაა დაგეგმარებული. ზემოთ ნახსენები ოთახის სამხრეთ კედლის გარე პირის ცენტრალურ ნაწილში გვერიდგვერდ დევს ორი გათლილი კვადრი, რომლების ზედაპირიც თიხითაა გადალესილი და ერთ ფართობს ქმნის. გადალესილი კვადრების ორივე მხარეს ორმოა, რომელთაგანაც ერთში (მარცხნივ) პატარა ზომის ქვევრია ჩადგმული. ცარიელი ორმოს აღმოსავლეთით თიხით გადალესილ, ამალღებულ ბაქანზე ორი დიდი ზომის ჭურჭელი დევს, ქვევრიანი ორმოს დასავლეთ კი რამოდენიმე რიყის ქვაა ჩაწყობილი. კვადრებს სამხრეთით მიდგმული აქვს ერთ რიგად დაწყობილი რიყის ქვებით შედგენილი მართი კუთხე. კუთხის შემადგენელი დასავლეთის ფრთის რიყის ქვის წყობას აგრძელებს ალიზის ნალესობა. ამ კონსტრუქციის დასავლეთით თიხით მოლესილი ფართობია, რომელსაც სამხრეთით კვეთს გორის მდინარისპირა ფლატე. შუა ნაწილში კარგად ჩანს თიხით გადალესილი კვადრატული ალიზის აგურები. მოლესილი ფართობის დასავლეთით თიხით შელესილი შემალღებული ბაქანია, რომელიც კეტავს N27 ოთახისწინა დერეფანს. ამ ბაქანზე, დერეფნის ბოლოში გამართულია ალიზით ნაგები პარალელეპიპედის ფორმის დასავლეთისკენ გახსნილი კონსტრუქცია. კონსტრუქციის სახურავზე (სახურავი ჩაზნექილია) იდო ხელსაფქვავის ქვედა ქვა, მის ქვეშ კი დგას თიხის ჭურჭელი. ამ კონსტრუქციის წინ მოწყობილია რიყის ქვითა და ალიზით ნაგები პატარა შემალღება, რომელიც ორი საფეხურით ეშვება

ზემოთნახსენებ მოლესილ ბაქანზე. ეს ბაქანი შედის დასავლეთით ჯერ-ჯერობით გაუთხრელ სივრცეში (სურ. 13).

მრავალფეროვანია გათხრებით მოპოვებული მასალა. თიხით მოლესილი ფართობის ჩრდილოეთ ნაწილში იდგა ოთხი კერამიკული ჭურჭელი: პირმოყრილი ქუსლიანი ჯამი, მცირე ზომის ყურიანი კოჭობი და ორი ქოთანი. ამავე ფართობზე, რიყის ქვის წყობასთან იდგა ორყურა დერგი. საყურადღებოა, რომ ზემოთ ნახსენებ თიხით გადალესილ კვადრებითან აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კერამიკული ჭურჭლის სხვადასხვა ფორმის ნატეხებისგან დამზადებული საკიდები (სურ. 14). იქვე ვიპოვეთ თიხის სამი ბულა. ორ მათგანზე მრგვალი ერთზე კი - ოვალური საბეჭდავის ანაბეჭდია შემორჩენილი. ანაბეჭდებზე ჩანს ცხოველების გამოსახულება (სურ. 15). არაკერამიკული მონაპოვარიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რომაული პატერის აღმოჩენა. კარგადაა შემორჩენილი პატერის ვერძის თავით დაბოლოებული კანელირებული ტარი. პატერის ჯამისა და პატერასთან დაკავშირებული ბრინჯაოს სურისაგან მხოლოდ ფრაგმენტები გადარჩა. პატერასთან იდო რკინის ჯაჭვი და რკინისვე დაუდგენელი დანიშნულების ნივთი (პატერაზე ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებ) (გაგოშიძე დ., 2020, გვ. 232-238).

დედოფლის გორის სასახლე აშკარად უნიკალურია, მისი მსგავსი ნაგებობის პარალელები ძველი საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ არ მოიძებნება. ისევე, როგორც უძველეს ურარტულ ნაგებობებში, გარე კედელი მისდევს რელიეფს. თუმცა, ამ შენობებისგან განსხვავებით, იბერიულ კომპლექსებში არ გვხვდება რეგულარული, მეტ-ნაკლებად მართკუთხა გეგმის მქონე ნაგებობები — ამის ნაცვლად, ოთახები უშუალოდ მიერთებულია გარე კედელს და მათი ფორმა არარეგულარულია. ასეთი ტიპის გეგმა არც ახლო აღმოსავლეთის სასახლეებში გვხვდება და არც ბერძნული კულტურული სფეროს ნაგებობებში, მით უმეტეს ელინისტურ პერიოდში. ის უცნობია ელინისტური პერიოდის ციხესიმაგრეებისთვისაც. გამონაკლისს წარმოადგენს სოხუმთან მდებარე ეშერის ქალაქის ციხესიმაგრეები, რომლებიც ქ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება და გარკვეული მსგავსებები აქვთ დედოფლის გორის არქიტექტურასთან. იქაც გვაქვს სხვადასხვა ზომის ოთახები, რომლებიც უშუალოდ მიერთებულია გარე კედლებს. თუმცა, ეშერისა და დედოფლის გორის ოთახების დანიშნულება

ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ვარაუდობენ, რომ ეშერის ოთახები იყო ე.წ. "კაზემატები", რაც დამახასიათებელია და ფუნქციურად აუცილებელია ციხესიმაგრეთაათვის, ხოლო დედოფლის გორში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სასახლის ოთახებს სამხედრო ფუნქცია, უმეტეს შემთხვევაში, არ ჰქონდათ. ძირითადი განსხვავება ასევე ის არის, რომ დედოფლის გორაზე ოთახები შიდა ეზოს გარს აკრავს, მაშინ როდესაც ეშერის კედლები ბევრად უფრო ფართო დასახლებას საზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი პარალელები არ არსებობს, ფ. კნაუსის აზრით დედოფლის გორის სასახლის შიდა ეზოს ირგვლივ მდებარე პორტიკი საბოლოო ჯამში, მომდინარეობს მაკედონურ-ბერძნული პერისტილური ეზოებისგან, რომლებიც კარგად არის ცნობილი ელინისტური პერიოდის სასახლეებიდან. როგორც ტიპოლოგიურად, ისე ფუნქციურად, დედოფლის გორის არქიტექტურისათვის შთაგონების წყაროდ შესაძლოა ე.წ. "ბატარეიკები" გამხდარიყო, რომლებიც მითრიდატე VI ევპატორის მმართველობის პერიოდში ტამანის ნახევარკუნძულზე აიგო. მიუხედავად იმისა, რომ დედოფლის გორის კომპლექსი, ბოსფორის ნაგებობებისგან განსხვავებით, თავდაცვით ფუნქციას პირველ რიგში არ ასრულებდა, როგორც ქრონოლოგიური, ასევე გეოგრაფიული სიახლოვე ამყარებს ვარაუდს, რომ არქიტექტურული შთაგონება, დიდი ალბათობით, ბოსფორის სამეფოსგან მოდიოდა (სურ. 16).

დედოფლის გორზე არსებული ნაგებობის ანალიზი ცხადად აჩვენებს, რომ ეს არის ადგილობრივი, ქართული არქიტექტურა, რომელიც მხოლოდ ცალკეულ ელემენტებში იჩენს ბერძნული გავლენის ნიშნებს. ამ ელემენტებმა, თუმცა, უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღეს ქ.წ. II საუკუნის ბოლოს ან I საუკუნის დასაწყისში დაწყებული მშენებლობის დროისთვის და გახდნენ იბერიული არქიტექტურის განუყოფელი ნაწილი. აღმოსავლური გავლენა არქიტექტურაში შემოიფარგლება მხოლოდ რელიგიური დანიშნულების ნაგებობებით (Knauss, 2008, გვ. 58-60).

## თავი II

### დედოფლის გორის სასახლის ოთახების ფუნქცია

გათხრილ ოთახებსა და ეზოში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზი უფლებას იძლევა, ვივარაუდოთ, რომ ციხე-დარბაზის პირველ სართულს (გარდა NN 10, 20 და 26 „საკურთხევლიანი“ ოთახებისა, რომელთა შესახებ ცალკე თავში ვისაუბრებ) უპირატესად სამეურნეო ფუნქცია ეკისრებოდა. მეორე სართულზე კი საცხოვრებელი იყო, რაზეც მეტყველებს ნანგრევში აღმოჩენილი ნივთები: მძივები, სამკაული, ავეჯი და სხვ.

ეზოში, როგორც უკვე ითქვა, სახაბაზო იყო, ოთხი ღუმელით, იქვე იფქვებოდა მარცვლეული; მარანი, ოთხი საღვინე ქვევრით, მოწყობილი იყო დახურულ დერეფანში. პირველი სართულის ოთახები სასახლის დასავლეთ ნაწილში (ოთახები N1,2,5,6,7), როგორც ჩანს, საწყობი იყო, სადაც ინახებოდა ჭირნახული, ხილი და სხვა. სამეურნეო იარაღის, კერძოდ, რკინის სახნისების და მათი ნაწილების აღმოჩენა N8 და N23 ოთახებში მეტყველებს იმაზე, რომ დედოფლის გორის ციხე-დარბაზი არა მარტო დამოკიდებული მოსახლეობისაგან გადასახადების სახით აკრეფილი ზედმეტი პროდუქტის თავშეყრის ადგილი იყო, არამედ იგი თავადაც ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას, ალბათ, სამეფო მონების ხელით.

ძალზედ საინტერესოა კარიბჭისპირა ოთხში (სათავსო N1, „კოშკის“ პირველი სართული) მოპოვებულ მასალა (სურ. 17). ამ ოთახში, რომელიც აშკარად საწყობია, არ არის გამორიცხული, რომ ეცხოვრა მეკუჭნავესაც - მოხელეს, რომელსაც ევალებოდა სასახლეში შემოტანილი პროდუქციის მიღება, აღრიცხვა, დაცვა და გაცემა. ოთახის ცენტრში იდგა რკინის სამფეხა მაგიდა, ჭერში ეკიდა რკინისავე ჭალი. კარიდან მარჯვნივ, კედელთან, იდგა ხის ტახტი, რომელმაც ჭერის ჩამონგრევის დროს დამსხვრევას გადაარჩინა მის ქვეშ მდგარ ყუთში ჩაწყობილი მინის ოთხი დიდი ზომის ბალზამარიუმი. იქვე იყო სპილოს ძვლის პატარა კოლოფი, რომელშიც ეწყო აღმანდინისთვლიანი ოქროს სამაჯურები, ოქროს ყელსაბამი და ლურჯი მინის წვრილი მძივების ასხმა. იქვე, ტახტის ნაადგილარზე, ბევრი სხვა ნივთიც ეყარა, მაგალითად: რკინის აბჯარი, ბრინჯაოს ამფორის ყური, ირმის რქისაგან გამოთლილი

გრავირებული და წარწერებიანი ფირფიტები და მათთან დაკავშირებული ღორის ფალანგები და სხვა.

სათავსოს უკანა, მარჯვენა კუთხეში მდგარა კარადა. რომლისგანაც გადარჩა მხოლოდ ძვლისაგან გამოთლილი ანჯამები, ხოლო ნივთები, რომლებიც ოდესღაც კარადაში ეწყო, გროვად ეყარა იატაკზე, კუთხეში. საყურადღებოა, რომ აქ უამრავ ნაირნაირ ნივთს შორის (სხვადასხვა მასალის მძივები. მძივსაკიდები, დანები და ა.შ.), აღმოჩნდა საწყობის მეურნეობისათვის აუცილებელი ისეთი ხელსაწყოები, როგორებიცაა, ძვლის სტილოსები, თევზებიანი ბრინჯაოს სასწორები (ორი ცალი) და ფხვიერი მასალის ასაღები რკინის ჩამჩა, ჩამოსხმული ბრინჯაოს ტარით, რომელიც ჰიპოკამფს გამოსახავს. კარიდან მარცხენა კუთხეში ეწყო მარცვლეულით სავსე ტომრები, რომლებშიც ეყარა: ხორბალი (*Triticum aestivum* L.), ქერი (*Hordeum* L.) და ასლი (ემერი – *Triticum dicoccum* Shrauk).<sup>5</sup> კიდევ ერთი ხორბლით სავსე ტომარა ეგდო კარის ღიობში. უკანა, მარცხენა კუთხეში იდგა ფქვილით სავსე ხის კიდობანი: ფქვილი გადარჩა მოლურჯო ფერის სუფთა ნაცრის სახით. საყურადღებოა, რომ კიდობანი, ისევე როგორც ტომრები და კარადა, თიხის ბულებით იყო დაბეჭდილი. ზოგიერთ ბულაზე რამდენიმე სხვადასხვა საბეჭდავის ანაბეჭდის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ პროდუქტის აღრიცხვა-მიღებასა და გაცემაში ზოგჯერ მაინც მონაწილეობდა, სულ ცოტა, სამი პიროვნება, თავთავისი საბეჭდავით. ეს კი კანცელარიის, ბიუროკრატიული აპარატის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს, რაც სწორედ სამეფო და სატაძრო მეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი. საინტერესოა, რომ ამ ოთახში თიხის ერთადერთი ჭურჭელი აღმოჩნდა ქუსლიანი ჯამი, მაშინ როცა სხვა ოთახებში კერამიკა ბევრი იყო. ამავე ოთახში აღმოჩნდა ბრინჯაოს მშვენიერი ამფორა და აშკარად ზედა სართულიდან ჩამოვარდნილი რკინის სამფეხა კანდელაბრი (სურ. 18). და კიდევ ერთი დეტალი: ოთახის დასავლეთის კედლის სიღრმეში, დაახლოვებით, იატაკის დონეზე თავის სორო აღმოჩნდა. სორო სავსე იყო საზამთროდ მომარაგებული დანახშირებული მარცვლეულით, მაგრამ ხანძარს ვერც თავი გადაურჩა: იქვე იყო მისი დამწვარი ჩონჩხიც. სოროს შიგთავსის პალინოლოგიურმა ანალიზმა მარცვლეულის გარდა, აქ დაადასტურა ზამბის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილების ნაშთები და დიდი რაოდენობით ხავსიც, რაც, თითქოს, მოულოდნელი უნდა იყოს

<sup>5</sup> მარცვლეული განსაზღვრა ტ. ბერიშვილმა, ი. მასიაიასა და თ. შანშიაშვილის მონაწილეობით.

სასახლისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, თავგმა ეს ხავსი საზამთროდ მომარაგებულ შემას ააცალა, რაც ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ მიწისძვრა შემოდგომაზე მოხდა (Gagoshidze, 2001, გვ. 264-265; Kvavadze and Gagoshidze, 2008, გვ. 214).

N9 ოთახი, რომლის წინ, დერეფანში, საღვინე ქვევრებია (ქვევრების პირზე არამეული წარწერებია ამოკვეთილი) მიწაში ჩაფლული, განსხვავებულია სხვა ოთახებისაგან, რაც მის სპეციალურ დანიშნულებაზე უნდა მეტყველებდეს. ოთახის წინა (სამხრეთ) კედელში კარი არ დაფიქსირდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოთახი დერეფნისაგან მხოლოდ რიყის ქვით მოგებული მაღალი ზღურბლით იყო გამოყოფილი. უკანა (ჩრდილო) კედელთან შემადლებაა, რომელშიც ტიხრებით ერთმანეთისგან გამოყოფილი ოთხი ღრმულია. ამ შემადლების წინ, მისგან დაახლოებით 1,5 მ-ს დაშორებით, იატაკში ღრმად, ხის ორი ბოძია ჩასმული, რომელთაც ეყრდნობოდა ხისავე კოჭი. ოთახის იატაკიც თავისებურად ნიველირებულია: იატაკის დასავლეთი და დაქანებული ნაწილი ალიზის აგურებითაა მოფენილი, ალიზი ყველაზე დაბალ სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან ორ ფენად აწყვია. იატაკი საგულდაგულოდ მოლესილია. დასავლეთი კედლის სამხრეთ ბოლოსთან ამოღებულია ალიზის ზედა ფენა ნახევარი ალიზის სიგანეზე (25 სმ.) და 125 სმ. სიგრძეზე და ამგვარად შექმნილია 16 სმ-ის სიღრმის მართკუთხა ორმო, რომელშიც ჩადგმულია ხის კოდი, როგორც, ჩანს, წყლის დასაგროვებლად. ამ ოთახში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა რკინის ლაგმები. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ N9 ოთახი თავლა იყო (სურ. 19) (Gagoshidze, 2001, გვ. 265; Knauss, 2008, გვ. 49).

N10 სათავსოს (სამლოცველოს, მის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ) აღმოსავლეთი მხრიდან უშუალოდ ემიჯნება ციხე-დარბაზის ჩრდილო კარიბჭესთან დაკავშირებულ სათავსოთა კომპლექსი (სათავსოები N11,12 და 13 ).

სამ მეტრზე მეტი სიგანის კარის ღიობი გაჭრილია ციხე-დარბაზის ჩრდილოეთ კედელში და შედის ჰოლში, რომელსაც უკანა (სამხრეთი) კედელი, თავდაპირველად, არ ჰქონია და მხოლოდ შემდგომ ჩაუშენებიათ აქ თხელი, ნახევარი აგურის სისქის ტიხარი, რომელშიც კარი დაატანეს. ჰოლის მარჯვნივ და მარცხნივ მასთან კარებით დაკავშირებული ოთახებია, რომელთაც სხვა კარი არ გააჩნიათ.

კარიბჭის კარის ღიობში, შუაში ჩადგმულია ქვითა და ვერტიკალურად დადგმული აგურით ნაგები და თიხით შელესილი ნალისებური მოყვანილობის კერა

ისე, რომ მის ორივე მხარეს გასასვლელია დატოვებული. ციხედარბაზში ჩრდილოეთი კარიბჭით შემსვლელს აუცილებლად უნდა ჩაეველო ამ კერის გვერდით, ხოლო დიდი ნივთის შეტანა თუ სურდა, ის ზედ უნდა გადაეტარებინა. ვფიქრობთ, ამ კერას ციხედარბაზში შემსვლელთა განსაწმენდლის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ანალოგიური, ოღონდ უფრო მცირე ნალისებრი კონსტრუქცია გაითხარა დასავლეთის (მცირე) კარიბჭეშიც, სადაც გარდა ამისა, მდგარა საფეხურებიანი საკურთხეველიც, რომლის ორი საფეხური გადარჩა კარიბჭის გარეთა შესასვლელთან, მარცხნივ.

ჩრდილოეთის კარიბჭის ჰოლში, დაახლოებით, შუა ნაწილში, უფრო აღმოსავლეთის კედლის ახლოს, დგას კეხის ორი კრამიტისაგან შეკრული და თიხით შელესილი ცილინდრული ღუმელი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში - დიდი ზომის რიყის ქვებითა და თიხით ნაგები, თიხით შელესილი მასიური პოდიუმი, რომელიც ციხე-დარბაზის შიდა დერეფნისაგან ჰოლის გამყოფ ტიხართან ერთად არის აგებული. პოდიუმის ზედაპირი, სამწუხაროდ, დაუზიანებიათ ადრეულ შუა საუკუნეებში, ქვევრის ჩასადგმელი ორმოს თხრის დროს. შერჩენილია მხოლოდ თიხით ამოლესილი დარი პოდიუმის ზედაპირზე, მისი ჩრდილოეთი ნაპირის გასწვრივ. ამ დეტალით, ისევე როგორც კონსტრუქციით, ეს პოდიუმი წააგავს ბრინჯაოს ხანისა საკურთხეველებს. შესაძლებელია, ესეც საკურთხეველი იყო, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ იქ ფურნე ყოფილიყო.

საკურთხეველთან, კედლის პირას, მარცვლუულით სავსე დერგი იდგა. იმავე კედელთან ათიოდე თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, უპირატესად, დოქები, მათ შორის, სამტუჩაც. იქვე იყო ბრინჯაოს პატარა და რკინის დიდი ზომის გრძელტარტიანი ჩამჩა. ჭურჭელთან იყო დამწვარი მრავალშვილა ხახვი და დიდი რაოდენობით ყვავილი, როგორც ჩანს, ზაფრანა. იმავე, დასავლეთის კედლის მახლობლად, უფრო ოთახის ცენტრისაკენ, ხის ორი ლანგარი, მომწვანო მინის ერთმანეთთან შედუღებული ოთხიოდე კოლბა და ჭრელზედაპირიანი, ე.წ. მოზაიკური ტექნიკით დამზადებული მოზრდილი ორყურა სანელსაცხებლე აღმოჩნდა.

ჰოლის აღმოსავლეთის კედელთან, ხორბლის გროვაში, თიხის რამდენიმე ჯამი და პატარა ხელადა იდგა. იქვე იყო რკინის ძალაყინი, ხოლო ოთახის ცენტრში - რკინის სამწვერიანი სადგარიანი შამფური - ტრიობელონი (ორი ასეთივე შამფური აღმოჩნდა 2014 წელს, გათხრების დროს, სასახლის ეზოში N19 სათავსოს მახლობლად). იქვე იდგა

რკინის მოზრდილი კასრი. აქვე, ნანგრევებში, აღმოჩნდა ვერცხლის კოლოფის ნაშთები, წვრილი კაური და მინის მძივები, მთის ბროლის, ეგვიპტური ფაიანსის ნაირ-ნაირი საკიდები, ძვლის საკინძები და სხვა წვრილი ნივთები, რომლებიც, როგორც ჩანს, ზედა სართულიდან ჩამოცვივდა ციხედარბაზის ნგრევის დროს. ალიზის ნანგრევებშივე იყო ირმის რქისაგან გამოჭრილი გრავირებული სამკითხაო-სათამაშო ფირფიტები და მათთან დაკავშირებული ცხვრის კოჭები (ასტრაგალები) და ღორის ფალანგები. გარდა ამისა, ამ და მის მეზობელ №13 სათავსოში ძვლისაგანვე გამოთლილი 11 კამათელიც აღმოჩნდა.

ჰოლთან დაკავშირებული ორივე ოთახი არქეოლოგიური მასალით იყო სავსე და აღმოსავლეთის ოთახი (N11) მაინც, უეჭველად საწყობი უნდა ყოფილიყო. აქ კედლების პირას დაწყობილი იყო მარცვლით სავსე დერგები, იქვე ეწყო სხვადასხვა ზომის თიხის დოქები და ჯამები. ამავე ოთახში აღმოჩნდა ბრინჯაოს ოინოხოია, რკინის დანები და რკინისავე აბჯრის სხვადასხვა ზომის უამრავი ფირფიტა. განსაკუთრებით საყურადღებოა ისრებით სავსე ხის ცილინდრული ჭურჭელი. მოკლე, დაახლოებით, 50 სმ სიგრძის ისრების ზრო ხისაგან არის გათლილი, მათი დიამეტრი 4-5 მმ-ია, თავისკენ ოდნავ წვრილდება და შიგ ჩასმულია რკინის სამფრთიანი ისრისპირი, რომლის ყუნწი ნემსის სიმსხოა. ისრის ზროს მეორე ბოლო 6 სმ-ის სიგრძეზე ძალიან გაწვრილებულია და, როგორც ჩანს, ფრთაში (სტაბილიზატორში) იყო ჩასმული, რომელიც არ შემონახულა.

ჰოლის დასავლეთით მდებარე ოთახიც (N13) არქეოლოგიური მასალით ძალიან მდიდარი გამოდგა. აღმოჩენები დაიწყო ოთახში ჩაზვავებული ნანგრევის ზედაპირიდანვე, იატაკის დონიდან 1 მ სიმაღლეზე, სადაც ბრინჯაოს მოზრდილი ზარი გაიწმინდა. იქვე, დაახლოებით, 1 კვ.მ ფართობზე გაფანტული იყო ფირუზისფერი, თეთრი და მურა წითელი ფერის ფაიანსის წვრილი მძივები, რომლებიც, თავდაპირველად, ეტყობა, ხის ყუთში იყო ჩაყრილი და სართულეშორისი გადახურვის ჩაქცევისას ჩაიბნა ნანგრევში ისე, რომ ამ ფართობზე ნანგრევის ალაგებისას იატაკამდე ჩნდებოდა მძივები, რომლებიც თავის დროზე ოთხ რიგად ყოფილა ძაფზე ასხმული. ნანგრევშივე ამოდიოდა სახარატო ჩარხზე დამუშავებული ძვლის ელემენტებით შემკულ რკინის შანდლების ნატეხები, რკინის აბჯრის სხვადასხვა ზომის ფირფიტები, ძვლის ნაკეთობანი: გრავირებული

ფირფიტები, კამათლები, მინიატურული ქანდაკების თავი, ფირფიტა სკილას რელიეფური გამოსახულებით და სხვა.

ოთახის სამ კუთხეში სამ ჯგუფად ეწყობო თიხის ჭურჭელი - დერგები, დოქები, ჯამები და სხვა. ზოგ მათგანში ფეტვი, ხორბალი, ქერი და ჭვავი შემორჩა. ჭურჭელი დახუფული იყო თიხის საცობებით, რომლებზედაც საბეჭდავების ანაბეჭდებია.

ოთახში აღმოჩნდა რკინის სხვადასხვა საბრძოლო და სამეურნეო იარაღი: შუბი, სახნისი, ცული, ეჩო, ხერხი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის დანები, ნამგლები, დიდი ზომის ცელის მაგვარი იარაღი, რკინის სამართებლები, ქვიშაქვის სალესავი, ბრინჯაოს სარწყულის ნახევარკალისებრი ყური, ძვლის საკინძი თუ სტილი და პიქსიდა, რკინის ბეჭედი, რკინისავე კლიტე, გასაღებიტურთ. ამ კლიტით, როგორც ჩანს, იკეტებოდა ჰოლიდან ოთახში შესასვლელი ორფრთიანი კარი, რომლის დანახშირებული ნაშთები გაიწმინდა იატაკზე. კარს სახელურად რკინის რგოლი ჰქონია.

შესაძლებელია, ეს ოთახი საყარაულო ყოფილიყო და თუკი ეს მართლა ასეა, მაშინ კარიბჭეს სამი ყარაული უნდა ჰყოლოდა, რამდენადაც ოთახში სანოვაგის თიხის ჭურჭლის სამი ჯგუფია და ამ ჯგუფებთან დაკავშირებულია სამი სხვადასხვა საბეჭდავის ანაბეჭდიანი თიხის ბულები: თითოეული დარაჯი, როგორც ჩანს, თვითონ ბეჭდავდა თავის სარჩოს საკუთარი საბეჭდავით (სურ. 20) (Gagoshidze, 2001, გვ. 266-267).

საინტერესო შედეგი მოგვცა N18 ოთახის გათხრამ, რომელიც სამხრეთიდან ეკვრის N17 ოთახს (კიბის უჯრედი). დაახლოებით კვადრატული ოთახი დიდი ზომისაა (450სმX450სმ) და ისიც, ჩვეულებრივ, ამოვსებული იყო კედლების და გადახურვის დამწვარ-დადუღებული (გამინებული) ნანგრევით, რომელშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით კერამიკული ჭურჭელიც (ჭრაქი, ქოთანი, დოქი, სხვ) ჩნდებოდა. ოთახის იატაკი მთლიანად სხვადასხვა დიამეტრის თოკებით და თასმებით აღმოჩნდა მოფენილი. მაგალითად, 3-4 მმ დიამეტრის თოკი სამი წვერით არის დაგრებილი და, ამასთან, თითოეული ეს წვერი თავისთავად ბევრი წვრილი ბოჭკოსგან არის შედგენილი. ზოგი თოკი განასკვულია. ნასკვებში ირჩევა ე.წ. ჰერაკლეს კვანძიც, მაგრამ არის სხვა, უფრო მარტივი კვანძებიც. ოთახის ცენტრისკენ თოკები საკმაოდ სქელ მასადაა წარმოდგენილი და თეთრად იფშვნება, თუმცა იქვე

შეგვხვდება შავად შერუჯული თოკებიც, რომლებსაც შენაჩუნებული აქვს დრეკადობა. ოთახის ჩრდილო-დასავლეთ მეოთხედში რკინის გასაღები აღმოჩნდა. იქვე, ოთახის შუისკენ გაიწმინდა ხის ორი პარარელური ძელი, რომლებიც თანაბარი მანძილების დაშორებით რიტმულად არის ჩაჭრილი შუამდე. აშკარაა, რომ ამ ძელაკების სახით რაღაც ხელსაწყოს თუ დაზვის ნაწილებთან გვაქვს საქმე (სურ. 21).

ქსოვილის ნაშთების შესწავლამ ცხადყო, რომ აქ მუშავდებოდა ბამბა (58%), სელი (27%), აბრეშუმი (8%) და კანაფი (ტექსტილის ბოჭკოების ასეთივე პროცენტული შეფარდება დადასტურდა სასახლის N1 ოთახში თავის სოროდან ამოღებულ მასალაშიც). ეს არის უძველესი აბრეშუმი არა მარტო კავკასიაში, არამედ წინა აზიაშიც. დედოფლის გორის ეს აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ, ქსოვილების გარდა, ჩინეთიდან, შესაძლოა, ნართიც გამოჰქონდათ ან უფრო შესაძლებელია, რომ აქ იგივე ვითარება დასტურდებოდეს, რაც რომში, სადაც, როგორც ცნობილია, ჩინური აბრეშუმის ქსოვილს შლიდნენ ძაფებად და მისგან ხელახლა ქსოვდნენ აბრეშუმნარეც ქსოვილებს (Kvavadze and Gagoshidze, 2008, გვ. 213, 215).

N2 , N17, N21 და N25 სათავსოები ყველა სხვა აქამდე გათხრილი სათავსოსაგან განსხვავდება. ორი ამ ოთახთაგანი ეკვრის კოშკებს (N1, N16 სათავსოები), მესამე და მეოთხე კი – საკურთხევლიან (N20, N26) ოთახებს. ოთხივე ეს ოთახი ვიწროა და მათში, პრაქტიკულად, არ გამოვლენილა ნივთიერი მასალა. როგორც ჩანს, ეს სათავსოები კიბის უჯრედები იყო და აქედან მეორე სართულზე ადიოდნენ (სურ. 22).

საინტერესო გამოდგა 2004 წელს შესწავლილი N15 და N16 ოთახები (სურ. 23). N15 ოთახი სასახლის ერთერთი რიგითი ოთახია, მაშინ როცა N16 სათავსი სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის კოშკის ქვედა სართულის ოთახია, რომლის ოთხივე კედელი თანაბარი, დაახლოებით 3 მეტრის სისქისაა, მაშინ როცა N15 ოთახის ორი კედლის სისქე მხოლოდ 1 მეტრია.

N15 ოთახი ძირითადად დამწვარი რიყის ქვითა და ალიზის შედარებით უფრო ფხვიერი მასით იყო ამოვსებული, მაშინ როცა N16 ოთახი სავსე იყო გამომწვარი, მაგრამ ფორმაშეუცვლელი ალიზის მთელ-მთელი აგურებით. საყურადღებოა, რომ კოშკის კედლის ნანგრევი წითლად იყო დაწვარი, მაშინ როცა კედლების უძრავი ნაწილი მხოლოდ შერუჯულია, ისიც გარეპირზე. თვით ალიზები კი თითქმის უმია.

ცხადია, რომ ძლიერად იწვოდა კოშკის ზედა სართულები, ქვემოთ კი ხანძარს ასეთივე სიძლიერისთვის ვერ მიუღწევია.

ორივე ოთახის შემავსებელ ნანგრევში ჩნდებოდა ნივთიერი არქეოლოგიური მასალა, რომელიც შენობის ზედა, დანგრეული სართულებიდან იყო ჩამოცვენილი, თუმცა არც ის შესაძლებლობაა გამოსარიცხი, რომ ზოგიერთი მაინც ამ ნივთებიდან თავის დროზე ამავე ოთახებში ეწყო თაროებზე ან კედელზე იყო დაკიდებული და იქიდან ჩამოცვივდა ნგრევის პროცესში. ასე, მაგალითად, კოშკის (N16 ოთახი) კუთხეში, კარის აღმოსავლეთით, იატაკიდან 40 სმ-ის სიმაღლეზე თითქმის ერთად აღმოჩნდა საბრძოლო იარაღის მთელი „კომპლექტი“ - მშვილდი (მშვილდის საფარი), შუბისპირი და, პირველად დედოფლის გორაზე, სარმატული ტიპის სატევარი რგოლიანი კოტი.

კოშკის (სათავსო N16) კუთხეები ქვეყნის მხარეებისკენ არის მიმართული. მის სამხრეთ-დასავლეთ კედელში, რომლის შემორჩენილი სიმაღლე 3 მეტრს აღემატება, გაჭრილია დერეფნიდან კოშკში შესასვლელი კარი. კარი შიგნითკენ გაფართოებულია (გარეთ მისი სიგანეა 125 სმ, შიგნით 185სმ) და მაღალი (35 სმ) ზღურბლი აქვს, რომელიც ორი საფეხურით ეშვება ოთახში და ასევე ორი საფეხურით მაღალია დერეფნის იატაკზე. სხვა ღიობი ოთახს არ გააჩნია და, როგორც ჩანს, არცა ჰქონია, რადგანაც კედლები საკმაო სიმაღლეზეა შემორჩენილი (სურ. 24): ამ სათავსოში პირველად დედოფლის გორაზე მოხერხდა რეალურად დაფიქსირება მეორე სართულისა, რომლის არსებობის შესახებ (ისევე, როგორც მესამე სართულისასაც) აქამდე მხოლოდ არაპირდაპირი მონაცემებით იყო. კედლისა და კარის ამყოლების ზედა ნაწილში დაფიქსირდა კვალი ხანძარში დამწვარი ხის ძელებისა, რომლებითაც გადახურული იყო კარი და ოთახი. კარის სიმაღლე 193 სმ-ია, ოთახი კი საკმაოდ დაბალი, დაახლოებით 230 სმ. სიმაღლის იქნებოდა. ეს სრულიად საკმარისი სიმაღლეა, გამომდინარე სათავსის ფუნქციისგან: როგორც გაირკვა, კოშკის ქვედა ოთახი მრცვლეულის საწყობი ყოფილა (გავიხსენოთ, რომ საწყობის ფუნქცია ჰქონდა დედოფლის გორის სასახლის დასავლეთ კოშკის ქვედა ოთახსაც, ანუ N1 სათავსს).

ოთახი თითქმის კვადრატულია და მისი ფართობი 4მ x 4მ (სურ. 25). თიხით მოლესილი იატაკის ცენტრში ჩასმულია ოთხკუთხა ქვა, რომელზეც, როგორც ჩანს, ხის ბოძი იდგა. ასეთივე საკმაოდ მოზრდილი თითო ქვა იდო კედელთან, კარის ორივე

მხარეს. კარის პირდაპირ, კედელისპირას იატაკში ამოდებულ 15 სმ სიღრმის ფოსოში იდგა თიხის დიდი ზომის პირმოყრილი დერგი, რომელშიც მარცვლეული ეყარა. ოთახში შემსვლელისათვის მარცხენა, ჩრდილო-დასავლეთი კედლის გაყოლებაზე ეწყო თიხის ექვსი ჭურჭელი, მათ შორის სამი ანტიკური ხანის საქართველოსათვის აქამდე უცნობი ფორმისა: რელიეფური სარტყლებით შემკული მაღალყელიანი ქვევრისებური, ოღონდ ყურებიანი ჭურჭელი, სამტუჩაპირიანი მოხატული ქოთანი ვერტიკალური რკალისებური ყურით და თეთრი თიხის სფერულმუცლიანი და არა შებრტყელებული, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე, მათარა (კეცის ფაქტურიდან გამომდინარე, იგი, შეიძლება იმპორტული იყოს) (სურ. 26). მოპირდაპირე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან იდგა დანახშირებული მარცვლეულის ხვავი, მოცულობით არანაკლებ 0,5 კუბური მეტრისა, რომელშიც ქვევრის ნატეხები იყო ჩაფლული. ოთახის ცენტრში, ბოძის საყრდენ ქვასთან, მის დასავლეთით ეგდო დიდი ზომის კეხის კრამიტის ნატეხები, რომელიც პირველად თონის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგანაც დედოფლის გორის სასახლეში კრამიტებისგან შეკრული რამდენიმე თონე გაითხარა (საანგარიშო წელსაც აღმოჩნდა ერთი ასეთი თონე), მაგრამ ნატეხებისგან მხოლოდ ერთი კრამიტი აღდგა.

კოშკს დასავლეთით ეკვრის ოთახი N15, რომელიც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება 1993 წელს გათხრილ N11 ოთახს და უკანასკნელია სასახლის ჩრდილო ოთახების რიგში. ოთახს გეგმაში ტრაპეციის ფორმა აქვს. მისი ჩრდილო კედლის სიგრძე 550 სმ-ია, მაშინ როცა სამხრეთის კედელი მხოლოდ 375 სმ-ის სიგრძისაა, რადგანაც კოშკი, რომელსაც, როგორც ითქვა, სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე უკავია, N15 ოთახის მიმართ 45 გრადუსით არის შემოტრიალებული. ოთახს შესასვლელი სამხრეთიდან, სასახლის დერეფნიდან აქვს და მისი კარის წინ დგას მთლიანად გათხრილი პილონი.

N15 ოთახის აღმოსავლეთ კედლის მახლობლად, დაახლოებით, შუაში გაიწმინდა სავსებით მთელი ფურნე, ზუსტად ისეთი კონსტრუქციის, როგორც ადრეული რკინი სხანის ფურნეებია, რაც ქართლში კულტურული ტრადიციის უწყვეტობის კიდევ ერთი მაგალითია. ფურნე ალიზის აგურითაა ნაგები და თიხით საგულდაგულოდ შელესილია. თაღოვან საცხოვ-საცეცხლურს საგანგებოდ გამომწვარი კერამიკული ძირი აქვს. ნაცრის გასახვეტი ხვრელით საცხოვი

დაკავშირებულია ასევე თაღოვან სანაცრესთან, რომლის წინ თიხით მოლესილი ნახევარწრიული შვერილია გამოზიდული (ფურნის ზომებია 100 სმ x 60 სმ x 60 სმ) (სურ. 27). მსგავსი ორგანოფილებიანი თაღოვანი ღუმელი გამოვლინდა N24 ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ღუმლის გარეთა კედელზე მიყუდებული იყო გრძელტარიანი რკინის აქანდაზი, უკან კი ჩადგმული იყო ორი დიდი ზომის ჭურჭელი, რომლებიც სავსე იყო დამწვარი ხორბლით (გაგომიძე, 2018, გვ. 31).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ N15 ოთახში სხვა ნივთებთან ერთად (კერამიკა, რკინის ნამგალი, ძვლის ფირფიტები და სხვ.) მონეტაც აღმოჩნდა - ავგუსტეს დენარის ადგილობრივი ქართული მინაბადი და ამასთან ესაა ამგვარი მინაბადის პირველი არქეოლოგიურად დოკუმენტირებული აღმოჩენა საქართველში: აქადე ცნობილი ყველა სხვა ასეთი მონეტა შემთხვევითაა აღმოჩენილი (მონეტა განსაზღვრა მედეა შეროზიამ).

კოშკის წინ ეყარა მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის სულ 27 თლილი ქვა. ყველა მათგანი მკვრივი ქვიშაქვისგან არის გამოთლილი და ცეცხლში შერუჯულია, განსხვავებით თავდაპირველ ადგილზე, თხრილში დარჩენილი ბლოკისაგან, რომელსაც არც ცეცხლის ზემოქმედების კვალი ემჩნევა (სასახლის ნგრევის დროს ის მიწაში იჯდა და ხანძარი მას ვერ შეეხებოდა) და დანარჩენი ქვათილებიდან ფერთაც და ფაქტურითაც განსხვავებულია, სხვა ჯიშის არის. როგორც ჩანს, ეს ქვა ადგილზევეა მოპოვებული: ამ ქანის გამოსავალი აქვე, ორგორაზეა, კონგლომერატების ქვეშ. ბლოკებს ემჩნევა ქვის სათლელი სამნაირი იარაღის კვალი: ერთ მათგანს წვრილი წვეტი ჰქონია, მეორეს - მომრგვალებული და ბრტყელპირიანი სატეხიც უხმარიათ ქვისმთლელებს.

ქვების უმეტესობის ზედაპირზე ამოკვეთილია გამირის (პირონის) ჩასადგმელი ღრმული, რომელსაც მეტწილად ისრის ფორმა აქვს, თუმცა არის საგამირე ღრმულები ოთხკუთხა ან წრიული შემსხვილებითაც (სურ. 28).

სხვა ბლოკების სიგრძე მერყეობს 28-დან 53 სმ-მდე, სიმაღლე - 25-40 სმ-ია, სიგანე კი 20-30 სმ.

კოშკის კარის ღიობში ჩახვავებული ალიზის ბლოკების ქვედა ფენა თითქმის ჰორიზონტალურად ეწყობა და ძლიერ დამწვარ-დადუღებული იყო, ქვეშ კი ეფინა

ალიზის ხსნარის გამინებულ-გატუფებული მასა. აშკარაა, რომ კარის ღიობი ხით იყო გადახურული და სწორედ ამ ხის წვის შედეგია ბნანგრევის აღწერილი ხასიათი.

ღიობის გადახურვა კარის ამყოლებზე დაყრდნობილ კოჭებზე იდო, სათავსოს გადახურვა კი ეყრდნობოდა ოთახის ცენტრში აღმართულ ბოძს და ოთხივე კედლეზე არსებულ მაუერლატებს, რომლებიც თავისთავად დაყრდნობილი იყო კედლების არმატურის განივი ძელების ბოლოებზე. მაუერლატების და კარის გადახურვის საყრდენი კოჭების ნაადგილევი შემორჩენილია საფეხურის სახით, რომელმაც ოტახისა და კარის სიმაღლის დადგენის საშუალება მოგვცა (230 სმ და 193 სმ).

ოთახის კედლები ბუნარევი თიხის ხსნარით იყო შელესილი, ასე რომ კედლის კონსტრუქციის დეტალები - ქვისა და ალიზის წყობა, კედლები სგასწვრივ დაწყობილი ძელები და კედლების გარდიგარდმო ძელების ბოლოები - არ ჩანდა. კოშკის შიდა კედლის ერთ მონაკვეთში შელესილობის ჩამოცვენის შემდეგ გამოჩნდა კაფელის მაგვარად სირტყევ ჩაწყობილი ალიზის აგურები, რომლებიც შევსებული იყო კედლის პირის გასწვრივ განლაგებულ ძელებს შორის სივრცე, ამ აგურების სისქე 20 სმ, ხოლო სიგრძე-სიგანე 54-52 სმ იყო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია N16 ოთახის გარეთ ამოცლილი საფასადო მოპირკეთების ადგილას დარჩენილ ღრმულში აღმოჩენილი თიხის შეკიდული ბულა. ბულა კარგადაა გამომწვარი, უკანა მხარეს შერჩენილია ხვრელი, რომელშიც შესაკიდი ზონარი იყო გაყრილი, პირზე კი აღბეჭდილია არამეულწარწერიანი საბეჭდავის ოვალური მოყვანილობის ანაბეჭდი. ანაბეჭდზე გარკვევით იკითხება ათივე არამეული ასო-ნიშანი (ბულის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ).

2004 წლის გათხრებმა გასცა პასუხი კითხვაზე, თუ საიდან უნდა მოხვედრილიყო ნახანძრალი ალიზის აგურები ვეება მასა ეზოს პერიმეტრზე მდგარი ნაგებობიდან ესოდენ მოშორებით. გაირკვა, რომ სასახლის შიდა ეზოშიც მდგარა სასახლის თანადროული ნაგებობები. ეზოში განცალკევებით მდგარი ერთი ასეთი შენობა მთლიანად გაიწმინდა და მეორე შენობის კუთხე გამოჩნდა. ეზოში მდგარი სათავსო გეგმაში თითქმის კვადრატულია, ფართობით 25 კვ.მ და კუთხეებით ქვეყნის მხარეებისკენ არის მიმართული. ერთადერთი კარი სამხრეთ-დასავლეთ კედელშია გაჭრილი, სამხრეთ კუთხესთან და კარის ზღურბლის წინ ხის ორსაფეხურიანი კიბეა მოწყობილი.

შენობის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მოქცეული იყო მეოთხე საუკუნის იატაკის ქვეშ, ხოლო მის ჩრდილო კუთხეს აზიანებს დიდი ქვევრი, ასე რომ მისი ანტიკური ასაკი ეჭვს არ იწვევს. ხანძარში დამწვარი კერამიკული მასალაც, რომელიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა, უდავოდ პირველი საუკუნისაა. გარდა ამისა, ამ შენობის სამხრეთ-დასავლეთი კედელი მკაცრად პარალელურია სასახლის კუთვნილი პილონებისა, რაც დამატებით არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ შენობა ნამდვილად ეკუთვნის სასახლის კომპლექსს, თუმცა მისი კედლების მშენებლობის ტექნიკა სრულიად განსხვავებულია სასახლის მშენებლობისაგან. სამრეთ-დასავლეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი ერთ რიგად ნაწყობი და ერთმანეთთან ალიზის ხსნარით დაკავშირებული თლილი ქვითაა ნაგები. ალიზითვეა შელესილი მისი საფასადო მხარეც და სამხრეთი კუთხე სულაც ალიზით არის ამოყვანილი. შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის გადარჩენილი ნაწილი (ჩრდილო კუთხეს ქვევრის ორმო ჭრის) ორ რიგად ნაწყობი კედლის უხეშად გათლილი ქვითაა ნაგები და უფრო მონუმენტურად გამოიყურება, ვიდრე სხვა კედლები, რომელთა წყობაში რიყის ქვა ჭარბობს. კარის ღიობი განსაკუთრებით მსხვილ რიყის ქვებზეა მოქცეული. შენობა ადრეული რკინის ხანის კულტურულ ფენაშია ჩასმული, სამხრეთ-დასავლეთ კედელთან კი, შიგნით რაღაც გაუგებარი ორმო გამოიკვეთა, რომელშიც ერთად იყო როგორც ანტიკური სასახლის კუთვნილი, ისე ადრეული მასალა (სურ. 29).

შენობაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დანახშირებული მარცვლეული აღმოჩნდა. მარცვლეულის დიდი გროვა ჰვარავდა კარისწინა კიბესაც. ვვარაუდობთ, რომ ეს ნაგებობა, როგორც მარცვლეულის შესანახი ბეღელი, დაკავშირებული უნდა იყოს პურის საცხობ თონეებთან კომპლექსთან, რომელიც გაითხარა 1988 წელს. საცხობი კომპლექსის კუთვნილი ერთი თონე 2004 წელსაც გაითხარა. თონე გეგმაში ნახევარწრიულია და მიწაში ვერტიკალურად ჩასმული ორი კრამიტისაგან არის შედგენილი. გვერდობავეცილი ბრტყელი კრამიტი (სოლენი) თონის ბტყელ ზურგსა ქმნის, წინიდან კი მასზე მიდგმულია ღარის ფორმის კეხის კრამიტი (კალიპტერი). ასეთივე ფორმის ორი თონე ადრეც გაითხარა, სხვები კი ცილინდრული იყო, ორი კალიპტერისგან შედგენილი.

ზემოთაღწერილ შენობასთან გამოჩნდა რამდენიმე ნაწილად დამსკდარი ბაზალტის მასიური ნივთი, რომელსაც ერთი (ქვედა) პირი ნამუშევარ-მოგლუვებული, საპირისპირო მხარე კი (ზედაპირი) შუისკენ აქვს. ესაა ოთხკუთხა ხელსაფქვავის ზედა ქვის ნახევარი. ასეთი ხელსაფქვავები ფართოდ გამოიყენებოდა რომაულ სამყაროში, ქართლში კი ეს პირველი შემთხვევაა ოთხკუთხა ხელსაფქვავის აღმოჩენისა. ასეც რომ არ იყოს, თავისთავად დიდი ზომის ხელსაფქვავის არსებობა აქ იმ ვარაუდის კიდევ ერთ არგუმენტად გამოდგება, რომ დედოფლის გორის სასახლის შიდა ეზოს დასავლეთ ნაწილში საქმე გვაქვს მარცვლეულის გადამამუშავებელ კომპლექსთან, რომელიც აერთიანებს მარცვლეულის საწყობს, საფქვავს და საცხობს (თონეებიანი ფარდული), და რომელიც გამომცხვარი პურით ამარაგებდა სასახლის ბინადართ.

ოთახი N22 სამზარეულო უნდა ყოფილიყო. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან ფურნე იყო მოწყობილი (სურ. 30). ფურნე აგებულია კვადრატული ალიზებით და ორნაწილიანია, რომელთაგანაც ერთი საცხობი განყოფილებაა, მეორე, უფრო ვიწრო – სანაცრე. საცხობის ძირზე თიხაში ჩალესილი იყო ბრტყელი კრამიტი (სოლენი), აკეცილი გვერდებით დაბლა. კრამიტზე იდო თიხის ჭრაქი. ასეთივე კრამიტით ფარავდნენ, როგორც ჩანს, ფურნის საცხობ ნაწილს მას შემდეგ, რაც ნაღვერდალს და ნაცარს სანაცრეში გადახვეტდნენ. საფარი კრამიტი ეგდო იატაკზე ფურნის წინ. ამავე ოთახის იატაკზე და ოთახის შემავსებელ ნანგრევში აღმოჩნდა რამდენიმე კერამიკული ჭურჭელი. ოთახში ბაზალტის ორი ხელსაფრქვავი აღმოჩნდა. ერთი მათგანი დიდი ზომის ნავისებური ფორმისაა, თავისივე კურანტით და ჩვეულებრივია ელინისტური ხანის საქართველოსთვის. მეორე კი ოთხკუთხა ფორმისაა და ეს რომაული ხანის ინოვაციად უნდა მვიჩნოთ პირველი საუკუნის ქართლისათვის (დასავლეთ საქართველოში ამგვარი ხელსაფქვავები ელინისტურ ხანაში უკვე იხმარებოდა). ხელსაფქვავების არსებობა სამზარეულოში ბუნებრივია, მით უმეტეს, რომ აქ მარცვლეულის ორი საკმაოდ დიდი გროვაც აღმოჩნდა (სურ. 31).

ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ფურნესა და სათავსოს აღმოსავლეთ კედელს შორის ჩაჭედილი იყო ხანძარში მინად ქცეულ ალიზთან შემცხვარ-შედულებული დიდი ზომის კეხის კრამიტი. კრამიტის ნატეხების მასთან შემცხვარი მინისებური მასისაგან გამოცალკეება სავლელე პირობებში ვერ მოხერხდა.

დედოფლის გორის სასახლის გათხრებისას სახურავის კრამიტი პრაქტიკულად არ აღმოჩენილმა, როგორც ჩანს სასახლის სახურავი თითქმის მთლიანად დამწვარ-დამდნარია, ყოველი შემთხვევისათვის, ჯერჯერობით ასე ჩანს, მაგრამ სავარაუდოა, რომ N22 ოთახში აღმოჩენილი კალიპტერი სახურავიდან ჩამოვარდნილი არ არის. საქმე ისაა, რომ წყვილი კეხის კალიპტერისაგან იყო შედგენილი N16 სათავსოში (ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი) ღუმელი და N10 სათავსოში გათხრილი ათეშგა. საფიქრებელია, რომ აქაც საქმე გვაქვს კალიპტერებით შედგენილ ღუმელთან, რომელიც ზედა სართულის ოთახის გასათბობად გამოიყენებოდა და იქიდან არის ჩამოვარდნილი N22 ოთახში.

სასახლის N23 ოთახის იატაკი თიხით არის მოლესილი და სამხრეთისკენ ოდნავ დაქანებულია. ოთახი გეგმაში მართკუთხაა, მისი მაქსიმალური სიგრძეა- 4.70 მ, მაქსიმალური სიგანე-4.60მ (სურ. 32). ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამართულია მართკუთხა ალიზის ქურა, რომლის თავზე ჩალესილია გვერდებაკეცილი კრამიტი (ისეთი როგორც N22 ოთახშია). ქურას დასავლეთით მიწყობილი აქვს 3 რივის ქვა. ოთახის სამხრეთ ცენტრალურ ნაწილში იდო დანახშირებული ფიცარი, დასავლეთ კედელთან კი - დიდი ზომის თლილი ქვიშაქვა. ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იატაკზე დევს კეხის ღარისებრი და ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტები. N23 ოთახის ნანგრევებში და იატაკზე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კერამიკული მასალა, რომლის დიდი ნაწილი ძლიერი ცეცხლისგან დეფორმირებულია ან შედუღებულია ხანძარში გაწიდებულ ალიზის აგურებთან. გვხვდება როგორც შავად, ისე ღიად გამომწვარი კერამიკა. ჭურჭლის ფორმებში ჭარბობს დოქები და ქოთნები. მრავლადაა ასევე ღიად გამომწვარი დიდი და პატარა ზომის ფიალები და დიდი ზომის ორყურა კოკები. გვხვდება, აგრეთვე, ყელწიბოიანი დოქები, რომელთა ყურების ზედა ბოლო წიბოზეა მიერთებული. N23 ოთახის ნანგრევებში და იატაკზე მრავლად ვიპოვეთ რკინის იარაღები, რომელთაგანაც გამოსარჩევია ხერხის ფრაგმენტები, დანის პირები, ჩაქურჩები, წერაქვ-ჩაქურჩის ფრაგმენტები და ისრისპირი. ზოგიერთი რკინის ნივთის იდენტიფიცირება ვერ მოვახდინეთ, რადგან ისინი ძლიერი ცეცხლისგან დაშლილი და დეფორმირებული არის (სურ. 33). აღსანიშნავია, აგრეთვე, კარის ანჯამის ფრაგმენტის პოვნა. N23 ოთახში როგორც ჩანს ცხოვრობდნენ ხელოსნები, რომლებიც ძირითადად პასუხისმგებლები

იყვნენ ხისა და ქვის დამუშავებაზე, რაზეც მეტყველებს ამ ოთახში აღმოჩენილი ნივთები.

N24 ოთახიც როგორც ჩანს სამზარეულო უნდა ყოფილიყო (სურ. 34). სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამართულია ორ განყოფილებიანი თაღოვანი ღუმელი, რომელსაც წინ სანაცრე ორმო აქვს. ღუმელის გვერდითა კედელზე მიყუდებული იყო გრძელტარიანი სანაცრე აქანდაზი. ღუმელის უკან ჩადგმული იყო 2 დიდი ზომის ჭურჭელი. ერთ-ერთში აღმოჩნდა დამწვარი ხორბალი. ოთახის ცენტრში იატაკზე იდო თიხის ცალყურა ქოთანის და რკინის დაშლილი გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კი ეყარა დიდი რაოდენობით დამწვარი ხორბალი და დანახშირებული ფიცარი. როგორც ჩანს, აქ ხორბლით სავსე ყუთი იდგა. N24 ოთახის ნანგრევის ვიპივეთ ღიად გამომწვარი ყელწიბოიანი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი, რომელსაც პირზე ქვა ედო და შემდეგ გადალესილი იყო თიხით. თიხაზე კარგად შეიმჩნევა საბეჭდავების 4 ანაბეჭდი. ერთ-ერთ ანაბეჭდზე ჩანს ცხოველის გამოსახულება. ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იდო რგოლით დაბოლოებული რკინის მოკლე მილები. როგორც ჩანს, გუთნეულის კვანტების დაბოლოება (სურ. 35). ანალოგიური ნივთები, რკინის სახნისებთან ერთად აღმოჩენილია ამავე სასახლის N8 ოთახშიც (გაგოშიძე, 2018, გვ. 30-33).

## თავი III

### დედოფლის გორის სასახლის არქეოლოგიური მასალა

დედოფლის გორის ციხე-დარბაზის გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მდიდარი და მრავალფეროვანია და ასახავს ქ.წ. I - ქ.შ. I საუკუნეების ქართლის (იბერიის) ნივთიერი კულტურის მრავალ ასპექტს. აქ წარმოდგენილია ავეჯი, ჭურჭელი, იარაღ-საჭურველი, სამკაული, მონეტები და სხვა. როგორც უკვე აღინიშნა 1985-1993 წლებში მოპოვებული მასალების აბსოლუტური უმეტესობა გამოქვეყნებულია, 1993 წლის შემდგომ ნაპოვნი არტეფაქტები კი არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ამიტომაც უფრო დიდ ყურადღებას დავუთმობ მათ და განვიხილავ საქართველოსა და საზღვარგარეთ აღმოჩენილ ანალოგიური ნივთების კონტექსტში. დედოფლის გორის სასახლეში იმპორტული ნივთების სიმრავლე საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერიის) ურთიერთობას გარესამყაროსთან, უპირველეს ყოვლისა ელინისტურ სახელმწიფოებთან და რომის იმპერიასთან, როგორც მეტროპოლიასთან ისე მის აღმოსავლეთ პროვინციებთან. დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ნივთები ასახავს გვიანელინისტური-ადრერომაული პერიოდის ქართლის წარჩინებული მოსახლის და მისი მოსამსახურეების ყოფის თითქმის ყველა ასპექტს.

**ავეჯი.** ავეჯის მეტი წილი ციხე-დარბაზში, ცხადია, ხისა იქნებოდა და ამდენად მათგან მხოლოდ ნახშირი გადარჩა, მაგრამ დიდი რაოდენობით გვაქვს ლითონისაგან დამზადებული ავეჯიც - რკინის მაგიდები და შარნირებიანი (გასაშლელი) სკამები და საწოლები. დედოფლის გორის სასახლის N26 ოთახის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რკინის კანდელაბრსა და ალიზის ხსნარით შელესილ პოდიუმს შორის იატაკზე აღმოჩნდა სარეცლის (კლინე) ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავის ორი ერთიდაიგივე დეტალი (ერთი მთლიანადაა შემორჩენილი, ოდონდ ქვედა ნაწილში ოდნავ შეჭყლეტილია; მეორე ხანძრის ზემოქმედების შედეგად მხოლოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი) (სურ. 36.1) (გაგომიძე, 2019, გვ. 186-189). ანტიკური სარეცლის (კლინე) ფეხი შედგება სხვადასხვა ელემენტებისგან. დედოფლის გორის სარეცლის ფეხის გარსაკრავის დეტალი ძალიან გავს (თითქმის იდენტურია) ვანში 2007 წელს აღმოჩენილ განძში შემავალ სარეცლის ფეხის გარსაკრავის (10 ცალი) შესაბამის

დეტალს (ვანის კლინეს გარსაკრავები მეცნიერულად შეისწავლა გ.კვირკველიამ, რომელმაც ფეხები დაყო ელემენტებად, რომლებიც ბუნებრივად იყო ერთმანეთისგან გამოყოფილი ხის ნაწილებით, ნუმერაცია კი მოემართება ზემოდან ქვემოთ) (კვირკველია, 2022, გვ. 64).

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი დეტალები წარმოადგენს „სოკოსებური“ მოყვანილობის ფეხის თავს (გ. კვირკველიას მიხედვით ელემენტი I, იგივე დეტალი I). შედგება სამი სეგმენტისაგან. ზედა სეგმენტი ზემოთ ამობერილი; ძირითადი ნაწილი შექცეული ნაოთხალი ლილვის პროფილის, საფეხურისებურად პროფილირებული ზედა ზედაპირით. შუა სეგმენტი განიერი, დისკოსებური მოყვანილობის, კიდეზე გარშემო გაზღვეს ვიწრო ღარი; ეს სეგმენტი ნაოთხალი წრეთარგის პროფილიანი ნაკვით გადადის წაკვეთილი კონისისებური, თითქმის ცილინდრული პროფილის მქონე ქვედა სეგმენტში. სიმაღლე - 6 სმ; მაქსიმალური დიამეტრი - 13 სმ; ქვედა დიამეტრი - 8.5 სმ.

ვანის განძში აღოჩენილი ათი ფეხიდან ყველა აწყობილი იყო ბრინჯაოს სტანდარტული ფორმის დეტალებით, რომლებიც არათანაბარი რაოდენობით იყო წარმოდგენილი - ე.ი. ყველა კომპლექტი სრული სახით არ იყო ჩაწყობილი განძსაცავ ორმოში. თავი მხოლოდ ხუთს ააქვს. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ დედოფლის გორის თავი და ვანის თავები თითქმის იდენტურია, განსხვავება მათ შორის მხოლოდ ცალკეული სეგმენტების ზომებში და პროპორციებშია (კვირკველია, 2022, გვ. 64-117).

აღსანიშნავია, რომ ვანის ნაქალაქარზე საწოლის ფეხების ბრინჯაოს გარსაკრავების პოვნის შემთხვევას ადრეც ჰქონია ადგილი. კერძოდ, ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე მოზაიკურიატაკიან ტაძარში 1976-1977 წლებში მიაკვლიეს გარსაკრავის ექვს ფრაგმენტს.<sup>6</sup> გ. კვირკველიას აზრით აქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს გრიფონის თუ არწივის კლანჭებიანი გარსაკრავები შესაძლოა თავის დროზე ამკობდნენ კლინეს ფეხებს (კვირკველია, 2022, გვ. 80).

საქართველოს ტერიტორიაზე გარდა დედოფლის გორის და ვანის კლინეს გარსაკრავის აღმოჩენიებისა კიდევ ერთ პუნქტშია ის ნაპოვნი. ესაა ქართლის მეფეთა

---

<sup>6</sup> რიგი მეცნიერების მიერ ეს ნივთები მიჩნეული იყო სადგარად და თიმიატერიონად. გ. კვირკველია მართებულად მოიხსენიებს მათ როგორც სარეცლის ფეხის გარსაკრავის დეტალებს [კვირკველია 2022: 73-74].

რეზიდენცია - არმაზციხე-ბაგინეთი სადაც 2011 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ერთ-ერთ სათავსოში სხვა ნივთებთან ერთად გამოვლინდა „საწოლის-კლინე თუ სავარძლის ფეხისა და სახელურის ნაწილი“. სათავსოში აღმოჩენილი მასალა და შესაბამისად კლინეს ფეხიც თარიღდება პირველი საუკუნეებით (ნიკოლაიშვილი და სხვ., 2014, გვ. 20-21).

კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა სახის ავეჯის, მათ შორის საწოლების წარმოება უძველესი დროიდან იწყება. სარეცლები (კლინე) მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ბერძნული სახლის მორთულობაში, გამოიყენებოდა არა მარტო ძილისთვის, არამედ ნადიმების დროსაც, მონაწილეობდა დასაკრძალავ რიტუალებშიც. ბერძნულ-რომაულ ხანაში კლინეს განვითარების გენერალური ხაზი ყველაზე უკეთ ჩანს ხელოვნების ნიმუშების მიხედვით, იქნება ეს ვაზების მოხატულობა, ტერაკოტული ფიგურები, რელიეფები, აკლდამების მოხატულობა თუ სარკოფაგების მორთულობა. საყოველღეო ცხოვრებაში გავრცელებული იყო სამი ტიპის სარეცელი - ცხოველის ფეხებზე დაყრდნობილი საწოლები, რომლებიც სათავეს ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იღებენ, ოთხკუთხაგანიკვეთიანი ფეხების მქონე, წმინდა ბერძნული წარმოშობის, და მრგვალფეხებიანი, მოხრილ სასათუმლიანი ან უსასათუმლო კლინეები, ასევე ეგვიპტეში წარმოშობილი. ავეჯი მზადდებოდა ხის, ქვისა და ლითონისაგან. ძირითადად გამოიყენებოდა ხე; ქვა (მარმარილო) გამოიყენებოდა საპარადო საჭიროებებისათვის და ძირითადად ასეთი სარეცლები განთავსებული იყო საზოგადოებრივ ნაგებობებში ან ძალიან მდიდრულ სახლებში. ლითონის ავეჯი თავდაპირველად დიდ სიიშვიათეს წარმოადგენდა. მარმარილოსა და ლითონის საწოლები ბაძავდნენ ხის პროტოტიპებს. მრგვალფეხებიანი ხის საწოლები არქაული ხანის კორინთულ შავფიგურულ ვაზებზეა ასახული, გამოირჩევიან ფეხების პროფილის სიმარტივით და სასათუმლის არქონით. მოხრილი სასათუმლეები თავდაპირველად ოთხკუთხაგანიკვეთიან ფეხებიან საწოლებზე ჩნდება. ქ.წ. 400 წლის ახლო ხანებით თარიღდება აპულიური კრატერი ერმიტაჟიდან, რომელზეც გამოსახულია დიონისე და არიადნა, მჯდომარე ორ სასათუმლიან და მრგვალფეხებიან სარეცელზე. კლინეს ეს სახეობა სეიდლება ჩაითვალოს მოგვიანო, ელინისტურ-რომაული ხანის სარეცლის არქეტიპად.

ქ.წ. III-II საუკუნეებში ჩნდება პირველი ბრინჯაოს გარსაკრავიანი სარეცლები. ამგვარი საწოლე-ბისათვის პლინუსი ხმარობდა ტერმინს „lecti deliaci” – “დელოსური სარეცლები”. კერძოდ, პლინუსი (აგრეთვე ლივიუსი) იტყობინებიან, რომ რომში ეს ბრინჯაოს გარსაკრავიანი საწოლები პირველად მოხვდა მცირე აზიიდან გალატებზე ქ.წ. 187 წელს გნეუს მანლიუსის გამარჯვების შედეგად მოპოვებულ ნადავლთან ერთად. გავრცელებული შეხედულებით, ყველა მათგანი როდი იყო დამზადებული კუნძულ დელოსზე. მაგალითად, გრიფენჰაგენი ფიქრობდა, რომ ეს ტერმინი მხოლოდ იმპერიული რომის ეპოქაშია გაჩენილი და თავის წარმოშობას უნდა უმადლოდეს დელოსური ბრინჯაოს ნაწარმის პოპულარობას. ფ. ბრიუნოს მოსაზრებით, გეოგრაფიული ეპითეტი „დელოსური“ უფრო ტიპოლოგიურ თავისებურებებს აღნიშნავდა, ვიდრე წარმოშობას. ამავე დროს დელოსზე აღმოჩენილია სარეცლის ფეხების გარსაკრავების სასხმელო ყალიბები, ასევე სასთუმალის (ფულკრას) ელემენტები, რაც ადასტურებს კუნძულზე ამგვარი საგნების წარმოებას.

ქ.წ. III ს-ის დასასრულს – II ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება ბრინჯაოს გარსაკრავიანი სარეცლები პრიენადან. ქ.წ. II ს-ით თარიღდება მსგავსი ბრინჯაოს გარსაკრები პელაში.

ელინისტური ხანის კლინეს ფეხების ბრინჯაოს გარსაკრავების ოთხი კომპლექტი ცნობილია არტიუხოვოს ყორღანის ყრილიდან (ქ.წ. II ს.). როგორც ჩანს, აქ მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ საწოლი საგანგებოდ დაუმტვრევიათ და შემდეგ კოცონში ჩაუგდიათ. შემორჩენილი ნაწილები წარმოდგენილია თავებით, რგოლისებური გარსაკრებით, კუთხის გარსაკრავებით, სასთუმალის გვერდის მორთულობით (ფულკრუმი) – ფირფიტა აფროდიტესა და ეროტების გამოსახულებით. ყველა ფეხისთავი ჩვეულებრივი ტიპისაა, ამობერილი და დახშული ზედა სეგმენტით, დისკოსებური შუა ნაწილით და ცილინდრული ქვედა სეგმენტით. ამ უკანასკნელში დატანილია ორი ან სამი სამანჭვლე ნახვრეტი შიგ შერჩენილი ლურსმნების ფრაგმენტებით. ორ ხუფზე ბერძნული ასოებია ამოჭრილი – A და Λ, რომლებიც ნუმერაციის როლს ასრულებდნენ. ფეხისთავების ერთი წყვილი მეორესთან შედარებით უფრო მოზრდილია და, როგორც ჩანს, სასთუმალთან იყო განლაგებული. ნ. სოკოლსკის აზრით, არტიუხოვოს, პრიენასა და პელას კლინეები

უფრო ადრინდელ სახეობებს აკავშირებს ქ.წ. I – ქ.შ. I საუკუნეების ბერძნულ-რომაულ კლინებთან (კვირკველია, 2022, გვ. 74-76). სწორედ ამ უკანასკნელი პერიოდის კლინებთან იჩენენ მაქსიმალურ მსგავსებას ვანში და დედოფლის გორაზე აღმოჩენილი გარსაკრავები. ვანისა და დედოფლის გორის ნიმუშები ასევე შეიძლება შევადაროთ მაჰდიასა (ტუნისი) და ფორმიგის (საფრანგეთი) სანაპიროებთან ჩაძირული გემების ტვირთში შემავალ სარეცელის გარსაკრავებს. ვანისა და დედოფლის გორის ცალები ასევე სიახლოვეს ამჟღავნებენ ფონტევილში (იტალია) და ბურჟუა-ჟალეში (სამხრეთ საფრანგეთი) აღმოჩენილ კლინეს გარსაკრავებთან (კვირკველია, 2022, გვ. 76-80). ვანის განძის ჩაფვლა განძში შემავალი ნივთების ანალოგიების და სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით უნდა მომხდარიყო ქ.წ. I საუკუნის შუა ხანებით (კვირკველია, 2022, გვ. 79; ახვლედიანი, 2022, გვ. 13-14; Akhvlediani et al., 2016, გვ. 182-191; ახვლედიანი, 2008, გვ. 129). დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი სარეცლის ფეხის გარსაკრავის დეტალებიც ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს. როგორც ჩანს აქ მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ძლიერი ხანძრის შედეგად სარეცლის სხვა დეტალები მხოლოდ ბრინჯაოს დამწვარ-დადუღებული გროვის სახით შემორჩა, რომელიც იქვე ახლოს აღმოჩნდა სადაც გარსაკრავის თავი იდო. ვანში აღმოჩენილი განძი და შესაბამისად სარეცლის ფეხები, მისი შემსწავლელების ვარაუდით „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ კუთვნილ ინვენტარს უნდა წარმოადგენდეს (ახვლედიანი, 2022, გვ. 13; კვირკველია, 2022, გვ. 74). რადგან კლინეს დეტალები N26 ოთახის იატაკზე აღმოჩნდა, სავარაუდოა, რომ იგი პირველ სართულზე იდგა და სამლოცველოში (N26 ოთახი ყველა ნიშნით სამლოცველო იყო. მასზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ) რელიგიური რიტუალების დროს გამოიყენებოდა.

დედოფლის გორის სასახლეში ტახტის/სარეცლის ფეხები ადრეც აღმოჩენილა. 1985 წელს სასახლის N1 სათავსოს იატაკზე გაიწმინდა სარეცლის ოთხი ფეხის ფრაგმენტები. ყველა ძლიერაა კოროდირებული. ფეხებს ამაგრებდა რკინის მრგვალგანიკვეთიანი რკინის ღეროები. ღეროებზე მიმაგრებული უნდა ყოფილიყო ბრინჯაოს დეკორატიული ელემენტები, რაზეც მიუთითებს ერთერთ ღეროს ქვედა ნაწილში შემორჩენილი ფეხიანი თასის ფორმის დეტალი (სურ. 36.2). 3. ლორის აზრით სასახლის N1 ოთახში ნაპოვნი სარეცლის ფეხების სტრუქტურა მსგავსია რომაული პერიოდიდან შემონახულ ფეხის სტრუქტურებისა (Löhr, 2008, გვ. 157, 162).

ძალიან საინტერესოა დედოფლის გორის სასახლის N12 ოთახში აღმოჩენილი ბერძნულ-რომაული სარეცლის გვერდის მორთულობა - ფულკრუმი. აღსანიშნავია, რომ ეს ფულკრუმის აღმოჩენის პირველი და ჯერ-ჯერობით უკანასკნელი ფაქტია საქართველოს ტერიტორიაზე. ეს დეტალი დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ზემოთ განხილული სარეცლის დეტალებს არ ეკუთვნის, რადგამ სხვა ოთახშია ნაპოვნი (N12). დედოფლის გორის ბრინჯაოს ფულკრუმის ბოლოები ერთ შემთხვევაში ბოლოვდება ფაფრიანი ცხენის პროტომიანი გამოსახულებით მობრუნებულ მდგომარეობაში, მეორე შემთხვევაში კი მედალიონით, რომელზეც წარმოდგენილია სავარაუდოდ ფრთოსანი ეროსის ბიუსტი, რომლის კისერსაც ყელსაბამი ამკობს (Gagoshidze, 2001, გვ. 267). ეს ორი გამოსახულება ერთმანეთს პროფილირებული ჩარჩოთა უერთდება (ჩარჩოს შუა ნაწილი აკლია). დედოფლის გორის ფულკრუმი ყველა დეტალით ხვდება ს. ფაუსტის კლასიფიკაციის II ფორმაში. ფულკრუმი მთლიანადაა ჩამოსხმული, რაც დამახასიათებელია II ფორმის ადრეული ეგზემპლარებისთვის. ცხენის პროტომით დედოფლის გორის ცალი მსგავსებას იჩენს ლონდონში და ვენაში დაცულ ფულკრუმებთან, რომლებიც ქ.წ. II საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. დედოფლის გორის ფულკრუმის ადრეული პერიდოით დათარიღებას მხარს უჭერს აგრეთვე ფრთოსანი ბიჭის (ეროსის) გამოსახულება, რომლის ანალოგები ცნობილია პერუჯადადან და ციურიხიდან. ამ ყველაფრიდან გამომდინარე დედოფლის გორის ფულკრუმი შეიძლება დათარიღდეს ქ.წ. II საუკუნის პირველი ნახევრით, რაც ქ.წ. პირველი საუკუნის ბოლო მეოთხედში დანგრეული სასახლისთვის შეიძლება ცოტა უჩვეულო ჩანდეს, მაგრამ ფულკრუმის შემთხვევაში, რომელიც ფუფუნების საგანს წარმოადგენდა არც გასაკვირია და არც უჩვეულო (Löhr, 2008, გვ. 157-158, 162). დედოფლის გორის ფულკრუმის მსგავსი ფულკრუმები აღმოჩენილია, ასევე, უკვე არაერთხელ ნახსენებ ტუნისის ქალაქ მაჰდიამში ჩაძირული გემში (Faust, 1994, გვ. 573-606; Fuchs, 1963, გვ. 31-32), ისტორიული მაკედონიის ქალაქ პელაში (ქ.წ. II საუკუნე). დედოფლის გორის ცალს ფორმით ძალიან გავს მრენში (თანამედროვე თურქეთი) აღმოჩენილი ფულკრუმი, რომელიც დედოფლის გორის ცალისგან განსხვავებით ძალისა და ფრთოსანი ქალის გამოსახულებებითაა შემკული (Gagoshidze, 2001, გვ. 278).

რომაულ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო სარეცლები (კლინე), რაზეც მეტყველებს რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი მისი ერთ-ერთი დეტალი - ფულკრუმი. ზოგადად ფულკრუმებს ბრინჯაოსგან ამზადებდნენ, მაგრამ ასევე გვხვდება ვერცხლის, ძვლის და სპილოს ძვლის ფულკრუმებიც. ფულკრუმების ერთი ბოლო ძირითადად შემკობილი იყო ჯორების, ვირების, ცხენების გამოსახულებით, მეორე ბოლო კი - მენადების და სატირების ბიუსტებით. გვხვდება აგრეთვე, გედების, იხვების, ბატების, ლომების, სპილოების და ძაღლების გამოსახულებები და ეროსის, დონისეს და აფროდიტეს ბიუსტები. ეს მოტივები გვხვდება ელინისტურ ხანაშიც, ამიტომაც ბერძნული და რომაული პერიოდის ნახელავი ხშირად ძნელი გასარჩევია ერთმანეთისგან. მაგრამ არის რაღაც მცირე დეტალები, რომელიც ამ ორი პერიოდის ფულკრუმებს განარჩევს ერთმანეთისგან. მაგალითად, მიღებულია ასეთი თეორია, რომ რომაული ფულკრუმები უფრო მაღალია და სწორი ვიდრე ბერძნული (Richter, 1966, გვ. 107).

დედოფლის გორის ფულკრუმი ორად იყო გატეხილი - ცხენის პროტომა ოთახის შემავსებელ ნანგრევში აღმოჩნდა მედალიონი კი ოთახის იატაკზე (სურ. 36.3) (Löhr, 2008, გვ. 162). სავარაუდოდ სარეცელი სასახლის N12 ოთახის მეორე სართულზე უნდა მდგარიყო. ნგრევისა და ხანძრის შედეგად კი მხოლოდ ფულკრუმის დეტალები შემორჩა.

სხვადასხვა დეტალებით შემკული სარეცლები რომაულ კერძო სახლებში ყველაზე ძვირადღირებული ნივთები იყო. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ისინი ემსახურებოდნენ როგორც ოჯახის სიამოვნებას - ისე ვიზიტორების. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წერილობით წყაროებში შემონახულია რომაული პერიოდის სარეცლის ხელოსანის რამოდენიმე სახელი, მაგალითად არქიასი, სოტერიქტუსი და ბეიტემუსი (Richter, 1966, გვ. 108-109).

დედოფლის გორის სასახლის N1 და N12 ოთახში აღმოჩენილი ბერძნულ-რომაული სარეცლის დეტალები, რომლებიც ყოველდღიურ ყოფაში გამოიყენებოდა, კიდევ ერთი აშკარა დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ რომის გავლენის სფეროში მცხოვრები ქართლის სამეფოს არისტოკრატის წარმომადგენლები ცდილობდნენ

მიჰყოლოდნენ მოდას, რომელიც იმ დროს იყო გავრცელებული რომის მეტროპოლიაში (Löhr, 2008, გვ. 155; Gagoshidze, 2008d, გვ. 148).

რამდენიმე ოთახში მდგარა ხის სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ყუთები, რომელთაგანაც, ნახშირის გარდა, გადარჩა რკინის ანჯამები და საკეტები, ასევე, ძვლის სხვადასხვა ფორმის ორნამენტირებული ფირფიტები, რომლითაც ინკრუსტირებული იყო ხის ყუთების (და ავეჯის) ზედაპირი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ N1 ოთახში კარადაც მდგარა, რომლისაგანაც მხოლოდ ძვლის ანჯამები (შარნირები) შემორჩა. **ლამპრები.** ოთახების გასანათებელი ხელსაწყოები ორგვარი იყო - თხევადი საწვავისთვის (ზეთისთვის) განკუთვნილი და სასანთლები. იხმარებოდა როგორც მარტივი, ტუჩიანი ლამბაქის ფორმის თიხის და რკინის ჭრაქები, ასევე, ჯაჭვებით ჭერზე ჩამოსაკიდებელი და მაღალი სამფეხა კანდელაბრები, რამდენიმე საზეთე ჯამით. უპირატესად, რკინისაგან დამზადებული სასანთლებიც სხვადასხვა ტიპისაა, ზოგი მათგანი მდიდრულად არის შემკული ბრინჯაოს ფიგურული გარსაკრავებითა და ძვლის დახარატებული ელემენტებით (Gagoshidze, 2001, გვ. kh267).

დედოფლის გორის სასახლეში 5 კანდელაბრია აღმოჩენილი (ერთი ცალი მხოლოდ სადგარის ფრაგმენტით არის წარმოდგენილი).

სასახლის N1 ოთახის შესასვლელთან ახლოს იატაკზე დადასტურდა ძლიერ კოროზირებული სამფეხა რკინის კანდელაბრის ფრაგმენტები. კანდელაბრის მრგვალგანიკვეთიანი სადა ღერო სადგარისკენ ოდნავ ფართოვდება და ეყრდნობა ლენტისებურ მარყუჟიან სამფეხას. კანდელაბრის ჯამი დაკარგულია (სურ. 37.1).

N11 ოთახის შემავსებელ ნანგრევში ორი რკინის კანდელაბრი აღმოჩნდა. ერთი - ლენტისებურ მარყუჟიან სამფეხაზე დაყრდნობილი გრებილი ღეროსა და მასზე დამაგრებული დისკოსებური ჯამისაგან შედგება, მეორე - სადა სამფეხასგან, ღეროსა და ჯამისაგან (სურ. 37.2) (ჩარკვიანი, 2014, გვ. 10; Lohr, 2008, გვ. 159, 163-163).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 2018 წელს N26 ოთახში აღმოჩენილი ორი კანდელაბრი (ერთის მხოლოდ სადგარის ფრაგმენტია შემორჩენილი) რომლებიც ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ოთახის შიდა სივრცის გაწმენდის დროს, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ალიზის ხელსაფქავიანი პოდიუმის უკან გამოჩნდა in situ მდგარი რკინის მასიური კანდელაბრი (სურ. 38.1)(გაგოშიძე,

2019, გვ. 186-189). კანდელაბრის ღეროს დაახლოებით შუა ნაწილში ჩაღუნულია ისე, რომ ღეროს ბოლოში მირჩილული დისკოსებური თევზი უშუალოდ ოთახის კუთხეზეა მიდებული. როგორც ჩანს სასახლეში მომხდარი მიწისძვრისგან გამოწვეული ხანძრის და ნგრევის შედეგად ხელსაფქვაკვიანი პოდიუმის უკან მდგარ კანდელაბრს (რაც მძიმე საგანი მოხვდა გვერდიდან და გადაღუნა) ალიზის აგური ან მეორე სართულის იატაკის კონსტრუქციის ფრაგმენტი მოხვდა. კანდელაბრი მთლიანადაა გადარჩენილი, მაგრამ ხანძრის შედეგად ძლიერაა დაზიანებული და ყველა დეტალის დაფიქსირება რთულდება. კანდელაბრი შედგება თევზის, კანელურებიანი ღეროსაგან (?) და სამფეხა სადგარისაგან. კანდელაბრის სიგრძე - 150-170-180 სმ, სადგრის სიგანე - 50 სმ. ღეროს თავში მირჩილულია დისკოსებური თევზი (თევზის დიამეტრი - 20 სმ). ღეროსა და თევზს შორის, მირჩილვის ადგილას შემსხვილება შეინიშნება, მაგრამ ნივთის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია რამის გარჩევა. ღერო მრგვალგანიკვეთიანია და სავარაუდოდ კანელურებით უნდა იყოს შემკული. ღერო სადგრისკენ ფართოვდება და უერთდება სადგარს. ღეროსა და სადგარის შეერთების ადგილასაც შეუძლებელია დეტალების გარკვევა. სადგარი სამი ბრტყელგანიკვეთიანი ღეროსაგან შედგება, შუა ნაწილში მარყუჟს კრავს და გადადის ოვალურგანიკვეთიან მუხლში, რომელიც ბოლოვდება სავარაუდოდ ჩლიქით (ეს ადგილიც ცეცხლისგან საკმაოდ დაზიანებულია).

N26 ოთახშივე ზემოთ განხილულ კანდელაბრთან ახლოს მოლესილ იატაკზე იდო კანდელაბრის სადგრის ერთი ფეხი, რომელიც ბოლოვდება ცხოველის ჩლიქით (სურ. 38.2). სადგრის ფეხიც ძლიერ დაზიანებულია ცეცხლის მიერ და დანარჩენი ნაწილები, როგორც ჩანს მთლიანად განადგურებულია ან აზელილია ბრინჯაოს დამდნარ მასასთან რომელიც იქვე ახლოს აღმოჩნდა.

სანათები საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებია, რომლებიც გამოიყენებოდა საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი (ტაძარი, აბანო, თეატრი, აკლდამა და ა.შ.) დანიშნულების ნაგებობების გასანათებლად. რელიგიური რიტუალებისა და დღესასწაულების დროს განსაკუთრებული განათება იყო საჭირო. ხშირია სანათების მიცვალებულისათვის სამარხში ჩატანების ფაქტი, საიქიოს გზის განათების მიზნით, რაც დაკავშირებულია იმდროინდელ რელიგიურ რწმენა-

წარმოდგენებთან და დასაკრძალავ რიტუალში გამოყენებასთან. არ არის გამორიცხული, სანათთა სიმრავლე საცხოვრებელ ნაგებობებში, მიუთითებდეს მოსახლეობაში მწიგნობრობის დონის ამაღლებაზე. გარკვეული პერიოდიდან სანათები მხატვრულ-ესთეტიკურ მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ ფუნქციასაც იძენენ (ჩარკვიანი, 2014, გვ. 5).

საქართველოში სულ აღმოჩენილია 11 სამფეხა კანდელაბრი, რომელთაგან რამოდენიმე მხოლოდ ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. აღმოჩენილი კანდელაბრებიდან ორი (წინწყაროს მდიდრული სამარხიდან და ტახტიძირის N8 სამარხიდან) განეკუთვნება ქ.წ. IV-III საუკუნეებს, დანარჩენი 9 ცალი კი ჯდება ქ.წ. I - ქ.შ. II საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში. თორმეტი კანდელაბრიდან ექვსი ნამოსახლარზეა აღმოჩენილი, ოთხი მდიდრულ სამარხებში, ხოლო ორი განძის შემოადგენლობის ნაწილია.

წინწყაროს მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს კანდელაბრის ქვედა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის კარგად გამონაკვეთულ, მუხლში მოხრილ რადიალურად გაშლილ სამ ფეხს. ფეხების შეერთების ადგილას შექმნილია ნაპირდაკბილული დისკო, რომლიდანაც, როგორ ჩანს, აღმართული იყო რკინის ღერო. ბ. კუფტინი დაწვრილებით მიმოიხილავს წინწყაროს კანდელაბრის ურარტულ და ეტრუსკულ ანალოგებს და მიიჩნევს, რომ ის ადგილობრივი ნაწარმია (დავლიანიძე, 1976, გვ. 130-131; Куфтин 1941, გვ. 38). წინწყაროს მდიდრული სამარხი ქ.წ. IV საუკუნითაა დათარიღებული (დავლიანიძე, 1976, გვ. 145).

ტახტიძირის N8 სამარხის სარკოფაგში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ლამპარი-კანდელაბრი. ეს არის რკინის ფრიალო თეფში, რომელიც რკინისავე სამფეხა სადგარს ეყრდნობა. ტახტიძირის კანდელაბრი როგორც ქრონოლოგიურად, ისე ფორმით გნაკუთრებით ახლოა წინწყაროს კანდელაბრთან. ავტორის აზრით ტახტიძირის კანდელაბრი, წინწყაროს კანდელაბრის მსგავსად, ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს (გაგოშიძე ი., 2020, გვ. 34-35). ტახტიძირის N8 მდიდრული სამარხი ქ.წ. IV საუკუნის ბოლო და III საუკუნის დასაწყისით თარიღდება (გაგოშიძე ი., 2020, გვ. 102).

2007 წელს ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეებთან დამცავი კედლის ნაშთების ქვეშ მიაკვლია კლდოვან დედაქანში სახელდახელოდ ამოჭრილი ორმო, რომელშიც ჩაფლული იყო რკინისა და ბრწყინვალე ნივთებისგან შემდგარი განძი. რკინისნივთებისგან გამოსარჩევია ორი კანდელაბრი. პირველი უფრო მაღალი (172 სმ) შედგება თეფშის, კანელურებიანი ღეროსა და სამფეხა სადგარისგან. ღერო მრგვალგანივკვეთიანია და კანელურებითაა შემკული. ღერო სადგარს უერთდება რთული ელემენტით - ორი ლილვაკითა და კვადრატული, გვერდებშიქნეკილი ფირფიტით. ფირფიტა სამფეხაზე დევს. სამფეხა კი შედგება სამი ბრტყელგანივკვეთიანი ღეროსგან, შუა ნაწილში წრეს კრავს და გადადის ოვალურგანივკვეთიან მუხლში, რომელიც ორკაპა ჩლიქით ბოლოვდება. მეორე კანდელაბრიც (150 სმ) შედგება თეფშის, ღეროსა და სამფეხა სადგარისგან. თეფში დაბალია, ოდნავ დახრილი კალთებით, გარედან დაღარულია, კიდე ჰორიზონტალურად აქვს გადაშლილი. ღერო მრგვალგანივკვეთიანია, შემკულია მძივებითა და დისკოებით. ღერო სადგარს რთული ელემენტით - ორი ლილვაკითა და კვადრატული, გვერდებშიქნეკილი ფირფიტით უერთდება. ფირფიტა სამფეხაზე დევს. სამფეხა კი შედგება სამი ბრტყელგანივკვეთიანი ღეროსგან, რომლებიც დაღარულზედაპირიანია, შუა ნაწილში წრეს კრავს და გადადის ოვალურგანივკვეთიან მუხლში, რომელიც ცხენის ფლოქვით ბოლოვდება. განძი უნდა ჩაეფლათ ქ.წ. I საუკუნის შუა ხანებში ქალაქის ნაგრევის შემდეგ (ახვლედიანი, 2008, გვ. 129; ახვლედიანი, 2022, გვ. 12-14). დედოფლის გორის სასახლის N26 ოთახში ალიზის პოდიუმის უკან აღმოჩენილი კანდელაბრი მსგავსებას იჩენს ვანში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში შემავალ ორი კანდელაბრიდან უფრო მაღალთან. ვანის ცალს სადგარის ფეხებს ისეთივე მარყუჟები აქვს, როგორც დედოფლის გორის ცალს. ასევე ორივე კანდელაბრის თეფში ერთნაირია, ღერო კი დაღარული. სამწუხაროდ, დედოფლის გორის კანდელაბრის ღეროს თეფშთან და სადგართან გადაბმის ადგილებში შეუძლებელია დეტალების დაფიქსირება, რომელიც კარგად ჩანს ვანის კანდელაბრზე. ვანის განძში კანდელაბრებთან ერთად აღმოჩნდა სხვა ნივთებიც, რომლებიც წარმოადგენს ელინისტურ-რომაული სამყაროს შესანიშნავ ნიმუშებს. მათი უმრავლესობა პარალელებს პოულობს ისეთ ცნობილ ნივთებთან როგორცაა მაგალითად მაკდიაში ჩაძირულ გემზე აღმოჩენილი ნივთები.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მაკდიაში აღმოჩენილი ნივთები დედოსის ცნობილ სახელოსნოებში უნდა ყოფილიყო დამზადებული. შესაძლოა დედოფლის გორის მთლიანად შემორჩენილი კანდელაბრი (და შესაბამისად ვანის ცალებიც) დედოსის სახელოსნოებშია დამზადებული. ვანისა და მაკდიის ნივთები ქ.წ. I საუკუნითაა დათარიღებული და დედოფლის გორის ცალის ამ პერიოდით დათარიღებასაც არაფერი უშლის ხელს.

ცხოველის ჩლიქით (ფლოქვით) დაბოლოებული კანდელბარები მრავლადაა აღმოჩენილი ანტიკურ სამყაროში. ქ.წ. VI-V საუკუნეებით თარიღდება ნაქალაქარ კურიონში (კვიპროსი) N83 სამარხში აღმოჩენილი ცხენის ფლოქვით დაბოლოებული ბრინჯაოს კანდელაბრის სადგარი. მეტროპოლიტენის მუზეუმის პირველი დირექტორის ლუიჯი ჩესნოლას მიერაა კვიპროსში შექმნილი ამჟამად ბრიტანულ მუზეუმში დაცული ერთი ბრინჯაოს კანდელაბრის სამფეხა სადგარი, რომლის ბოლოებიც ასევე ცხენის ფლოქვებით ბოლოვდება (ქ.წ. VI-V) (Bailey, 1996, გვ. 89-90). მაკდიასთან (ტუნისი) ჩაძირულ გემზე აღმოჩენილ მრავალ ნივთს შორის იყო რამოდენიმე კანდელაბრი, რომელთა სადგრის ბოლოებს ცხოველის ჩლიქები წარმოადგენს (Baratte, 1994, გვ. 607-628). ბერძნული ხელოვნების ნიმუშებით დატვირთული გემი მეცნიერების აზრით მოცურავდა პირეოსიდან იტალიაში და ქარიშხლის გამო ჩრდილო აფრიკის სანაპიროზე, ტუნისის საპორტო ქალაქ მაკდიასთან ჩაიძირა. გემი ჩაძირვის თარიღად ქ.წ. პირველი საუკუნეა მიჩნეული (კვირკველია, 2022, გვ. 76-77).

ბრიტანეთის მუზეუმში ინახება რომის ადრე იმპერიული ხანის (ქ.შ. I საუკუნე) რამოდენიმე კანდელაბრი ასევე ცხოველის ჩლიქით დაბოლოებული სადგარებით. მათი უმრავლესობა სავარაუდოდ კამპანიის ქალაქებიდანაა, რომელებიც ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად განადგურდა 79 წელს (Bailey, 1996, გვ. 91-101).

დედოფლის გორის ჩლიქით დაბოლოებული სადგრის მსგავსი სადგრები აქვს სარდინიაში (სპარჯი) და ტოსკანის ნაპირებთან (პორტო ეკოლო) ჩაძირულ გემებში აღმოჩენილ კანდელაბრებს (Rossi, 2002, გვ. 173-189). ანალოგიების მიხედვით, დედოფლის გორის სასახლის N26 ოთახში აღმოჩენილი კანდელაბრის ფეხის სადგარი ქ.შ. პირველი საუკუნის მეორე ნახევრით უნდა თარიღდება.

როგორც უკვე აღინიშნა N26 ოთახი ყველა ნიშნით სამლოცველო უნდა ყოფილიყო, რიტუალის ჩატარებისას კი ხსენებულ ოთახს როგორც ჩანს აქ არქეოლოგიური გათრებით მოპოვებული ორი კანდელაბრი ანათებდა.

როგორც ზემოთ დავინახეთ კანდელაბრები აღმოჩენილია წარჩინებულების სამარხებში და ნამოსახლარებზე, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ კანდელაბრები ფუფუნების საგანებს წარმოადგენდა.

დედოფლის გორის სასახლის N26 ოთახში აღმოჩენილი მთლიანად შემორჩენილი კანდელაბრი და სადგრის ფრაგმენტი ახლო მსგავსებას იჩენს ბერძნულ-რომაული სამყაროში აღმოჩენილ კანდელაბრებთან და ვფიქრობ ისინი იმპორტირებული უნდა იყოს ქართლის სამეფოში. რაც შეეხება დედოფლის გორის სასახლის N1 და N11 ოთახებში აღმოჩენილ შედარებით უბრალო კანდელაბრებს, ისინი დიდი ალბათობით ადგილობრივად უნდა იყოს დამზადებული უცხოური კანდელაბრების გავლენით.

**კერამიკა.** როგორც სამეურნეო, ისე სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი ძირითად შემთხვევაში კერამიკული ნაწარმისა იყო, რაზეც მეტყველებს მათი აღმოჩენა თითქმის ყველა სათავსოში.

კერამიკული ნაწარმის ხვედრითი წილი დედოფლის გორის ციხე-დარბაზის არქეოლოგიურ მონაპოვარში საკმაოდ დიდია, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე არქეოლოგიურ ძეგლებზე [დედოფლის გორის სასახლის გათხრებით, 1993 წლამდე მოპოვებული თიხის ჭურჭელი საგანგებოდ შეისწავლა თ.ჭანიშვილმა. იხილე (Chanishvili, 2008, გვ. 63-85)]. ძნელია, დავასახელოთ თიხის ისეთი ნაწარმი, რომელიც არ იყოს აღმოჩენილი დედოფლის გორაზე, თუ კი იგი მზადდებოდა წელთაღრიცხვათა მიჯნის იბერიაში.

როგორც უკვე ზემოთ ითქვა დედოფლის გორის კრამიტი ე.წ. ბაგინეთური ტიპისაა, რომელსაც შუალედური მდგომარეობა უკავია შიდა ქართლში უძველეს, ქ.წ. IV-II საუკუნეების ე.წ. სამადლოურ კრამიტსა და ქ.შ. I-III საუკუნეების მცხეთურ კრამიტს შორის. ტიპოლოგიურად ეს კრამიტი დედოფლის მინდვრის ტაძრების გადახურვაში ნახმარ კრამიტზე ოდნავ გვიანდელია და თუ ეს უკანასკნელი ქ.წ. II საუკუნის დასასრულით თარიღდება, დედოფლის გორის კრამიტი ქ.წ. I საუკუნისა

მინც უნდა იყოს, რაც კარგად ესადაგება ციხე-დარბაზის აგების სავარაუდო თარიღს: ციხე-დარბაზი, სავარაუდოდ დედოფლის მინდვრის ტაძრების უმცროსი თანამედროვეა.

ციხე-დარბაზის ოთახებში მოპოვებული თიხის ჭურჭლის ქრონოლოგიური დიაპაზონიც 100-150 წელია. ციხე-დარბაზის უძველეს კერამიკულ ჭურჭელს მიეკუთვნება, პირველ ყოვლისა, საღვინე ქვევრები, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, ციხე-დარბაზის მშენებლობის დამთავრებისთანავე ჩაფლეს მიწაში. მართლაც, უფლისციხეში ნაპოვნ ამავე ტიპის დაბალყელიან ქვევრზე ამოკვეთილ არამეულ წარწერას სემიტოლოგი პროფ. კ. წერეთელი ათარიღებს ქ.წ. III-II საუკუნეებით (Церетели, 1988, გვ. 137-138). ქ.წ. III საუკუნე, უთუოდ უნდა გამოირიცხოს, რადგან იმ დროის იბერიაში სხვა ტიპის ქვევრები იყო გავრცელებული, თუმცა, დედოფლის გორის ქვევრებზე ამოკვეთილი წარწერებიც (მათ შესახებ უფრო დაწვრილებით ქვევით ვისაუბრებთ) არქაულ ნიშნებს ატარებს და ამდენად, ეს ქვევრებიც, სრულიად დასაშვებია, რომ ქ.წ. II – I საუკუნეებისა იყოს (Gagoshidze, 2001, გვ. 268; გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 47-78).

იმავე ხანისა უნდა იყოს დედოფლის გორის შავპრიალა ჯამები, პროფილირებული პირებით, [(Нариманишвили, 1991, გვ. 41,45, 100, ტიპი XI-1-2-3 (IV ქრონოლოგიური ჯგუფი) (Гагоშიძე, 1975, გვ. 100-102)], რომლებიც, ხშირად, ნაპრიალები ორნამენტითაა შემკული (ხანძრის გამო, ამ ჭურჭელს დაკარგული აქვს შავი ფერი) . კერამიკული ჭურჭლის ძირითადი მასა კი კარგად თარიღდება ქ.შ. I საუკუნით. ესაა წითლად გამომწვარი პირმოყრილი ქუსლიანი და უქუსლო ჯამები, ოინოხოები, ადრეული ტიპის ყელწიბოიანი დოქები, სხვადასხვა ზომის ყურიანი და უყურო დერგები და ა.შ. მათ უმეტესობას ზუსტი ანალოგები ეძებნება მცხეთის ქვევრსამარხებსა და ადრეული კრამიტყუთების ინვენტარში, აგრეთვე ურბნისის სამაროვნის I საუკუნის მასალაში; დედოფლის გორაზე ბევრია წითლად მოხატული ჭურჭელიც და ეს შედარებით მარტივი მოხატულობაც (ზოლები, ტალღური ხაზები, წერტილები და ა.შ.) სავსებით იდენტურია ურბნისის, რიყიანების ველის და სხვ. სამაროვნების ჭურჭლის მოხატულობისა (თოლორდავა, 1963, 137-167; მირიანაშვილი, 1983, გვ. 18-58).

დედოფლის გორაზე აღმოჩნდა I საუკუნის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფორმა, რომელიც აქამდე არ იყო ცნობილი ამ ხანის ძეგლებიდან, ალბათ, იმიტომ, რომ საქართველოში აქამდე ამ პერიოდის მხოლოდ სამაროვნებია შესწავლილი. ასეთია, მაგალითად, წაკვეთილი კონუსის ფორმის ტოლჩა, დაბლა, დავიწროებულ, ძირთან ახლოს მიმაგრებული ყურით, კეცისებურსარქვლიანი ოთხყურა დერგი, რომელსაც წინამორბედები აქვე, ელინისტურ ხანაში ეძებნება (Нариманишвили, 1991, тип. II-2-3, გვ. 17,89,201), ძაბრისებრ გაფართოებულპირიანი დოქი, დიდი ზომის ვოწროყელიანი ორყურა დერგი, კალათისყურიანი მოხატული ქოთანა, სფერულმუცლიანი მათარა და სხვა.

ასეულობით თიხის ჭურჭელში, რომლებიც დედოფლის გორის ციხედარბაზის ნანგრევებში აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია იმპორტირებული, დანარჩენი აქვე, დედოფლის მინდვრის სახელოსნოებშია, დამზადებული. ეს არც არის გასაკვირველი, რადგან კერამიკის მასობრივი ექსპორტ-იმპორტი ძველად შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც საზღვაო გზებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ხოლო საკუთრივ ქართლში ანტიკური ხანის კერამიკული მასალის პეტროგრაფიული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქვეყნის თითოეული, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცენტრი, საკუთარ და შემოგარენის მოსახლეობის მოთხოვნილებას კერამიკულ ნაწარმზე ადგილობრივი წარმოებით აკმაყოფილებდა. ქვეყნის შიგნითაც კი, ცალკეული გამონაკლისების გარდა, კერამიკული ნაწარმის გაცვლა-გამოცვლა არ ხორციელდებოდა (მორჩაძე, 1979, გვ. 82). ასეთივე მდგომარეობა დადასტურდა დედოფლის გორის შემთხვევაშიც. აქაც სულ ორიოდ თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა შემოტანილი დასავლეთ საქართველოდან, ზემო იმერეთიდან, სადაც დღემდე შემორჩენილ ტრადიციულ მეთუნეობას თითქმის ხუთიათასწლიანი უწყვეტი ისტორია აქვს (სურ. 39, 40) (Gagoshidze, 2001, გვ. 268-270; Chanishvili, 2008, გვ. 63-86).

დედოფლის გორის სასახლეში კერამიკული ნაწარმიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამფორა (სურ. 40.1), რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სულ რამოდენიმე ცალია ცნობილი და მთლიანად შემორჩენილი ამფორის აღმოჩენის პირველი ფაქტია (თუ არ ჩავთვლით თბილისში აღმოჩენილ ადრეული შუასაუკუნეების ამფორას).

სასახლის N26 ოთახის იატაკზე აღმოჩნდა ცეცხლისგან საკმაოდ დაზიანებული დიდი ზომის ყავისფერთიხიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ლაბორატორიული დამუშავების შედეგად მოპოვებული ნატეხებისგან აიწყო მთლიანი ამფორა. ამფორას გადაშლილი პირი აქვს, ყელი დაბალი. ოვალურკანივკვეთიანი ყურები თანაბრად მორკალულია, მიმაგრებულია ყელის ზედა ნაწილსა და მხრებზე. ამფორა მხრებიდან ფართოვდება და მალევე ქმნის მუცელს. მუცლის ქვემოთ, დაახლოებით ტანის შუა ნაწილში ოდნავ შეზნექილია, მერე კი ძირისკენ თანაბრად ვიწროვდება. ამფორის სიმაღლეა - 68 სმ., მაქს. სიგანე - 27,5 სმ, პირის დიამეტრი - 8 სმ (გაგომიძე, 2019, გვ. 188).

დედოფლის გორის სასახლეში ეს ამფორის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოში სულ რამოდენიმე ამფორაა მიკვლეული.

დედოფლის გორის ამფორა ყველა ნიშნით მიეკუთვნება კოლხურ (ე.წ. ყავისფერთიხიანი) ამფორათა ჯგუფს.

დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპორტული ამფორები სავაჭრო ტარად ქ.წ. მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება. აქ დადასტურებულია შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებში დამზადებული ამფორები (ფირცხალავა და გამყრელიძე, 2021, გვ. 294). მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ქართველი და რუსი მეცნიერების მიერ ყავისფერ-კეციანი ამფორები პირველად იქნა გამოყოფილი როგორც დამოუკიდებელი კერამიკული ჯგუფი. მათ საწარმოო არეალად თავდაპირველად სამხრეთ პონტოს რეგიონს მიიჩნევდნენ. თუმცა, ამავდროულად არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ამფორები კოლხეთის ელინისტური პერიოდის ნასახლარებზე ფართოდ ვრცელდებოდნენ და მათი კეცი მსგავსი იყო კოლხეთის ზოგიერთ თანადროულ ძეგლზე აღმოჩენილი ადგილობრივი ჭურჭლების კეცისა (მაგ.. ქვევრები). შესაბამისად გაჩნდა მყარი არგუმენტი იმისათვის რომ ისინი (ან მათი ნაწილი მაინც) ადგილობრივ ნაწარმად მიეჩნიათ. დღეს არსებული მასალების მიხედვით უკვე მკაფიოდ ჩანს რომ, კოლხური ამფორების წარმოება ქ.წ. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრიდან, სინოპური ამფორების გავლენით, დაიწყო და მათი დამზადება და ქ.შ. მეშვიდე

საუკუნის ჩათვლით მიმდინარეობდა. ამ ვრცელი პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა თავდაპირველი ფორმის განვითარებას და გარდაქმნას (ლორთქიფანიძე, 1966, გვ. 137-140; როგავა, 2023, გვ. 155-156). ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მრავალრიცხოვანი მონაპოვრების ანალიზის შედეგად მეცნიერებმა გ. ცეცხლაძემ და ს. ვნუკოვმა კოლხური ამფორების არსებობის პერიოდში გამოყვეს 4 ჯგუფი / ფორმა, A, B, C და D (Tsetskhladze and Vnukov, 1992, გვ. 361-372; Vnukov, 2010, გვ. 29-35), რომლებიც ერთმანეთს ქრონოლოგიური პრინციპით მისდევენ. მათგან ყველაზე ადრეულია A ჯგუფის ამფორები (ქ.წ. IV ს. შუა ხანები – ქ.წ. III ს. ბოლო – II ს. დასაწყისი). A ჯგუფის ამფორას აქვს კონუსური ძირი, რომელიც პროფილირებული, მასიური და ქვემოთკენ გაფართოებული და ხშირად მომრგვალებულძირიანი ქუსლით ბოლოვდება. ძირების შიდა ზედაპირზე ხშირად გვხვდება სპირალური ხვია (ვარდული). ქ.წ. III საუკუნის ბოლოსკენ ყალიბდება, და ქ.წ. II საუკუნეში უკვე დამახასიათებელ ტიპად გვევლინება, ახალი, განსხვავებული ფორმა B, რომელიც სინოპურ ამფორებთან მსგავსებას კარგავს და A ჯგუფთან შედარებით შემცირებული ზომებით და წაგრძელებული ფორმებით ხასიათდება. სწორედ ამ პერიოდში უჩნდებათ კოლხურ ამფორებს წელშეზნექილობა. B ჯგუფი თავისთავად ორ ქრონოლოგიურ ქვე-ჯგუფად იყოფა: B1 (ქ.წ. III ს. ბოლო / II ს. დასაწყისი – I ს. შუა ხანები) და B2 (ქ.წ. I ს. შუა ხანები – ქ.შ. I ს. ბოლო). პირველ ქვე-ჯგუფში იცვლება ყელის ფორმა: ის პირისაკენ შევიწროებული ხდება, ხოლო თვითონ პირი ძირითადად ისევ ლილვისებურია, იშვიათად კუთხოვანი. მოგვიანებით, B2 ქვე-ჯგუფში ამფორის ზომები კვლავ მცირდება. ყურების ფორმა მარყუჟისებური ხდება, პირი შედარებით უფრო გადაშლილი, ხოლო ყელი მეტად გამოყვანილი. ამფორის ტანის ქვედა არეში წელშეზნექილობაც თითქოს უფრო მეტად იკვეთება. B2 ქვეჯგუფი ქ.შ. I ს. ბოლომდე არსებობს, თუმცა მსგავსი ფორმის ტარა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქ.შ. III საუკუნეშიც გვხვდება. შესაბამისად ვნუკოვის აზრით B2 ქვეჯგუფის მსგავსი ამფორების (B2 ან მსგავსი B3 ქვე-ჯგუფის ფორმით) დამზადებას გვიან ქ.შ. III საუკუნემდე უნდა ჰქონოდა ადგილი კოლხეთის ზოგიერთ ადგილას მაინც. B ჯგუფთან ერთად, კოლხური ამფორების

რეპერტუარში ქ.შ. I საუკუნის ბოლოდან ჩნდება ყელწიბოიანი ფორმაც (ფორმა C). ამ შემთხვევაში სახეზეა ზომების ოდნავი მატება. B ჯგუფის მსგავსად, ვნუკოვი ამ შემთხვევაშიც ორ ქვე-ჯგუფს გამოყოფს: პირველი (C1), შედარებით მცირე ზომის ვარიანტი, რომელიც პირველადი ანალიზის მიხედვით ქ.შ. I -დან II ს. ბოლოთი უნდა თარიღდებოდეს და მეორე (C2) შედარებით მოზრდილი, გვიანდელი ვარიანტი, რომელიც ქ.შ. II საუკუნის ბოლოდან ჩნდება და ქ.შ. III საუკუნის შუა ხანების ჩათვლით, ან შესაძლოა ამავე საუკუნის ბოლომდე არსებობს (Tsetskhladze and Vnukov, 1992, გვ. 357-386; Vnukov, 2010, გვ. 29-35; როგავა, 2023, გვ. 155-159).

დედოფლის გორის ამფორა ჯდება გ. ცეცხლადისა და ს. ვნუკოვის B ტიპის მეორე ვარიანტში, რომლის თარიღიცაა ქ.წ. პირველი - ქ.შ. პირველი საუკუნე, რაც ზუსტად ემთხვევა სასახლის არსებობის პერიოდს.

ქ.წ. I საუკუნის II ნახევრის B ვარიანტის ამფორების შესწავლას ართულებს არქეოლოგიური ვაკუუმი კოლხეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ძველი ავტორებისგან ვიცით, რომ რეგიონში ცხოვრება გაგრძელდა. ამ ვარიანტის ფორმების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კარგად დათარიღებული აღმოჩენებით. პირველ რიგში გასახსენებელია ახ. წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული მთლიანად შემონახული ამფორები კარა-ტობე და ბელიაუსის ნამოსახლარებიდან, რომლებიც მდებარეობენ ჩრდილო-დასავლეთი ყირიმში (უკრაინა). დედოფლის გორის ამფორა ანალოგიურია ზემოთმოყვანილ ცალეებისა. ყირიმშივეა მიკვლეული ასეთი ტიპის ამფორების ფრაგმენტები (Tsetskhladze and Vnukov, 1992, გვ. 369-370; Внукoв, 2016, გვ. 90-121). საქართველოში B ტიპის მეორე ვარიანტის მთლიანად შემონახული ამფორა ჯერ-ჯერობით მხოლოდ დედოფლის გორაზეა აღმოჩენილი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სულ რამოდენიმე პუნქტშია ამფორა მიკვლეული. აქედან რამოდენიმე კოლხურია, დანარჩენები კი იმპორტირებულია შავიზღვისპირეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდან. რადგან ის ძალიან იშვიათია აღმოსავლეთ საქართველოსთვის და არასდროსაა ერთად თავმოყრილი, მათ განვიხილავ სათითაოდ.

პირველ რიგში უნდა მოვიტანოთ ამფორის ფრაგმენტი დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსიდან, რომელიც არ არის გამოქვეყნებული. ამფორის ფრაგმენტი ყავისფერკეციანია და სავარაუდოდ კოლხური უნდა იყოს. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში.

ქ.წ. მეორე-პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება აგრეთვე უფლისციხის შიდა ქალაქის მეორე უბანზე მიკვლეული ამფორის ნატეხები (2 ცალი). ამფორის ზედაპირი დაფარული ყოფილა მოთეთრო ანგობით. კეცი - მოვარდისფრო. თიხა - კარგად გარჩეული, მკვრივი, შეიცავს ქარსის წვრილ მინარევებს. იმეორებს აქვე აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკის მცირეაზიური მინაბადის თიხას. ყური - მასიურია, დახვეწილი ფორმის, ოვალურგანიკვეთიანი.

ელინისტური ხანის კოლხურ იმპორტზე პირველი მონაცემი უფლისციხეში, ბამბების ნამოსახლარის I თხრილში იქნა მოპოვებული, როცა იქ კოლხური ყავისფერკეციანი ამფორის ქვედა ნახევარი აღმოჩნდა (მუცლის დიამეტრია 33 სმ.). მსგავსივე, ყავისფერკეციანი კოლხური ამფორის ძირგვერდის ნატეხი 1964 წელს შიდა ქალაქის II უბანზეც დადასტურდა. ამფორები დ. ხახუტაიშვილს ქ.წ. III-II. მაშასადამე, ქ.წ. III-II საუკუნეებში კოლხეთიდან იბერიის ქალაქებში ხვდებოდა ისეთი სატრანზიტო თიხის ჭურჭელიც, როგორც იყო ამფორა. იქვე, შიდა ქალაქის II უბანზევე აღმოჩნდა მცირეაზიური ამფორის ფრაგმენტები. იგი ეკუთვნის კარგად გარჩეული, ქარსის წვრილი ნაწილაკების შემცველი თიხისგან დამზადებულ ჭურჭელს, რომლის ზედაპირი მოთეთრო ანგობით ყოფილა დაფარული. თიხის შედგენილობითა და კეცის ფერით იგი იმეორებს იქვე აღმოჩენილ შავლაკიანი კერამიკის მცირეაზიურ გვიანდელ მინაბაძს, რომელიც ძე. წ. II საუკუნის ნაწარმი უნდა იყოს (ხახუტაიშვილი, 1970, გვ. 74, 116).

მცხეთაში, არმაზციხეში 2011 წელს გათხრილ ქვათლილებით ნაგებ N4 სათავსოში აღმოჩნდა კოლხური ამფორების ძირები. ასეთივე ძირებია ნაპოვნი არმაზციხის N2 და N3 აბანოების გამოვლენისას. N4 სათავსო ქ.შ. პირველი საუკუნეებით თარიღდება (ნიკოლაიშვილი და სხვ., 2014, გვ. 18-21).

აღიანში, რიყიანების ველზე 1977 წელს მიმდინარე სადაზვერვო სამუშაოების დროს, IX თხრილში გაიწმინდა ორმო, რომელიც სავსე იყო ნაცრით, ქვებითა და

კრამიტის ნატეხებით. ორმოში აღმოჩნდა ამფორა. იგი ძალიან იყო ჩალეწილი. ამფორა დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია მოყავისფროს და წელშეზნეკილია. ნ. მირიანაშვილის მიხედვით მისი ანალოგია ცნობილია ვარციხის ნაქალაქარის ქვედა ფენიდან (მირიანაშვილი, 1983, გვ. 13-14).

აწყურის ნამოსახლარზეც მიკვლეულია ელინისტური პერიოდი ამფორები. ვ. ლიჩელი, რომელმაც მეცენირულად შეისწავლა აწყური, ფერსა და კეცზე დაყრდობით ფიქრობს, რომ აქ აღმოჩენილი ამფორები მიეკუთვნებიან სამხრეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქების ნაწარმს (Licheli, 1998, გვ. 34; Licheli, 2001, გვ. 253).

ქ.შ. მეოთხე-მეხუთე საუკუნეებითაა დათარიღებული სინოპური ამფორა, რომელიც აღმოჩნდა ქვევრის ძირში, 2011 წელს, თბილისის ერთ-ერთ უძველეს „აბანოთუბანში“ - წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისას. ამფორა მოყვითალო - მოთეთროა. მრგვალი პირი შესქელებულია. აქვს მაღალი ყელი, კონუსური ტანი, ბრტყელი ღრუ ქუსლი. ოვალურ ჰგანიკვეთიანი ორი ჩადარული ყური ყელსა და მხარზეა მიმერწილი. მხარს ქვემოთ ქუსლამდე ამორარული სარტყლები შემოსდევს. კეცი სილანარეგია. ამფორის სიმაღლეა - 55 სმ (ძნელაძე და ჩიხლაძე, 2012, გვ. 86).

იქვეა აღმოჩენილი აბანო, რომლის გაწმენდისას მარავალფეროვან კერამიკულ ნაწარმთან ერთად იყო ამფორის ძირის ფრაგმენტი. მასალა ქ.შ. პირველი-მესამე საუკუნეებით თარიღდება (სტატიის ავტორებს ცალკე არ ააქვთ მოხსენიებული ეს ამფორის ძირი) (ძნელაძე და ჩიხლაძე, 2012, გვ. 86-89, ტაბ. IV 15).

„ყავისფერკეციანი“ ამფორები მთელს კოლხეთშია გავრცელებული; ისინი გვხვდება თიტქმის ყველგან, სადაც ელინისტური ხანის კულტურული ფენებია გამოვლენილი: გონიო-აფსაროსი, მახვილაური, ბათუმი, კობი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ოჩამჩირე, სოხუმი და მისი მიდამოები, გურიანთა, ბუკისციხე, საჯავახო, ვანი, დაბლაგომი, ქუთაისის მიდამოები, ზეტაფონი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ისინი ნაპოვნია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოსშიც. კოლხური ამფორები აღმოჩენილია ასევე ჩრილოეთ შავიზღვისპირეთის მრავალ პუნქტში. „ყავისფერკეციანი“ ამფორების ასე ფართოდ გავრცელების უკვე აღნიშნული ფაქტი მეტად მჭერმეტყველი მოწმობაა ელინისტური ხანის კოლხეთში, ერთი მხრივ, კერამიკული წარმოების საკმაოდ

ფართო მასშტაბებისა, ხოლო მეორე მხრივ, სასაქონლო წარმოების მაღალი დონისა. ეს ამფორები, მხოლოდ სხვადასხვა პროდუქტების (ღვინის, ზეთის, მარცვლეულის) შესანახად კი არ იყო გამოყენებული, არამედ უპირატესად მათი ტრანსპორტირებისათვის. ეს გარემოება კი მიუთითებს საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობაზე კოლხეთის სხვადასხვა რაიონებს შორის და გარე სამყაროსთან (ლორთქიფანიძე, 1966, გვ. 137-140).

დედოფლის გორის სასახლის N26 ოთახში ნაპოვნი ამფორა ძალზედ დემფორმირებულია ცეცხლისგან. ისეთი შთაბეჭდილება იქმენა, რომ მასში რაღაც აალებადი სითხე ესხა ცეცხლსი დაწყებამდე. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ქ.წ. მეხუთე საუკუნიდან მთელ ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული კოლხური სელი. სტრაბონი წერდა: „კოლხეთი უხვად მოყავთ სელი... სელის წარმოებამ სახელიც კი გაითქვა; იგი უცხო ქვეყნებშიაც კი გაჰქონდათ...“. პეროდოტეს ცნობა: „მხოლოდ ესენი (კოლხები) და ეგვიპტელები ამზადებენ სელს ერთნაირად...“, მოწმობს, რომ ბერძნულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული კოლხური სელი. საინტერესოა, რომ ქსენოფონტი წერდა: „წმინდა ფასიანურ ან კართაგენულ სელისგან უნდა გაკეთდეს ჩასაშვები ბადეები. აგრეთვე სამგზავრო და საველები“. ამრიგად, სელის ექსპორტს კოლხეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ჰქონდა. ო. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ ქსოვილტან ეეთად კოლხეთიდან ფართოდ გაჰქონდათ სელის ზეთ, რომელსაც, როგორც ცნობილია, საკვები, სანათი და სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა (ლორთქიფანიძე, 1966, გვ. 88-89). სავარაუდოა, რომ დედოფლის გორის სასახლის N26 ოთახის ყავისფერკეციან ამფორაში ესხა სელის ზეთი, რომელიც რომელიმე კოლხური დასახლებული პუნქტიდან შემოვიდა ქართლში. აღსანიშნავია, ის ფაქტიც რომ იმავე N26 ოთახში, ამფორის ნატეხების ახლოს (ოთახის სამხრეთ დასავლეთ კუთხეში) გაიწმინდა რკინის მაღალი სამფეხა კანდელაბრი (გაგომომე, 2019, გვ. 188). საფიქრებელია, რომ სწორედ კოლხური ამფორაში არსებული სელის ზეთი იხმარებოდა კანდელაბრზე და ამის საშუალებით ნათდებოდა N26 საკულტო დანიშნულების ოთახი.

**იმპორტული კერამიკა.** დღემდე დედოფლის გორაზე ნაპოვანია იმპორტული კერამიკული ჭურჭლის სულ 13 ერთეული: 5 უნგვენტარიუმი, 2 პატარა ზომის

კოსმეტიკის ჭურჭელი, 5 ჯამი და ქუსლიანი დოქი (ლეგინოსი) (Chanishvili, 2008, გვ. 63).

ხუთი უნგვენტარიუმიდან, მხოლოდ ორია მეტნაკლებად ერთნაირი. ისინი თარიღდება ქ.წ. I - ქ.შ. I საუკუნეებით და მცირე აზიიდან უნდა იყოს შემოტანილი ქართლიში. ამ პერიოდის უნგვენტარიუმები ცნობილია ასევე სამადლოდან, ჟინვალიდან, მცხეთიდან და ურბნისიდან (Chanishvili, 2008, გვ. 64).

ზოგადად, თიხის უნგვენტარიუმები საქართველოში ადრე ელინისტური ხანიდან ჩნდება.

ქვეყანაში ის შემოდიოდა, როგორც ძვირად ღირებული ნელსაცხებლის ტარა, რამაც განაპირობა მათი ფართოდ გავრცელება მთელ ელინისტურ სამყაროში. ამდენად, უფრო მნიშვნელოვანია დანარჩენი სამი უცხოური წარმომავლობის თიხის ჭურჭელი, რომლებიც აღმოჩნდა დედოფლის გორაზე და უნიკალურია იმ ხანის იბერიისათვის. ორი მათგანი (ჯამი და ლამბაქი) N11 ოთხის იატაკზე აღმოჩნდა, მესამე კი (დოქი-ლაგინოსი) - N13 ოთახში ჩაყრილ ნანგრევში. ე.ი. დოქი, თავდაპირველად, მეორე სართულზე უნდა ყოფილიყო (Gagoshidze, 2001, გვ. 270).

მონარინჯისფრო-წითელი თიხის დოქი ძლიერ არის დამწვარი, მაგრამ ფორმა მთლიანად შენარჩუნებული აქვს. დოქს ვიწრო და მაღალი ცილინდრული ყელი და ქუსლიანი აქვს. ასევე, ქუსლიან ლამბაქს ბრტყელ პირისკიდეზე რელიეფური ზოლი შემოუყვება. ჯამიცა და ლამბაქიც წითელი ლაკით არის დაფარული და აშკარაა, ისინი terra sigillata-ს მიბაძვით არის დამზადებული. ზედაპირზე კარგად შეიმჩნევა ფუნჯის კვალი, რომლითაც ლაკი წაუსვამთ. ლამბაქზე ლაკი გაცვეთილია ხმარებისაგან.

ჯამიც და ლამბაქიც მაღალხარისხიანი თიხის ნაწარმია, რაც არ ითქმის დოქზე, თუმცა ამ შთაბეჭდილებას ქმნის ის, რომ დოქი ძლიერ დამწვარია. ჯამს საკმაოდ ზუსტი ანალოგიები ეძებნება I საუკუნის მეგლებიდან, როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ისე მცირე აზიასა და ბალკანეთში. იმავე ხანისა და ცოტა უფრო ადრეულ (ქ.წ. II- I ს.ს.) მასალებთან საკმაოდ მნიშვნელოვან მსგავსებას იჩენს დოქიც (ცილინდრული ყელი, ყურის ფორმა, დაბრტყელებული მხრები, ქუსლი). მიუხედავად იმისა, რომ მათ ზუსტ ანალოგიებს ვერსად მივაკვლიეთ, მაინც უეჭველია, რომ სამივე ეს ნივთი შემოტანილია საქართველოში და, ალბათ, ერთი და იმავე ადგილიდან, ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ მცირე აზიიდან, რომელიც

სახმელეთო გზებით მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველ საქართველოსთან (სურ. 41) (Gagoshidze, 2001, გვ. 270-271).

**მინის ჭურჭელი.** კერამიკისაგან განსხვავებით, დედოფლის გორაზე აღმოჩენილი უკლებლივ ყველა მინის ჭურჭელი იმპორტულია (სურ. 42) [დედოფლის გორის სასახლეში 1985-1993 წლებში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი საგანგებოდ შეისწავლა მ.საგინაშვილმა, იხილეთ: (Saginashvili, 2008, გვ. 223-234)]. მათ შორის, უდავოდ ყველაზე ეფექტურია მინის ჭრელზედაპირიანი ამფორისკი (სურ. 42.1). ის გამობერილია მოყვითალო მინისაგან, ხოლო მისი ზედაპირი შემკულია თეთრი, წითელი და ღია ლურჯი მინის ვერტიკალური ზოლებით (ყელი) და ლაქებით (ტანი); ყურები ლურჯი ფერისაა. გამობერვის ტექნიკით დამზადებული მოზაიკური მინის ჭურჭელი, ჩვეულებრივ, ქ.შ. I საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსებში გვხვდება და, როგორც ფიქრობენ, დამზადებული უნდა იყოს ჩრდილოეთ იტალიაში. მინის წარმოების ჩრდილოიტალიური ცენტრების ნაწარმი უნდა იყოს დედოფლის გორაზე ნაპოვნი მოცისფრო, მომწვანო და მოყვითალო გამჭვირვალე მინის, მოზრდილი, კოლბისებური სანელსაცხებლეებიც, რომლებიც ჭრელზედაპირიანი ამფორისკის მსგავსად, უნიკალურია საქართველოსათვის. ამ სანელსაცხებლეების ყველა მეტნაკლებად მსგავსი ჭურჭელი, რომელთა მიკვლევაც მოხერხდა, ქ.შ. I საუკუნის ფარგლებში თავსდება და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დედოფლის გორის როგორც ფერადი, ისე ერთფეროვანი მინის სანელსაცხებლეები გამობერვის ტექნიკით დამზადებული მინის ჭურჭლის ჯერჯერობით უძველესი ნიმუშებია საქართველოში (Gagoshidze, 2001, გვ. 271).<sup>7</sup>

**ბრინჯაოს ჭურჭელი.** დედოფლის გორის ციხე-დარბაზის გათხრისას რამდენიმე ათეული ბრინჯაოს ჭურჭელი (სარწყულები, თასები, ლანგრები, პატერები, ამფორა და ა.შ.) აღმოჩნდა [დედოფლის მინდვრის სასახლეში 1985-1993

---

<sup>7</sup> მინის გაბერვის ტექნიკა, როგორც ჩანს, გამოიგონეს იტალიაში ქ.წ. 40-30 წლებში, მაგრამ იგი ფართოდ ვრცელდება ავგუსტეს ხანიდან, რაც დადასტურდა, მაგალითად, ლივიას სახლის გათხრებით რეგიაში, Forum Romanum-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში; (ქ.წ. 37-36 - ქ.შ. პირველი დეკადა), აღმოსავლური (სირიულ-ფინიკიური) წარმომავლობის ანალოგიური სანელსაცხებლეები. დასავლური ანალოგიებით თარიღდება I საუკუნის პირველი ნახევრით ან შუა ხანებით (Gagoshidze, 2001, გვ. 278).

წლებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭურჭელი საგანგებოდ შეისწავლა ჰ.ლორმა (Löhr, 2008, გვ. 155–164)]. მართალია, ბევრი მათგანი ძლიერ არის დაზიანებული ხანძრისაგან, მაგრამ მათი ფორმების შესახებ მაინც შეიძლება მსჯელობა და სრული დარწმუნებით ვიტყვი, რომ ბრინჯაოს ამ ჭურჭლის უმრავლესობა ქ.მ. I საუკუნის სამხრეთი იტალიის ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნოებშია დამზადებული. იბერიელი წარჩინებულის სახლში ჩვეულებრივი მოვლენა იყო რომაული იმპორტული ნაწარმის ყოველდღიურ ცხოვრებაში მოხამრება.

ყველაზე ეფექტური ნივთი ბრტყელძირიანი ამფორაა, რომელიც, ჯერჯერობით, ერთადერთია საქართველოში. მისი ცალკე ჩამოსხმული და შემდეგ მირჩილული წყვილი ყურის ძირები დიონისეს თავის გამოსახულებით არის შემკული (სურ. 43.1). ა. რადნოტის კლასიფიკაციით, იგი მიეკუთვნება ამფორების მეორე ტიპს, მაშინ როცა ჰ. ეგერის ორივე ტიპის ამფორას აერთიანებს ერთ, 129-ე ჯგუფში და ათარილებს I საუკუნით. ამგვარი ამფორები საკმაოდ რაოდენობითაა ცნობილი იტალიის იმ ცენტრებიდან, რომლებიც დაილუპა ვეზუვის ამოფრქვევის დროს, 79 წლის 24 აგვისტოს (პომპეა, ჰერკულანუმი, ბოსკორეალე და სხვა.), რაც იმის მოწმობაა, რომ II ტიპის ამფორები მართლაც ფართოდ გავრცელებული ყოფილა I საუკუნის ბოლო მეოთხედის დასაწყისში (Шелов, 1983, გვ. 57-69). მოვიხმობთ მხოლოდ ერთ პარალელს ჩატალკას N7 ყორღანიდან, რადგანაც ამ კომპლექსში ერთადაა თავმოყრილი რამდენიმე ისეთი ნივთი (ბრინჯაოს ამფორა, პატერა, თიხისა და მინის სანელსაცხებლები, ოქროს ბეჭედი და ახალმთვარისებრი საკიდი და სხვა), როგორც დედოფლის გორაზეც აღმოჩნდა, ასევე ერთად, დახურულ კომპლექსში. სამარხი I საუკუნის მეორე ნახევრით ან დასასრულით თარიღდება. ჩვეულებრივ, ამავე პერიოდით ათარილებენ ფიგურულყურებიან თასებს, როგორც რამდენიმე ცალი იყო დედოფლის გორის ციხე-დარბაზში.

ბრინჯაოს სხვა ნივთებიც მრავლადაა აღმოჩენილი დედოფლის გორაზე (კოვზები, ჩამჩები, საწურები, ფიგურული ტარები, რკალისებრი ყურები). საინტერესოა ორი მასიური აქანდაზისებრი ნივთი, რომელიც დედოფლის გორაზეა ნაპოვნი ჯერ კიდევ 1926 წელს (სურ. 43.2). ეს უნდა იყოს ლათინური წერილობითი წყაროების Batillum (Batillus) ანუ Vatillum - საკულტო-სარიტუალო ნივთი, რომელიც იხმარებოდა სურნელოვანი ნივთიერების დასაწვავად ღვთისმსახურების დროს. ასეა

განსაზღვრული პომპეიში აღმოჩენილი ბრინჯაოს „აქანდაზი“ და ასევე საზღვრავს მათ სალიო, რომელსაც ემყარება ბატილუმების ყველა სხვა პუბლიკაცია. ბატილუმების რაღაცნაირ კავშირზე მიცვალეზულთა კულტთან მეტყველებს სამი ბატილუმის აღმოჩენა ტუნისში, პუნიკურ სამაროვანზე, სანტა-მონიკასთან, აგრეთვე, ბატილუმების გამოსახულების მოთავსება პუნიკური საფლავების სტელებზე. პუბლიკაციებით ცნობილი 12 ბატილუმიდან 7 სირია-პალესტინაშია ნაპოვნი, სამი კი – პუნიკურ სამაროვანზე, ე.ი. ისეთ სამყაროში, რომელიც, გარკვეულწილად, ასევე სირია-პალესტინას უკავშირდება. ასე რომ, თითქოს, შეუძლებელი არ უნდა იყოს ბატილუმების სირიულ ნაწარმად მიჩნევა, როგორც ეს ჰგონია პიერ ლევეკსაც. თუ ეს მართლაც ასეა, ადვილი ასახსნელი იქნება მათი მოხვედრა ქართლში: ქ.შ. I საუკუნეში სირია იბერიის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორი იყო.

ცოტა ხნის წინ მცხეთაში კიდევ ერთი ბრინჯაოს ბატილუმი აღმოჩნდა, ხოლო 1993 წელს დედოფლის გორაზე რკინისაგან დამზადებული ასეთივე ნივთი გაიწმინდა, თუმცა ძნელია, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ამ უკანასკნელსაც უთუოდ საკულტო-სარიტუალო ფუნქცია ჰქონდა და რაიმე უტილიტარული დანიშნულებით არ გამოიყენებოდა (Gagoshidze, 2001, გვ. 271-272).

ბრინჯაოს ნივთებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 2019 წელს სასახლის N27 ოთახის სამხრეთით ე.წ. ღია სივრცეში ბრინჯაოს პატერის აღმოჩენა (სურ. 44), რომლის შესახებაც ვრცლად ვისაუბრებ, რადგან ის პატერის ნამოსახლარზე აღმოჩენის პირველი და ჯერ ჯერობით ერთადერთი შემთხვევაა საქართველოში. განვიხილავ აგრეთვე საქართველოში აღმოჩენილ სხვა პატერებსაც, რომლებიც ძირითადად უმდიდრესი სამარხებიდანაა ცნობილი.

დედოფლის გორის პატერის ჯამი ძლიერი ცეცლხისგან დაზიანებულია. კარგადაა შემორჩენილი მხოლოდ ტარი, რომელიც კანელურებით არის შემკული და ბოლოვდება გრეხილრქებიანი ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით.

ტარის მეორე ბოლოზე წარმოდგენილია მისი ჯამთან მისაერთებელი ფიგურული ფირფიტა, რომელიც ტართან ერთადაა ჩამოსხმული (ტარის სიგრძე 13 სმ). პატერის ტართანვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლის (სურის) პირის ფრაგმენტი. ეს დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი მეორე პატერაა. პირველი აღმოჩნდა 1926 წელს და დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის

ხელოვნების მუზეუმში. ამ შემთხვევაშიც პატერის მხოლოდ ტარია გადარჩენილი, რომელსაც სკულპტურული დაბოლოვებაც დაკარგული აქვს (Löhr, 2008, გვ. 156, 161; გაგოშიძე დ., 2020, გვ. 235; გაგოშიძე, 2021, გვ. 119-127).

პატერა (ლათინურად - patera) ხმარებაში იყო ანტიკური პერიოდიდან და წარმოადგენდა დაბალ, არაღრმა ჭურჭელს, დღევანდელი ტაფის მაგვარს, მოგრძო სწორი ტარით. უბრალო პატერები მზადდებოდა - თიხისგან, ძვირფასები - ბრინჯაოსა და ვერცხლისაგან. ძირითადათ ორნამენტირებული პატერები იწარმოებოდა, განსაკუთრებით მათი ტარები. პატერა იმპორტირებული ჭურჭლის ჯგუფს განეკუთვნება. გვხვდება როგორც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ისე აღმოსავლეთ საქართველოში (გიგოლაშვილი, 2011, გვ. 63).

საქართველოში სხვა არქეოლოგიური ძეგლებიდანაც არის რომაული პატერების აღმოჩენის ფაქტები დადასტურებული და ყველგან ისინი მდიდრულ და მნიშვნელოვან სამარხებშია ნაპოვნი, ამიტომაც მათ ცალცაკე განვიხილავთ.

სანქტ-პეტერბურგში, სახელმწიფო ერმიტაჟში ინახება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორში 1902 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, რომელშიც შედის სამი ბრინჯაოს პატერა და ორი ასევე ბრინჯაოს სამტუჩა სურა (ენოხოია). პატერებიდან ორის ტარი დაბოლოებულია ძაღლის (მგლის) თავის გამოსახულებით (ერთ-ერთ ძაღლს პირი აქვს დარებული), ერთი კი - ვერძის თავით. ზემოთაღნიშნულ სურებიდან ერთ-ერთის ყურის ზედა ნაწილი შემკულია პირდაღებული ლომის რელიეფური ერთგვარად სტილიზებული გამოსახულებით (აფაქიძე, 1944, გვ. 441-448; Лордкипаниძე, 1964, გვ. 209-210; 212-215; ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 88-89; 94-95).

ასევე სახელმწიფო ერმიტაჟში, 1907 წლიდან დაცულია მდიდრული ნივთების კოლექცია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ციხისძირის განძის სახელით არის ცნობილი. განძის შემადგენლობაში ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთებთან ერთად აღმოჩენილია ორი პატერის ტარი. ერთის ტარი, რომელიც კანელურებითაა შემკული ბოლოვდება სქემატურად შესრულებული ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით. ჯამთან მიმაგრების ადგილას ტარი გაფართოებულია. ზედა ნაწილში დაკბილული შვერილის, ხოლო ქვედა ნაწილში

სამნაწილიანი ფირფიტის ფორმა აქვს. ტარის სიგრძეა 16.6 სმ. მეორე პატერის ტარი მასიურია. დაბოლოებულია გაურკვეველი ცხოველის თავის სქემატური გამოსახულებით. ტართან ერთად ჩამოსხმულია ჭურჭლის პირი, რომლის მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი. ტარის სიგრძეა 11.2 სმ.

ნ. ინაიშვილი, რომელმაც მეცნიერულად შეისწავლა ციხისძირის განძი, ფიქრობს, ეს პატერები გამოსახულების შესრულების ხარისხით ახლოს დგას ქ.შ. II – III საუკუნეების პროვინციულ ნიმუშებთან - ქ.შ. მეორე საუკუნიდან პატერების დამზადებას იწყებენ პროვინციებში, კერძოდ, დუნაისპირა და აღმოსავლურ პროვინციებში, სადაც მათ ფართო გავრცელება პოვეს. პროვინციული სახელოსნოების ნახელავი ბევრად ჩამოუვარდება იტალიკურს: ცხოველების გამოსახულებები შედარებით სქემატურია, რელიეფური მცენარეული დეკორი ხშირად შეცვლილია მარტივი, გრავირებული მცენარეული ან გეომეტრიული სახეებით. ამგვარი პატერები აღმოჩენილია ქ.შ. მეორე-მესამე საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში. აღსანიშნავია, რომ ციხისძირის განძში ასევე შედის ორი ბრინჯაოს სურა (ინაიშვილი 1993, გვ. 36-38).

1940 წელს არმაზისხევში, ერისთავთა სამაროვანზე, ბერსუმა პიტიახშის ცნობილი სამარხის სამხრეთით, მისგან 60 სმ. დაშორებით გაიწმინდა N6 სამარხი, რომელმაც მოგვცა ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მდიდრული ნივთები. სამარხი ორი ნაწილისგან შედგება. ქვედა ნაწილი მთლიანი ქვისგან არის გამოკვეთილი; ზედა ნაწილი, სახურავი წარმოადგენს ასევე მთლიანი ქვისგან გამოჭრილს მასიურ ბრტყელ ლოდს, რომელიც ქვედა ნაწილზე უფრო გრძელიცაა და განიერიც. ინვენტარმა გამოჩენა იწყო სამარხის ახდამდე, ჯერ კიდევ მის გარშემოწმენდისას. ასე მაგალთად, სამარხის სამხრეთი კედლის გვერდით, მიწაში აღმოჩნდა: რკინის სასანთლე, ბრინჯაოს დეზეები, ოქროს მრავალრიცხოვანი წვრილი ღილაკები, ოქრომკერდის ნაწყვეტები დასხვა. სახურავის ახდისთანავე ცხადი სეიქმნა, რომ მეექვსე სამარხი განსაკუთრებით მრავალრიცხოვან ინვენტარს შეცავდა. შიგ სარკოფაგიდან და მის გარეთა მიწიდან ამოღებულ იქნა: ოქროს მდიდრული ყელსაკიდი, დიადემა, ორი წყვილი სამაჯური, წყვილი სამკლაური, წყვილი საწვივე რგოლი, 3 წყვილი საყურე, 9 ბეჭედი, მედალიონი, 3 საავგაროზე, 2 პირისსაფარეშო ნივთი, ტახის პატარა

გამოსახულება, 2 საკინძველი, 12 მძივი, 160-მდე ნაირ-ნაირი საკიდი, ასობით ღილ-კილიტი და ხუთი მონეტა; ვერცხლის სარეცლის ფეხები (8 ც.), სასანთლე, 2 პინაკი, 2 სურა, 16 მონეტა და ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო - პატერა („აზარფემა“); ბრინჯაოს წყვილი დეზი; მინის სამი ჭურჭელი; რკინის 2 დანისპირი, სასანთლე და თეფში; ძვლის დანისტარი; ქვის ლამბაქი და ათიოდე სამკაულ-ავგაროზი; პასტის მრავალრიცხოვანი თვალ-მძივები. ვერცხლის პატერა (ძეგლის გამოხრელები მას „აზარფემა“-დ მოიხსენიებენ) აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ერთიმეორეზე დაწყობილ ჭურჭელთა შორის. პატერის ჯამი დაბალია და საკმაოდ გაშლილი. ფსკერი შუაში თანაზომიერად არის ამოზურცული. ჯამის კალთები შემკულია სამი ფარშევანგის და ვაზის ფოთლის გამოსახულებით. ისინი გარედანაა ჩაღარული და ჩაწნული, ისე რომ შიგნიდან საკმაოდ რელიეფური ხაზებია. ჭურჭლის ტარი მილისებურია და შედგება ოთხი არათანაბარი ნაწილისგან, რომლებიც ერთიმეორეზეა წამოცმული. ტარის ფუძე, სათანადოდ შეზნექილი და ვაზისგოთლისებრი მოყვანილობის ძირით დარჩილულია კალტაზე. ტარის მეორე, უდიდესი ნაწილი სიგრძივ დაღარულია. ტარს აბოლოვებს ვერძის თავი. ჯამის დიამტერი - 22.5 სმ, ტარის სიგრძე - 14 სმ, დიამტერი - 3 სმ.

არმაზისხევის N6 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის თექვსმეტივე მონეტა წელთაღრიცხვათა მიჯნას და ქ.შ. პირველ საუკუნეს ეკუთვნის (ავგუსტეს დენარები და გოტარზეს დრაქმები); ოქორს მონეტებიდან ორი ქ.შ. პირველი საუკუნის მეორე ნახევრისაა (ნერონი და გალბა), ორი ქ.შ. მეორე საუკუნის პირველ ნახევარსა და მეორე ნახევრის დასაწყისს ეკუთვნის (ადრიანე და ანტონინე პიუსი). სამარხის ხნოვანების ქვედა მიჯნას განსაზღვრავს მეხუთე - კომოდის აურეუსი, რომელიც მოჭრილია არა უადრეს ქ.შ. 180 წლისა. ამრიგად, სამარხი ქ.შ. მეორე საუკუნის მიწურულს უნდა მიეკუთვნოს. ამ თარიღს შეესატყვისა ინვენტარის საერთო იერიც. არმაზისხევის პატერა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ის საქართველოში აღმოჩენილი ერთადერთი ვერცხლის პატერაა (დანარჩენები ყველა ბრინჯაოსია). როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სამარხში სხვა მრავალ ნივთთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის ორი სურა, რომელიც უმალო კავშირშია პატერასთან (აფაქიძე და სხვ., 1955, გვ. 63-82).

საინტერესო აღმოჩნდა 1941 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში შემთხვევით მიკვლეული სამაროვანი, სადაც 1942 წელს იმუშავა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. სამაროვნის N3 (უნდა ეკუთვნოდეს და განაგრძობდეს N4 სამარხს) სამარხში სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს სურა და პატერა (სამეცნიერო ლიტერატურაში ის „აზარფემა“-დ არის მოხსენიებული, როგორც არმაზისხევის ცალი). გ. ლომთათიძე, რომელმაც მეცნიერულად შეისწავლა კლდეეთის სამაროვანი მიიჩნევს, რომ პატერა დამზადებულია დაბალი ხარისხის ვერცხლისგან. მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში რ. ბახტაძის მიერ ამ პატერაზე ჩატარებულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ის ბრინჯაოსგანაა დამზადებული (Лордкипаниძე, 1964, გვ. 213).

კლდეეთის პატერა შედგება ორი ცალ-ცალკე დამზადებული ნაწილის, ჯამისა და ტარისაგან. ეს უკანასკნელი დარჩილული ყოფილა ჯამზე, მაგრამ შემდეგ ამძვრალა და ისე ახლავს თან. ჯამი კოხტად მოყვანილია და პროპორციული. ქუსლი მკვეთრად გამოყვანილი აქვს. ნგარდა ამისა, ქუსლის ძირი გარედან დაფარულია ზუსტად კონცენტრული, სხვადასხვა სიგანე-სიმაღლის, ბრტყელი, მრგვალი და სხვაგვარი განიკვეთის რელიეფური წრეებით, ხოლო შუაში პატარა, დაბრტყელებული და ამოჩვრეტილი ბურცობი აქვს. ჯამის კალთები საკმაოდ სწრაფად ქანდება ძირისაკენ. მას ზემო ნაწილში ამოკაწრული, წყვილ-წყვილი კონცენტრული წრე ამშვენებს. ჯამის დიამეტრი - 21.5 სმ. ტარი წარმოადგენს ერთობლივ ჩამოსხმულ მილს, რომელსაც ძირი გაფართოებულ-დაბრტყელებული და ჯამზე დასარჩილავად შეგუებული მოყვანილობისა აქვს. ტარი დაღარულია. მის ზემო ბოლოში მჭიდროდ ჩასმულია ქვიშაქვისგან გამოთლილი ქანდაკება, რომელიც ვერძის თავ-ყელს გამოხატავს. ტარის სიგრძეა - 14 სმ, დიამეტრი - 2,3 სმ.

ბრინჯაოს სურას ტანი დაბალი და მომრგვალებული აქვს, ყელი - დაბალი და ფართო, ძირი - სწორი, პირი - სამტუჩა. სურის ყურს ადამიანის ყურის მოყვანილობა აქვს. განსაკუთრებით საინტერესოა ყურის ქვედა დასარჩილავი ბოლო. აქ ყური საკმაოდ სწრაფად ფართოვდება და ორად იტოტება, ხოლო ტოტებს შორის გამოქანდაკებულია ხვადი ლომის თავ-კისერი და წინა თათები, ხოლო თათებს აქეთ-იქით, აგრეთვე, თითო მცირე ხვია და მათ ქვემოთ კი თითო ფოთლოვანი სახე.

კლდეეთის პატერა იმითაა გამორჩეული, რომ ვერძისთავი, რომლითაც ბოლოვდება ტარი ქვისგანაა გამოთლილი. კლდეეთის სამაროვანი იქ აღმოჩენილი მონეტების მიხედვით ქ.შ. II საუკუნით თარიღდება (ლომთათიძე, 1957, გვ. 119-131, 171).

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება ქარელის რაიონის სოფელ ატოცში 1952 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს ვერძის თავი, რომელიც ეჭვს გარეშეა პატერის ტარს ეკუთვნის (აფაქიძე და სხვ., 1955, გვ. 76; Лордкипанидзе, 1964, გვ. 214; ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 94).

ზღუდერის N3 სარკოფაგში აღმოჩნდა ბრინჯაოს პატერა. პატერის ჯამის დიამეტრი - 22 სმ., მთლიანი სიგრძე - 36 სმ; ძირის დიამეტრი - 11 სმ. პატერის დადარული სახელური მთავრდება ვერძის თავით. სახელურის და ჯამის შეერთების ადგილი სუსტია, ამიტომ ხშირ შემთხვევაში ამ ადგილას ჭურჭელი ტყდება (როგორც დედოფლის გორის ცარლი) და ხშირად ცალცალკეა აღმჩენილი. ზღუდერის პატერა განსაკუთრებით საინტერესო იმის გამო, რომ ის ზემოთ ნახსენებ ადგილში ძველადვე შეუკეთებიათ სქელი ბრინჯაოს მავთულით. პატერის ჯამის ძირი დაბალი აქვს, რომელზეც რელიეფური წრეებია გამოსახული. ჯამის ცენტრალური ომფალის თავდაპირველად მოვერცხლილი ყოფილა, რომლის კვალია შემორჩენილი. ასევე მოვერცხლილი უნდა ყოფილიყო ვერძის თვალები და რქები. ინკრუსტაცია არამარტო არა მარტო არტისტულ ელფერს აძლევს ნივთს, არამედ აახლოვებს მას უფრო ძვირფას ვერცხლის პატერებთან, რომლებიც უფრო იშვიათია და ძვირადღირებული.

ზღუდერის პატერას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჯერ ერთი, ის შეიძლება იყოს ერთერთი უადრესი ნივთი ზღუდერიდან და მეორეც, აღნიშნული ტიპის პატერებიდან, ის ალბათ ყველაზე გვიანი ნიმუშია, რომელიც არქეოლოგიური კონტექსტით თარიღდება: ქ.შ. 190 წლის შემდეგ თარიღს კომოდუსის აურეული იძლევა.

N3 სარკოფაგში ბრინჯაოს პატერასთან ერთად აღმოჩნდა მოზრდილი ოვალური სურა, დაბალი კონუსური ფეხით, რომელიც ვიწრო ძირიდან საგრძნობლად ფართოვდება. სურის სიმაღლე - 18.7 სმ. ძირის დიამეტრი - 4.5 სმ. სურის სახელურის ზედა ნაწილი წარმოდგენილია ძაღლის გამოსახულებით, რომლის წინა კიდურები სურის პირზე უდევს. სახელურის ქვედა ნაწილს წვრილი მცენარეული გირლანდა

გასდევს და მთავრდება ქალის თავის გამოსახულებით, რომელიც შესაძლოა მენადას განასახიერებდა. ამ ტიპის ჭურჭელი გავრცელებული იყო ქ.შ. პირველ საუკუნეში და მათზე ხშირად გამოსახულია როგორც ძაღლები, ასევე სხვა ცხოველები. მსგავსი სურები სხვაგანაცაა საქართველოში აღმოჩენილი (მაგ. ბორი).

N3 სარკოფაგში აღმოჩენილი პატერა და სურა შესაძლოა ზღუდერში ერთად შეიძინეს, როდესაც ისინი ახალი შემოტანილი იყო, ან მას შემდეგ, რაც ისინი კარგა ხნის მანძილზე იხმარებოდა იბერიაში. უნდა ითქვას, რომ სურისა და პატერის კომბინაცია ჩვეულებრივი მოვლენაა და განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სამარხულ ინვენტარში (ბრაუნდი და სხვ., 2009, გვ. 88-91).

ზღუდერის N3 ხის სარკოფაგში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. ჩვენთვის საინტერესო პატერა და სურა აღმოჩნდა მიცვალებულების ფეხებთან. გარდა ამ ნივთებისა N3 სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის კოვზები (ერთ-ერთის ტარზე მოთავსებულია ბერძნული და არამეული გრაფიტოები), 2-2 ცალი ვერცხლის თასი და ვერცხლის ლანგარი (ორ მათგანზე წარმოდგენილია ბერძნული და არამეული წარწრები), მინის სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი. მრავალფეროვანი ოქროს სამკაულიდან გამოსარჩევია მძიმე ოქროს ბეჭედი იაგუნდის ინტალიოთი, რომელზეც სავარაუდოდ გამოსახულია ელინისტური ეგვიპტის მმართველი პტოლემეოს V. სამარხში აღმოჩნდა ოთხი ოქროს მონეტა. ყველაზე ადრეული, დომიციანეს მონეტა მარცხენა მიცვალებულს პირში ედო, ხოლო ფაუსტინა უფროსის ოქროს მონეტა მის ზურგს უკან იდო. მარჯვენა მიცვალებულის თავის ქალასთან აღმოჩნდა ანტონინუს პიუსის მონეტა, მის მარჯვენა ხელთან კი ყველაზე გვიანი მონეტა - იმპერატორ კომოდუსის, მოჭრილს ქ.შ. 190 წელს (ბრაუნდი და სხვ., 2009, გვ. 8-9). სამარხი მონეტების მიხედვით ჩადგმული უნდა იყოს ქ.შ. 190 წლიდან მალევე (ბრაუნდი და სხვ., 2009, გვ. 12-13).

ზღუდერის მდიდრული სამარხები (სულ გათრილია 3 სარკოფაგი) შეიცავს არა მარტო უმნიშვნელოვანეს და უმშვენიერეს ნივთებს, არამედ საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ ძველი იბერიის ელიტარული საზოგადოება. აღმოჩენილი ნივთებიდან ჩანს, რომ ზღუდერში მოსახლე ელიტა განიცდიდა რომის იმპერიის ცხოვრების წესის და გემოვნების ძლიერ გავლენას. იბერიული ელიტა ზღუდერში,

მცხეთაში და ძველი იბერიის სხვა რეგიონებში, რომის იმპერატორების სასურველი მოკავშირეები იყვნენ: აქ აღმჩენილი მრავალი ოქროს მონეტა ალბათ მათ საჩუქრების სახით მიიღეს იმპერატორებისგან. ეს მონეტები ღირებულია არა მარტო იმიტომ, რომ ოქროსია, არამედ ისინი აგრეთვე წარმოადგენენ იმპერატორთა გამოსახულებების შესანიშნავ ნიმუშებს და მეტყველებენ იმპერატორთა სამეფო გულუხვობაზე (ბრაუნდი და სხვ., 2009, გვ. 3).

მცხეთაში, სამთავროს მონასტრის მიმდებარედ 1985 წელს აღმოჩნდა აკლდამა (N905). აკლდამა წაგრძელებული ოთკუთხა მოყვანილობის ორფერდასახურავიანი ქვაყუთია, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი. სამარხ-აკლდამაში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა: ორივე ხელფეხმოკეცილი, ერთმანეთის პირისპირ ესვენა. პირველი მიცვალებულის სქესის დადგენა ვერ მოხერხდა ძვლების ცუდი დაცულობის გამო. მეორე, ცოტა უფრო გვიან დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი 25-30 წლის ახალგაზრდა ქალისა აღმოჩნდა.

სამთავროს 905-ე სამარხში ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, მინის და სხვადასხვა მინერლისგან დამზადებული 32 დასახელების ნივთი აღმოჩნდა. ამ ნივთებს შორის იყო ბრინჯაოს პატერა და ოინოხოია (სურა). პატერა ძლიერ დაზიანებული და დაშლილია. შედგება ორი ცალ-ცალკე დამზადებული ნაწილისგან - ჯამისგან და ტარისგან. ჯამი პირგადაშლილია, ძირი ცენტრალურ ნაწილში ამოზურცულია - ომფალოსიანია. ძირზე რელიეფური, კონცენტრული ზოლებით შემკული ბრტყელი ქუსლი ჰქონდა მირჩილული. ტარი წარმოადგენს ძირგაფართოებულ, ჩამოსხმულ მილს, რომელსაც სიგრძივი რარები დაუყევბა. რარებიანი ნაწილი ბოლოვდება წრიული, ამოზურცული სალტეებით. ტარი დაბოლოებული ყოფილა მგლის თავის გამოსახულებით. ტარის ჯამთან შეერთების ადგილზე რელიეფური მცენარეული სამკაულია გამოსახული. პატერა აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. პირის დიამტერი - 21 სმ., ტარის სიგრძე - 15 სმ. პატერა სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სურის ქვეშ. სურას სამტუჩაა, ტანი მომრგვალებული აქვს. ყურის ზედა ნაწილი კოხტად არის მოღუნული და ჭურჭლის პირთან შედარებით ძლიერ ზეაწვდილია. ყურისძირი დაბოლოებულია ახალგაზრდა ქალის (სირენა-სირინოზი) გამოსახულებით. ქანდაკება მკერდს ქვემოთ ფრინველის

გამოსახულებას წარმოადგენს. სიმაღლე - 20.8 სმ. მსგავსი სურა აღმოჩენილია ბორში, სამთავროს სამაროვნის N212 სამარხში, კლდეეთში.

მცხეთის (სამთავროს) N905 სამარხ-აკლდამაში აღმოჩენილი ინვენტარის დიდი ნაწილი მსგავსია, სზოგ შემთხვევაში, სრულიადაც არ განსხვავდება ბაგინეთის სარკოფაგსა და არმაზისხევში, ერისთავთა განსასვენებელში აღმოჩენილი ძეგლებისა და ზოგადად, II საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნის I ნახევარს, შესაძლოა, შუა ხენბს უნდა მიეკუთვნოს. სამთავროს აკლდამის ნივთების ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის, რომ იქ დაუკრძალავთ ქართლის (იბერიის) ძველი დედაქალაქის - მცხეთის წარჩინებული ოჯახის წარმომადგენლები. N905 აკლდამაში აღმოჩენილი ნივთების ნაწილი სხვადასხვა ქვეყნის სახელოსნოებში ჩანს დამზადებული. აღნიშნული ვიტარება კიდევ ერთი მოწმობაა იმ გაცხოველებული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობისა, რომელიც ჰქონდა ქართლს ანტიკური სამყაროს ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი რომის ძლიერ იმპერიასთან (აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 7-42).

სამთავროს სამაროვნიდან კიდევ ორი ბრინჯაოს პატერაა ცნობილი. ერთი 1939 წელს სამხრეთ უბნის N159 კრამიტსამარხში აღმოჩნდა და მას ბრტყელი და მარტივი ტარი აქვს; მეორე კი - 1940 წელს შესწავლილ N212 ფილაქვით ნაგებ სამარხში. ამ უკანასკნელის ტარი მილისებურია და ძაღლის თავის გამოსახულებითაა დაგვირგვინებული. ორივე სამარხში პატერასთან ერთად იყო ბრინჯაოს სურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია N212 სამარხის სურა, რომლის ყურის ზედა ნაწილი შემკულია მაღალ რელიეფში გამოქანდაკებული ლომის პროტომით-ლომი პირდაღებულია, თვალები ინკრუსტირებულია, ფაფარი შუბლზე გადმოცემულია ფართე რელიეფური ხაზებით, რომლებიც ჭდეებითაა გაწყობილი. ყურის შუა ნაწილი შემკულია მცენარეული ორნამენტით - წაწვეტებულფოთლიანი გვირგვინით. ყურის ქვედა ნაწილში ქალის სკულპტურული გამოსახულებაა, რომელიც მარალ რელიეფშია შესრულებული. ქალს რამდენადემ მკაცრი გამომეტყველება აქვს, მარალი და ფართო შუბლი, წვრილი ტუჩები. ქალს თავსა და ზურგზე ცხოველის ტყავი აქვს მოსმხმული. თავზე სრულიად აშკარად ჩანს ლომის სახე, რაც ო. ლორთქიფანიძეს აძლევს საფუძველს აქ გამოსახული ქალის ქანდაკება მიიჩნიოს ჰერაკლეს მოსასხამში

გამოწყობილ ომფალეს გამოსახულებად. აღწერილი ტიპის ჭურჭელი ეკუთვნის სამხრეთ-იტალიკური წარმოების საკმაოდ კარგად ცნობილ სურებს, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ ყურის შემკულობით განსხვავდებიან: ყურის ზედა ნაწილი ჩვეულებრივ ფრინველის, უპირატესად კი ცხოველის (ლომი, ცხენი, გრიფონი) პროტომითა, ხოლო ქვედა ნაწილი რომელიმე ღვთაების (ატისი, მენადა, ფავნი, გორგონა და ა.შ.) სკულპტურული გამოსახულებითაა შემკული (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 76-100; Лордкипаниძე, 1964, გვ. 199-220; აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 10-11; აფაქიძე და სხვ., 1955, გვ. 76).

1998 წელს თბილისში, ვაჟა ფშაველას პროსპექტის ბოლოში სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოჩნდა რამოდენიმე სამარხი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ერთი სამარხი (სამარხი A), რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს პატერა ვერძის თავით დაბოლოებული ტარით. ამავე სამარხში იყო ვერცხლის თასი, ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ლომთან მეომარი გლადიატორის ქანდაკება და გოტარზე II-ის დრაქმა. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (Abramishvili et al., 2008, გვ. 441-448).

როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოში რომაული პერიოდის სულ 15 პატერაა ცნობილი - 14 ბრინჯაოსი და 1 ვერცხლის (არმაზისხევის პატერა). აქედან 8 ცალის ტარი ცხვრის თავით არის დაბოლოებული (კლდეეთის ვერძი ქვიშაქვისგანაა გამოკვეთილი, დანარჩენები ლითონისაა [ბრინჯაო და ვერცხლი], 4 ცალის - ძაღლის (მგლის) თავით, ერთი გაურკვეველი ცხოველის თავით, ერთის ტარი ბრტყელია, ერთს კი ტარის დაბოლოება დაკარგული აქვს.

საქართველოში აღმოჩენილი პატერები ეკუთვნის სამხრეთ-იტალიკური (კამპანია) ბრინჯაოს სახელოსნოების (გარდა “ციხისძირის განძში” შემავალი 2 პატერისა) ერთ-ერთ ყველაზე უფრო მასიურ პროდუქციას, რომელიც ფართოდ იწარმოებოდა ქ.შ. I საუკუნესა და II საუკუნის დასაწყისში. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დადგენილია, რომ იტალიკურ წარმოებაში პატერების ეს ტიპი გავრცელდა გვიან-ელინისტური ხანის ალექსანდრიული პატერების მიზაძვით. დიდი რაოდენობითაა ისინი გამოვლენილი იტალიის ქალაქებში, ასევე რომაული იმპერიის დასავლეთ პროვინციებში, და თითქმის ყველგან - დასავლეთ ევროპის

ტერიტორიაზე. მრავლადაა მოპოვებული ასეთი პატერები ჩრდილოეთ შავიზრვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზეც (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 95-96). საქართველოში აღმოჩენილი ცხოველის თავით დაბოლოვებული პატერების უმრავლესობა ჯდება ჰ. ნუბერის მიერ შემოშავებული პატერების ტიპოლოგიის G ტიპში (ე.წ. „კანტერბერის“ ტიპი) (Nuber, 1973, გვ. 60-73). მეცნიერს ცალკე აქვს გამოყოფილი ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული პატერები, სადაც არმაზისხევის N6 სამარხის პატერა მოხსენიებული აქვს, როგორც „ვერცხლისგან დამზადებული ყველაზე კარგად შემონახული პატერა“ (ოქროსგან გაკეთებული პატერა მისთვის არ არის ცნობილი) (Nuber 1973, გვ. 73-75).

სამთავროს N159 კრამიტსამარხის პატერა განსხვავდება საქართველოში აღმოჩენილი სხვა პატერებისგან - მას ბრტყელი და მარტივი ტარი აქვს. ჭურჭლის ეს ტიპიც, აგრეთვე, ძალიან გავრცელებულია იტალიკურ წარმოებაში და იხმარებოდა ბანაობისას, როგორც ფიქრობენ, ცივი და ცხელი წყლის გასაზავებლად. ძალიან ხშირად ამგვარი ჭურჭელი შემკულია ხოლმე კაპუელი ოსტატების დამღით. ამიტომაც ამგვარ ჭურჭელს ზოგიერთი ავტორი, კაპუანურ პატერას უწოდებს. დამღებისა და კარგად დათრილებული აღმოჩენების საფძველზე უკვე დადგენილია, რომ ამ ტიპის პატერები მზადდებოდა ქ.შ. პირველი საუკუნის შუა ხანებიდან და მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. ქ.შ. მეორე საუკუნის შუა ხანებიდან პატერის ეს ტიპი, როგორც წესი, აღარ გვხვდება (ლორთქიფანიძე 1968, გვ. 93-94).

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი პატერების უმრავლესობა სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს (10) და ყველა ის სამარხი სადაც პატერაა აღმოჩენილი წარჩინებულ პირებს ეკუთვნით რაც იმის მანიშნებელია რომ პატერა საქართველოში ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. გამონაკლისია, მხოლოდ დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ორი პატერა (ციხისძირის ცალები განძის შემადგენლობაში იყო, ერთი კი შემთხვევითი აღმოჩენაა [ატოცი]). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ დედოფლის გორის სასახლე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო პირველი საუკუნეების ქართლის სამეფოში. საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგალითად ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად დაღუპულ ქალაქებში ბრინჯაოს პატერების აღმოჩენა ძალზედ ხშირია (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 96-97).

როგორც ზემოთ დავინახეთ პატერებთან ერთად როგორც წესი სურებია ნაპოვნია, რაც კანონზომიერია მისი დანიშნულებისაგან გამომდინარე. მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ ძეგლებზე კულტის მსახურები გამოსახული არიან პატერიტა და სურით ხელში. ამის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ პატერები სამსხვერპლო ჭურჭლებს წარმოადგენდნენ. მ. ივაშენკოს აზრით პატერები და მათთან ერთად აღმოჩენილი სურები გამოიყენებოდა საზეიმო ნადიმის წინ ხელის დასაბანად. ამ მოსაზრების სასარგებლოდ, რომელიც გულისხმობს პატერების არა მხოლოდ საკრალურ, არამედ, აგრეთვე, “საერო” დანიშნულებასაც მიუთითებს ბულგარეთში აღმოჩენილი III-IV საუკუნეების კედლის მხატვრობა, რომელზეც გამოსახულია რომელიღაც წარჩინებულის დილის ტუალეტი და მსახური, რომელსაც ხელში სურა და პატერის მაგვარი ჭურჭელი უკავია (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 96-97). ამავე მოსაზრების დასტურია პატერების აღმოჩენაც დედოფლის გორის სასახლეში.

როგორც ჩანს, ხელის სარიტუალო განზანვის წესი რომაული ხანის საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული და სავარაუდოა რომ ეს წესი ქართველებმა ბერძნებისგან ჯერ კიდევ აქემენიდურ ხანაში გადაიღეს, რასაც ადასტურებს აქემენიდური და პოსტაქემენიდური ხანის პატერების აღმოჩენის ფაქტები ვანში, დაბლაგომსა და ტახტიძირში (გაგომიძე, 2021, გვ. 122).

საინტერესოა პატერების გავრცელების გზები იბერიაში. ო.ლორთქიფანიძე ფიქრობდა, რომ რადგან იტალიკური იმპორტი არ ჩანს კოლხეთში ამიტომაც არაა სავარაუდებელი მათი გავრცელება ქართლის სამეფოში კოლხეთის ზღვისპირა რომაული სადგომებიდან და რიონი-ყვირილის სავაჭრო მაგისტრალით. მისი აზრით იტალიკური იმპორტი ისევე, როგორც სხვა საქონელი (მონეტები, სამკაული, მინა) ქართლში გზას იკვლევდა სამხრეთის სავაჭრო მაგისტრალით. ეს საქონელი მიჰქონდათ ქართლის სამეფოს დედაქალაქში მცხეთაში, რომელიც სწორედ დიდი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა. მცხეთიდან იმპორტული საქონელი ფართოდ ვრცელდებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 100).

**რკინის ნაწარმი.** გაოცებას იწვევს რკინის ნაწარმის სიმრავლე დედოფლის გორის სასახლეში. ცხადია, რკინისაგანაა დამზადებული სამეურნეო იარაღი (სახნისი, ბარი,

ცული, ხერხი, ეჩო, წალდი, ნამგალი, ცელი, ძალაყინი, სატეხი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის დანები) და საბრძოლო იარაღ-საჭურველი (სატევარი, მახვილი, შუბისა და ისრისპირები, ჯაჭვის პერანგი და აბჯრის ფირფიტები), რკინისაგან არის დამზადებული ჭურჭელიც (კასრი, ჯამები, სხვადასხვა ზომის ჩამჩები), ავეჯიც (მაგიდები, საწოლები), შამფური-ტრიობელონი, შანდლები, ჭაღები, ჭრაქები, კავები, ჯაჭვები, ლურსმნები, კლიტეები, გასაღებები, სამკაული და მრავალი სხვა ნივთი, ყველაფრის ჩამოთვლაც კი ძნელია. რკინის ნივთები, ხშირად, ძალიან დაზიანებულია კოროზიისა და ცეცხლისაგან, რის გამოც, ზოგიერთი ნივთის იდენტიფიკაცია არ ხერხდება (Gagoshidze, 2001, გვ. 272; Gagoshidze, 2008c, გვ. 123-140; Gagoshidze, 2008d, გვ. 141-153). ამ თავში ყურადღებას გავამახვილებ რკინის იმ ნივთებზე (სურ. 45) რომლებიც აღმოჩნდა 1993 წლის მერე და არაა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის.

N23 ოთახის ნანგრევებში და იატაკზე აღმოჩნდა რკინის შრომის იარაღები: ხერხი, თოხი, წერაქვ-ჩაქუჩი.

ხერხი წარმოდგენილია 3 ფრაგმენტით. სიგრძე - 38 სმ, სიგანე - 8 სმ. სატარე ნაწილი არაა შემორჩენილი. დედოფლის გორის ხერხი ცეცხლისგან ძლიერადაა დაზიანებული, მაგრამ კარგად განირჩევა მისი მთავარი ატრიბუტი - კბილები. ბოლოსკენ პირი ოდნავ მომრგვალებულია.

დედოფლის გორის სასახლეში ადრეც აღმოჩენილა ხერხის ფრაგმენტები. N13 ოთახის ნანგრევებში, კარის ღიობთან, იატაკის დონიდან 40 სმ-თი მაღლა გამოვლინდა ორი ფრაგმენტი, რომელთაგან ორივე ერთ ხერხს ეკუთვნის (Gagoshidze, 2008d, გვ. 146, 152; თოდუა, 2005, გვ. 72-75). N13 ოთახის ხერხი ანალოგიურია N23 ხერხისა.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან უდავოდ იყო ცნობილი ლითონის ხერხები. არქეოლოგიურად დადასტურებულია ხერხით გაჭრილი ხე, ძვალი და სხვა. ამიტომაც, გასაკვირია, რომ დედოფლის გორის აღმოჩენები ერთდერთია საქართველოში.

დედოფლის გორის ხერხი მსგავსებას იჩენს რომაულ სამყაროში საკმაოდ გავრცელებულ *serrula* -სთან (White, 1967, გვ. 116-118), რომელიც თანამედროვე ხელის ხერხის მსგავსია.

პლინიუსის მიხედვით დურგლობა დედალოსმა გამოიგონა, და მასთან ერთად ხერხი, ცული, შვეული, ბურღი და წებო. რომის იმპერიაში ხის დამუშავება მაღალ

დონეზე რომ იდგა ამაზე მიუთითებს აღმოჩენილი სხვადასხვა დანიშნულების იარაღები, გამოსახულებები კედლის მხატვრობასა და რელიეფებზე.

ხერხით და ხის დასამუშავებელი სხვადასხვა იარაღებით არიან წარმოდგენილი კაცები მინერვასადმი მიძღვნილ საკურთხეველზე, რომელიც ახლა კაპიტოლიუმის მუზეუმში ინახება რომში. ასევე რომში - „ანიკორიუმ კომუნალეშია“ რელიეფი, რომელზეც გამოსახულია დურგლები ხერხით ხელში, სამფეხა მაგიდის კეთების პროცესში. პომპეიში და ჰერკულანიუმში ვხვდებით კედლის მხატვრობას, რომელზეც წარმოდგენილია კაცები ხერხით ხელში. რკინის ხერხის ფრაგმენტები ნაპოვნია რომაულ ბრიტანეთში - ვერულამიუმში (ჰერთფორდშირი) და ჩესტერფორდში. რამოდენიმე ხერხია დასავლეთ გერმანიაში აღმოჩენილ რკინის განძში, რომელიც ახლა შპეიერის მუზეუმში ინახება.

ქ.წ. პირველ საუკუნეში რომში ძალიან პოპულარული იყო ჩრდილო-დასავლეთ აფრიკიდან მომდინარე ტუიას ხისგან დამზადებული მაგიდები. ამ მოვლენას თავის ნაშრომში პლინიუსი „მაგიდომანიას“ უწოდებს.

დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ხერხები ძალიან გავს პომპეიში და ზემოთ მოხსენებულ ჩესტერფორდის ხერხებს (White, 1967, გვ. 116-118; Liversidge 1976, გვ. 155-161). საინტერესოა კარმირ-ბლურში მიკვლეული გვიანდელი ბრინჯაო-ადრეული რკინის პერიოდის რკინის ხერხი, რომელიც დიდ მსგავსებას იჩენს დედოფლის გორის ცალთან (მიძიგური, 2000, გვ. 293, ტაბ. XLII 3).

დედოფლის გორის ხერხები ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ქართლში მსგავსი ხერხები რომაული სამყაროს გავლენით იქმნება.

N23 ოთახში აღმოჩნდა რკინის იარაღის ფრაგმენტი (ყუა ცილინდრული სატარით და სამუშაო პირის დასაწყისი), რომელიც ძალიან გავს დედოფლის გორის სასახლის N13 ოთახის ცენტრში აღმოჩენილ თოხს.

თოხი ერთერთი უძველესი სამიწათმოქმედო იარაღია. საქართველოში მეტალის (ბრინჯაო) თოხები ადრე ბრინჯაოს ხანიდან ჩნდება. თოხი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთერთი განმსაზღვრელი ხელსაწყოა.

კოლხეთის ტერიტორიაზე ქ.წ. მეექვსე-მეშვიდე საუკუნის ძეგლებზე მრავლად ვხვდებით რკინის თოხებს. მაგალითისთვის, მარტო ნიგვზიანის (ლანჩხუთის რაიონი) სამაროვანზე 200 თოხია ნაპოვნი. აღმოსავლეთ საქართველოში რკინის თოხები უფრო

ადრე ჩნდება: ბაკურციხეში აღმოჩენილი ცალები ქ.წ. მეათე-მეცხრე საუკუნეებით თარიღდება. ელინისტურ ხანის დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე აღმოჩენილია რამოდენიმე რკინის თოხი, უფრო ზუსტად კი ეშერასა და ვანში. დასავლეთ საქართველოში რომაული პერიოდის რკინის თოხი გვხვდება მხოლოდ უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ის დასაკრძალავ ინვენტარად გამოიყენებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში რომაული ხანის რკინის თოხი მხოლოდ დედოფლის გორის სასახლეშია ნაპოვნი. თოხს საქართველოში დღევანდლამდე არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობა (Gagoshidze, 2008d, გვ. 143). თოხები და თოხის მსგავსი იარაღები ძალიან იყო გავრცელებული რომაულ სამყაროში და ყველა ტიპს თავისი სახელი ერქვა (sarculum, ligo, marra და სხვ.) (White, 1967, გვ. 36-68).

N 23 ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა 40 სმ სიგრძის ოდნავ მოხრილი რკინის ნივთი. მსგავსი ნივთები (სულ 6 ცალი) ადრეც არის ნაპოვნი დედოფლის გორის სასახლის NN 9, 11 და 12 (4 ცალი) ოთახებში და პუბლიკაციებში მოხსენიებულია, როგორც ცელის პირები, რაც საკმაოდ დამაჯერებელია, რადგან ისინი ძალიან გვანან თანამედროვე ცელის პირებს. N23 ოთახის ცელი განსაკუთრებით იჩენს მსგავსებას N12 ოთახში აღმოჩენილ ცალებთან. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში არ არის ნახსენები ცელთან დაკავშირებული სპეციალური ტერმინი, არც ძველი სომხური ენაში, სადაც სიტყვა *მანგალი* ნიშნავს როგორც ცელს ისე ნამგალს. ლათინურ ენაში, ტერმინ *falx* - ით აღნიშნება რიგი რკინის იარაღებისა მოხრილი პირებით. ი.ჯავახიშვილი ვარაუდობს რომ ქართული ტერმინი *ცელი* საქართველოში შედარებით გვიან გამოჩნდა, მაგრამ არა გვიან ვიდრე მეცხრე საუკუნე, რაც დასტურდება არქეოლოგიური აღმოჩენებითაც: ჯერჯერობით უძველესი ცელი ცნობილია მხოლოდ შუასაუკუნეების ძეგლებიდან. დედოფლის გორის N 11 და N13 ოთახებში ასევე ნაპოვანია 3 ნამგალი (Gagoshidze, 2008d, გვ. 144).

N23 ოთახშივე აღმოჩნდა ჩაქუჩების (წერაქვ-ჩაქუჩი) ფრაგმენტები. ორივე ფრაგმენტს შემორჩენილი აქვს ცილინდრული სატარე ხვრელი.

არმაზციხე-ბაგინეთის ქ.წ. პირველი საუკუნეებით დათარიღებული N2 და N3 სათავსოებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა დედოფლის გორის ანალოგიური ჩაქუჩები და წერაქვ-ჩაქუჩები. ავტორები მას ქვის დასამუშავებელ იარაღებად

მიიჩნევენ. მსგავსი იარაღები დადასტურებულია ეთნოგრაფიულ ყოფაში და მას ბოლო ხანებამდე იყენებდნენ (ნიკოლაიშვილი და სხვ., 2014, გვ. 18-21).

ჩაქუჩი მჭედლისთვის უმთავრეს იარაღს წარმოადგენდა. ჩაქუჩები მრავლადაა აღმოჩენილი რომის იმპერიის მთლიან ტერიტორიაზე (Manning, 1976, გვ. 146-147).

N24 ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამართულია ორ განყოფილებიანი თაღოვანი ლუმელი, რომელსაც წინ სანაცრე ორმო აქვს. ლუმელის გვერდითა კედელზე მიყუდებული იყო გრძელტარიანი სანაცრე მოკლე ზომის ნიჩაბი/აქანდაზი (გაგომიძე, 2018, გვ. 31). ნიჩაბი/აქანდაზი მთლიანადაა შემონახული. აქვს გრებილი ტარი (39 სმ), რომელიც მარყუჭით ბოლოვდება. ნიჩაბი/აქანდაზის პირი ტართან მისი შეერთების ადგილას ჩაღრმავებული და ვიწროა, ქვემო - ასაღები ნაწილი კი ფართო და ბრტყელია. პირის სიგრძე - 19 სმ, პირის მაქს. სიგანე - 17 სმ.

დედოფლის გორის N24 ოთახში აღმოჩენილი ნიჩაბი/აქანდაზის მსგავსი ნივთი აღმოჩენილია სარკინეში, გრძელი მინდვრის ქ.წ. II-I საუკუნეებით დათარიღებულ რკინის სახელოსნოს ნანგრევებში. ა. აფაქიძის აზრით აქ ნაპოვნი რკინისტარიანი ნიჩაბი ქურის გამოსახვეტად უნდა გამოეყენებინათ (აფაქიძე 1963, გვ. 209, ტაბ. LXIII 2). ინგლისში, ნიუსტედში აღმოჩენილია რომაული პერიოდის მჭედლის ნახშირის გამოსაღები ნიჩაბი, რომლის ტარი ისევეა დაგრებილი, როგორც დედოფლის გორის ცალი (განსხვავდება სამუშაო პირის ფორმით) (Manning, 1976, გვ. 143-144).

დედოფლის გორის სასახლის N24 ოთახში აღმოჩენილი ნიჩაბი/აქანდაზი გამოიყენებოდა ლუმელიდან ნაცრის გამოსაღებად და როგორც გათხრებმა გვაჩვენა ლუმელის მარცხევა გარე კედელზე იყო ხოლმე მიყუდებული.

ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იდო რგოლით დაბოლოებული რკინის მოკლე მილები. ანალოგიური ნივთები (10 ც) სახნისთან ერთად აღმოჩნდა დედოფლის გორის N8 ოთახში. ისინი 4.5 სმ განივკვეთის ხის ძელების ბოლოებზე ყოფილა წამოცმული და ორ-ორი მანჭვლით ხისტად დამაგრებული. ამ ნივთების დანიშნულების შესახებ მსჯელობა ძნელია არქეოლოგიური ანალოგიების არარსებობის გამო და მხოლოდ მათი სახნისთან ერთად აღმოჩენის ფაქტი (ერთი სახნისზეც არის მიჟანგული) ი. გაგომიძეს ავარაუდებინებს, რომ ორივე ბოლოში რგოლებით აღჭურვილი ეს ძელები ორი ხარის უღლების ერთმანეთთან დასაკავშირებლად გამოიყენებოდა. XIX-XX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლში

გავრცელებულ მძიმე გუთანში 6-დან 12-მდე უღელი ხარი ებმებოდა და უღლების ერთმანეთთან დასაკავშირებლად ტყავისგან დაწნული ღვედი იხმარებოდა. მაგრამ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ღვედის შემცვლელი სხვა საშუალებაც დასტურდება. ესაა კვანტი - ხის ლატნები, რომლებიც გამოიყენებოდა უღლების გადასაბმელად. ღვედის ნაცვლად ხის კვანტების ხმარება დოკუმენტურად დადასტურებულია XVII-XVIII საუკუნის საქართველოში: ეს სიტყვა განმარტებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშიც (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი) არის დაცული კვანტები. თითოეული კვანტის სიგრძე 110 სმ-ია და მათ ბოლოებში ნახვრეტები აქვთ ერთმანეთთან და უღელტან დასაკავშირებლად; უღელტან ტოველი მეორე კვანტი მაგრდებოდა. ერთი მთლიანი კვანტით ორი უღლის გადაბმა არ შეიძლება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში გაძნელდებოდა გუთნეულის მოზრუნება (მოტრიალება) ხნულის ბოლოში. თუ კი პირველი საუკუნის ქართლშიც კვანტი ასეთივე სიგრძისა იყო, მაშინ გამოდის, რომ დედოფლის გორის N8 ოთახში დაფიქსირებულ სახვნელში სამი უღელი ხარი ყოფილა შებმული: 4 კვანტით სამი უღელი ერთმანეთთან იყო დაკავშირებულ, მეხუთე კვანტით კი პირველი უღელი - სახვნელის ფამფალაკთან. შესაბამისად, N23 ოთახში აღმოჩენილი 2 კვანტი ერთი უღელი ხარისთვის იყო განკუთვნილი. უნდა ითქვას, რომ დედოფლის გორაზე დადასტურებული კვანტები კონსტრუქციულად უფრო სრულყოფილია, ვიდრე XX საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილები: პირველი საუკუნის კვანტებს ორივე ბოლოში რკინის საგანგებო მასრები ჰქონდათ ერთმანეთთან და უღლებთან დასაკავშირებლად, მაშინ როცა მეოცე საუკუნის კვანტები ბოლოებში უბრალოდ გახვრეტილებია და თასმით იბმოდა. ამრიგად, დედოფლის გორის სასახლეში დადასტურდა პირველი საუკუნის სახვნელი, რომელიც ტექნიკური სრულყოფილებით არ ჩამოუვარდება თავისი დროის სხვა სახვნელებს. ეს კი ძველ საქართველოში სოფლის მეურნეობის (მემინდვრეობის) განვითარების მაღალი დონის უდაო მაჩვენებელია. კიდევ მეტი: იმ დროისთვის ესოდენ პროგრესული სახვნელის აღმოჩენის არცერთი სხვა ფაქტი მთელ რომაულ სამყაროში ჩვენთვის ცნობილი არ არის (გაგოშიძე, 2003-2004, გვ. 80-85; Gagoshidze, 2008d, გვ. 141-142).

სასახლის N23 და N24 ოთახების შემავსებელ ნანგრევში აღმოჩნდა რკინის ისრისპირები (გაგოშიძე, 2018, გვ. 30-33). ისრისპირები სამფრთიანია და ბოლოვდება ყუნწით. დედოფლის გორაზე სულ 800-ზე მეტი ისრისპირია ნაპოვნი. ისინი აღმჩენილია ძირითადად ჯგუფებად NN 9, 10, 11, 12 და 13 ოთახებში. ამ ჯგუფებიდან ყველაზე პატარა შეიცავდა 14 ცალს, ყველაზე დიდი კი 249 ერთეულს. ისრები ძირითადათ იდო კაპარჭებში, ერთ შემთხვევაში კი ხის კასრში, რომელიც იდგა N11 ოთახის დასავლეთ კედელთან (161 ცალი). ყველა ისრისპირი (როგორც N23 და N24 ოთახის ცალები) სამფრთიანი და ყუნწიანია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან მხოლოდ ზომებით.

სამფრთიანი, ყუნწიანი ისრები ევრაზიის სტეპებში ჯერ კიდევ ქ.წ. V საუკუნეში ჩნდება. ქ.წ. IV-II საუკუნეებში სავრომატებმა ბრინჯაოს ე.წ. „სკვითური ტიპის“ ისრისპირები ჩაანაცვლეს რკინის ყუნწიანი ისრისპირებით. მის მერე სამფრთიანი, ყუნწიანი რკინის ისრისპირები გახდა თითქმის ერთადერთი ტიპი სავრომატ-სარმატულ სამყაროში. სარმატული ტიპის რკინის ისრისპირები იბერიაში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში გავრცელდა ელინისტური პერიოდის დასასრულს სარამტებისგან, რომლებიც განსახლებულები იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ისინი ფართოდ გავრცელდა ასევე კავკასიის ალბანეთში. სამფრთიანი, ყუნწიანი ისრისპირები მრავლად გვხვდება ელინისტური ხანის სომხეთში: არმავირი, არტაშატი, კარმირ-ბლური და მათი არსებობა გძელდება ქ.შ. პირველ საუკუნეებშიც. მაგრამ, ყველაზე გავრცელებული ის მაინც ქ.წ. II-I საუკუნეებში ჩანს.

საქართველოში სამფრთიანი, ყუნწიანი ისრისპირები ჩნდება ქ.წ. II საუკუნეში და რომაულ პერიოდამდე ის რჩება მთავარ ტიპად. მაგალითად, კლდეეთში აღმჩენილი II საუკუნით დათარიღებულ მხედრის სამარხში აღმოჩნდა ოცამდე მსგავსი ტიპის ისრისპირი. ბიჭვინთაში, რომაულ კასტელუმში ნაპოვანია IV-V საუკუნეების ოცდაათამდე ყუნწიანი ისრისპირი. ისინი აღმოჩენილია არეთვე ურბნისის V საუკუნით დათარიღებულ ფენებში, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ეკუთვნოდა მტერს, რადგან ისინი შერჭობილი იყო ქალაქის თავდაცვით კედელში გარედან.

ელინისტურ და რომაულ პერიოდში იბერიაში უნდა ყოფილიყო რკინის იარაღების და მათ შორის ისრისპირების წარმოება განვითარებული. ამას მოწმობს სარკინეში გათხრილი დიდი ზომის ნაგებობა, რომელიც განისაზღვრა, როგორც სახელოსნო, სადაც ხდებოდა რკინის, სპილენძის, ტყვიისა და ოქროს დნობა და დამუშავება. ზუსტად ამ შენობაში აღმოჩნდა ასობით ყუნწიანი ისრისპირი, რომლებიც შედუღებული იყო ეთმანეთს და ერთ დიდ მასას წარმოადგენდა. სარკინეში შესწავლილი ეს სახელოსნო დედოფლის გორის სასახლია თანადროულია (Gagoshidze, 2008c, გვ. 123-126).

სასახლის N26 ოთახის შემავსებელ ნანგრევში აღმოჩნდა ცეცხლისგან დამწვარი რკინის შუბისპირი. წვერი ფოთლისებურია, მასრა მილისებური, თითქმის წვერის სიგრძე. შუბისპირის სიგრძე - 25.5 სმ, მასრის დიამეტრი - 4 სმ. სასახლეში ადრეც არის ნაპოვნი შუბისპირები (გაგოშიძე, 2019, გვ. 185-189). სასახლის N10 და N11 ოთახის შემავსებელ ნანგრევებში აღმოჩნდა ისეთი ტიპის ორი შუბისპირი როგორც N26 ოთახშია. მსგავსი შუბისპირები დიდი რაოდენობით გვხვდება რომაული პერიოდის დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე: ქ.წ. პირველი საუკუნითაა დათარიღებული ჩხოროწყეში აღმოჩენილი შუბისპირი, 5 შუბისპირი კლდეეთიდან, ბანძისა და ძეგრის შუბისპირები ქ.შ. მეორე საუკუნითაა დათარიღებული; მეორე-მესამე საუკუნითაა დათარიღებული შუბისპირები ჩხარის სამაროვნიდან, ხოლო საჩხერიდან და მოდინახედან მეოთხე საუკუნით. ასეთი ტიპის შუბისპირები აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ რომაულ ხანამდეა ცნობილი. ესენია მაგალიტად შუბისპირები ქ.წ. მეხუთე-მესამე საუკუნეებითაა დათარიღებული სამარხები წინანდალიდან, პატარძელიდან და აბულმუგიდან. N7 (2 ცალი) და N11 ოთახებშია ნაპოვნი შუბისპირები სხვა ტიპისაა. ანალოგიური ნივთებია ცნობილი სარმატული სამარხებიდან და ისინი რუსეთის სტეპებიდან უნდა იყოს შემოსული ქართლში (Gagoshidze, 2008c, გვ. 126-127).

**სამკაული.** დედოფლის გორის სასახლეში მოპოვებული სამკაული, რკინის ნივთებისაგან განსხვავებით, თითქმის მთლიანად იმპორტირებულია (სურ. 46) [დედოფლის გორაზე 1985-1993 წლებში მოპოვებული სამკაული შეისწავლა ნ.გოგიბერიძემ. იხილეთ: (Gogiberidze, 2008, გვ. 165-189)]. ამ კატეგორიას, ეჭვგარეშეა,

ეკუთვნის ეგვიპტური ფაიანსისაგან დამზადებული მძივები და მძივსაკიდები, რომლებიც, მართლაც, ურიცხვი რაოდენობით აღმოჩნდა აქ. საკმარისია ითქვას, რომ მარტო N13 ოთახის შემავსებელ ნანგრევში ამოსული თეთრი, ფირუზისფერი და მურაწითელი ფერის ფაიანსის ცილინდრული ფორმის იოტებით ორი ათლიტრიანი ჭურჭელი გაივსო. ფაიანსის სამკაულის რაოდენობას მათი ფორმების ნაირგვაროვნებაც შეესაბამება (ეგვიპტიდან მომდინარე ნივთების შესახებ ვრცლად ვისაუბრებ ცალკე თავში).

ციხე-დარბაზის N1 ოთახში ოქროს წყვილი სამაჯური აღმოჩნდა. სამაჯური სამი ნაწილისაგან შედგება. ორი მათგანი წარმოადგენს ნახევარკალად მოხრილ და შედუღებულ სამ-სამ ოქროს მილავს, ბოლოებში მანქეტებით, მესამე - თვალბუდეს გრანატის (ალმანდინის) თვლით. ეს ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია შარნირებით (სურ. 46.1).

საქართველოში ამ სამაჯურის ზუსტი ანალოგი არ იძებნება. შუა აზიაში, დაღბერზინ-თეფეზე აღმოჩენილი მსგავსი კონსტრუქციის გვერგვი კი თარიღდება ქ.შ. I საუკუნის მეორე ნახევრით (Pougatchenkova, 1978, გვ. 100,102, ტაბ. 79).

დედოფლის გორაზე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის რამდენიმე ბეჭედი აღმოჩნდა, როგორც თვლებიანი, ისე ფარაკიანიც (დედოფლის გორის სასახლეში 1985-1993 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები და ბულები საგანგებოდ შეისწავლა ქ.ჯავახიშვილმა (Javakhishvili, 2008, გვ. 191-221). მათ შორის, აშკარად გამორჩეულია ვერცხლის ბეჭედი ოვალური ფორმის გრანატის მოზრდილი გემით, რომელზედაც ეგვიპტის დედოფლის, არსინოე II-ის, იდეალიზებული პორტრეტია ამოკვეთილი (მის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ ვრცლად). ელინისტურ ხანას განეკუთვნება რკინის ფარაკიანი ბეჭედიც, ისევე, როგორც 1926 წელს აქ აღმოჩენილი ოქროს თვალდაკარგული ბეჭედი. მაგრამ ბეჭდების უმრავლესობა იმ ფორმისაა, რომლებიც ქ.შ. I ან I – II სს-შია გავრცელებული (Javakhishvili, 2008, გვ. 191-192; Gagoshidze, 2001, გვ. 272).

**ბულები.** ბეჭდებთან დაკავშირებით, შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ბულები, რომლებიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა გორაზე. დედოფლის გორის სასახლეში საბეჭდავების ანაბეჭდიანი თიხის გუნდებით დალუქული ყოფილა ოთახები, კარადები, ყუთები, კოლოფები, თიხის სანოვაგაიანი ჭურჭელი, ტომრები. გვაქვს

რაგბის ბურთის ფორმის შეკიდული ბულაც, რომლითაც, ალბათ, გრაგნილი იყო დაბეჭდილი. ბულებზე შერჩენილია სხვადასხვა საბეჭდავის უამრავი ანაბეჭდი. ანაბეჭდები დატანილია ელინისტური, რომაული და ადგილობრივი საბეჭდავებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკის (N16 სათავსო) გარეთა, ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, კედლის საძირკველში ნაპოვნი ბულა, რომელზეც 10 არამეული ასოსგან შედგენილი წარწერაა აღბეჭდილი (სურ. 47.1) (Gagoshidze, 2001, გვ. 272; Javakhishvili, 2008, გვ. 200; გაგოშიძე და გაგოშიძე, 2025, გვ. 166). N20 საკურთხევლიანი ოთახის კარის ღიობში აღმოჩენილი თიხის ბულა [გაგოშიძე 2015] იმაზე მიუთითებს, რომ სასახლეში ხანძრის გაჩენის დროს ეს ოთახი დალუქული იყო. N26 ოთახის ნანგრევში ნაპოვნი ჭურჭლის პირი თიხით იყო გადალესილი და შემორჩენილი ქონდა საბეჭდავის ანაბეჭდები (გაგოშიძე, 2019, გვ. 188). N27 სათავსოს სამხრეთით, ე.წ. ღია სივრცეში აღმჩნდა თიხის სამი ბულა. ორ მათგანზე მრგვალი ერთზე კი - ოვალური საბეჭდავის ანაბეჭდია შემორჩენილი. ანაბეჭდებზე ჩანს ცხოველების გამოსახულება (სურ. 47.2) (გაგოშიძე დ., 2020, გვ. 235).

**ძვლის ნივთები.** დედოფლის გორის ციხე-დარბაზის მცხოვრებთა ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ძვლის ნივთებს. ძვლისაგან არის გამოთლილი სტილები, სამკაული-საკინძები, მძივები; მცირე ზომის ცილინდრული პიქსიდები; სხვადასხვა ფორმისა და ზომის სადა და ორნამენტირებული ფირფიტები აპლიკაციებისათვის; შედგენილი მშვილდის ნაწილები, მდიდრული კანდელაბრების ელემენტები. ძვლის ფირფიტები, კოლოფები, რომელთა კედლები, ზოგჯერ, შესანიშნავი რელიეფური და კვეთილი სახეებით არის შემკული. სპილოს ძვლისაგან დამზადებული ყველა ნივთი შემოტანილი უნდა იყოს, მაშინ, როცა ირმის რქისგან დამზადებული ნაწარმის ადგილობრივი წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს (ძვლები განსაზღვრა გ.მელაძემ) (Gagoshidze, 2001, გვ. 273).

ძვლის ნაწარმში ერთ-ერთი შესანიშნავი ნივთია სპილოს ძვლის ფირფიტა მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული, რომელზეც გამოსახულია ცხნობილი სცენა „ოდისეადან“: ოდისევსის შეხვედრა სკილასთან. მართკუთხედის ფორმის ფირფიტაზე ცენტრალური ადგილი უჭირავს ურჩხულის ფიგურას, ქალის შიშველი ტორსითა და სამი ძაღლის პროტომით ფეხების ადგილას. ორი ძაღლი ძიძგნის ორ ჩაჩოქილ ყმაწვილს, რომლებიც ფირფიტის ქვედა კუთხეებში არიან გამოსახულნი.

სკილას ზურგს უკან ჩანს ოდისევსის გემი. სკილას მარცხენა ხელში უჭირავს ორთაყვირი (გემის საჭე-ნიჩაბი), მარჯვენა ხელით კი გემის კიჩოდან თმებით ამოჰყავს მესაჭე და აწვდის მას მესამე ძაღლს, რომელიც ფირფიტის მარცხენა ნაპირის გასწვრივ შეყალყულა. ფირფიტის ზედა მარჯვენა კუთხეში ჩანს გემზე მდგარი ოდისევსის მუზარადიანი ფიგურა. ფირფიტა დამტვრეულია და ნაკლული (Knauß, 2008a, გვ. 117-121).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ლულოვანი ძვლისგან გამოთლილი მცირე ზომის ქანდაკების ნაწილი - მამაკაცის თავის გამოსახულება, რომელსაც ამკობს ეგვიპტელი ფარაონების თავსაბურავი - ნემესი (ქანდაკების თავის ახლოსვე აღმოჩნდა სავარაუდოდ ამავე ნივთის სხვა ფრაგმენტები: ლულოვან ძვალზე ამოჭრილი ბუმბულიანი ფრთები და ცხოველის გრძელი ფეხი, ბრჭყალებიანი თათით). ამ ნივთებს სხვა ეგვიპტურ მასალებთან ერთად ცალკე განვიხილავთ.

**აზარტული თამაშები.** 2017 წელს დედოფლის გოროს სასახლის N24 ოთახის გათხრების დროს, ოთახის იატაკზე აღმჩნდა ძვლის რვა ფირფიტა და მასთან დაკავშირებული ცხოველის დანიშნული ფალანგები (სურ. 48.1) (გაგომიძე, 2018, გვ. 32).

ყველა ფირფიტა ორივე მხრიდან საგანგებოდაა გაპრიალებული, ექვსის ცალ პირზე კი სხვადასხვა გამოსახულებაც ამოუკვეთავთ. გრავირებული ნახატის გარეშე მხოლოდ 2 ფირფიტაა დატოვებული. მეტნაკლები სისრულით გადარჩა სულ ოთხი ცალი ფირფიტა, დანარჩენი ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. ყველა მათგანს ეტყობა ცეცხლის ზემოქმედების კვალი.

მთლიანად შემორჩენილი ფირფიტები ორნაირი ფორმისაა - მრგვალი და გვერდებმომრგვალებული ოთხკუთხედის, რომელთა გვერდები დაკბილულია. გრავირებულ ფირფიტებზე წარმოდგენილია სხვადასხვა სიუჟეტი.

მთლიანად შემორჩენილ ფირფიტებიდან ორ ცალია გრავირებული: პირველი მრგვალი ფორმისაა და ზემოდამ გამოსახულია უმხედრო, გაჭენებული ცხენი, რომელსაც ტანი დაწინწკლული აქვს. ფირფიტას არშიაზე, ნაპირის გასწვრივ შემოუყვება წრე, რომლის შიგნით (წრესა და ნაპირს შორის) მთელს სიგრძეზე

შემოიყვება სამკუთხედების მწკრივი, რომელთა შიგა სივრცეში ნაკაწრი ხაზებია. მეორე მომრგვალებული ოთკუთხაა, ცეცხლის ზეოქმედების შედეგად დამსკდარია ზედაპირი და შეუძლებელია გამოსახულების გარჩევა (მარჯვენა ნაწილში თითქმის მთლიან ფართობზე ჩანს ნაკაწრები, შესაძლოა ეს იყოს ფანტასტიკური ფრინველი).

დანარჩენი გრავირებული ფირფიტები ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. წრიული ფორმისა უნდა ყოფილიყო ერთი ცალი, რომელზეც ამოკაწრულია ცხენის თავი. ცხენს აღვირი უკეთია, ფაფარი ირიბული ხაზებით ააქვს წარმოდგენილი. ისე როგორც ზემოთ აღწერილ ცხენის გამოსახულებიან ფირფიტას, ამ ცალსაც კიდევ შემოუყვება სამკუთხედების როგო. როგორც ჩანს ამ ცხენზე მხედარი უნდა მჯდარიყო. ასევე კიდევ სამკუთხედებითაა შემკული ერთი ფრაგმენტი, რომელზეც კარგად ჩანს ქორბუდა ირმის რქები და წინა ტანი მორბენალ პოზაში გამოსახული კიდურებით. სავარაუდოთ ირემი მონადირეს უნდა გაურბოდეს, როგორც ეს ადრე აღმოჩენილ ცალებზეა. ერთ-ერთ ფირფიტის ფრაგმენტზე ამოკაწრულია სავარაუდოდ ფანტასტიკური ფრინველის თავი პროფილში. კარგად შეიმჩნევა მოგრებილი ნისკარტი, ყური და ნაკაწრი ხაზებით შემკობილი რქა (?). ფანტასტიკურ ფრინველს ასევე ნაკაწრი ხაზებით შევსებული საყელური უკეთია. საყელურიდან კისრის ქვემოთ ჩამოდის ორი პარალელური ხაზი, რომლის შიდა ნაწილი, როგორც ზემოთ, გაფორმებულია ნაკაწრი ხაზებით. სავარაუდოდ ფანტასტიკური ცხოველი უნდა იყოს გრავირებული ერთ ერთ ფრაგმენტზე. შემორჩენილია მხოლოდ ბუმბულბით შემკობილი მკერდი და სამ-სამი ბრჭყალით დაბოლოებული წინა კიდურები.

დედოფლის გორის სასახლეში მსგავსი ტიპის ფირფიტები ადრეც აღმოჩენილა (სურ. 48.2). NN 1, 3, 12 და 13 სათავსოში სულ გამოვლინდა 55 ფირფიტა რომელთაგანაც 39 გრავირებულია, 7 ზე კი არამეული წარწერაა. ისინი შესრულებულია არამეული დამწერლობის იმ სახეობით, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ანტიკური ხანის საქართველოში და რომელსაც არმაზის ბილინგვის დემიფირირების შემდეგ, ჩვეულებრივ, არმაზულ დამწერლობას უწოდებდნენ ხოლმე (გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ 61-61; Gagoshidze, 2008b, გვ. 91). ადრე აღმჩენილი ფირფიტებისგან განსხვავებით 2017 წლის ცალებზე არამეული წარწერები არ დასტურდება.

8 ფირფიტა ერთად ეყარა N1 სათავსის იატაკზე, აღმოსავლეთ ნაწილში (Gagoshidze, 2008b, გვ. 107). N3 სათავსოში, მის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან (კარიბჭე, N1 ოთახის სამხრეთ-დასავლეთით) 20x20x10 ზომის ხის კოლოფში ეწყო 20 ცალი ფირფიტა. ხის კოლოფი დაბეჭდილი იყო ოთხი ბულით. ბულები ნახევარსფერული მოყვანილობისაა და ოთხივეზე ერთი და იგივე საბეჭდავის ანაბეჭდია შერჩენილი: კიბორჩხალა და მის ზემოთ ჭიაყელა (Javakhishvili, 2008, გვ. 200, 218; გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 50). N1 სათავსოში აღმოჩენილი ფირფიტებიც, შესაძლებელია, კოლოფში ეწყო, მაგრამ დაბეჭდვით ამაზე მსჯელობა ძნელია (გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 50-51). გრაფიკული ნახატი ფირფიტებზე შესრულებულია მეტად წვრილი და მახვილი სამუშაოპირიანი იარაღით, ალბათ, ფოლადის ნემსით, და როგორც წესი, მთლიანად ავსებს ფირფიტის ზედაპირს.

ზოგ ფირფიტაზე თითო ფიგურაა გამოსახული, უმეტესად, ფანტასტიკური ცხოველი (ფრთოსანი ცხენი, გრიფონი, ცხოველი, რომელსაც წინა ფეხებზე ჩლიქები აქვს, უკანაზე - კლანჭები და სხვ.), ზოგზე - მრავალფიგურიანი კომპოზიცია (მშვილდოსანი ან ხელშუბოსანი მხედრის ნადირობა ღორებზე, ირმებზე, ნიამორებზე, ქურციკებზე; შუბით შეიარაღებული ფეხოსნის ნადირობა), ერთ ფირფიტაზე ფანტასტიკური შინაარსის სცენაა ამოკვეთილი: არწივზე ამხედრებული დემონი, რომელსაც მარცხენა ხელში გურზი უპყრია, გრძელი შუბით კლავს გველეშაპს.

N12 და N13 ოთახებში ნაპოვნ ზოგიერთ ფირფიტაზე ამოკვეთილი საკმაოდ პრიმიტიული ნახატი მომხიბვლელია აღქმის უშუალოებით, მაშინ როცა, N1 და N3 ოთახების ფირფიტების გრაფიკული ნახატის მოქნილი, მეტყველი ხაზი ააშკარავებს გამოცდილი პროფესიონალი გრაფიკორის ხელს, რომელიც სრულყოფილად ფლობს მასალას. ექსპრესიული ხაზი, გაწონასწორებული კომპოზიცია და სიცოცხლით სავსე ფიგურები იმას მოწმობს, რომ ეს პროფესიონალი ხელოსანი ნიჭიერი მხატვარიც იყო. მარჯვენა პროფილში გამოსახული მხედრები თავისუფლად სხედან ცხენებზე, კისერთან ახლოს. მუხლებში ოდნავ მოხრილი ფეხების ტერფები უზანგების გარეშე ცხენის მუცელქვეშ არის გაჭიმული. მხედრებს მაღალი, სწორი ცხვირი, თვალის ფართო ჭრილი. ხუჭუჭა თმა და მოკლე წვერ-ულვაში აქვთ, თავზე ხურავთ ფაფანაკის მაგვარი პატარა ქუდი, ტანთ აცვიათ გრძელსახელოიანი კვართი და

მოკლესახელოიანი წელში გამოყვანილი, კალთიანი, წინ გახსნილი გრძელი კაბა, წელზე სარტყლით.

მხედრების ტიპაჟით და ცალკეული იკონოგრაფიული დეტალებით დედოფლის გორის ფირფიტების მხატვრობა თვალსაჩინოდ განსხვავდება ანტიკური ხანის აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების, დაახლოებით, იმავე დროის მხატვრობისაგან. ასე, მაგალითად, ქ.წ. I საუკუნის სპილოს ძვლის ფირფიტაზე მშვილდოსანი ბაქტრიელები გამოსახულნი არიან გრძელი ულვაშებით, წვერგაპარსულნი და კეფასთან შეკრული სწორი თმით, უთავსაბურაოდ. პართულ მხატვრობაში ცხენოსანი მშვილდოსნები, როგორც წესი, ფრონტალურად არიან გამოსახულნი და თანაც, როგორც წესი – წვერგაპარსულნი. განსხვავებულია ცხენის ტიპიც: დედოფლის გორის ფირფიტებზე მომცრო ტანის მძიმე კონსტრუქციის ცხენებია გამოსახული, მაშინ, როცა ბაქტრიელები და პართელები სხედან ტანმაღალ, გრძელფეხა, გრძელკისერა და მომცროთავიან ახალთექურ ცხენებზე.

ორივე შემთხვევაში ფირფიტებს ახლდა ჩლიქოსანი ცხოველის, უმეტეს შემთხვევაში ღორის ფალანგები: პირველ ჯგუფთან სულ 42 ფალანგა იყო, მეორესთან – 165. ზოგიერთი ფალანგა დანიშნულია სხვადასხვა ადგილას დატანილი თითო ან რამოდენიმე ჭდით, ჭდეებითაა და ამოკვეთილი ჯვრით, თითო ან ორ-ორი ნახვრეტით, რომლებიც ფალანგის სხვადასხვა სიბრტყეშია გაბურღული. 18 ცალი ფირფიტა აღმოჩნდა N12 ოთახის სამხრეთ ნაწილში, იატაკიდან 40-50 სმ მაღლა, კედლის ნანგრევებში. მასთან ერთად იყო ჩლიქოსანი ცხოველის 160 ფალანგა. ასევე, ნანგრევებში, იატაკიდან 40-50 სმ მაღლა ეყარა N13 ოთახის ცენტრში 9 ცალი ძვლის ფირფიტა და ღორის ორი ფალანგა (Gagoshidze, 2008b, გვ. 107-109).

მიუხედავად იმისა, რომ სასახლის სხვადასხვა ოთახში აღმოჩენილი ფირფიტები პრაქტიკულად იდენტურია ზომებითაც (საშუალო სიგრძე 44 მმ-ია, სიგანე - 41 მმ, სისქე - 3 მმ.) და გრავირებულ გამოსახულებათა სტილიტაც, სავარაუდოა, რომ აქ ფირფიტების ხუთ სხვადასხვა დასტასთან გვექონდეს საქმე. ფირფიტები ხშირი და ხანგრძლივი ხმარებსგან ძლიერ გაცვეთილია. ერთ-ერთი ფირფიტა ძველადვე გასტეხიათ და შეუკოწიწებიათ (დაუმოქლონებიათ) სპილენძის ორი წყვილი საკერებლით (გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 51-52; Gagoshidze, 2008b, გვ. 91).

სასახლის NN 1, 3, 12 და 13 სათავსოში აღმოჩენილი ფირფიტები ერთი მასალისგან - ირმის რქისგან არის გაკეთებული (გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 51). რადგანაც N24 ოთახში აღმოჩენილი ფირფიტები იდენტურია ზემოდაღნიშნულ ოთახებში აღმოჩენილი ცალებისა, სავარაუდოდ ესენიც ირმის რქისგან უნდა იყოს დამზადებული.

ი. გაგოშიძის აზრით, რომელმაც მეცნიერულად შეისწავლა დედოფლის გორის NN 1, 3, 12 და 13 ოთახებში აღმოჩენილი ფირფიტები და მათთან დაკავშირებული ფალანგები, საქმე უნდა გქვონდეს სათამაშო ან სამკითხაო კომპლექტთან. თამაში და მკითხაობა კი მუდამ იყო და არის ერთმანეთთან დაკავშირებული (გაგოშიძე, წოწელია 1991: 52). ამგვარ ინტერპრეტაციას ასევე მხარს უჭერს ერთ-ერთ ფირფიტაზე ამოკაწრული არამეული წარწერა, რომელიც ქართულად შემდეგნაირად ითარგმნება: „არის ბნელი და დამანგრეველი (საბედისწერო) ეს ცხენი. ნადავლი (მოგება) ერთი არის“ (Gagoshidze, 2008b, გვ. 92; გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 66-67).

ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ტიპის თამაშები, მათ შორის აზარტულიც: კოჭაობა, ზარი, შაში, ნარდი და მისთანანი, რომელთა გამოგონებას ჰეროდოტე ლიდიელებს მიაწერს. თამაშები თანაბრად პოპულარული იყო როგორც დაბალ, ისე მაღალ სოციალურ წრეებში და კამათელის გაგორებას რომის იმპერატორებიც არ თავილობდნენ. თავისთავად ცხადია, რომ ძველი საქართველო ვერ დარჩებოდა ამ საერთო-საკაცობრიო ფერხულის გარეშე, მით უმეტეს, რომ ამგვარი მტკიცებისათვის ფაქტიური მონაცემებიც გაგვაჩნია, თუდაც ასტრაგალების - სათამაშოდ გამზადებული, ზოგჯერ გახეხილი და გახვრეტილი კოჭების - სახით, რომლებიც ხშირად გვხვდება კულტურულ ფენებში თუ სამარხებში. დედოფლის გორის სასახლეში, სხვათა შორის, ირმის რქისგან გამოთლილი, უკანა გეხებზე ჩაცუქებული ძაღლის ფორმის სათამაშო ფიგურა - კოჭიც - აღმოჩნდა, რაც, როგორც ჩანს, გამოდგება იმის ნივთიერ საბუთად, რომ ჩვენში, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე გავრცელებული ყოფილა ზარზე და კოჭაობაზე უფრო რთული, შაშის, ნარდისა და ჭადრაკის მსგავსი თამაშებიც. არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე რანგის თამაშისთვის ყოფილიყო განკუთვნილი დედოფლის გორის ფირფიტებიც. მაგრამ ფირფიტები და ფალანგები ისე საგულდაგულოდ იყო შენახული

ოთხი ბულით დაბეჭდილ ყუთში, და როგორც ჩანს, ისე დიდად აფასებდნენ მათ თავის დროზე, რომ საფიქრებელია მათ ძირითადათ მაინც არა სათამაშოდ, არამედ სამკითხაოდ იყენებდნენ.

ფირფიტების სამკითხაო-სათამაშო, ე.ი. საკულტო დანიშნულებით უნდა აიხნას ის გარემოებაც, რომ ქართლის ტერიტორიაზე ამ ტიპის ფირფიტების აღმოჩენის ცნობილი ექვსი შემთხვევიდან, სამჯერ ისინი სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენენ (გაგომიძე და წოწელია, 1991, გვ. 52-53).

1938 წელს, 6 ცალი ასეთი ფირფიტა აღმოჩნდა მცხეთაში, სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბნის N63 კრამიტსამარხში, რომელიც იმავე სამარხში აღმოჩენილი ტიბერიუსის (14-37 წწ) და სხვა დანარჩენი ინვენტარის (ყელწიბოიანი დოქები, მინიატურული სანელსაცხებლები, ბეჭდები, მძივები) მიხედვით I საუკუნით თარიღდება. ძვლის ფირფიტები ფორმითაც და ზომითაც დედოფლის გორის ფირფიტების მსგავსია და სამ მათგანზე გრავირებული გრავირებული გამოსახულების კვალიც შეიმჩნევა. გამოსახულებები გამთხრელთა ყურადღების გარეშე დარჩა, რადგანაც ფირფიტები ისეა გამოფიტული, რომ გრავირების კვალის შემჩნევა მხოლოდ საგანგებო დაკვირვებით შეიძლება. აღსანიშნავია, რომ ფირფიტებთან ერთად სამარხში ყოფილა ცხვრის 21 კოჭი. მ. ივაშჩენკოს ვარაუდით, ფირფიტები ძაფის დასახვევად უნდა გამოეყენებინათ. უფლისციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1964 წელს შიდა ქალაქში, წინაფეოდალური ხანის კულტურულ ფენაში იპოვა ერთი ცალი ასეთივე ფორმისა და ზომის სადა ფირფიტა, ხოლო 1968 წელს ბამბების N10 სამარხში აღმოაჩინა ძვლის ასეთივე, ოდნავ უფრო მომცრო 5 ცალი ფირფიტა, რომელთაგანაც ორზე ცხოველია გამოსახული - ერთზე ტახი, მეორეზე მელია და ბატი. დანარჩენი სამი ფირფიტა სადაა. როგორც წინა შემთხვევებში ამ ფირფიტებთან ერთად ამავე სამარხში იყო ცხვრის, ღორის, ჯეირნისა და ირმის 165 ცალი ფალანგა და ცხვრის 5 ცალი კოჭი. ზოგიერთ ფალანგას სავსებით ისეთივე ნახვრეტები აქვს, როგორც დედოფლის გორის სასახლეში ნაპოვნ ფალანგებს. ბამბების N10 სამარხი საგანგებოდ შეისწავლა და გამოსცა დ. ხახუტაიშვილმა. სამარხს ავტორი აკუთვნებს მხატვარ-გრავიორს და ათარიღებს ქ.წ. IV საუკუნით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზემოდაღნიშნულ სამარხში ფირფიტებთან ერთად აღმოჩენილი თიხის

შავპრიალა ცალყურა კოჭობი და ქუსლიანი ჯამი ანალოგიურია დედოფლის გორის სასახლის მასალისა და არ შეიძლება იყოს ქ.წ. I საუკუნის დასასრულზე უფრო ძველი.

ძვლის ექვსი ცალი მინიატურული ფირფიტა, სავსებით იმავე ფორმის, როგორც დედოფლის გორის ცალები, ოღონდ ოთხჯერ უფრო მცირე ზომისა და თანაც გახვრეტილები, აღმოჩნდა ნასტაგისის სამაროვნის N2 სამარხში, რომელიც I საუკუნით თარიღდება. ექვსივე ფირფიტაზე რაღაც გამოსახულება ყოფილა ამოკვეთილი. ნასტაგისშივე აღმოჩენილ სავსებით ასეთივე ორ ფირფიტაზე გამოსახულებები უკვე გაირჩევა. ერთზე ამოკვეთილია ბავშვური ნახატისმაგვარი ადამიანის პირისახე, მეორეზე - რაღაც ცხოველი, მარცხნივ მიმართული. კიდევ ორი, უფრო დიდი ზომის ძვლის ფირფიტა აღმოჩნდა ნასტაგისშივე, I საუკუნის მასალით შევსებულ ორმოში. ერთ-ერთი ფირფიტა ოთხკუთხაა და მის გაპრიალებულ ზედაპირზე უხეშად კვადრატია ამოფხაჭნილი. მეორე ფირფიტა კი ჩვეულებრივი ფორმისაა და ზედ ამოკვეთილია ფანტასტიკური ცხენის გამოსახულება. წერტილებით შევსებული, კუდაწეული, ნისკარტისებურდრუნჩიანი ცხენი, ზურგზე რტოსებური რქით, მარცხნივ მოძრაობს. ფირფიტის უკანა მხარეზე ასოსმაგვარი ორი ნიშანია ამოკაწრული. ამრიგად, როგორც დავინახეთ ძველ ქართლში ეს მაგიური ფირფიტები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, რაც კიდევ ერთი მოწმობაა მათი საგანგებო მნიშვნელობისა.

საქართველოს გარეთაც რამოდენიმე პუნქტში არის ნაპოვნი გრავირებული ფირფიტები. უზბეკეთში, ანტიკური სოლდიანას ტერიტორიაზე, ნაქალაქარ კურგან-თეფეს მახლობლად გათხრილ N2 ყორღანში (ქ.წ. I - ქ.შ. I საუკუნეები) აღმოჩნდა ძვლის ხუთი გრავირებული ფირფიტა. ორ უფრო მოზრდილ ფირფიტაზე მხედართა ნადირობისა და მხედარტა და ფეხოსანთა ბრძოლის სცენებია გრავირებული, მცირე ზომის ფირფიტებზე კი ორი შუბოსნის ბრძოლა, წყვილი აქლემის ჭიდილი და სვავი. გრავირებულ გამოსახულებებიანი და წარწერებიანი ძვლის მცირე ზომის ოთხკუთხა ფირფიტები ცნობილია ანტიკური ხანის დასავლური ძეგლებიდანაც, კერძოდ ოლბიიდან. იქ მათი დანიშნულება გარკვეული არ არის, თუმცა ბერძნული წარწერების დალოცვითი და მაგიური ხასიათი ფუნქციურად აახლოებს მათ დედოფლის გორის

ფირფიტებთან. ოლბიური ფირფიტები ქ.წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება (გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 52-54; Gagoshidze, 2008b, გვ. 92-93).

**მონეტები.** დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩნდა 18 მონეტა (მონეტები განსაზღვრა მ.შეროზიამ), რომელთა ემისიის თარიღები არ ეწინააღმდეგება დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსისა და დედოფლის გორის ციხე-დარბაზის არსებობის ქრონოლოგიას - ქ.წ. II - ქ.შ. I სს.

ჯერ კიდევ 1926 წელს ლ.ტიტვინიძემ დედოფლის გორაზე გათხრების დროს იპოვა რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი რომში ქ.წ. 67 წ. (დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში წიგნი A კოლექცია NN124-146) (Дундуа, 1987, გვ. 146, N20).

1986 წელს სასახლის ეზოში, N1 ოთახის სამხრეთით აღმოჩნდა ქ.წ. II ს. ლისიმაქეს სახელით ბიზანტიონში მოჭრილი სტატერი, ხოლო 2005 წელს N16 სათავსოში (ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი) - ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ადგილობრივი მინაბაძი (სურ. 49.1) (შეროზია, 2009, გვ. 61-71). ორივე მონეტა ხანძრით დაზიანებულია.

N20 ოთახის საკურთხეველზე აღმოჩნდა მინის ჭურჭელში ჩაყრილი 15 მონეტა: ავგუსტუსის 13 დენარი და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის 2 ადგილობრივი ქართული ოქროს მინაბაძი (სურ. 49.2) (გაგოშიძე, 2015, გვ. 125).

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ავგუსტუსის დენარები მოჭრილი უნდა იყოს გალიის (ლუგდუნუმი/ლიონი) ზარაფხანაში ქ.წ. 2-ქ.შ. 4 წლებში. მონეტის შუბლზე გამოსახულია კეისრის მარჯვენა პროფილი, რომლის გარშემო შესაფერისი ლათინური ზედწერილია იუწყება კეისრის სახელსა და ტიტულს; ზურგზე კეისრის შვილობილები გაიუსი და ლუციუსი პირდაპირ დგანან და ფარებსა და შუბებს ეყდნობიან. გამოსახულების ირგვლივ შესაბამისი ლათინური ზედწერილია. ავგუსტუსის დენარები იბერიის ფულადი მეურნეობის საფუძველია I-II საუკუნეებში. ის მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ამ მონეტების ემისია, როგორც ვარაუდობენ წარმოებდა ძალიან ფართო მასშტაბებით და ისინი განსაკუთრებით ინტენსიურობით ვრცელდებოდა იმპერიის პერიფერიებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ავგუსტუს დენარების ასეთი პოპულარობა იმითაა ახსნილი, რომ ნერონის მიერ 64 წელს ჩატარებული რეფორმის შემდეგ, რომაული

დენარის წონა შემცირდა და სინჯი გაუარესდა. ამის გამო “ბარბაროსული” პერიფერია მათ აღარ ლეზულობდა, ამიტომ პროვინციებში დიდი რაოდენობით გადიოდა ავგუსტუსის დენარები. ამიერკავკასიაში მათი შემოსვლის გზა კარგად აქვს მოხაზული კ.გოლენკოს. მისი აზრით, ვინაიდან ეს მონეტები პრაქტიკულად არ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, უნდა გამოირიცხოს მათი შემოსვლის საზღვაო გზა. როგორც კ.გოლენკო ვარაუდობს, ავგუსტუსის დენარები საქართველოში შემოდიოდა არა უშუალოდ იმპერიის ფარგლებიდან, არამედ პერიფერიიდან, სამხრეთიდან, ევფრატის ზემო წელიდან. თავისი მაღალი რეპუტაციის გამო, ავგუსტუსის დენარები საკმაოდ ხანგრძლივი დროსი განმავლობაში მიმოიქცეოდა იბერიის ფარგლებში. სამარხეული კომპლექსების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ I საუკუნის დასაწყისიდან III საუკუნის შუა ხანებამდე იბერიის ეკონომიკაში ავგუსტუსის დენარების წამყვანი როლი სრულებით უდავოა (დუნდუა და დუნდუა, 2006, გვ. 122-126; კაპანაძე, 1969, გვ. 43-44).

აღმოსავლეთ საქართველოში ორმოცამდე ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ქართული ოქროს მინაბადია ნაპოვნი. მათი ზოგადი აღწერილობა ასეთია: შუბლი – მარჯვნივ მიმართული ქალღმერთი ათენას სქემატური პროფილი. სახის ნაკვეთები გადმოცემულია მკვეთრი, გაბედული შტრიხებით (დროთა განმავლობაში გამოსახულება თადათან მახინჯდება). ზურგი – ფრთოსანი ნიკეს სქემატური გამოსახულება პირდაპირ. ფრთები ფართოდ გაშლილ-ჩამოყრილი აქვს, პირობითადაა გადმოცემული, მაგრამ ისე, რომ არავითარ ეჭვს არ ტოვებს, თუ რისი გამოსახვა სურდა ხელოსანს. ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტების იმიტაციები აღმოჩენილია კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და მათი ემისიის ქრონოლოგიური დიაპაზონი ქ.წ. I – ქ.შ. I საუკუნეებია (დუნდუა და დუნდუა, 2006, გვ. 69-72; Sherozia, 2008, გვ. 237).

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ცნობილია გარკვეული სამონეტო ჯგუფი – ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების მინაბადები. თავდაპირველად ამ მონეტებს „ბარბაროსულ მინაბადებს“ უწოდებდნენ, შემდეგ „კავკასიურ მინაბადებად“ სცნეს. მაგრამ მათი წარმოშობა მაინც გაურკვეველი იყო და მთელი რიგი საკითხები ღიად რჩებოდა (კაპანაძე, 1969, გვ. 32). იმთავითვე იყო ტენდენცია ეს მონეტები კავკასიის

ტერიტორიისათვის დაეკავშირებინათ, მაგრამ სულ მალე ეს მოსაზრება უარყოფილ იქნა სხვა სპეციალისტების მიერ და მის სანაცვლოდ წამოყენებული იყო მათი ცენტრალურაზიური ან ევროპული წარმოშობის ჰიპოთეზა. შემდეგში ე. პახომოვი და ა. ზოგრაფი გადაჭრით გამოვიდნენ ამ მონეტების კავკასიის ტერიტორიისათვის მიკუთვნების სასარგებლოდ. ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძს „კოლხეთის ოქროს მონეტები“ უწოდა, ხოლო აკად. სიმონ ჯანაშიას რედაქციით გამოსულ ერთ-ერთ კატალოგური ხასიათის ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო მინაბაძებისათვის ასეთი კვალიფიკაციაა მიცემული: „კოლხური სტატერი, ლისიმაქეს სტატერის მინაბაძი“. შემდგომი კვლევები ამა ოქროს მონეტებისა უშუალოდ დაკავშირებულია დ. კაპანაძის სახელთან, რომელმაც საბოლოოდ დაადასტურა მათი წარმოშობის ქართული ხასიათი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მინაბაძების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ არის გადაჭრილი. მაგალითად, სრულებით გაუგებარია ვინ ჭრის მათ, სახელმწიფო ხელისუფლება თუ სხვა რომელიმე ორგანო, ან კერძო პირი, ვისი კომპეტენციაა მათი ემისია და ა. შ. (დუნდუა და დუნდუა, 2006, 69).

### **3.1. ეგვიპტური ნაწარმი დედოფლის გორის სასახლეში**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა დედოფლის გორის სასახლის მონაპოვარი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერიის) ურთიერთობას გარესამყაროსთან, უპირველეს ყოვლისა ელინისტურ სახელმწიფოებთან და რომის იმპერიასთან, როგორც მეტროპოლიასთან ისე მის აღმოსავლეთ პროვინციებთან. დედოფლის გორის სასახლეში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაში გამოსარჩევია ეგვიპტური ნივთები.

1986 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს დედოფლის გორის სასახლის N1 ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და კარის ზღურბლთან სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვან სამკაულს შორის დადასტურდა ეგვიპტური პასტის (ფაიანსის) ფიგურული საკიდები სკარაბეის, კუს, ბუზების, ყურძნის მტევნებისა და სხვა გამოსახულებებით. ამგვარი ნივთები უძველესი ხანიდანაა ცნობილი და ფართოდაა გავრცელებული მთელს ანტიკურ სამყაროში. ფაიანსის ფიგურული საკუდების

დამზადების ტრადიცია, მკლევართა აზრით, დინასტიამდელი პერიოდიდან მომდინარეობს. მათ შორს საკმაოდ თავისებურად გამოიყურება ანტიკური ხანის ნაკეთობანი. ადრეული ნიმუშებისგან ისინი საგრძნობლად განსხვავდება მთელი რიგი ნიშნებით, როგორც ტექნოლოგიის (ნაკლები მინისებურება, შეფერილობა, ზოგჯერ უფრო დეტალური დამუშავება), ისე სტილის მხრივ. მკლევართა აზრით, ქ.წ. მეექვსე საუკუნეში მათი ძირითადი მწარმოებელი ნავკრატისი (ეგვიპტე) იყო. ცნობილია აგრეთვე ცენტრები, სადაც ამ ნივთების მინაბამები მზადდებოდა (ესპანეთი). ფ. პეტრმა ნავკრატისში გათხარა სახელოსნო, რომელშიც მზადდებოდა საკიდები ბესის, ლომების, სკარაბეების გამოსახულებით. ქ.წ. მეექვსე საუკუნეში ნავკრატისი წყვეტს თავის არსებობას. ქ.წ. მესამე საუკუნედან შავიზღვისპირეთში კვლავ იჩენს თავს ფაიანსის საკიდების ცალკეული ნიმუშები, ხოლო ქ.წ. პირველი - ქ.შ. მეორე საუკუნეები ამ ნივთების ფართოდ გავრცელების ხანადაა მიჩნეული. რაც შეეხება ეგვიპტური ამულეტების ქართლის სამეფოში შემოსვლის გზებს, არსებობს აზრი, რომ ეგვიპტური ფაიანსის გავრცელებაში მთავარ როლს ასრულებდა სინოპე და სწორედ აქედან ხდებოდა მათი ექსპორტირება როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, საიდანაც ისინი ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიაში, ისე საქართველოს შავიზღვისპირეთის გზით ამიერკავკასიაში. ნ. გოგიბერიძის აზრით ამ მხრივ საყურადღებოდ გამოიყურება ის ფაქტი რომ დედოფლის გორაზე ეგვიპტური ფაიანსის ამულეტები ნაპოვნია მძივებთან ერთად, რომელთაგანაც ზოგიერთს არ ეძებნება ანალოგები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. ამიტომ უნდა გამოირიცხოს ჩრდილოეთისა და საზღვაო მარშრუტები, მით უფრო რომ ეგვიპტური ამულეტები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში არ ჩანს. ნ. გოგიბერიძე ფიქრობს, რომ ეგვიპტური საკიდ-ამულეტები დედოფლის გორაზე შემოტანილია ქ.შ. I საუკუნეში სახმელეთო გზით უმალოდ ეგვიპტიდან, სირიის გავლით. მსგავსი ტიპის საკიდ-ამულეტები ასევე აღმოჩენილია საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში (გოგიბერიძე, 1999, გვ. 106-114).

ეგვიპტური სახელოსნოების ნაწარმადაა მიჩნეული დედოფლის გორის სასახლის N1, N11, N12 და N13 ოთახების ნანგრევებში აღმოჩენილი მინისა და ფაიანსის მძივები. ამ რიგის ნივთები ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალებში ე. ალექსეევა სამ ქრონოლოგიურ ჯგუფს

გამოჰყოფს. პირველი ჯგუფი, ადრეული, მოიცავს ქ.წ. მეექვსე-მეხუთე საუკუნეებს; მეორე - ქ.წ. მეოთხე-მეორე საუკუნეებს; გვიანი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ქ.შ. პირველ-მესამე საუკუნეებს. დედოფლის გორის ფაიანსის მძივები დიდ მსგავსებას ავლენს სწორედ გვიანი ჯგუფის მასალებთან, რომელთა შემოსვლა ეგვიპტიდან იქ იწყება ქ.წ. II ს-დან და განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ქ.შ. I საუკუნეში. ქ.შ. მეორე საუკუნიდან მათი რაოდენობა კლებულობს, მესამე საუკუნეში კიდევ უფრო მცირდება, მეოთხე საუკუნეში კი იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება. დედოფლის გორაზე ფაიანსის მძივები დაფიქსირებულია როგორც დამოუკიდებელი ასხმების, ისე ასხმაში შემავალი ელემენტების სახით, რიგ შემთხვევაში ეგვიპტური ფაიანსის ამულეტებთან ერთად და, შესაბამისად, მათი იბერიაში შემოღწევის გზები ერთმანეთს ემთხვევა. დედოფლის გორის ფაიანსის მძივები ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ძირითადად ეს გეომეტრიული ფორმებია, თუმცა გვხვდება კოპებით შემკული და დაღარული მძვებიც (გოგიბერიძე, 2003-2004, გვ. 95-101).

დედოფლის გორის სასახლეში დიდი რაოდენობითაა მიკვლეული პოლიქრომული მინის მძივები. ისინი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და აქ ძალიან იშვიათია ორი ერთნაირი ეგზემპლარიც კი. მძივების შემკულობაში გამოვლინდა ორნამენტის რამდენიმე სახეობა: ფესტონებიანი, ფრთისებრი, ტალღოვანი, სპირალური, სიგრძივ დაზოლილი, განივად დაზოლილი, რვიანისებური და თვალედი ორნამენტები. პოლიქრომული მძივების წარმოების ცენტრები სადრეისოდ დადგენილი არ არის. მინის წარმოების ტრადიციული ცენტრი ეგვიპტე იყო, კერძოდ კი - ალექსანდრია, თუმცა, ეგვიპტური ტექნოლოგიები ქ.წ. პირველი საუკუნისთვის უკვე ცნობილია სირიისა და იტალიის ხელოსნებისთვის. ნ. გოგიბერიძის მიერ მასალაზე ჩატარებულმა ანალიზებმა აჩვენა, რომ დედოფლის გორაზე აღმოჩენილი პოლიქრომიული მინის მძივების ქრონოლოგიური დიაპაზონი მერყეობს ქ.წ. მეორე - ქ.შ. მეოთხე საუკუნეების ფარგლებში. აქედან ქ.შ. მეოთხე საუკუნის პარალელები მომდინარეობს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან. ადგილობრივი პარალელების თარიღი ძირითადად ქ.წ. მეორე - ქ.შ. მეორე საუკუნეების დიაპაზონში მერყეობს და ყველა ტიპის თანხვედრის ხანაა ქ.შ. პირველი საუკუნე. ნ. გოგიბერიძის მიერ გამოყოფილი პოლიქრომიული მინის მძივების 21 ტიპიდან ხუთს არ ეძებნება

ანალოგიები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რაც ისევ, როგორც ეგვიპტური ფაიანსის ამულეტების შემთხვევაში, მათი სამხრეთული მარშრუტებით შემოსვლის სასარგებლოდ მეტყველებს. დედოფლის გორის სასახლეში პოლიქრომული მინის მძივების უდიდესი ნაწილი აღმოჩნდა N1 ოთახში. რამოდენიმე ცალი გვხვდება 1926 წელს ლ. ტიტვინიძის მიერ გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებში, რომელიც დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (გოგიბერიძე, 2003-2004a, გვ. 102-109).

ქ.წ. I - ქ.შ. I საუკუნეების პერიოდის ქართლის სამეფოსა და ელინისტურ ეგვიპტეს შორის ურთიერთობის კვლევისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეგვიპტის მმართველი გვარის პტოლემეაიოსების წარმომადგენლების გამოსახულებიანი ნივთების აღმოჩენის ფაქტები.

დედოფლის გორის სასახლის N1 ოთახის ზღურბლზე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ იპოვა ვერცხლის ბეჭედი გრანატის ინტალიოთი (სურ. 50.1). ინტალიო ოვალურია, პირი ამობურცული აქვს, ზურგი - ბტყელი; გამოსახულია ახალგაზრდა ქალის ბიუსტი პროფილში. კვეთა ზედაპირულია, მაგრამ მკაფიო, დახვეწილი და ოსტატური. ქალს თავს უმშვენებს მაღალი ფრონტონისებური დიადემა, შემკული ტეხილი ხაზებით. დიადემის ქვევით, შუბლის გარშემო შემოუყვება მწყობრად დალაგებული წყება კულულებისა, რომელთაგან ერთი - მოკლე - განცალკევებულად ყურთან არის ჩამოშვებული. დიადემის ზევით ოდნავ ტალღოვანი თნა უკან აქვს გადავარცხნილი; მძიმე ქსოვილის ვუალი, რომელიც ტავის უკანა მხარეს უფარავს, საქოჩრიდან კისრამდე რბილ, მძიმე ნაკეცებად ეშვება; ვუალის ქსოვილის ქვეშ კეფაზე დიდი ზომის შინიონის კონტურები იხაზება; მანდილოსნის კისერზე ქიტონის კიდე შეიმჩნევა. განსაკუთრებული ოსტატობით არის გადმოცემული მანდილოსნის სახე, მშვენიერი პროფილი, შუბლისა და ცხვირის კლასიკური ხაზით, სწორი, ბოლოში ოდნავ წაგრძელებული ცხვირი, პატარა ლამაზი ტუჩები (ქვედა ზედასთან შედარებით ოდნავ შიგნით შეწეული) და მომრგვალებული ბოლოში, ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი; როგორც ფონი, ისე გამოსახულება გაპრიალებულია. მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშია, რამდენადმე განზოგადებული სახე ენერგიული, ამაყი მანდილოსნისა, რომელიც უდავოდ სამეფო წრეს უნდა ეკუთვნოდეს, რასაც

ადასტურებს მისი დიადემა. სტილისტური ნიშნების მიხედვით გემა ელინისტური ხანის მონეტებზე გამოსახულ პორტრეტებთან შედარებისას ნათელი ხდება, რომ გემაზე პტოლემაიოსების რომელიღაცა დედოფალი უნდა იყოს წარმოდგენილი. ცნობილია, რომ საერთოდ ელინისტური პორტრეტები რამდენადმე განზოგადებულია და იდეალიზებული. თუმცა მათ შორის არის ისეთებიც, რომელშიც პორტრეტულობის გარკვეულ ნიშნებს ატარებს, მაგრამ არა ყოველთვის ისე ცხადად, რომ შესაძლებელი იყოს მათი ზუსტი იდენტიფიკაცია. ამიტომ ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თმის ვარცხნილობას, თავსაბურავს და სხვა დეტალებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება დადგენა არა მხოლოდ პორტრეტის ეპოქისა, არამედ პიროვნებისაც. სამეფო წრის პერსონათა პორტრეტების დასადგენად ფასდაუდებელია მონეტათა ავერსებზე წარმოდგენილი გამოსახულებები. დედოფლის გორის გემაზე გამოსახული მანდილოსნის მსგავსად თავზე მოხვეული ვუალი მონეტების ავერსებზე გამოსახულ პტოლემაიოსების სამ დედოფალს აქვს: არსინოა II-ს და არსინოა III-ს. არსინოა III იმთავითვე გამოირიცხა, რადგან მას სრულიად განსხვავებული თმის ვარცხნილობა, შუბლისა და ცხვირს შორის ძალიან დამახასიათებელი ჩაღრმავება და კეხიანი ცხვირი აქვს.

დედოფლის გორის გემაზე გამოსახული ქალი ყველა ნიშნით ძალიან გავს ეგვიპტის დედოფლის არსინოე II-ის მონეტებზე გამოსახულ პორტრეტებს, ამიტომაც ქ.ჯავახიშვილის ფიქრობს რომ დედოფლის გორის გრანატის გემაზე ეგვიპტის დედოფალი არსინოე II არის გამოსახული. არსინოა II, უფროსი შვილი ბერენიკა I და პტოლემაიოს I სოტერისა, დაიბადა ქ.წ. 316 წლის ახლოს. რიგი თავ გადასავლების შემდეგ ქ.წ. 279-274 წლებს შორის უკვე დაახლოებით 40 წლის ასაკში იქორწინა თავის ძმასთან, პტოლემაიოს მეორესთან. არსინოა იყო ამაყი, პატივმოყვარე ქალი, რომელიც აქტიურად ერეოდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში და ფაქტიურად თვითონ მართავდა სამეფოს. მისი ტიტული ფილადელფოს (ძმისმოყვარული) შემდგომში გადავიდა მის ძმაზეც. გემა შექმნილი უნდა იყოს ქ.წ. 270 წლის შემდეგ, როდესაც არსინოე II გარდაიცვალა და მის სახელზე დაწესდა პომპეზური კულტი. ამავე დროს დაიწყო მონეტების მოჭრა მისი გამოსახულებით. მსგავსება დედოფლის გორის გემასა და მონეტებზე გამოსახულ არსინოა მეორის პორტრეტებს შორის იმდენად დიდია, რომ სავარაუდოა ისინი ერთი მოდელის მიხედვით შეიქმნა, ან უბრალოდ ქვის

მჭრელმა ნიმუშად არსინოა მეორის სამონეტო პორტრეტი გამოიყენა. ბეჭედი, რომელშიც გემა იყო ჩასმული, ვერცხლის ფურცლისგან არის დამზადებული; განიერი რკალი შიგნიდან ბრტყელია - გარედან ამობურცული, მხარეებისაკენ ფართოვდება და დიდი ზომის მაღალ, ოდნავ პირგადაშლილ ოვალურ თვალბუდეში გადადის. ბეჭდის ფორმა ტიპურია ქ.წ. III საუკუნისთვის.

ასევე დედოფლის გორის სასახლის N1 ოთახშია აღმოჩენილი მოვარდისფრო-რუხად გამომწვარი თიხის ბრტყელი ნაჭერი, ზურგის მხრიდან სქელი დაგრებილი კანაფის კვალით; ხუთი საბეჭდავის ანაბეჭდით; აქედან ორი - დიდი ზომისაა, ერთიდაიგივე საბეჭდავის. გამოსახულია შუახნის მანდილოსნის ბიუსტი პროფილში. ბიუსტი მხარს ქვევით ქვის ოვალით არის შემოფარგლული. ორივე ანაბეჭდი დაზიანებულია, მაგრამ ისინი ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს, რის გამოც შესაძლებელი ხდება მანდილოსნის გარეგნობის ნაწილობრივ აღდგენა. ინტალიო ოვალური უნდა ყოფილიყო, ამობურცული პირით; გამოსახულება არა რის ღრმად ამოჭრილი, მაგრამ მკაფიოა; მანდილოსანს ლამაზი მოყვანილობის ამაყად აწეული თავი აქვს; თავის გარშემო ჩახვეული, პლასტიკურად გამოსახული, უკან გადავარცხნილი ტალღოვანი თმა, რომელიც კისერზე პატარა ჩახვეული შინიონით მტავრდება. ინტალიო უდავოდ მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ანაბეჭდის ფორმა და ზომა, გამოსახულების საელტო იერი, სტილი, მანდილოსნის თმის ვარცხნილობა ქ. ჯავახიშვილს ავარაუდნებინებს, რომ ანაბეჭდის დედანი, ელინისტური გლიპტიკის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს და მასზე გამოსახული უნდა იყოს გარკვეული პიროვნების პორტრეტი. კერძოდ, მანდილოსნის თმისვარცხნილობა ძალიან ჰგავს ეგვიპტის დედოფალ არსინოა III ვარცხნილობას მონეტებზე და გემებზე წარმოდგენილ მის პორტრეტებზე. არსინოე III (ქ.წ. 217-205/204), შვილი პტოლემეაიოს ვერგეტისა და ბერენიკა II-სი, იყო და და მეუღლე პტოლემეაიოს IV ფილოპატორისა. პტოლემეაიოს V ეპიფანეს დროს ქ.წ. მესამე საუკუნის სულ ბოილოს მოხდა არსინოე მესამის გაღმერთება და ამავე ხანაში ქ.წ. 204-203 წლებში გაჩნდა მონეტები მისი გამოსახულებებით. ცნობილია ქვის რამდენიმე ინტალიო, არსინია მესამის პორტრეტული გამოსახულებით, სადაც დედოფალი დიადემით არის წარმოდგენილი. ამათგან დედოფლის გორის ბულის პორტრეტული გამოსახულება, როგორც ტიპოლოგიურად, ისე მანდილოსნის ასაკითაც ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ

გრანატის ინტალიოს გამოსახულებებთან პოულობს დიდ მსგავსებას. დედოფლის გორის თიხის ბულა, არსინოე III-ის (ქ.წ. 246-204) პორტრეტისანი გემის ანაბეჭდით დათარღებულია ქ.წ. III ს-ის ბოლოთი (ჯავახიშვილი, 2003, გვ. 77-81; Javakhishvili, 2008, გვ. 192-193, 201,219].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დედოფლის გორაზე მიკვლეული ერთი ნივთი, რომელსაც დეტალურად განვიხილავ ქვემოთ.

2017 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს სასახლის N24 ოთახის შემავსებელ ნანგრევში აღმოჩნდა ლულოვანი ძვლისგან გამოთლილი მცირე ზომის ქანდაკების ნაწილი (სიმაღლე 2.5 სმ; სიგანე 1 სმ) - მამაკაცის თავის გამოსახულება, რომელსაც ამკობს ეგვიპტელი ფარაონების თავსაბურავი – ნემესი (გაგოშიძე, 2018, გვ. 30-33). ქანდაკების თავის ახლოსვე აღმოჩნდა, სავარაუდოდ, ამავე ნივთის სხვა ფრაგმენტები. ესაა ასევე ლულოვან ძვალზე ამოჭრილი ბუმბულიანი ფრთები და ცხოველის გრძელი ფეხი, ბრჭყალებიანი თათით. ფრაგმენტების უმრავლესობა ჩადუღებულია ქვისა და ალიზის გაწიდებულ მასაში და ვერ ხერხდება მათი გამოცალკევება. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო მცირე ზომის, ადამიანის თავიანი სფინქსის გამოსახულება. ზოგადად სფინქსის ქანდაკებებს ტანი ლომის, ფრთები ფრინველის და თავი ადამიანის აქვს (სურ. 50.2). როგორც წესი, სფინქსის ქანდაკებების თავები წარმოდგენილი იყო ცნობილი მეფეების სახეებით. მაგალითად, გიგანტურ სფინქსს გიზადან ფარაონ ხეფრენის სახე აქვს.

დედოფლის გორის ქანდაკების თავს წარმოადგენს ახალგაზრდა უწვერული მამაკაცი, რომლის სახე ფაქიზად და დიდი ოსტატობით არის შესრულებული. ყმაწვილს ოვალური სახე, რამდენადმე წინ წამოწეული წარბის ძვალი, მორკალული ქუთუთოები და ფართოდ გახელილი თვალები აქვს. ცხვირი სწორია, განიერი ნესტოებით. ყმაწვილის ღაწვები სავსეა, ლოყები ოდნავ გამობერილი და ბრტყელი. პატარა ბაგეები შებერილი აქვს, ნიკაპი კი მომრგვალებული და გამოწეული. თავსაბურავი დაზიანებულია, თუმცა კარგადაა შერჩენილი შუბლსაკრავი და ვერტიკალური ზოლები, რომლითაც შემკული იყო ნემესი.

დედოფლის გორის მამაკაცის პორტრეტი ძალიან გავს ათენის აგორაზე აღმოჩენილ თასების ძირზე რელიეფურად გამოსახული მამაკაცის თავებს (2 ც.). სუსან

როტროფი ათენურ გამოსახულებებს ადარებს პტოლემაიოს I-ის გამოსახულებას მისივე მოჭრილ მონეტაზე, ასევე ელინისტური პერიოდის ვერცხლის მედალიონებიდან აღებულ თაბაშირის სხმულებს, რომლებიც ითვლება პტოლემაიოს I-ის გამოსახულებათ და ასკვნის, რომ ათენურ თასებზე გამოსახული მამაკაცი უნდა იყოს პტოლემაიოსების ეგვიპტის პირველი მეფე - პტოლემაიოს I სოტერი (Retroff, 1988, გვ. 516-523).

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი მამაკაცის თავის გამოსახულებას, მსგავსად ათენურისა, შებერილი ბრტყელი ლოყები, მძიმე წარბები, პატარა შებერილი ბაგეები და მრგვალი ოდნავ გამოწეული ნიკაპი აქვს. მძიმე წარბებით, თვალის ფორმით და ნიკაპით ჩვენი ქანდაკება ემსგავსება პტოლემაიოს I-ის გამოსახულებას მონეტაზე, რომლის მოჭრა მან დაიწყო ქ.წ. 305/304 წლებში. პარარელის გავლება შეიძლება ასევე ზემოთ ნახსენებ ვერცხლის მედალიონებიდან აღებული თაბაშირის სხმულებზე, რომლებზეც პტოლემაიოს I არის გამოსახული (Rubensohn, 1911, გვ. 44-45).

ეს პორტრეტები ცალკეული დეტალებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ მთლიანობაში მათი ურთიერთმსგავსება უქვევლია. დედოფლის გორის და ათენის აგორის მამაკაცის გამოსახულებებს შორის ის განსხვავებაა, რომ დედოფლის გორის მამაკაცის ქანდაკების თავს, როგორც ზემოთ ითქვა, ამკობს ფარაონის თავსაბურავი (ნემესი), მაშინ როცა ათენურს მაკედონიური თავსაბურავი - კაუსია ხურავს (Retroff, 1988, გვ. 518).

პტოლემაიოსების სამეფო ოჯახის წევრების გამოსახულებებზე ხშირად ვხვდებით ეგვიპტელი ფარაონების ატრიბუტებს, განსაკუთრებით კი თავსაბურავს - ნემესს. ამითი ისინი ბამავდნენ ეგვიპტელ ფარაონებს, მისდევდნენ მათ ტრადიციებს, აღმერთებდნენ საკუთარ მეფეებს, როგორც ეგვიპტელები, გამოხატავდნენ დიდ პატივისცემას მათ მიმართ და თავს მიიჩნევდნენ მათ მემკვიდრეებად (Haggag, 2014, გვ. 75-78; Шахермаир, 1986, გვ. 355; Свенцицкая, 1982, გვ. 326).

ბრიტანეთის მუზეუმის გამოფენაზე გამოტანილია პტოლემაიოს I-ის ბაზალტის ბიუსტი, რომელზეც მეფე წარმოდგენილია ეგვიპტურ თავსაბურავში. მეფის პორტრეტი იდეალიზებულია და ძალიან გავს ძველი ეგვიპტის ფარაონების გამოსახულებებს (ბრიტანეთის მუზეუმი ინვენტარის N1641). კრაკოვის მუზეუმში

დაცული ბაზალტის ქვაში ამოკვეთილი მამაკაცის თავის გამოსახულება ფარაონების თავსაბურავით, აღიარებულია, როგორც პტოლემეაიოსების სამეფო ოჯახის ერთერთი წარმომადგენელი (Budzanowski, 2001, გვ. 53-58).

ბრიტანეთის მუზეუმიდან ცნობილია პტოლემეაიოს II ფილადელფოსის ბიუსტი ნემესით (Haggag, 2014, გვ. 76-77). პტოლემეაიოს II უნდა იყოს ასევე გამოსახული სტრასბურგის უნივერსიტეტში და ტურინის მუზეუმში დაცულ მამაკაცის ბიუსტებზე, რომლებთაც ასევე ამშვენებს ფარაონის თავსაბურავი (Mysliwiec, 1973, გვ. 42-50). ალექსანდრიის ბერძნულ-რომაულ მუზეუმში ინახება პტოლემეაიოს VI-ის გრანიტის კოლოსალური თავი, რომელსაც ბერძნული სტილის სახე და თმები აქვს, თავს კი ეგვიპტელი ფარაონების თავსაბურავი - ნემესი ამკობს (Stanwick, 2004, გვ. 402).

დედოფლის გორის სფინქსის ქანდაკება მაღალმხატვრული ოსტატობით არის შესრულებული და ელინისტური პერიოდის მცირეპლასტიკის შესანიშნავი ნიმუშია. ვფიქრობ, სფინქსის თავი წარმოადგენს პტოლემეაიოსების ეგვიპტის პირველი მეფის პტოლემეაიოს I სოტერის გამოსახულებას. ქანდაკება გაკეთებული უნდა იყოს ეგვიპტეში ქ.წ. 282 წლის მერე, როდესაც გარდაცვლილი მამა პტოლემეაიოს II ფილადელფოსმა ღმერთად შერაცხა და მისი კულტის თაყვანისცემა დააწესა (Rotroff, 1988, გვ. 520; Свенцицкая, 1982, გვ. 331). ზოგადად, პტოლემეაიოსების მეფეების პორტრეტები ორგვარი ტიპისაა: ბერძნული - რეალისტური და ეგვიპტური - იდეალიზებული (Mysliwiec, 1973, გვ. 42). ჩვენი ქანდაკების სახე რეალისტურია, მაგრამ თავზე ეგვიპტური ნემესი ახურავს.

სფინქსების ქანდაკებები პტოლემეაიოსების პერიოდშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პტოლემეაიოს VI ფილომეტორის (ქ.წ. 181/180-145) დროს არის გაკეთებული ორი კოლოსალური სფინქსის ქანდაკება ფარაონის თავით, რომლებიც აღმართული იყო ალექსანდრიაში სერაპისისადმი მიძღვნილ ტაძარში (Bothmer, 1960, გვ. 147, ტაბ. 284-285; Stanwick, 2004, გვ. 407, ტაბ. 15-16).

პტოლემეაიოსების პერიოდის დიდი ზომის გრანიტის სფინქსის თავია ნაპოვნია ძველი ეგვიპტის საზღვაო ქალაქ კანოპუსში (Stanwick, 2004, გვ. 407, ტაბ. 17). მილანის არქეოლოგიურ მუზეუმიც დაცული კირქვის სფინქსის თავი ფაიუმიდან, რომელზეც გამოსახული უნდა იყოს პტოლემეაიოსების დინასტიის რომელიღაც წარმომადგენელი.

ფაიუმშივეა იმ სიტუაციის შემორჩენილი სფინქსის ქანდაკება ფარაონის თავით და ლომის ტანით (Stanwick, 2004, გვ. 406, ტაბ. 11-12). ვერცხლის ადამიანის ზომის სფინქსია ცნობილი ქ.წ. I ს-ის დენდერის ტაძრის განძიდან. სფინქსის თავს ამკობს გრძელი, ზოლიანი ნემესი (ამჟამად ინახება კაიროს მუზეუმში) (Stanwick, 2004, გვ. 415, ტაბ. 31).

ქ.წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე აშენებული დედოფლის გორის სასახლიდან, რომელიც ქ.წ. I ს-ის ბოლოს დაინგრა, უფრო ადრეული ნივთების აღმოჩენის ფაქტები გასაკვირი არ არის. ზემოთ ნახსენები, არსინოე II-ის გამოსახულებიანი გემისა და არსინოე III-ის გამოსახულებიანი თიხის ბულის გარდა აქ ნაპოვნია ქ.წ. II ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული ფულკრუმი N12 ოთახიდან (Löhr, 2008, გვ. 157-158, 162) და ლისიმაქეს ოქროს სტატერი, რომელიც მოჭრილია ბიზანტიუმში, ქ.წ. II ს-ის დასაწყისში (Sherozia, 2008, გვ. 242).

ცნობილია, რომ მეორე ტრიუმვირატის (ქ.წ. 43 წ.) წევრებს შორის ტერიტორიების გადანაწილებისას მარკუს ანტონიუსს აღმოსავლეთი პროვინციები ერგო. ორი წელი მან ეგვიპტეში დედოფალ კლეოპატრას კარზე გაატარა და მოგვიანებით (ქ.წ. 37 წ.) ცოლადაც შეირთო. როდესაც მარკუს ანტონიუსი პართელებთან საბრძოლველად ემზადებოდა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახდა სამხრეთ კავკასიის სამეფოების მხარდაჭერა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამის მიღწევა მშვიდობიანი გზით შეუძლებელი იყო. ანტონიუსმა ქართლში გაგზავნა თავისი სარდალი პუბლიუს კანიდიუს კრასუსი. ქ.წ. 36 წელს კრასუსმა დაამარცხა ქართლის მეფე ფარნავაზ II და დაიყოლია მოკავშირეობაზე. როგორც დიონ კასიუსი აღნიშნავს, ამ კავშირით მარკუს ანტონიუსი ამაყოფდა (Меликишвили, 1959, გვ. 336).

ამდენად, ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ნივთები, რომლებზეც წარმოდგენილია პტოლემეების ეგვიპტის სამეფო პორტრეტები საქართველოში მოხვდა მარკუს ანტონიუსის მიერ ქართლის მეფე ფარნავაზ II-სთან გამოგზავნილ დიპლომატიურ საჩუქრებთან ერთად (ამავე საჩუქრების კონტექსტში დასახელებულია პტოლემეოს V ეპიფანეს პორტრეტიანი ინტალიო ალმანდინის ოქროს ბეჭედში ზღუდერის სამაროვნის N3 ხის სარკოფაგიდან (ჯავახიშვილი, 2003, გვ. 81-83; Javakhishvili, 2008, გვ. 193), რადგან სწორედ მას ჰქონდა მჭიდრო კავშირი პტოლემეოსების კართან. პტოლემეოსების კარზე კი მიღებული იყო დაახლოებულ

პირთა, პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა დასაჩუქრება მეფეთა და დედოფალთა პორტრეტის ბეჭდებით (ჯავახიშვილი, 2003, გვ. 75-76; Javakhishvili, 2008, გვ. 194-195).

ვფიქრობ, ძვლისგან გამოთლილი პტოლემეოს I-ის თავიანი სფინქსიც, რომელიც სავარაუდოდ ავეჯის დეტალს წარმოადგენდა, ქართლში ამ ნივთებთან ერთად უნდა მოხვედრილიყო. ამიტომაც, ქართლის იბერიის მეფეთა ერთერთ რეზიდენციაში, როგორც იყო დედოფლის გორის სასახლე მისი აღმოჩენა არ უნდა იყოს გასაკვირი (Gagoshidze, 2021, გვ. 211-219; გაგოშიძე, 2023, გვ. 162-170).

**პალეობოტანიკური მასალა.** დედოფლის გორის სასახლეში გათხრებით მოპოვებული პალეობოტანიკური მასალის კვლევამაც (ნ.რუსიშვილი, იხ. Rusishvili, 2008, გვ. 273–275) ფრიად საყურადღებო შედეგები მოგვცა. გამოვლინდა კულტურულ მცენარეთა დიდი მრავალფეროვნება. აღმოჩენილია საღვინე ჯიშის ყურძენი (*Vitis vinifera* L), ორნაირი – მრგვალი და მოგრძო ფორმის კაკალი (*Juglans regia* L), შვინდი (*Cornus mas* L), ჭანჭური (*Prunus* sp.), ხახვი (*Alcum cepa* L), პარკოსნებიდან – ბარდა (*Pisum sativum* L), მარცვლოვანი კულტურებიდან კი – რბილი ხორბალი (*Triticum aestivum* L), ასლი (*Triticum dicoccum* Shrauk), კილიანმარცვლიანი ექვსმწკრივა ქერი (*Hordeum vulgare* v.*hexastichon* L.), ფეტვი (*Panicum miliaceum* L), ჭვავი (*Secale segetale*) და სორგო (*Sorghum bicolor*). აფრიკული წარმოშობის გვალვაგამძლე და სითბოს მოყვარე მარცვლოვანი კულტურის – სორგოს აღმოჩენა, რაც პირველი შემთხვევაა საქართველოს არქეოლოგიაში, მეტყველებს იმაზე, რომ პირველი საუკუნის საქართველოში დღევანდელზე უფრო მშრალი და თბილი კლიმატი ყოფილა. ხშირ გვალვიანობაზე მეტყველებს ისიც, რომ დედოფლის გორაზე დადასტურდა ხორბლისა და ქერის შერეული თესვა. კვლევის დროს იდენტიფიცირებული სარეველების სახეობების ანალიზი ადასტურებს, რომ მიწა ინტენსიურად ირწყვებოდა (Rusishvili, 2008, გვ. 273–275).

დედოფლის გორის სასახლის არქეოლოგიურმა გათხრებმა ჩვენი ქვეყნის წარსული ბევრ, მანამდე უცნობ საკითხს მოჰყვინა ნათელი. გათხრების ყოველი ახალი სეზონი მოულოდნელობებით იყო სავსე. დედოფლის სასახლის კვლევა გრძელდება და იმედია, ის არაერთხელ გაგვაკვირვებს.

## თავი IV

### დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი არამეული წარწერები და წინაქრისტიანულ საქართველოში დამწერლობის გავრცელების საკითხები

დედოფლის გორის სასახლის N26 ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკში ჩადგმული იყო ორი ქვევრი, რომელთა პირები სასახლის ნგრევის შედეგად შიგნით იყო ჩალეწილი. ერთ-ერთი ქვევრის პირზე ამოკაწრულია 3 არამეული ასონიშანი - *gha* (?). სასახლის ომავე ოთახში, ცენტრალურ ნაწილში ნანგრევებში აღმოჩნდა დოქის ყურის ფრაგმენტი, რომელზეც წარმოდგენილია ოთხი არამეული ასონიშანი - *ynbh*. დოქის ყურით თუ ვიმსჯელებთ იგი ტიპურია ქ.წ. პირველი - ქ.შ. პირველი საუკუნის ქართლისთვის (სურ. 51.1) (გაგომიძე, 2019, გვ. 185-189).

დედოფლის გორაზე ადრეც არის აღმოჩენილი არამეული წარწერები: N1 და N3 სათავსოებში ნაპოვნია ირმის რქისაგან გამოთლილი მცირე ზომის, მეტ-ნაკლებად კარგად გადარჩენილი 25 სათამაშო-სამკითხაო ფირფიტა, შვიდ მათგანზე წარწერებია ამოკვეთილი (სურ. 51.2). შვიდივე ამ წარწერის ასო-ნიშნების მონახაზები ტრანსლიტერაციითურთ და ერთი, ყველაზე ვრცელი, წარწერის თარგმანიც 1991 წელს გამოაქვეყნა ი. გაგომიძემ და მ.წოწელიამ. მონაცემთა მთელი მთელი კომპლექსის გათვალისწინებით ი. გაგომიძე და მ. წოწელია მივიდნენ იმ აზრამდე რომ ყველაზე უფრო რეალური ვარაუდი ამ ფირფიტების დანიშნულების შესახებ არის ის, რომ ესენი არის სათამაშო და სამკითხაო კომპლექტი. ძვლის ასეთვე სათამაშო-სამკითხველო ფირფიტები სასახლის N12 სათავსოშიც აღმოჩნდა. მათგან სამზე გრაფიკულ გამოსახულებასთან ერთად არამეული წარწერებიცაა ამოკაწრული (გაგომიძე და წოწელია, 1991, გვ. 47-78). დედოფლის გორის სასახლეში სხვა არამეოგრაფიკული წარწერებიც აღმოჩნდა. N9 ოთახის წინ მდებარე მარანში არსებული ოთხი ქვევრიდან სამის პირზე ამოკვეთილია წარწერები (სურ. 51.3). ერთ-ერთი ქვევრის წარწერა წაიკითხა კ.წერეთელმა - *'agny* (ჩემი საღვინე ქვევრი) (Tsereteli, 1993, გვ. 85-88). განსაკუთრებით საყურადღებოა N16 სათავსოს (კომკის) გარე კედლის პირას ნაპოვნი თიხის ბულა, რომელზეც შემორჩენილია არამეულწარწერიანი საბეჭდავის ანაბეჭდი.

ბულა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (სურ. 51.4) (საინვენტარო N გ.ფ. 1725) (გაგომიძე და გაგომიძე, 2025, გვ. 166).

საქართველოში მიკვლეულ არამეული დამწერლობის ნიმუშებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე აღმოჩენილი ვრცელი ლაპიდარულ წარწერები - ორენოვანი ბერძნულ-არამეული ეპიტაფია, ე.წ. არმაზის ბილინგვა, და არამეულწარწერიანი ე.წ. შარაგასის სტელა (არმაზის მონოლინგვას) - ავთენტიკურ წერილობით წყაროები, რომლებიც ასე აკლდათ ქართული სახელმწიფოს ადრეული ისტორიის მკვლევრებს (აფაქიძე და სხვ, გვ. 1955).

არამეული წარწერები ადრეც იყო ნაპოვნი საქართველოში: 1877 წელს სტეფანწმინდაში, არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩნდა ვერცხლის ომფალოსიანი ფიალა, რომელზეც არამეული წარწერაა ამოკვეთილი. ფიალა ქ.წ. 500 წლის მახლობელი ხანით თარიღდება, წარწერა კი კლასიკური, ე.წ. საკანცელარიო არამეულით არის შესრულებული (Смирнов, 1909, ტაბ. 13). 1902 წელს, მიწის სამუშაოების დროს, სოფელ ბორში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) ნაპოვნ ვერცხლის თასზე ამოკვეთილია არამეოგრაფიკული წარწერა (Придик, 1914, გვ. 94-110). წარწერის წაკითხვა მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გიორგი წერეთელმა არმაზის ბილინგვის ბერძნული ტექსტის დახმარებით გაშიფრა ბილინგვის არამეოგრაფიკული ტექსტი და გაარკვია, რომ საქმე გვაქვს არამეული დამწერლობის თავისებურ სახეობასთან, რომელსაც გ.წერეთელმა მისი პირველად აღმოჩენის ადგილის მიხედვით „არმაზული დამწერლობა“ უწოდა. გ.წერეთლის 1941 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში, რომელიც ეძღვნება არმაზის ბილინგვას, წარმოდგენილია ერთენოვანი წარწერის (მონოლინგვის) პირველი სამი სტირქონის თარგმანიც (Церетели, 1941; Борисов, 1947, გვ. 8-11).

დედოფლის გორის სასახლეში ნაპოვნი წარწერებიც შესრულებული უნდა იყოს არმაზული დამწერლობით.

არმაზის მონოლინგვისა და ბილინგვის გარდა, არმაზისხევაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად სხვა არამეოგრაფიკული წარწერებიც აღმოჩნდა. რამდენიმე, სავარაუდოდ, არამეული გრაფემაა ამოკვეთილი არმაზის პიტიახშთა სამაროვნის III

საუკუნის N3 სარკოფაგში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარზე (აფაქიძე და სხვ., 1955, გვ. 52-54). II საუკუნით თარიღდება N6 სარკოფაგში აღმოჩენილი 8 ოქროს ფირფიტა, რომლებზეც ამოკვეთილია სავარაუდოდ, აპოტროფეული ხასიათის წარწერები [აფაქიძე და სხვ. 1955: 71]. ოთხი არამელი ასო-ნიშანია ამოკაწრული IV საუკუნის ოქროს ბეჭედზე (N42 სამარხი), რომელთაც გ.წერეთელი კითხულობს, როგორც „ადად“ (აფაქიძე და სხვ., 1955, გვ. 118). განსაკუთრებით საყურადღებოა IV საუკუნის N43 სამარხში აღმოჩენილი ოქროს წყვილ სამაჯურზე ამოკაწრული წარწერები. გ.წერეთელი მიიჩნევს, რომ ორივე სამაჯურზე მიძღვნილი ხასიათის იდენტური წარწერებია. თითოეული ეს სამაჯური ფერადი ქვებით შემკული ცამეტი ელემენტისგან შედგება, რომელთა ქვედა მხარეზე რამდენიმე (2-6) ასო-ნიშანი იკითხება (აფაქიძე და სხვ., 1955, გვ. 119-120; Церетели, 1948, გვ. 94, სურ. 3).

არმაზისხევის აღმოჩენებს მოჰყვა 1946 წელს ბაგინეთში (ბაგინთი, არმაზციხე) - ქართლის მეფეთა რეზიდენციის არქეოლოგიური გათხრების შედეგად არმაზული დამწერლობით შესრულებული წარწერების გამოვლენა. ესენია ე.წ. ორსენაკიანი ნაგებობის კედელზე ამოკვეთილი ორი წარწერა და III საუკუნის ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენლის სარკოფაგში ჩატანებული ვერცხლის სერვიზის შემადგენელ ნივთებზე დატანილი წარწერები (აფაქიძე, 1973, გვ. 59-64; აფაქიძე, 1963, ტაბ. LI 6; Церетели, 1948, გვ. 94, სურ. 1).

ამრიგად, 1948 წელს გ.წერეთელს ხელთ ჰქონდა, როგორც თვითონ აღნიშნავს, არმაზული დამწერლობის ორ ათეულზე მეტი ნიმუში (Церетели 1948, გვ. 90-101), აღმოჩენილი ქართლის მეფეთა და პიტიახშთა, ე.ი. ქვეყნის უმაღლესი თანრიგის არისტოკრატთა, რეზიდენციებში, რამაც უფლება მისცა მას, გამოეთქვა მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოში ოფიციალური დოკუმენტების ენა იყო არმაზული (Церетели, 1948a, გვ. 56).

შემდგომმა აღმოჩენებმა, საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის მცხეთაში, ცხადჰყო, რომ ამავე „არმაზულ ენას“ ხმარობდნენ იბერიის რიგითი მცხოვრებლები. სამთავროს სამაროვანზე გათხრილ ფილაქვით დახურულ ორმოსამარხში (N564), რომელიც მცხეთის რიგითი მოქალაქის განსასვენებელია, აღმოჩნდა თიხის ხელადა, რომელზედაც არამეული წარწერაა ამოკვეთილი. სამარხი III საუკუნით თარიღდება (მანჯგალაძე, 1985, გვ. 91).

უკვე ნახსენები პუნქტების (ბორი, არმაზისხევი, ბაგინეთი, მცხეთა-სამთავრო) გარდა, არმაზის ბილინგვის დემიფრირების შემდეგ არამეოგრაფიკული (არმაზული) წარწერები საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ცხრა ადგილას აღმოაჩინეს არქეოლოგებმა, ერთი წარწერა საქართველოს ფარგლებს გარეთაც - გარნისში (სომხეთი, II-III საუკუნე) გამოვლინდა (Периханян, 1964, გვ. 123-138). წარწერები შესრულებულია სხვადასხვა მასალაზე: კერამიკაზე, ძვალზე, ქვაზე, ლითონზე (ოქრო, ვერცხლი).

უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი, სადაც არმაზული წარწერაა ნაპოვნი, თბილისია. ვერცხლის თასზე, რომელიც აღმოჩნდა ვაჟა ფშაველას პროსპექტის ბოლოში, ამოკვეთილია ცხრა არამეული ასონიშანი, რომელთა ტრანსლიტერაციაა: *mmy zy byld* (Abramishvili et al., 2008, გვ. 442).

ძალისის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა (ხელმძღვანელი ა.ბოხოჩაძე) გვიჩვენა, რომ სამლოცველოს კედლებზე მლოცველთა წარწერების ამოკვეთის წესს [გავიხსენოთ, თუნდაც, ატენის სიონის მლოცველთა წარწერებით დაფარული კედლები (აბრამიშვილი და ალექსიძე 1989)] ფესვები ანტიკურ ხანაში ეძებნება: ძალისის II-III საუკუნეების ტაძრის არქიტექტურულ დეტალებზე ბევრი არმაზული წარწერაა ამოკაწრული (თლილი ქვის ეს ფრაგმენტები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქსნის არქეოლოგიურ ბაზაზე, კურატორი - დ.სულხანიშვილი) (გაგოშიძე და გაგოშიძე, 2025, გვ. 164).

ნასტაგისში გათხრილ (ა.ბოხოჩაძე), I საუკუნის მასალით შევსებულ ორმოში აღმოჩნდა ძვლის ოთკუთხა ფირფიტა ფანტასტიკური ცხენის გრაფიკული გამოსახულებით. ფირფიტის უკანა მხარეს ასოსმაგვარი ორი ნიშანია ამოკაწრული. თუ გავითვალისწინებთ, რომ დედოფლის გორაზე ნაპოვნ ასეთივე ფირფიტებზე არმაზული წარწერებია ამოკვეთილი, საფიქრებელია, რომ აქაც არამეულ წარწერასთან გვაქვს საქმე (გაგოშიძე და წოწელია, 1991, გვ. 54).

უფლისციხეში აღმოჩნდა ქვევრების პირების ორი ნატეხი არმაზული წარწერებით. დ.ხახუტაიშვილი მათ I-III საუკუნით ათარილებს (ხახუტაიშვილი, 1964, გვ. 57; ხახუტაიშვილი, 1970, გვ. 128). გ.გიორგაძეს მიაჩნია, რომ ქვევრის პირებზე ამოკვეთილია მამაკაცის საკუთარი სახელები - *hzn* და *bzwk*. მისი აზრით, ეს წარწერები არმაზული დამწერლობის უშუალო წინამორბედი არამეოგრაფიკული

დამწერლობა (Giorgadze, 2008, გვ. 253-255). განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კიდევ ერთი არამეოგრაფიკული წარწერა, რომელიც უფლისციხემ შემოგვინახა. ესაა ქვის მცირე ზომის მართკუთხა ფილა (5.5სმx6.5სმ), რომელზეც ოთხსტრიქონიანი წარწერაა ამოკვეთილი. ქვის ფილა უფლისციხის მუზეუმშია გამოფენილი (ეს ფილა გვიჩვენა შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის უფლისციხის ფონდის კურატორმა, ნ.ხუნდაძემ) (გაგომიძე და გაგომიძე, 2025, გვ. 165).

ურბნისში აღმოჩენილი ქვევრის პირზე ამოკვეთილი არმაზული წარწერა, გწერეთლის წაკითხვით, გამოაქვეყნა ლ.ჭილაშვილმა. შემდგომ ამავე წარწერას საგანგებო სტატია მიუძღვნა კ.წერეთელმა (ჭილაშვილი, 1964. გვ. 54-55; წერეთელი, 1989, გვ. 197-200).

ზღუდრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ.ნემსაძე) 1964-1966 წლებში გათხრილ მდიდრულ სამაროვანზე სხვა მასალასთან ერთად მოიპოვა არმაზულწარწერიანი ვერცხლის ოთხი ჭურჭელი. წარწერები წაკითხა და გამოაქვეყნა მ.ჭელიძემ. საყურადღებოა, რომ ზღუდერში ნაპოვნ ვერცხლის კოვზზე ამოკვეთილია ერთიდაიგივე სიტყვა, როგორც ჩანს, საკუთარი სახელი, ბერძნულადაც და არმაზულადაც. ვერცხლის ერთ-ერთ ჭურჭელზე ამოკაწრული წარწერა გვაუწყებს ამ ჭურჭლის წონას. წარწერები III საუკუნით თარიღდება (ჭელიძე, 1991, გვ. 71-76; ბრაუნდი და სხვ., 2009, გვ. 74, 77-79; გაგომიძე და წოწელია, 1991, გვ. 77).

1971 წელს ახალი ჟინვალის სამაროვნის გათხრების დროს (ხელმძღვანელი რ.რამიშვილი), N5 სამარხში, რომელიც III-IV საუკუნით თარიღდება, აღმოჩნდა ვერცხლის პინაკი. პინაკის ქუსლზე წერტილოვანი ნაჭდევებით გამოყვანილია არამეული წარწერა. წარწერა უნახავს გ.წერეთელს, რომელსაც გამოუთქვამს ვარაუდი, რომ აქ ქალის სახელია წარმოდგენილი. წარწერის წაკითხვა სცადა მ.წოწელიამაც (რამიშვილი, 1983, გვ. 87-88).

საქართველოს უკიდურესი დასავლეთი პუნქტი, სადაც არქეოლოგიური გათხრებით არამეოგრაფიკული წარწერები გამოვლინდა, ვანია. 1979 წელს ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, ქ.წ. II-I საუკუნეების კულტურულ ფენაში, ნაპოვნი ოქროს ფირფიტა ძლიერ დაზიანებულია და წარწერის წაკითხვა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა (ჭყონია, 1981, გვ. 84, 125; ფირცხალავა და ყიფიანი, 1986, გვ. 78). სავარაუდოდ, არამეოგრაფიკული ნიშნებია ამოკვეთილი ვანში ნაპოვნ ქ.შ. I

საუკუნის ლანგრის (ტერა სიგილატა) ძირზე (ინვ.N 07-1-74/411) (გაგომიძე და გაგომიძე, 2025, გვ. 165).

დღეს მკვლევართათვის ხელმისაწვდომია საქართველოს 13 პუნქტსა და ერთი სომხეთში, ძირითადად არქეოლოგთა ძალისხმევით, აღმოჩენილი არამეოგრაფიკული, სავარაუდოდ, არმაზული დამწერლობის ორმოცდაათამდე ნიმუში, რომელთა უმრავლესობა არ არის დემიფრირებული (გაგომიძე და გაგომიძე, 2025, გვ. 163-173).

ამრიგად, დედოფლის გორის სასახლის არქეოლოგიურმა გათხრების შედეგად აღმოჩენილმა არამეულმა (არმაზულმა) წარწერებმა, ძველი ქართული კულტურის ისტორიას შესძინა მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოში ე.წ. „არმაზული“ დამწერლობა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და სხვა ოფიციალური დოკუმენტების შესადგენად კი არ იხმარებოდა, არამედ ფართოდ იყო გავრცელებული ყოფაში. როგორც არ უნდა გადაწყდეს „არმაზული“ დამწერლობის ძეგლების ენის საკითხი, მაინც სამკითხაო-სათამაშო, ფირფიტებზე (დედოფლის გორა, ნასტაგისი), სამკაულზე (არმაზისხევი), სუფრის ჭურჭელზე (ბორი, ბაგინეთი, ზღუდერი), ქვევრებზე (ურბნისი, უფლისციხე) ამოკაწრულ-ამოკვეთილი წარწერები, და ბოლოს მლოცველთა მრავალრიცხოვანი მინაწერი - გრაფიტოები - ძალისში გათხრებით გამოვლენილ საკურთხეველზე აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ „არმაზული“ დამწერლობას მარტო პროფესიონალი მწერლები არ ფლობდნენ და რომ იგი ნამდვილად ადგილობრივი, ქართული დამწერლობა იყო ქ.წ. პირველი - ქ.შ. მეოთხე საუკუნეებში, ქართული ასომთავრული ანბანის შექმნამდე (გაგომიძე და წოწელია, 1991, გვ. 71).

გარდა არამეული წარწერებისა, დედოფლის გორის ციხე-დარბაზში ნაპოვნ თიხის ჭურჭელზე რამდენიმე ბერძნული გრაფიტი აღმოჩნდა, რაც მოსალოდნელი იყო, რადგანაც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩასახვის დროიდან მოკიდებული ქ.შ. მეოთხე საუკუნის ჩათვლით ქართლში პარალელურად იხმარებოდა ორი დამწერლობა და ორი ენა - ბერძნული და არამეული, რომლებიც Lingua franca იყო ელინისტური და რომაული ხანის ახლო აღმოსავლეთისათვის (Церетели, 1941, გვ. 109).

## თავი V

### რელიგიური სიტუაცია პირველი საუკუნის ქართლში

XI საუკუნის ქართული სასტორიო თხზულების „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერია) პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ქ.წ. IV-III საუკუნეები), რომლის დედა იყო სპარსელი, „განაწესა ესე ყოველი მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“. მანვე ქართლის დედაქალაქ მცხეთაში აღმართა ახალი კერპი - არმაზი (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 25), რომელიც ქართლში ქრისტიანობის შემოსვლამდე უზნაესი ღვთაება იყო. როგორც ისტორიული წყაროები გვიჩვენებენ, სახელმწიფო დონეზე ორგანიზებული კულტმსახურება ქართველურ ტომებს შორის მანამდეც არსებობდა. კერძოდ კი - გაცი და გა, რომლებიც ისტორიული წყაროების მიხედვით მოხსენიებული არიან, როგორც მამა-პაპეული და ძველი ღვთაებები და რომლებიც არან ქართლის მეფის შვილს აზოს თან წამოუღია, როდესაც ის თანამემამულეებთან ერთად პირვანდელი სამშობლოდან ამიერკავკასიაში გადმოსახლდა. ფარნავაზის შემდგომ მეფე საურმაგს აღუმართავს „აინინას“ კერპი, მირვანს – „დანინას“ კერპი, ფარნაჯომს კი „ზადენის“. ამგვარად, ზემოთნახსენები ორი მამაპაპეული ღვთაების (გაც და გა) გარდა სხვა კერპები ქართველთა თავდაპირველი წარმართობისთვის უცნობი და უცხო ღვთაებები უნდა ყოფილიყვნენ (მოქცევაი ქართლისაი, 1963, გვ. 81-82; ჯავახიშვილი, 1979, გვ. 138-139; რამიშვილი, 2018, გვ. 195). ქართლის ცხოვრება ასევე გვაუწყებს, რომ მეფე რევის დროს მცხეთაში აფროდიტეს კერპიც აღუმართავთ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 58).

არმაზის კულტის შესწავლას საქართველოში საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, „ღმერთი ღმერთთა არმაზი“ წინაქრისტიანული ქართლის უზენაეს ღვთაებად გვევლინება და აქედან გამომდინარე, გასაგებია მისდამი ქართველ მეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესი. ამ ხანგრძლივი დროის დროის მანძილზე მას მრავალრიცხოვანი გამოკვლევვა მიეძღვნა. მკვლევართა ინტერესის გამოვლენაში ხელს არ უშლიდა არმაზზე არსებულ წყაროსეულ მონაცემთა სიმწირე და ფრაგმენტულობა, თუმცადა სწორედ ეს გარემოება ქმნიდა სირთულეებს ამ ღვთაების რაობის დადგენის მცდელობაში. შესაბამისად,

არსებობდა და დღესაც არსებობს მისი მრავალგვარი და ურთიერთგამომრიცხავი დეფინიცია: ზოგი მკვლევარი თუ არმაზის კერძს ირანულ ღვთაება აჰურა მაზდასთან აკავშირებს, სხვანი მას ხეთურ-მცირეაზიურ მთვარის ღვთაებს არმად, მცირეაზიურ (ხურიტულ) ომისა და ტაროსის ღვთაება თემუბად, სოლარული და აგრარული ბუნების მქონე ღვთაება, ასევე მითრად, ან მზის ღვთაებად მიიჩნევენ (გველესიანი, 2007, გვ. 33).

პირველად არმაზის შესახებ აზრი გამოთქვა მ. კოვალევსკიმ, რომელმაც არმაზი ორმუზდს დაუკავშირა. ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ სახელი არმაზი შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ მაშინ, რაც საქართველოში დამყარდა მაზდეიზმი. ლ. მელიქსეთ-ბეგი ავითარებდა აზრს, რომ არმაზი ირანიდან არის შემოსული სომხეთის გავლით და რომ ის იგივეა რაც სომხური არმაზდი და სპარსული ორმუზდი, იგივე ავესტის აჰურა-მაზდა. საყურადღებოა, რომ სომხურში ეს სახელი ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის წყაროშია დადასტურებული: მცხეთის არმაზი არმაზდის ფორმით არსი მოცემული. ასევეა ის აღნიშნული “ქართლის ცხოვრების” ძველ სომხურ თარგმანშიც (ჭილაშვილი, 1997, გვ. 119).

ქართული წარმართობის შესახებ 1924 წელს ორი თხზულება დაიწერა. ერთი მათგანი მ. წერეთელს ეკუთვნის და კონსტანტინეპოლშია გამოცემული და “ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა” ეწოდება. ამ მონოგრაფიის უკანასკნელ თავს სათაურად აქვს “ხეთური ელემენტები ქართულ საწარმართო სარწმუნოებაში” და ქართული წარმართობის ზოგიერთ ღვთაებათა ვინაობის საკითხიც არის განხილული და მაზდეანობის შერეული სახეობის თვისების პრობლემაც არის წამოყენებული. მ. წერეთლის წიგნის შინაარსი ამ პრობლემათაგან თითქოს უფრო ქართულ უძველეს წარმართობასა და ხეთურ ელემენტებს ეხება – “ქართველთა არმაზი არ არის აჰურამაზდა, არამედ მცირე აზიის ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფეროსა, წვიმისა და ელვა-ჭექისა – თემუზ.” მეორე წიგნი ლაიპციგშია დაბეჭდილი, ო.გ. ფონ ვეზენდოკს ეკუთვნის და ეწოდება “ქართული წარმართობის შესახებ”. უმთავრესი ყურადღება ამ წიგნში წარმართობის ნიადაგზე საქართველოში მაზდეანობის ქართული შეცვლილი სახეობის გამორკვევას აქვს მიქცეული. ფონ ვეზენდოკიცა და მ. წერეთელიც იმ აღწერილობაში, რომელიც ქართულ

წყაროებში არმაზის კერპის და მისი თაყანისცემის შესახებ მოიპოვება, მაზდეანობის არავითარ ნიშნებს არ ჰხედავენ, რასაკვირველია თვით ღვთაების სახელის მეტს (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 139-144).

აპურამაზდასთან არმაზის კავშირს უარყოფდა ივანე ჯავახიშვილიც. მას მიაჩნდა, რომ არმაზის კერპის არსებობის საბუთად გეოგრაფიული სახელი “არმაზის ციხე“ არ გამოდგებოდა და, ამასთანავე, “არმაზის ციხის” მაინცდამაინც აპურამაზდასთან დაკავშირების საფუძვლიანობაც საკვლევეია. მისი შეხედულებით, შესაძლოა აქ ქალდეურ მეფეთა შორისაც მიღებულ სახელ – “არამეს” ნაშთთან გვექონდეს საქმე და არა აპურამაზდასთან (აფაქიძე, 1970, გვ. 663; ჯავახიშვილი, 1979, გვ. 138-151). შ. ამირანაშვილიც არ იზიარებს არმაზისა და აპურამაზდას იდენტურობას – მისი აზრით, აპურამაზდას ანტროპომორფული წარმოდგენა შეუძლებელია და ასკვნის, რომ ქართული წყაროების არმაზი არის მთვარის კულტის გადმოცემა, რომელიც ი. ჯავახიშვილის აზრით ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაებაა. არმაზის საკითხს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ა. ბოლტუნოვამ. ის, ეყრდნობა რა ბოლაზყოის ქ.წ. XIII ს. დათარიღებული ლურსმნული წარწერების გაშიფრული ტექსტების მონაცემებს, არმაზს უკავშირებს ხეთურ-მცირეაზიური მთვარის ღვთაებას – არმას. ამასვე იმეორებს გ. მელიქიშვილიც, მისი დაკვირვებით ქართლის წარმართულ პანთეონის სათავეში იდგა მთვარის ღმერთი არმაზი და მისი სახელი ყნდა მომდინარეობდეს ხეთურ-მცირეაზიური მთვარის ღმერთის არმას სახელიდან. სახელის გადმოსვლა გ. მელიქიშვილის აზრით მომხდარა მცირეაზიის აღმოსავლეთ რეგიონიდან მცხეთაში შემოჭრილი მუშკ-მესხების გავლენით, რომლებიც ხეთურ-მცირეაზიური კულტურულ-რელიგიური ტრადიციების მატარებლები ყოფილან. არმაზის შესახებ ორიგინალური მოსაზრება აქვს გამოთქმული კ. კეკელიძეს. ის მემატეანის მიერ მიერ აღნიშნულ არმაზის კერპს მიიჩნევდა მითრას გამოსახულებად. ამგვარი მტკიცებისთვის ის ეყრდნობა ცნობას, რომ მითრას მსგავსად, არმაზის გამოსახულება მეომარია – ახურავს ჩაფხუტი და “ალესილი ხანჯალი” აქვს, მსგავსი მითრას სატევრისა, რითაც ის ხარს კლავდა ხოლმე. მ. ანდრონიკაშვილი თვლის, რომ ფონ ვეზენდოკის მოსაზრება არმაზის შესახებ, რომ ის აქემენიანთა დროიდან არის ნასესხები და არა საშუალო სპარსულიდან, სამართლიანია, თუმცა ის ფონეტიკურად ყველაზე ახლოს ძველ ირანულ ფორმასთან დგას. ძველი სპარსულია აპურამაზდა

(აჰურა-უფალი, მაზდა-ბრძენი), საშუალო ირანული ფორმებია ჰრმაზდ, მოგვიანებით ჰორმიზდ. ლ. ჭილაშვილის აზრით ფარნავაზი ერთი რომ აჰურამაზდას მიმდევარია, აგრეთვე თავის თავის კულტის დამფუძნებელიცაა (ჭილაშვილი, 1997, გვ. 119-121).

ამ ბოლო დროს მ. გველესიანის მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით დადგენილ იქნა, რომ არმაზი იგივეა რაც სომხური არმაზდი და სპარსული ორმუზდი, იგივე ავესტის აჰურა-მაზდა. თავის საკმაოდ ვრცელ სტატიაში არმაზის შესახებ იგი ასკვნის, რომ “ღმერთი ღმერთთა” არმაზი აჰურამაზდას კულტთან უდავოდ დაკავშირებულ, მაგრამ მაინც სინკრეტულ კულტად უნდა მივიჩნიოთ, რაც მისი აზრით ეხმიანება სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრებულ მოსაზრებას ზოროასტრიული რელიგიის ქართულ ნიადაგზე მოდიფიცირებული სახით გამოვლენის შესახებ (გველესიანი, 2007, გვ. 43). საყურადღებოა, რომ სომხურში არმაზი ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის წყაროშია დადასტურებული: მცხეთის არმაზი არმაზდის ფორმით არის მოცემული. ასევეა ის აღნიშნული “ქართლის ცხოვრების” ძველ სომხურ თარგმანშიც (გველესიანი, 2007, გვ. 44; ჭილაშვილი, 1997, გვ. 119; Boyce, 1979, გვ. 84).

სხვადასხვა მეცნიერის მიერ გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრებები სხვა ძველი ქართული ღვთაებების შესახებ.

გაცის შესახებ ნ. მარი ფიქრობდა, რომ იგი ასურული ღვთაების “გატი”-ს შესატყვისობა უნდა იყოს, რადგან ბერძნულშიაც ეს სახელი “გატის”-ად არის შეთვისებულ-გადმოცემული. მ. წერეთლის აზრით ქართული “გაცი” არის იგივე “ყათე”, რომელიც “სირიელთა ღმერთი იყო მამრობითის სქესისა, იგი იგივე მცირე აზიის ღმერთი ატტისია.” ეს ყათე ამავე მკვლევრის სიტყვით “ხეთელთა ღმერთი იყო, სემიურ პანთეონში გადასული.” ი. ჯავახიშვილის აზრით რადგან გაცის არც სქესისა და არც ნიშანდობლივი თვისებების შესახებ ქართულ წყაროებში ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, ხალხურ რწმენასაც ამგვარი, ან მისი მსგავსი სახელის მატარებელი ღვთაება ან სალოცავი არ ახსოვს, ამიტომ გაცის შესახებ ჯერჯერობით გადაჭრით არაფრის დასკვნა არ შეიძლება. მ.წერეთელს და ნ. მარს აზრი გამოთქმული აქვთ ასევე ღვთაება გაიმის შესახებ. ისინი ფიქრობენ, რომ “გაიმი” ებრაული მრავლობითი რიცხვის ფორმის შთაბეჭდილებას ახდენს და მწიგნობრული გზით

უნდა იყოს წარმომდგარი, მაგრამ ნათქვამი არ ააქვთ სახელდობრ რას უნდა ნიშნავდეს ეს ტერმინი. ნ. მარის მიხედვით მეფე საურმაგის მიერ აღმართული კერპი - “აინინა”, ირანული ღვთაების ანაჰიტას დამახინჯებული ქართული შესატყვისობა უნდა ყოფილიყო, “დანინა” (მეფე მირვანის მიერ დამკვიდრებული ღვთაება) კი – კავშირ “და”-შეზრდილი არაირანული ღვთაების ნანას სახელად მიაჩნდა. ასეთი სახელის არსებობის საბუთად მას მირიან მეფის თანამეცხედრის ნანა დედოფლის სახელი აქვს მოყვანილი. მ. წერეთელს ამ საკითხის შესახებ გადაჭრილი პასუხი არ მოეძებნება. მისი სიტყვით მყისვე იბადება აზრი საქართველოში სპარსელთა ქალ-ღმერთის ანაჰიტას კულტის შემოტანაზე ხომ არ არის ცნობა. მაგრამ მისი აზრით სხვა ჰიპოტეზაც არის შესაძლებელი: “შეიძლება აინინა და დანინა კი არ იყოს უპირველეს წყაროებში, არამედ აინინა და ნინა, ანუ ნანა. თუ ეს აზრი სწორია მაშინ ჩვენ გვაქვს ორი სახელი ურთიერთისაგან ოდნავ განსხვავებულ ქალ-ღმერთისა: ინინა და ნინა ანუ ნანა, რომელიც უშუალოდ იმტარია, ცნობილი უშუალოდ პანთეონში შემდეგი სახელებით: ნინი, ინინა, ინანა, ნანა, ხოლო ქალის სახელი ნანა და ნინა კი მთელს მცირე აზიაში იყო გავრცელებული და აგრეთვე საქართველოში” (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 140-142).

ფარნაჯომ მეფისაგან შემოღებულ კერპის ზადენის შესახებ ნ. მარი ამტკიცებს, რომ ის ავესტური იაზატას მრავლობით რიცხვის ფორმას - იაზდანს და კეთილ გენიას, მეტადრე მითრას და შემდეგ საზოგადოდ ღმერთს ნიშნავსო. მ. წერეთელი ამას სრულებით უარყოფს. მისი სიტყვით ზადენს შეუძლებელია იყოს კეთილი გენია, მითრა და სხვა, რადგან ზადენის საკურთხეველზე ბილწი მსხვერპლი იწირებოდა, ხოლო “იაზატან”, რომელიც ნ. მარს გამოყავს ზადენად, ანგელოზები იყვნენ, ზოროასტრის განყენებულ ცნებათა განხორცილებანი. მისი აზრით ზადენი არის ხეთური ღმერთი “სანტას”, ღმერთი მცენარეულობის, რომლის კულტიც უძველესი დროიდან გავრცელებული ყოფილა [ჯავახიშვილი 1979: 149].

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით ცხადად ჩანს, თუ როგორი განსხვავებული აზრებია გამოთქმული ქართველთა უძველესი ღვთაებების შესახებ (განსაკუთებით არმაზის) სერიოზული არგუმენტების მოხმობით და რაც მთავარია ავტორიტეტულ მკვლევართა მიერ, რაც საკითხის გადაწყვეტისთვის დიდ სიფრთხილესა და

დამატებით საბუთიანობას მოითხოვს (ჭილაშვილი, 1997, გვ. 121). მიუხედავად ამისა ვფიქრობ რომ, არმაზისა და აპურამაზდას იგივეობა ექვს არ უნდა იწვევდეს.

არქეოლოგიურად თითქმის არცერთი ზემოთჩამოთვლილი ღვთაებების არსებობა არაა დადასტურებული, გარდა “არმაზის კერპის სადგარის” ნაშთისა ბაგინეთის მთის წვერზე, სადაც ციხე-ქალაქის მფარველისა და მოსახელის, ქართველთა მთავარი ღვთაების ქანდაკოვანი კერპი უნდა მდგარიყო, წერილობითი წყაროების მიხედვით (ლომთათიძე, 1959, გვ. 320). ასევე საინტერესოა ადიგენის რაიონის სოფელ ბენარაში ზადენის გორის სახელით ცნობილ ადგილი, სადაც ვ. ლიჩელმა ჩაატარა მცირე არქეოლოგიური გათრები. ბორცვის წვერზე, მეგალიტებით შემოზღუდულ ფართობზე, გაიჭრა მცირე ზომის საცდელი შურფი, რომელიც მიზნად მიზნად ისახავდა მიწის ზედაპირზე ოდნავ გამოჩენილი თლილი ქვის რაობის გარკვევას. ჰუმუსური ფენის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა შემდეგი სურათი: ბაზალტის ელიფსოიდურ ლოდში, რომელიც ვერტიკალურად იყო დაყენებული, ამოკვეთილი იყო ფოსო. უშუალოდ ლოდს აღმოსავლეთიდან შემოწყობილი ქონდა ორი ქვა, რომელთა აღმოსავლეთით, თავის მხრივ, გამოიკვეთა მეტნაკლებად დამუშავებული ორი ერთმანეთზე დადებული ქვა. მათ მარცხნივ, ჭრილის კუთხეში დამუშავებული ქვის ნაწილი ჩანს. ლოდს სამხრეთიდან ორი ქვა აქვს შემოდგმული, ხოლო დასავლეთს მხარე საგულდაგულოდაა გამართული - სიგანეზე ჩალაგებული სამი მოგრძო ქვა დასრულებულია თლილი სვეტის დოლით. სვეტის წინ, დასავლეთით, გაიწმინდა ნაცრის ფენა, რომელშიც აქა-იქ ნაცრისფერკეციანი ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები იყო მიმოზნეული. ვ. ლიჩელის აზრით, ზადენის გორის წვერზე გამოვლენილი კონსტრუქცია, შესაძლოა, წარმოადგენდა ზადენის ქანდაკების პოსტამენტს. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ზადენ-გორა როგორც დასახლებული პუნქტი, პირველად იხსენიება ქართლის ცხოვრების ჩანართში, რომელშიც მოთხრობილია ანდრია მოციქულის სამცხეში მოსვლის შესახებ: „წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯუარი და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თვით ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრხისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა. მიხედნა მოციქულმან და იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან წმინდისა მის ხატისა

მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს. ხოლო წმინდა მოციქული წარმოემართა და მოაწია აწყვერს.“ ვ. ლიჩელი სწორედ ზემოთ მოყვანილ ტექსტში ნახსენებ კერპის სადგრად მიიჩნევს ზადენ-გორაზე გამოვლენილ ქვის კონსტრუქციას (ლიჩელი, 2005, გვ. 165-167).

ქ.წ. V-IV საუკუნეებში სამხრეთ კავკასიაში ნივთიერი კულტურის თითქმის ყველა სფერომ თვალსაჩინო ცვლილება განიცადა, რომელთა უმრავლესობას მკვლევრები სპარსულ-აქემენიდურ გავლენას უკავშირებენ (Gagoshidze, 1996, გვ. 125-136; Knauss, 2006, გვ. 79-118), რაც დამაჯერებელი ჩანს თუ გავიხსენებთ, რომ სპარსელების ძალაუფლება ჰეროდოტეს თანახმად ვრცელდებოდა კავკასიონის ქედამდე (Hdt.III.97). 2006-2023 წლებში აღმოსავლეთ საქართველოსა (კახეთის რეგიონი) და დასავლეთ აზერბაიჯანში არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა აჩვენა, რომ შეიძლება ვისაუბროთ არამარტო სპარსულ-აქემენიდურ გავლენაზე, არამედ სპარსელების ყოფნაზე სამხრეთ კავკასიაში: ყარაჯამერლიში (აზერბაიჯანი) გამოვლინდა სასახლეების კომპლექსი, რომელიც სატრაპის (ჰეროდოტეს მიხედვით ეს უნდა იყოს XI სატრაპია [Hdt.III.92]) რეზიდენცია იყო. ყარაჯამერლიში აღმჩენილი სასახლე ანალოგიურია პერსეპოლისის ქსერქსეს სასახლისა და უნდა აშენებული იყოს პერსეპოლისში განსწავლული ხელოსნების მიერ. ყარაჯამერლის თანადროულია და ალბათ იმავე ოსტატების მიერაა აგებული სასახლეები კახეთში ადგილ სააქლემოსა და გუმბათში (Knauss et al., 2010, გვ. 111-122; Knauss et al., 2013, გვ. 1-28; Knauss and Babaev, 2016, გვ. 70-76; Fassbinder et al., 2021, გვ. 55-58; Gagoshidze and Gagoshidze, 2024, გვ. 293-305).

საფიქრებელია, რომ ამავე პერიოდში უნდა გავრცელებულიყო საქართველოში ზოროასტრიზმი, რისი მაჩვენებელია ქართულ ენაში რელიგიურ კულტთან დაკავშირებულ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, რომლის დიდი ნაწილი ავესტურიდან და აქემენიდური ხანის სპარსულიდანაა ნასესხები: წმინდა, მართალი, ნეტარი, ცოდვილი, ჯოჯოხეთი, ეშმა, ბარძიმი, ცრუ, ფეშხუმი, ტამარი, კერპი, წარმართი, ბაგინი, ზვარაკი და სხვა. აქემენიდური ხანის სპარსულიდან არის ნასესხები ქართულში თვით სიტყვა არმაზიც. ქ.წ. IV - ქ.შ. IV საუკუნეების ქართლის სამეფო დინასტიისა და არისტოკრატის წარმომადგენლთა მაზდეანური

თეოფორიული სახელების სიუხვე (ფარნავაზი, მირვანი, ფარნაჯომი, არტაგი, ბარტომი, არტავაზი, არტაბანი, ამაზასპი, მირდატი და სხვა.) იმის მაჩვენებელია, რომ ეს რელიგია საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლამდე არსებობდა (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 20-26, 32-40; Gagoshidze, 1996, გვ. 136).

იბერიელი მეფეების მაზდიანური რწმენის არაპირდაპირ მტკიცებულებად შეიძლება მოვიყვანოთ ინცესტის წესი - ახლო ნათესავეებს შორის ქორწინება. ტაციტუსის მიხედვით, მითრიდატე, ფარასმანის ძმა, იყო დაქორწინებული ფარასმანის ასულზე, ანუ მის დისშვილზე, ფარასმანესის ვაჟი რადამისტს კი ცოლად ყადა მითრიდატეს ქალიშვილი, რომელიც მისი ბიძაშვილია და, შესაძლოა, მისი დისშვილიც (Gagoshidze, 2008, გვ. 26).

როგორც ჩანს ზოროასტრიზმი ქართლის მართველ ზედა ფენაში იყო გავრცელებული, რადგან პარალელურად განაგრძობს არსებობას ადგილობრივი წარმართული სამიწათმოქმედო და ასტრალური კულტები, რომლებიც ბრინჯაოს ხანიდან ქრისტიანობის შემოსვლამდე შემორჩა (Gagoshidze, 2008a, გვ. 43).

საქართველოში ადრეული ხანიდანვე ჩანს ბერძნული კულტების თაყვანისცემა, რომელიც უნდა გავრცელებულიყო საქართველოში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიებიდან ბერძნულ დამწერლობასთან ერთდ. ყუბანისპირეთში, სოფელ ზუბოვკაში აღმოჩენილია ქ.წ. V საუკუნის ვერცხლის თასი, რომლის გარე კედელზე ამოკაწრულია ბერძნული წარწერა - „ვეკუთვნი აპოლონ ჰეგემონს, რომელიც ფასისშია“. წარწერა მოწმობს რომ თასი ეკუთვნოდა აპოლონის ტაძარს ფასისში. დ. ბრაუნდის აზრით, ეს თასი დაახლოებით ქ.წ. 400 წლისათვის ფასისში ბერძნული კულტის არსებობის მაჩვენებელია. ეს კულტი, შესაძლოა, მანამდე მრავალი წლის წინ დამკვიდრდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს დაარსების კულტია. აპოლონ ჰეგემონს სხვაგან უშუალო პარალელი არ ეძებნება, მაგრამ სხვა ადგილებში ამ ღვთაებას მსგავსი ეპითეტები ახლდა - აპოლონ კათეგემონი კალიმნაში, აპოლონ პროეგეტესი ლიკიაში, აპოლონ არქეოსი ილიუმში. ყველა ეს კულტი დაარსებას უკავშირდება. ამასთან, ტერმინი ჰეგემონი, როგორც წესი, კოლონიების დამაარსებლების მიმართ იხმარებოდა. ნაკლებად საეჭვო უნდა იყოს, რომ აპოლონ ჰეგემონის კულტი ფასისის დაარსებას უკავშირდებოდა. მილეტელმა კოლონისტებმა

რომლებმაც ფაზისი დაარსეს შეიძლება აპოლონს რჩევისთვის დელფოში მიმართეს ან, რაც უფრო მოხერხებული იყო, შესაძლოა, დიდმაში მივიდნენ, აპოლონის ადგილობრივ ორაკულთან (Braund, 1994, გვ. 96-99; ბრაუნდი, 2014, გვ. 141-142). გვაქვს ისტორიკოსი ზოსიმეს ცნობა III საუკუნეში ასევე ფასისში არსებული არტემიდეს ტაძრის შესახებ (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 196). ამრიგად, დასტურდება აპოლონისა და არტემიდეს ტაძრები და მათი კულტი ფაზისში. ო. ლორთქიფანიძის აზრით აქვე უნდა არსებულიყო აპოლონისა და არტემიდას დედის ლეტოს კულტიც. ცნობილია, რომ ამ ე.წ. აპოლინარულ ტრიადას თაყვანს სცემდნენ ფაზისის მეტროპოლიაში, მილეტში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფაზისის მახლობლად აღმოჩენილი, იკონოგრაფიული თვალსაზრისით სრულიად უნიკალური მონეტები, დღეს ოცამდე ნიმუშით წარმოდგენილი. შუბლზე ქალის თავის გამოსახულებაა, ზურგზე – ადამიანის ორი თავია – აპოლონისა და არტემიდესათვის დამახასიათებელი იკონოგრაფიული ნიშნებით. ო. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ შესაძლოა ამ მონეტებზე აპოლონარული ტრიადაა წარმოდგენილი: ლეტო, აპოლონი და არტემიდე (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 196).

ქ.წ. II-I საუკუნეებითაა დათარიღებული სარკინეში აღმოჩენილი დიონისესა და მისი მეუღლის არიადენს თიხის ქანდაკებები და მათი მხლებლების თიხის ნიღბები, რომლებიც კრამიტით გადახურული ხის ნეგებობაში ინტერიერის დეკორად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. დიონისესა და არიადენას გამოსახულებები ყველაფრით ბერძნულ-რომაულ სამყაროს უკავშირდება, დანარჩენი ნიღბები კი უფორ ადგილობრივი ტიპის გადმოცემის ცდას უნდა წარმოადგენდეს. ა. ბოხოჩაძს აზრით აქ, როგორც ჩანს საქმე უნდა გვქონდეს ელინისტური სამყაროს გავლენის შერწყმისა ადგილობრივ კულტურასთან (ბოხოჩაძე, 1973, გვ. 38-44). დიონისეს კულტს ეთაყვანებოდნენ ასევე ელინისტური პერიოდის ვანში. ქ.წ. II-I საუკუნეებითაა დათარიღებული ვანის ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილ ტაძარში აღმოჩენილი ბრინჯაოს ექვსი ჰორელიეფური გამოსახულება, რომლებიც დიონისეს წრის ღვთაებებს გამოხატავს (პანი, სატირი, არიადნე, მენადა) (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 223-226; Kacharava and Kvirkvelia, 2008, გვ. 113-124). ბრინჯაოს დიონისეს ქანდაკებაა შემთხვევით აღმოჩენილი სოფელ კოდისწყაროში. დიონისეს თავზე სუროს ფოთლებიანი ბაფთაა, ყურებზე დაკიდებულია ყურძნის მტევნები, თვალები

ვერცხლით ააქვს ინკრუსტირებული. მარცხენა ხელით იგი უნდა ეყრდნობოდეს აყვავებულ კვერთხს - ტიროსს, მარჯვენა, ოდნავ გაწვდილ ხელში კი სასმისი უნდა ეჭიროს. შიშველი ტანი ქალურად ნაზი და მოხდენილია. როგორც ჩანს, ქანდაკება გარკვეული კომპოზიციის ნაწილი უნდა ყოფილიყო. დიონისეს ქანდაკებ ქ.წ. მესამე-მეორე საუკუნეებით თარიღდება (შატბერაშვილი და ჩადუნელი, 2017, გვ. 112). ბერძნულ-რომაული კულტების გავრცელებაზე მიუთითებს გლიპტიკური ძეგლების აღმოჩენები, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა ღვთაებები. განსაკუთრებით გავრცელებულია ტიხე-ფორტუნასგამოსახულება, გვხვდება აგრეთვე ათენა-მინერვა, ნიკე-ვიქტორია, ზევსი, ჰელიოსი, აპოლონი, პლუტონი, ასკლეპიოსი და სხვა (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 108-109).

ბერძნულ-რომაული კულტები საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული გახდა რომაელთა ახლო აღმოსავლეთში გამოჩენის შემდეგ.

ქართლის სამეფოში იუდეველებიც ცხოვრობდნენ, რაზეც მიანიშნებენ წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაპოვრები (Mgaloblishvili and Gagoshidze, 1998, გვ. 39-58).

აქემენიდურ ხანაში შემოსულმა ზოროასტირზმმა საქართველოში როგორც ჩანს დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა, ისე, რომ ქართლის ცხოვრებაში შემონახული ცნობის თანახმად ქ.წ. მეორე საუკუნეში, ქართლის მეფე ფარნაჯომის დროს ეს რელიგია პართელების ზოროასტროზმს დაუპირისპირდა, როგორც უცხო (ქართლის ცხოვრება, 1955 გვ. 29-30). სასანურ ხანაში კი ნახში-ი-რუსტამის კარტირის წარწერიდან ირკვევა, რომ მან საქართველოში გაანადგურა სამლოცველოები და ჩაანაცვლა ისინი აჭურამაზდას ცეცხლით (Sprengling, 1953, გვ. 51-52).

საქართველოში ცნობილია სხვა ზოროასტიური ცეცხლის ტაძრების აღმოჩენის რამოდენიმე შემთხვევა. ამ მხრივ საყურადღებოა სამადლოში აღმოჩენილი “კომკურა ტაძარი”. ნაგებობისგან ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ ჩრდილოეთის კედელი აღმოსავლური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი რიზალტებით. სამადლოს ტაძარს მოეპოვება ანალოგები ურარტული ტაძრებისა და აქემენიდური კომკურა ნაგებობების სახით. ძველი სტრატეგრაფიული მონაცემებით ზოგადად აქემენიდური ხანით თარიღდება (ქ.წ. VI – ქ.შ. IV სს), მაგრამ დასტურდება ისიც, რომ იგი შესაძლოა

რამდენადმე სახეცვლილი ფორმით ელინისტურ ხანაშიც აგრძელებდა არსებობას (Гагошидзе, 1979, გვ. 51-52; ყიფიანი, 2000, გვ. 33). განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში, სოფლის ჩრდილოეთით ციხიაგორას სახელით ცნობილ 12 მეტრის სიმაღლის ბორცვი. ამჟამად ბორცვის თხემზე მთლიანადაა გათხრილი მთავარი ტაძარი და მისი მიმდებარე რამოდენიმე ნაგებობა, რომელიც 0.5 ჰა-ს მოიცავს. იგი გალავნით ყოფილა მოზღუდული. კომპლექსი გ. ცქიტიშვილის აზრით ქ.წ. IV-III საუკუნეებს განეკუთვნება. კედლების სიმაღლე საშუალოდ 3 მეტრამდეა შემორჩენილი. მთავარი ტაძარი გალავნით შემოსაზღვრულ თხემის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარესაა გამართული. მისი ორიენტაცია ზუსტად ემთხვევა S-N ღერძს. ჩრდილოეთიდან ტაძარს საზღვრავს გალავნის კედელი, აღმოსავლეთიდან მას ედგმის მრავალსათავსიანი ნაგებობა (ბეღელი), ხოლო დასავლეთით მთავარი ტაძრისგან 3 მეტრის დაშორებით მცირე ზომის ნაგებობაა აღმართული, რომელიც მცირე ტაძარი უნდა იყოს. მთავარი ტაძარი შედგება თითქმის კვადრატული ცელისაგან, რომელსაც ეკვრის კორიდორისმაგვარი სათავსები. სამხრეთით სათავსების წინ მაღალი კედლით შემოსაზღვრული ეზოა. ეზოს შუაში აღმოჩნდა ფლეთილი ქვით ნაგები მაღალი საკურთხეველი. ტაძარი ყველა ნიშნით ცეცხლის ტაძრის რამდენადმე სახეცვლილი ფორმაა (ცქიტიშვილი, 2003, გვ. 11-25; მირცხულავა და სონღულაშვილი, 2007, გვ. 121-122; ყიფიანი, 2000, გვ. 35-40). უფლისციხის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე კლდეში გამოკვეთილ სივრცეში სამლოცველო იყო გამართული, რომელსაც მოგვიანებით ქრისტიანული ეკლესია დაეფუძნა და ამის გამო ნაგებობა ამჟამად “სამნავიან ბაზილიკად” იწოდება. მკვლევრებმა გამოთქვეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ აქ ადრეულ, ბაზილიკამდელ პერიოდში წარმართული ტაძარი ფუნქციონირებდა. გ. ყიფიანის აზრით, ნაგებობა თავის საწყის ეტაპზე ცეცხლის ტაძარს წარმოადგენდა (ყიფიანი, 2000, გვ. 52-54).

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდეგ იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ღვთაებათა სინკრეტიზაციის პროცესი. პერსეპოლისში ძველ ღვთაებათა სახელზე აღმართულ ტაძრის ბერძნულენოვან წარწერაში ორმიზდის მაგივრად მოხსენიებულია ზევს მეგისტოსი, მითრას მაგივრად აპოლონი და ჰელიოსი, ანაჰიტას მაგივრად კი - არტემიდა და ათენა. კომაგენაში, ნიმრუდ-დადის სამარხ-სამლოცველოს კომპლექსში აღმჩენილ ღვთაებათა ქვის

კოლოსალური ქანდაკებების ზურგზე ამოკვეთილი წარწერებიდან ერთ-ერთი ზევს-ორმაზდს მოიხსენიებს (Herzfeld, 1941, გვ. 275; გველესიანი, 2007, გვ. 45). ელინისტური და ზოროასტიული ღვთაებების შერევის კიდევ ერთი მაგალითია ბეჰისტუნის მთაზე, დარიუსის ცნობილი წარწერის ახლოს, გზის პირას კლდეში ამოჭრილი პატარა სამლოცველო. იქ არსებული ბერძნული წარწერის მიხედვით ეს სამლოცველო აშენებული უნდა ყოფილიყო დაახლოებით ქ.წ. 147 წელს ჰერაკლე კალინიკოსის (ძლევამოსილი, გამარჯვებული) სახელზე. ჰერაკლე აქ წამროდგენილია გვერდზე მწოლიარე ხელში თასით. მისი ასე გამოსახვა მიუთითებს იმაზე რომ, ეს სამლოცველო მოწყობილი იყო როგორც ბერძნული ისე ირანული ღმერთებისთვის და ჰერაკლე აქ გაიგივებულია ავესტურ ვერეთრაგნასთან, რომელიც როგორც ჰერაკლე კალინიკოსი - გამარჯვების და ასევე მოგზაურთა მფარველი ღვთაებაა (Boyce 1979, გვ. 88-89).

აღნიშნულ ძეგლებზე ღვთაებათა სახელების ამგვარი ჩანაცვლება ლოგიკური შედეგია კულტთა სინკრეტიზაციის იმ პროცესისა, რაც ელინისტურ სამყაროში აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შეხვედრას მოჰყვა: ერთსა და იმავე ღვთაებას ეწოდებოდა როგორც ირანული, ასევე ბერძნული სახელი (გველესიანი, 2007, გვ. 45).

ქართლში ქრისტიანობამდელი რელიგიის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ძეგლები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დედოფლის მინდორზე მდებარე გრანდიოზული მასშტაბის სატაძრო კომპლექსი და დედოფლის გორის სასახლე, სადაც სხვადასხვა ტიპის სამლოცველოებია დადასტურებული.

დედოფლის მინდორი 25 კვ. კმ. ფართობის პლატოა, რომელიც მოქცეულია მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადების - დასავლეთ და აღმოსავლეთ ფრონებს შორის, საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში.

დედოფლის მინდორის ცენტრში 1972-1976 წლებში გაითხარა ქ.წ. II – ქ.შ. I საუკუნეების გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი (ექსპედიციის ხელმძღვანელი ი.გაგოშიძე), რომელსაც 4 ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია (სურ. 52.1). ესაა გრძივი ღერძით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული სწორკუთხედი, რომელიც გალავნის კედლითაა მოძღუდული. ამ რთული არქიტექტურული

კომპლექსის სამხრეთ ნაწილში განლაგებული იყო მთავარი ნაგებობა (46X30 მ): ოთხსვეტიანი კვადრატული ფორმის ცელა, რომლის ცენტრში ოთხკუთხა ბაქანზე აღმართული იყო საკურთხეველი. ცელა და მისკენ მიმართული ღია პორტიკი სამი მხრიდან გარშემორტყმული იყო კორიდორების სისტემით. სწორკუთხა ტაძარს ჩრდილოეთი მხრიდან ეკვროდა “აივანი” – ორსვეტიანი ღია პორტიკი. ამ მთავარი ნაგებობიდან ჩრდილოეთით 90 მეტრის დაცილებით გამოვლენილია უფრო მცირე ზომის კომპლექსი, რომელიც შედგებოდა ღია პორტიკისგან, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდგარი საკურთხეველიანი კვადრატული სენაკისა და ორმხრივი გარშემოსასვლელი დერეფნისაგან. ამ შენობათა მიმართ მკაცრად სიმეტრიულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარიბჭეები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ვრცელ პროპილემს (საზეიმო შესასვლელს) ექვსი სვეტისა და ორი გარე და შიდა პორტიკისაგან. ამ უკანასკნელის ორსვე მხარეს განლაგებულია ერთმანეთთან კარით დაკავშირებული მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობანი. კარიბჭეს მომსვლელი შეჰყავდა კვადრატული მოყვანილობის ეზოსა და სხვა სათავსოებში. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილია ერთმანეთისგან იზოლირებული სამი შენობა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ეზო ქონდა. ყველა ნაგებობის კედელი ამოყვანილია ბზენარევი ალიზ-აგურით, რიყის ქვებით აგებულ სამირკველზე. კედლების სისქე ჩვეულებრივ 1,1 მეტრია, მხოლოდ მთავარი ტაძრის კედელი განსხვავებული სისქისაა – 1,6 მეტრის. ძეღური კონსტრუქციები ერთმანეთთან რკინის ლურსმნებით იყო დაკავშირებული. ისინი ეყრდნობოდნენ ოთხკუთხა ბაზისზე მდგარ ხის სვეტებს, რომელნიც დაგვირგინებული იყო რელიეფური ორნამენტით (ლოტოსის ფურცლები, პალმეტი, ვარდული) მორთული ქვიშაქვის კაპიტელებით. მთავარი ნაგებობის ცენტრალურ ნაწილის გარდა, ყველა შენობა გადახურული ყოფილა წითლად შეღებილი დიდი ზომის გვერდებაკეცილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით. ზოგიერთ მათგანზე გვხვდება ნიშნები, რომელნიც სველ თიხაზე გამოწვამდეა დატანილი (გაგომიძე, 1978, გვ. 62-77; Gagoshidze, 1992, გვ. 27-48; ლორთქიფანიძე, 2002 გვ. 257-258). მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით 400 მეტრში აღმოჩნდა ხელოსანთა დასახლება; ესენი იყვნენ მჭედლები, მეთუნეები, ქვის მჭრელები და ხალხი, რომლებიც ემსახურებოდნენ ტაძრებს. გათხრების შედეგად გამოვლინდა ნახევრად მიწური სახლები, რომლებიც

შესაძლოა ეკუთვნოდნა მუშებს, რომლებმაც ააშენეს ტაძრებს; ორი ღუმელი; კვადრატული, კრამიტის გამოსაწვავად და მრგვალი თაღოვანი ღუმელი ჭურჭლის გამოსაწვავად. იქვე აღმჩნდა დეფექტური და დამტვრეული კრამიტები და სხვა ნარჩენები (წიდა, ნაგავი და ა.შ.) (Gagoshidze, 1992, გვ. 28).

დედოფლის მინდორის მთავარი ტაძრის ძირითადი არქიტექტურული თემა მისი კვადრატული ცენტრალური დარბაზია, რომლის გვირგვინული გადახურვა ეყრდნობა თავისუფლად მდგარ ოთხ სვეტს (სურ. 52.2). საკულტო ხუროთმოძღვრებაში ამ ტიპის შენობებმა დასრულებული სახე მიიღო აქემენიდების ეპოქაში. ესაა ცეცხლის ტაძარი სუზაში, რომელიც აშენდა არტაქსერქსეს II-ის (ქ. წ. 404-358 წწ.) მეფობის დროს, აგრეთვე კუპ-ი-ხოჯა სისტანში. აქემენიანთა იმპერიის დაცემის შემდეგაც არ შეწყვეტილა საკუთრივ ირანში სუზის ტიპის ტაძრების მშენებლობა. ამ ტიპის ნაგებობათა სელევკიდური ხანის ნიმუშია, პერსეპოლისის ბაქნის ძირას ქ.წ. 300 წლის შემდგომ აგებული ტაძარი, ხოლო კუპ-ი-ხოჯას ტაძრის ნანგრევებში უდაოდ გამოიყოფა პართული ხანის სამშენებლო ფენა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლის მინდორის ტაძრები შემთხვევაში საქმე გვაქვს ძველადმოსავლური, აქემენიდური ტრადიციების ადგილობრივ განვითარებასთან და არა თანადროული მზა ნიმუშის პირდაპირ სესხებასთან (გაგოშიძე, 1978, გვ. 65-69; Gagoshidze, 1992, გვ. 44).

დედოფლის მინდორის ლოტოსის მსგავსი კაპიტელების ზოგადი ფორმა და ორნამენტიც გავს აქემენიდური ეპოქის გადატრიალებულ ზარისებურ ბაზებს სუსიდან და პერსეპოლისიდან (Gagoshidze, 1992, გვ. 38; Boardman, 2000, გვ. 204-206, 248).

დედოფლის მინდორის ნაგებობათა დამოკიდებულება ძველადმოსავლურ ტრადიციებთან თავს იჩენს არა მარტო მათ გეგმარებაში, არამედ სამშენებლო ტექნიკაშიც. მაგალითად, ქვის კაპიტელებიანი ხის შებათქაშებული სვეტები იდგა პერსეპოლისის ე.წ. საგანძურის დარბაზში. როგორც ფიქრობენ ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტზე დაყრდნობილი დარბაზული გადახურვა ჰქონდა ძველი ნისას პართული კომპლექსის ე.წ. კვადრატულ დარბაზს.

მაგრამ დედოფლის მინდორის ტაძარს აქვს მთელი რიგი ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც განასხვავებს მას სხვა მსგავსი ნაგებობებისგან. მთავარი ტაძრის გარემოსასვლელი დაყოფილია სამ ნაწილად, რომელთაგან ორი უშუალოდ არ უკავშირდება პორტიკსა და ცელას; მესამე ნაწილი კი უკავშირდება მათ ცელას ბრმა კედელში არსებულ კარში გამავალი გზით (ამ ფაქტს აღმოსავლეთში ანალოგი არ აქვს). დედოფლის მინდორის მთავარი ტაძრის კიდევ ერთი თავისებურებაა ჩრდილოეთის პორტიკი-აივანი, რომელიც, სავარაუდოდ, მის განსაკუთრებულ ფუნქციებზე მიუთითებს. აივანის იზოლირებული პოზიცია ტაძრის უკანა მხარეს შეიძლება ანალოგიური იყოს ბერძნული ტაძრების ოპისტოდომოსისა. ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი ელინისტურ გავლენაზე, მაგრამ მხოლოდ იდეის ნასესხების მნიშვნელობით და არა არქიტექტურული ფორმებით.

დედოფლის მინდორის სატაძრო კომპლექსის კიდევ ერთი თავისებურება, აღმოსავლური ცეცხლის ტაძრებისგან განმასხვავებელი თვისება: ეს არ არის ცალკე მდგარი ტაძარი დამხმარე დარბაზებით, არამედ პანთეონი, რამდენიმე ტაძრის ერთობლიობა, რომელიც აშკარად სხვადასხვა ღმერთებს ეძღვნებოდა. ასეთი ვითარების ახსნის მცდელობაში არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობა ქართლის ცხოვრებიდან, რომელიც ეხება III საუკუნეს, სადაც ნათქვამია, რომ ქართლის მეფე მირიანი „თაყვანს სცემდა ცეცხლს და შვიდ ქართულ ღმერთს“. როგორც ჩანს, დედოფლის მინდორის მთავარი ტაძრის გარდა შვიდი ტაძრის არსებობა უბრალოდ ამდებოდა არ შეიძლება იყოს (გაგოშიძე, 1978, გვ. 67-69; Gagoshidze, 1992, გვ. 44-46).

დედოფლის მინდორის სატაძრო კომპლექსის გრანდიოზული, ჰემმარიტად „ძველადმოსავლური“ მასშტაბები და მისი მდებარეობა ანტიკური იბერიის გეოგრაფიულ ცენტრში მიუთითებს იმ კულტების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომელთაც აქ სცემდნენ თაყვანს. აშკარაა, რომ ეს იყო იბერიის მეფეთა საგვარეულო სამლოცველო და, ამიტომ, გვიან ელინისტურ - ადრე რომაული პერიოდის იბერიაში ამ ზომის სხვა რელიგიური ცენტრის არსებობა ნაკლებად სავარაუდოა.

თვით ტოპონიმი „დედოფლის მინდორი“, როგორც ჩანს, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც საქართველოს დედოფლების საკუთრება იყო. მართლაც, XVI-XVIII საუკუნეების ქართულ სიგელ-გუჯრები პირდაპირ მიუთითებენ,

რომ დედოფლის მინდორი და მისი შემოგარენი სამეფო დომენში შედიოდა და სადედოფლო მიწა იყო. სავარაუდოა, რომ დედოფლის მინდორი ძველთაგანვე სამეფო დომენში შედიოდა. ამგვარი ვარაუდის გასაქარწყლებლად რაიმე გონივრული არგუმენტის მოტანა გაჭირდებოდა, მის სასარგებლოდ კი შეიძლება გამოიძებნოს ზოგიერთი ირიბული საბუთი მაინც. 1926 წელს ა. შანიძემ გამოაქვეყნა ადრეული (XI საუკუნეზე უძველესი) ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ სოფელ არადეთში (სოფელი დედოფლის მინდვრის ტერიტორიაზე) ჯვარი აღუმართავთ მამასახლისებს. ანალოგიური შინაარსის წარწერებში ჩვეულებრივ ერთი კერძო პირია ხოლმე მოხსენიებული. აქ კი ჯვარს რამოდენიმე მამასახლისი ერთად აღმართავს და სწორედ ეს გარემოებაა განსაკუთრებით საინტერესო: დოკუმენტურად დასტურდება ერთ სოფელში (არადეთში) ერთდროულად რამდენიმე მამასახლისის არსებობა. როგორც ცნობილია, სტრაბონის ცნობით, ივერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსის ცალკეულ გვარებს მამასახლისები მართვადნენ. სავარაუდებელია, რომ ამგვარი მდგომარეობა X-XI საუკუნემდე ყველაზე შეურყვნელად სწორედ ძველთაგანვე სამეფო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე უნდა შენარჩუნებულიყო. ასეთად მისაჩნევია სოფელი არადეთი და საერთოდ მთელი დედოფლის მინდორი (გაგოშიძე, 1978, გვ. 69-70).

დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის შემსწავლელი იულონ გაგოშიძე ზემოთაღნიშნული ძეგლის შესახებ გამოქვეყნებულ თავის ნაშრომებში მოყვანილი მსჯელობების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე რომ ღმერთები, რომელთაც მიემღვნა დედოფლის მინდვრის ტაძრები, რაღაცნაირად მაზდეანიზმთან უნდა იყვნენ დაკავშირებულნი. ამის სასარგებლოდ, შეიძლება, მეტყველებდეს, არამარტო ტაძრების გეგმარება, რომელიც ირანული ცეცხლის ტაძრების ანალოგიურია, არამედ ზოგიერთი ნივთიერი მონაპოვარიც. მაგალითად, დედოფლის მინდორზე აღმოჩნდა ქვის კარგი ნახელავი როდინი, ხოლო უშუალო მთავარი ტაძრის ერთ-ერთ სათავსოში – მისი მოხდენილი ფილთაქვა. ძველ ირანში, როგორც ცნობილია, ანალოგიური სანაყ-სასრესები გამოიყენებოდა ზარათუშთრას მიმდევართა წმინდა სასმელის, “სიკვდილის ამშორებელი ჭემმარიტი ჰაომას” დასაწურავად.

ი.გაგოშიძის აზრით დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის მთავარი ტაძარი აგებული უნდა ყოფილიყო ავესტისეული არდვი-სურა ანაჰიტას ტიპის ნაყოფიერების ქალღმერთის სახელზე. წყლის სტიქიონისა და ნაყოფიერების დიდი ქალღმერთი, ვეგეტაციის ღვთაება, უმწიკვლო ქალწულებრივი დედოფალი, მრისხანე მებრძოლი ქალღმერთი, არდვი-სურა ანაჰიტა, რომლის ბერვი ნიშან თვისება წინა აზიის უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება, ღმერთების ზოროასტირულ ტრიადაში (აჰურამაზდა, მითრა, ანაჰიტა) შეყვანილ იქნა უკვე არტაქსერქსე II-ის (ქ.წ. 404-359 წწ) დროს. აქემენიდურ ხანაშივე არდვი-სურას აიგივებდნენ ნაყოფიერების სხვადასხვა ქალღმერთთან: სემიტების ნანაიასა და ათარგატისთან, ბერძნების აფროდიტესა და არტემიდასთან, მცირეაზულ კიბელასთან. ამ გარემოებამ განაპირობა ანაჰიტას კულტის ფართო გავრცელება როგორც ირანში, ისე მის გარეთაც: შუა და მცირე აზიაში, არმენიაში და, როგორც ჩანს, საქართველოშიც. ანაჰიტას კულტი განსაკუთრებით პოპულარული გახდა პართულ ხანაში. რ. გირშმანის თქმით, ანაჰიტამ პირველ ადგილზე გადაინაცვლა ზოროასტირულ ტრიადაში და წყაროებში ნახსენები უკლებლივ ყველა ტაძარი ანაჰიტას სახელზე ჩანს აგებული (გაგოშიძე, 1978, გვ. 73).

დედოფლის მინდორი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველადვე დომენში შედიოდა და, შესაძლებელია სადედოფლო მამულადაც ითვლებოდა, ამდენად რეალური ჩანს იქ ღმერთების დედოფლის სახელობის ტაძრის არსებობაც: “დედოფალი” და “ქალბატონი” ხომ ანაჰიტას ერთ-ერთი ეპითეტაგანი იყო. 1926 წელს, დედოფლის გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ნაპოვნ ნივთებს შორის არის ერთი ოქროს ბალთა დიადემიანი, საყურებიანი და ყესაბამიანი ქალღმერთის ჰორელიეფური გამოსახულებით (Gogiberidze, 2008, გვ. 171, 186-187). ქალღმერთს თავს ზევით, თმებში ადგას ნამგალა მთვარე. ეს გამოსახულება თითქმის ზუსტი ილუსტრაციაა ანაჰიტას აღწერილობისა, როგორც ეს აბან-იაშტშია მოცემული: “დგას არდვი-სურა ანაჰიტა მშვენიერი ქალწულის სახით, შემოსილი ძვირფასი მოსასხამით, ოქროქსოვილით. საყურეები ამშვენებს მას, ოთხწახნაგა ოქროს საყურეები. მშვენიერ ყელზე კეთილშობილ არდვი-სურა ანაჰიტას მანიაკი აქვს ჩამოცმული. შუბლზე შემოუკრავს არდვისურა ანაჰიტას დიადემა ოქროსი, ასი პატიოსანი თვლით შემკული...”. თუ გავიხსენებთ, რომ ანაჰიტა არტემიდესთან იყო გაიგივებული, სულ

ადვილად აიხსნება ნახევარმთვარის გაჩენაც ანაჰიტას გამოსახულებასთან: არტემიდეს ხშირად გამოსახავდნენ ქალწულის სახით, რომელსაც თავზე ნამგალა მთვარე ადგას. ცხადია, არ შეიძლება არ არსებობდეს ანაჰიტას გამოსახულებებიც მთვარესთან ერთად, მით უმეტეს, რომ მეზობელ სომხეთში ანაჰიტა საერთოდ მთვარის ქალღმერთად იყო გაგებული. საინტერესოა სატაძრო კომპლექსთან არსებული უახლოესი სოფლის არადეთის სახელწოდების ეტიმოლოგია. არ არის გამორიცხული, რომ იგი უშაულოდ დაკავშირებული იყოს ანაჰიტას სახელთან – არდვი-სურა, არდვი (გაგოშიძე, 1978, გვ. 74-75).

დედოფლის მინდვრის მთავარი ტაძრის გარშემოსასვლელის სამხრეთ-აღმოსავლეთ დერეფანში აღმოჩნდა მსხვერპლად მიტანილი კეთილშობილი ირმების, ნიამორების და ტახების თავის ქალები, რომლებიც, კეფის არეში ჩამოხერხილი და გახვრეტილები იყო კედლებზე დასამაგრებლად. ცნობილია, რომ არდვი-სურა ანაჰიტასაც სწირავდნენ ცხოველებს და მის ტაძრებში დახოცილი მტრების თავებსაც კი აგზავნიდნენ (გაგოშიძე, 1978, გვ. 75).

დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსისგან 3 კილომეტრით სამხრეთით მდებარეობს ზემოთ ბევრჯერ ნახსენები დედოფლის გორის სასახლე, რომელიც უშუალო კავშირში იყო სატაძრო კომპლექსთან.

დედოფლის გორის სასახლის პირველი სართულის სამ N10, N20, N26 სათავსოში გამოვლინდა სამლოცველოები, რომლებიც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან პირველი საუკუნის ქართლში რელიგიური სიტუაციის შესახებ.

1993 წელს დედოფლის გორის სასახლის N10 ოთახში აღმოჩნდა ცეცხლის საკურთხეველი. საკურთხეველი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია ცეცხლის შესანახი ღუმელი - ათეშგა, რომელიც ნახევარწრიული განივკვეთის ორი დიდი ზომის კეხის კრამიტებისაგან (კალიპტერისაგან) შეკრული და გარედან თიხით შელესილი ცილინდრული კონსტრუქციაა, ხოლო მეორე - ალიზის აგურით ნაგები მაღალზურგიანი სავარძლისებური სამსაფეხურიანი ტრაპეზი. ცილინდრულ ღუმელში (ათეშგაში) წარმოქმნილ წმინდა ნაცარს, როგორც ჩანს, ინახავდნენ: ღუმელიდან ამოღებული ნაცარი რამდენიმე ფენად ეყარა ტრაპეზის მეორე და მესამე საფეხურებზე არსებულ ღრმულებში და ყოველი ასეთი ფენა თიხით იყო

გადალესილი. საკურთხეველი ოთახის ცენტრიდან დასავლეთის კედლისაკენაა გადაწეული, ალბათ, იმ მიზნით, რომ გარედან (კარიდან) არ გამოჩენილიყო. ამავე დროს, საკურთხეველი ოთახში ასიმეტრიულად არის ჩადგმული. მისი გრძივი ღერძი არც ოთახის კედლის მიმართულებასთან არის შეთანხმებული, არც დიაგონალთან და არც ქვეყნის მხარეების მიმართულებას ემთხვევა. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ოთახის ფართობი საკურთხეველის სიმეტრიულად ჩადგმის შესაძლებლობას იძლეოდა. როგორც ჩანს, საკურთხეველის ორიენტაციაში რაღაც აზრია ჩადებული. გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ეს ღერძი მიმართულია ზაფხულის არდადეგის დროს (22 ივნისი) მზის ამოსვლის წერტილისაკენ (სურ. 53).

ოთახში საბრძოლო იარაღის კომპლექტიც აღმოჩნდა: შედგენილი მშვილდი (შემორჩა ძვლის ფირფიტოვანი ნაწილები ლარის გამოსადები ღრმულით), რკინის ასამდე ისრისპირი, რომლებიც აშკარად კაპარჭში ეწყო; რკინისავე შუბისპირი და დანა. იარაღი, როგორც ჩანს, კედელზე ეკიდა. გარდა ამისა, იქვე იყო რამდენიმე კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოს ნახევარსფერული თასი, რკინის მაღალყურიანი ჯამი და ა.შ. აგრეთვე თიხის ოთხი ბულა, ირმის გამოსახულებიანი ერთი საბეჭდავის ანაბეჭდებით (Gagoshidze, 2001, გვ. 265-266).

ღუმელის ფერფლში აღმოჩენილი გოჭის ნეკნები, სავარაუდოდ, ცხოველის მსხვერპლშეწირვის კვალი.

ყველა ზოროასტრიელი მორწმუნე ვალდებული იყო წაეკითხა შვიდი მთავარი დღესასწაულის ლოცვა და დღეში ხუთჯერ ელოცა, ასევე მსხვერპლი შეეწირა საოჯახო კერაზე. ცეცხლის მსხვერპლშეწირვა შედგებოდა სამი ელემენტისგან, რომელთაგან ორი - ხე და საკმეველი - მცენარეული წარმოშობის იყო, ხოლო ერთი (ცხიმი) ცხოველური წარმოშობის. მსგავსი მსხვერპლშეწირვა ხდებოდა ტაძრის კერაზეც და ეს რიტუალი საუკუნეების განმავლობაში უცვლელი დარჩა ზოროასტრიზმის ისტორიაში (Boyce, 1979, გვ. 4, 63-64; Knauss, 2008, გვ. 49; Gagoshidze, 2001, გვ. 266). იარაღები, რომლებიც ოთახ N10-ის კედლებზე ეკიდა, ასევე აუცილებელი ატრიბუტი იყო ზოროასტრიზმის სამლოცველოსთვის (Бойс, 2003, გვ. 104; Knauss, 2008, გვ. 49; Gagoshidze, 2001, გვ. 266). ირემის გამოსახულებიანი ბულები შემთხვევითი არ იყო: როგორც ზემოთ აღინიშნა, დედოფლის მინდორის მთავარი ტაძრის სამხრეთ-

აღმოსავლეთ კორიდორში აღმოჩენილია ათობით ირემის თავი და, არვიდ სურასადმი მიძღვნილ ჰიმნის მიხედვით, მორწმუნეები მსხვერპლად მთელ ჯოგებს სწირავდნენ ამ ღვთაებას (Gagoshidze, 2011, გვ. 265-266; Knauss, 2008, გვ. 49).

დედოფლის გორის N10 ოთახში აღმოჩენილი საშინაო ცეცხლის საკურთხევლის შორეულ ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს გრაკლიანის გორაზე (შიდა ქართლი, საქართველო) გათხრილი საკურთხევლები. გრაკლიანის გორის მეორე და მესამე ტერასაზე (ქ. წ. V-IV სს.) აღმოჩენილ ყველა სამლოცველოში საშინაო საკურთხევლები ჩაშენებული იყო დასავლეთის კედელში. ასეთი საკურთხევლები აშკარად ასახავს აქემენიდურ კულტურულ ტრადიციას. ეს არის ტიპური ზოროასტრული ცეცხლის საკურთხეველი, რომელსაც ზუსტი ანალოგი აქვს დასავლეთ ირანში. კერძოდ, ნუმ-ი-ჯანის ცეცხლის ტაძრის N1 სატავსოს დასავლეთ კედელზე (ისევე როგორც გრაკლიან გორაზე) მიდგმულია საკურთხეველი, რომელსაც - ისევე როგორც გრაკლიანი გორის საკურთხეველს - აქვს ცეცხლის დასანთებად განკუთვნილი ნახევარსფეროსებრი ღრმული ცეცხლის ძლიერი კვალით. ნუმ-ი-ჯანში მომუშავე არქეოლოგების აზრით, ეს უნდა იყოს ირანული ცეცხლის საკურთხეველი, რომლის ტრანსფორმაცია მოხდა კიროსის მმართველობის ხანაში (ქ.წ. 590-530 წლები). განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ გრაკლიანის ერთ-ერთ ნაგებობაში, რომელსაც ფუნქციონირების თვალსაზრისით დომინანტური ადგილი უკავია, აღმოსავლეთ კედელზე, ცეცხლის საკურთხევლის პირდაპირ, უშუალოდ საკრალურ ღუმელთან აგებულია საკულტო კონსტრუქცია. გრაკლიანის ექსპედიციის ხელმძღვანელის, ვ. ლიჩელის აზრით, ასეთი უნიკალური კომბინაცია მოგვიანო რემინესცენციაა იმ რელიგიური ტრადიციისა, რომელიც გვიან ბრინჯაოს ძეგლებზე ჩანს. ამდენად, მხოლოდ ამ ერთი სათავსოს ინტერიერის ანალიზიც კი იძლევა იმის ნათელ დასტურს, რომ მიუხედავად მძლავრი ირანული იმპულსებისა, ადგილობრივი ეთნიკური სახე არ შეცვლილა (Licheli, 2020, გვ. 51-52; Roaf and Stronach, 1973, გვ. 134-136).

სასახლის N26 ოთახი გეგმაში ოთახი პრაქტიკულად კვადრატულია. კედლების სიგრძე 4.90-5.0 მეტრია. 0.90 მ სიგრძის კარი მოწყობილია დასავლეთი კედლის ჩრდილო ბოლოსთან. 1 მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილი კედლები ალიზის სქელი ფენითაა საგულდაგულოდ შელესილი. შელესილობა კარგადაა შემორჩენილი

ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე (სურ. 54). დასავლეთის კედელზე კარგად ისახება კარის შელესილი წირთხლი და შუა ნაწილში იატაკიდან 0.60 მეტრის სიმაღლეზე თაროსებრი შეღრმავება, რომელიც შესაძლებელია ფანჯრის რაფა იყოს. ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთის კედლების დაახლოებით შუა ნაწილში მოწყობილია 15 სმ-ის დიამეტრის წყვილ-წყვილი ვერტიკალურად განლაგებული ფოსო. ოთახის იატაკიც კარგადაა შელესილი, მხოლოდ სამხრეთ- აღმოსავლეთ კუთხეშია დაზიანებული გვიანდელი ორმოთი.

N26 ოთახში გასაოცრად კარგადაა შემონახული ალიზის სტრუქტურები. ოთახის შუა ნაწილში, ჩრდილოეთი კედლიდან 0.20 მეტრის დაშორებით 1მX1მ ფართობისა და 0.20 მ სიმაღლის ალიზის პოსტამენტზე დგას ალიზისავე 1 მეტრის სიმაღლის თაღოვანი ცეცხლის საკურთხეველი. საკურთხეველის გარე პირს შემოზღვევს ფართო კანტი. თაღი გახსნილია სამხრეთისკენ (სურ. 55). საკურთხეველის დასავლეთით დგას პურის საცხობი ფურნე. ფურნის ძირი სამხრეთ აკეცილი კერამიკული კეცია (სამხრეთით ღიაა), რომლის მარჯვნივ (აღმოსავლეთით) ვიწრო სანაცრეა მოწყობილი (სურ. 56.1). დასავლეთ კედელზე მიდგმულია ალიზის ხსნარით შელესილი პოდიუმი (სიმაღლე 0.65-0.45 მ, ფართობი 0.90მX0.60მ). პოდიუმის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაქანებულ ზედაპირზე ჩალესილია ბაზალტის ხელსაფქვავის ქვედა ქვა, რომელზეც დევს ზედა ქვა. ხელსაფქვავის ორივე მხარეს ჩაღრმავებებია. პოდიუმის სამხრეთის კედელზე ორი შეღრმავებაა - აშკარად სამუხლეები. პოდიუმს ჩრდილოეთით ოთახის იატაკის დონეზე ეკვრის 0.08 მ. სიმაღლის ბორდიურით მოზღუდული ღრმული, რომელშიც დგას თიხის საფქვილე ქოთანის (სურ. 56.2). აღმოსავლეთის კედელთან იდგა მარცვლეულით სავსე რამდენიმე ქოთანის, რომლებიც ჩალეწილი დაგვხვდა. ხელსაფქვავის აღმოსავლეთით არსებულ ღრმულში იდგა წითლად მოხატული დოქი. ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, აღმოსავლეთის კედელთან ჩადგმულია 2 ქვევრი, რომელთაგან ერთერთზე სამი არამეული ასონიშანია ამოკვეთილი. ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ხელსაფქვავიანი პოდიუმის უკან გაიწმინდა რკინის მაღალი სამფეხიანი კანდელაბრი. კანდელაბრთანვე აღმოჩნდა კლინეს ფეხების გარსაკრავები. იქვე იატაკზე იყო ბრინჯაოს სხვა ნივთების დამდნარი ფრაგმენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია

ბრინჯაოსგან ჩამოსხმული წყვილჩლიქიანი ცხოველის მცირე ზომის ფეხი, რომელიც სხვა კანდელაბრის ფეხი უნდა იყოს (გაგოშიძე, 2019, გვ. 186-189).

N26 ოთახში აღმოჩენილი საკურთხეველი ანალოგიურია N20 ოთახში აღმოჩენილი საკურთხეველისა (N20 საკურთხეველის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ). განსხვავებაა მხოლოდ ისაა, რომ N26 ოთახის საკურთხეველი ოდნავ დიდია და მისი გახსნილი თაღი იყურება სამხრეთით, N20-ისა კი აღმოსავლეთით. მსგავსი საკურთხეველების ზუსტ ანალოგებს ვერ მივაგენი ვერსად. ის შესაძლოა დაკავშირებული იყოს ირანში აღმოჩენილ საფეხურებიან ცეცხლის საკურთხეველებთან და ღია ცის ქვეშ მდგარ კუბური ფორმის კონსტრუქციებთან, რომელსაც ოთხივე მხრით თაღის რელიეფური შემკულობა აქვს (ე.წ. ჩორთაღი) და რომელიც ასევე ცეცხლის თაყვანისცემისათვის გამოიყენებოდა (Garisson, 1999, გვ. 613-619).

N26 ოთახის მაგვარ სიტუაციას ვხვდებით გრაკლიან გორასა და ციხიაგორაზე გამოვლენილ საკულტო ნაგებობებში. გრაკლიან გორაზე, აქემენიდური პერიოდის ერთ-ერთ სათავსოში აღმოჩნდა ალიზის კონსტრუქცია, რომელშიც ჩადგმული იყო ხელსაფეკვები. იქვე ახლოს მდებარე სხვა სათავსოში გაიწმინდა საკრალური ღუმელი და საკურთხეველი (ლიჩელი, 2014, გვ. 6-23; Licheli, 2020, გვ. 48-57).

ციხიაგორის სატაძრო კომპლექსშიც გამოვლინდა ხელსაფეკვებიანი კონსტრუქცია, რომელსაც ცალკე ნაგებობა ჰქონდა დათმობილი. ამ ნაგებობის დასავლეთ კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე ალიზით მოწყობილი მერხი იყო, რომელზეც თითქმის ერთმანეთის მიჯრით დალაგებული იყო ხელსაფეკვები. თითოეული ხელსაფეკვავის მარჯვენა გვერდზე ალიზის მერხში ჯამივით ჩაღრმავებები იყო მოწყობილი. საინტერესოა, რომ ხელსაფეკვავიან ოთახს აღმოსავლეთით ესაზღვრება მარანი, სადაც გაითხარა საწნახელი და 48 ქვევრი. იმავე ოთახში იყო სხვადასხვა კონსტრუქციის სამი საკურთხეველი. როგორც ჩანს ღვინის წურვის დროს ტარდებოდა რაღაცა სახის რიტუალი. სატაძრო კომპლექსში გაითხარ ასევე სპეციალური ნაგებობა - „სათონე“, სადაც აღმოჩნდა 5 თონე (ცქიტიშვილი, 2003, გვ. 11-25; Tetruashvili, 2024, გვ. 123-137).

საინტერესოა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი ღართისკარის სასიმაგრო სისტემის შიდა ტერიტორიაზე გამოვლენილი ტაძარ-სამლოცველო, რომლის დასავლეთ კედელზე გაიწმინდა ალიზით ნაგები საკურთხეველი, რომელიც მსგავსია გვიანდელი ბრინაჯაო- ადრეული რკინის ხანის სხვადასხვა ძეგლებზე მიკლვლელი საკურთხევლებისა. ამ საკურთხევლის გვერდით აღმოჩნდა ქვა-ალიზით ნაგები მერხი, რომლის წინ ფქვილის შესაგროვებელი-ბორტით შემოსაზღვრული მოედანი გამოვლინდა. მერხის გვერდით ეგდო ბაზალტის ნავისებური ხელსაფქვაკვი. მერხი ზუსტი ანალოგიაა დედოფლის გორის N26 ოთახში აღმოჩენილი ასევე დასავლეთ კედელზე მიშენებული პოდიუმისა. ძეგლის შემსწავლელების აზრით ეს უნდა იყოს ცეცხლის ტაძრის რეგიონული ტიპი (ნიკოლაიშვილი და სხვ., 2024, გვ. 28-33). ღართისკარი სასიმაგრო კომპლექსის შიგნით ასევე აღმოჩნდა თიხამიწით შემტკიცებული რიყის ქვით ნაგები 25 კვადრატული მეტრის ფართობის შენობა, რომელშიც გაიწმინდა ალიზით ნაგები მერხი, რომელშიც ქვის ნავისებური ხელსაფქვაკვები იყო ჩადგმული (მერხი მსგავსია ციხიაგორაზე გამოვლენილი კონსტრუქციისა). წიქვილის იატაკზე აღმოჩნდა ორი დიდი ზომის ჭურჭელი, რომელიც ხორბლის თუ ფქვილისათვის იყო განკუთვნილი. იქვე იყო დამდიანი თიხის ბულა, რომლითაც, როგორც ჩანს, ფქვილით სავსე თიხის ჭურჭელს ბეჭდავდნენ. ძეგლის შემსწავლელები ფიქრობენ, რომ წისქვილი შორიახლოს გაწმენდილი ზემოთ ნახსენებ ტაძარ-სამლოცველოს მეურნეობისთვის საჭირო ფქვილს ამზადებდა. წისქვილი და ტაძატ-სამლოცველო იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ქ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებში მოქმედებდა (ნიკოლაიშვილი და სხვ., 2024, გვ. 34-37).

როგორც დავინახეთ, ქართლში გამოვლენილ საკულტო დანიშნულების ნაგებობებში ჩვეულებრივი ამბავია საფქვაკვი კონსტრუქციების, ქვევრების და ღუმელების ერთად არსებობა. ამგვარად N26 ოთახი ყველა ნიშნით სამლოცველო უნდა ყოფილიყო, სადაც წარმოდგენილია არამართო საკურთხეველი, არამედ საკულტო რიტუალებისთვის აუცილებელი პური და ღვინო. ამასთანავე, პური იქვე იფქვებოდა და ცხვებოდა (გაგოშიძე, 2019, გვ. 186-189).

გვიანელინისტური-ადრერომაული პერიოდის ქართლში რელიგიური სიტუაციის საკვლევად განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა დედოფლის გორის სასახლის N20 სათავსო.

N20 ოთახი სასახლისათვის “სტანდარტული” ზომის გამოდგა, მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი შიდა კედლების სიგრძე 4.70 მ, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები კი 5.30 მ-ია. კარი გაჭრილია ოთახის დასავლეთ კედელში, ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან ახლოს და დერეფანში (ტალანში) გადის. ოთახის კედლები შელესილი იყო, იატაკი - თიხატლექნილი (სურ. 57). ოთახის შუაგულში, უფრო დასავლეთი კედლის სიახლოვეს, 20 სანტიმეტრის სიმაღლის გეგმაში მართკუთხა პოდიუმზე, აღმართულია ალიზით ნაგები ბუხრის მსგავსი თაღოვანი კონსტრუქცია, რომელიც აღმოსავლეთისკენაა გახსნილი. საკურთხევლის სამივე კედელი ნაგებია ვერტიკალურად დაწყობილი ალიზის აგურებით, დახურულია დიდი ზომის ალიზისავე აგურით და საგულდაგულოდ შელესილია (ისეთივე როგორც იყო N26 ოთახში). „ბუხარში“ წმინდა ნაცარი აღმოჩნდა. საკურთხევლის ბრტყელ ზედაპირზე ხანძრის სიმბურვალისაგან ერთმანეთთან შედუღებული ნივთები ეწყო (სურ. 58). ნივთების ადგილზე პრეპარირება სრულიად შეუძლებელი იყო, ამიტომაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორმა თეიმურაზ ფარჯანაძე მოხსნა ეს მასა და ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში გადაიტანა. თითქმის ერთი წლის ლაბორატორიული დამუშავების შემდეგ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ბერძნულ-რომაული პანთეონი, რომელიც ბრინჯაოსა და ვერცხლის მცირე ზომის ქანდაკებებითაა წარმოდგენილი: აპოლონ, მისი ტყუპისცალი არტემიდე-დიანა ვერცხლის შუბითა და ვერცხლისავე საწვივეებით და მათი დედა ლეტო-ლატონა (ვერცხლის), ტიხე-ფორტუნა, ვაზის ქვეშ მჯდომი სილენოსი, აგრეთვე, ბრინჯაოს არწივის, დელფინისა და დიდი ზომის ვერცხლის ყორნის ფიგურები. ქანდაკებები პოსტამენტებზე მდგარა. აქვე იყო ოქროს ფოთლოვანი გვირგვინი, ვერცხლის თიმიატერიონი (სასაკმევლე), ხოხბის კვერცხი და მინის ჭურჭელში ჩაყრილი 15 მონეტა: ავგუსტუსის 13 დენარი და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის 2 ადგილობრივი (ქართული) ოქროს მინაბადი. N20 ოთახის კარის ღიობის შემავსებელ ნანგრევში აღმოჩენილი რკინის საკეტი, მოძრავი სახელურით, როგორც ჩანს, თავის დროზე კარზე იყო დამაგრებული. აქვე აღმოჩენილი თიხის ორი ბულით,

შესაძლებელია, კარი იყო დაბეჭდილი. ბულებზე ცხადად იკითხება ოვალური ფორმის რომაული და კვადრატული ადგილობრივი საბეჭდავების ანაბეჭდები. როგორც ჩანს, საკურთხევლიან ოთახში შესვლის უფლება ყველას არ ექნებოდა (სურ. 57.1). ოთახში შემოხსენებულ ნივთებს გარდა რკინის დანა და რკინისავე გაურკვეველი დანიშნულების რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა (გაგომიძე, 2015, გვ. 125).

დედოფლის გორაზე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში (საინვენტარო N27-977). იმის გამო, რომ დედოფლის გორის სასახლის N20 ოთახის ცეცხლის საკურთხეველზე ნაპოვნი ნივთები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და სამეცნიერო საზოგადოებისთვის ჯერ-ჯერობით უცნობია, მათ სათითაოდ განვიხილავთ.

აპოლონი (საინვენტარო N27-977:11657; ბრინჯაო) ახალგაზრდა მამაკაცის შიშველი ფიგურა მხარზე გადაკიდებული მილისებური კაპარჭით; დაყრდნობილია მარჯვენა ფეხზე; მარცხენა ხელი იდაყვში აქვს მოხრილი, მარხვენა ხელი დაშვებული და მუშტად შეკრული; ხელებში რაღაც ნივთი უნდა სჭეროდა; მკაცრი გამოხედვა და ღრმულით გამოყოფილი ნიკაპი აქვს, მაღალი შუბლი, ოდნავ კეხიანი მოკლე ცხვირი; კულულებიანი გრეხილი თმა მხრებამდე აქვს ჩამოშლილი და უკანა მხარეს კვანძად შეკრული. სიმაღლე 11.0 სმ; სიგანე 4.0 სმ (სურ. 59.1).

აპოლონი ოლიმპიური პანთეონის ერთ-ერთი უდიდესი წარმოდგენელია, ღმერთქალ ლეტოსა და ზევსის ვაჟი. არტემიდეს ძმა. აპოლონს ფეხოსსაც უწოდებენ. იტალიაში არსებული ბერძნული კოლონიების გამო აპოლონის კულტი გადავიდა რომშიც და იქ ქ.წ. 31 წელს მას ტაძარიც კი აუგეს. იმპერატორმა ავგუსტემ აპოლონი თავის მფარველად გამოაცხადა და მის პატივსაცემად დააწესა თამაშობანი. თანამედროვე გაგებით აპოლონი მუსიკისა და პოეზიის ღვთაებაა. აპოლონს ხშირად წარმოდგენილია არტემიდასა და ლეტოსთან ერთად (Aghion et al., 1996, გვ. 45-46; გაფრინდაშვილი, 1972, გვ. 38-40).

ძალიან პოპულარული იყო აპოლონის გამოსახვა ბერძნულ-რომაულ სამყაროში, ამიტომაც დიდი რაოდენობითაა იგი წამროდგენილი ქანდაკებების სახით. გამოსახულია ჭურჭლებზე, მედალიონებზე, გემებზე, მონეტებზე და ა.შ.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია აპოლონის გამოსახულებების აღმოჩენის რამოდენიმე ფაქტი (ჩარკვიანი და ამირხანაშვილი, 2011, გვ. 173). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვანში თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აპოლონის ორი ვერცხლის ქანდაკება, რომლებიც შედიოდა საკურთხევლისადმი შეწირულ მრავალრიცხოვან და მდიდრულ ნივთების ჯგუფში. ეს ქანდაკებები ქ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება და ო.ლორთქიფანიძის აზრით მცირე აზიის ბერძნულ სახელოსნოებში უნდა იყოს დამზადებული (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 230; ლორთქიფანიძე, 2004, გვ. 197-210; ფირცხალავა და ყიფიანი, 1986, გვ. 77). ვანის ქანდაკებები შეიძლება ჩაითვალოს დედოფლის გორის აპოლონის ქანდაკების შორეულ ანალოგად, განსაკუთრებით კი ერთი ცალი (უფრო პატარა ზომის), რომელიც იგივე პოზაში დგას, როგორშიც დედოფლის გორის ცალი და შიშველ ტანზე კაპარჭის ქამარი აქვს გადაკრული.

დედოფლის გორის აპოლონი ასევე პარალელებს პოულობს ტანაისში აღმოჩენილი მოგრძო სადგარზე მდგარ, მარჯვენა ფეხზე დაყრდნობილ აპოლონის ბრინჯაოს შიშველი ფიგურასთან. განსხვავებაა ისაა, რომ ტანაისში აღმოჩენილ ცალს მოკლე თმა აქვს (Арсеньева, 1984, გვ. 93-95, LIII 1).

დედოფლის გორის აპოლონი მსგავსებას იჩენს რომის მუზეუმში დაცულ ელინისტური ხანის აპოლონის ტერაკოტულ ქანდაკებასთან. განსხვავება ისაა, რომ რომის ცალს მარცხენა ხელში ღირა უჭირავს (Krauskopf, 1984, გვ. 348, n 90).

ბრიტანეთის მუზეუმში ინახება აპოლონის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ასევე გავს დედოფლის გორის ცალს (Simon, 1984, გვ. 406, n 301). დგომით და თმის ვარცხნილობით დედოფლის გორის აპოლონი ძალიან გავს სტარა ზაგორაში (ბულგარეთი) აღმოჩენილ აპოლონის ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებას (ქ.შ. I-II საუკუნეები). განსხვავებით დედოფლის გორის ცალისა, ამ უკანასკნელს კაპარჭი არ ააქვს ზურგზე (Kalcev 1984: 406, 408, abb. 15). 2000 წელს ნიუ იორკში, სოტბის აუქციონზე გატანილი იყო ქ.შ. I-II საუკუნეებით დათარიღებული აპოლონის ბრინჯაოს ქანდაკება კერძო კოლექციიდან, რომელიც ძალიან გავს დედოფლის გორის აპოლონს. აპოლონს მარჯვენა ხელში უჭირავს რაღაც ნივთი (დედოფლის გორის ცალს

დაკარგული აქვს), მარცხენა ხელი კი ზუსტად ისევე აქვს აწეული, როგორც დედოფლის გორის აპოლონს (Sotheby's, 2000, გვ. 110, N114).

არტემიდე-დიანა (საინვენტარო N27-977:11656; ვერცხლი, ბრინჯაო) გამოწყობილია მოკლე ტუნიკაში და პეპლოსში; თავი ოდნავ მარჯვნივ აქვს მიბრუნებული; თავის გაშემო თმა ლილვისებურად აქვს ჩახვეული, რქისებური შვერილებით კეფაზე კვანძით; შერჩენილი აქვს ელექტრუმის გვირგვინის ნაშთი; თმის ერთი კულული ჩამოშვებულია მხარზე; სახე დაზიანებულია; იკითხება მოკლე ცხვირი, თვალის გუგები აღნიშნულია წერტილოვანი ღრმულებით; მოკლე პეპლოსი წელზე ქამრით აქვს გადაჭერილი; მოშიშვლებულ კისერს ვერცხლის ბრტყელი ყელსაბამი ამკობდა; მარჯვენა მკლავზე და მარცხენა კანჭზე შერჩენილი აქვს ვერცხლის გარსაკრავები – სახელო და მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ასევე ოთხწახნაგაგანიკვეტიანი სამაჯური და საკანჭურები; მარჯვენა ხელი ზეაწეულია, რომლითაც იგი ვერცხლის შუბს ეყრდნობოდა; მარცხენა ხელის მტევანი აკლია; მხარზე გადაჭერილი აქვს მსხვილი ღვედი, რომლითაც ზურგზე მიმაგრებულია ოვალური ფორმის ნივთი (კაპარჭი?); ფეხები გადაჯვარედინებული აქვს; სიმაღლე – 11.5 სმ.; მაქს სიგანე – 3.0 სმ; ხელიანად 6.9 სმ (სურ. 59.2).

არტემიდა-დიანა ბერძენ-რომაელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღვთაებათაგანია. იგი არის ზევსისა და ლეტოს ქალიშვილი და აპოლონის და. რომში არტემიდეს კულტი დიანასას შეერწყა. არტემიდეს ყოველგვარი თვისება დიანაზე გადავიდა და ამრიგად იგი გახდა ნადირობის, ნაყოფიერების, შვილიერების ღმერთი (გაფრინდაშვილი, 1972, გვ. 47-48).

კლასიკურ ბერძნულ ხელოვნებაში არტემიდა ხშირად არის წარმოდგენილი აპოლონთან და ლეტოსთან ერთად, რომლებიც ქმნიან დელოსურ ტრიდას (Aghion et al., 1996, გვ. 112-113).

საქართველოს ტერიტორიაზე არტემიდა/დიანას ქანდაკების აღმოჩენის არცერთი ფაქტი არ ფიქსირდება. ვანიდან ცნობილია მოოქრული ვერცხლის მედალიონი, რომელზეც ქალღვთაების (სავარაუდოდ არტემიდე) თავის და გულმკერდის მაღალ რელიეფში შესრულებული გამოსახულებაა. ეს მედალიონი, როგორც ჩანს, ხის ნივთზე დასაჭედებლად იყო განკუთვნილი (ქ.წ. II-I საუკუნეები)

[ლორთქიფანიძე 2002: 230; ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 77-78]. არტემიდა/დიანა უნდა იყოს გამოსახული ურბნისის სამაროვნის N189 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭდის თეთრი მინის ინტალიოზე (ქ.შ. I-II საუკუნეები) (ჩარკვიანი და ამირხანაშვილი, 2011, გვ. 173-174).

უმეტეს შემთხვევაში არტემიდე/დიანა წარმოდგენილია ხელაღმართული, კაპარჭიდან ისრის ამოღების პოზაში. შედარებით იშვიათად მაგრამ არის შუბით ხელშიც, როგორც დედოფლის გორის ცალი.

დედოფლის გორის არტემიდა/დიანას ქანდაკება ძალიან გავს მადრიდის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცულ რომაული პერიოდის არტემიდას/დიანას ბრინჯაოს ქანდაკებას (Kahil, 1984, გვ. 642, n212). შტუტგარტის და კარლსრუეს მუზეუმებში ინახება არტემიდე/დიანას თიხის ქანდაკებები, რომელთაც ფეხები გადაჯვარედინებული აქვთ, როგორც ეს დედოფლის გორაზე აღმოჩენილ არტემიდე/დიანას აქვს. მსგავსი თიხის ქანდაკებაა ცნობილი ასევე სიცილიიდან, რომელიც პირად კოლექციას წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნული ქანდაკებები ელინისტური პერიოდით თარიღდება (Kahil, 1984, გვ. 660, nn 496,497,498).

სხივებიანი გვირგვინით შემკული არტემიდე/დიანაა წარმოდგენილი ზოგიერთი პართული მონეტების რევერსზე. აქ არტემიდა/დიანა გაიგივებულია აღმოსავლურ ქალღმერთ ნანაიასთა. სხივებიანი გვირგვინითაა ასევე შემკული არტემიდე/დიანას ბრინჯაოს პატარა ზომის ქანდაკება, რომელიც ინახება ამსტერდამის მუზეუმში. მისი პოვნის ადგილი უცნობია, მაგრამ აღიარებულია, რომ ის სადღაც ახლო აღმოსავლეთიდან უნდა იყოს (Auge and De Bellefonds, 1984, გვ. 767-769, nn 13,15,24,27,28). შუბით (სკიპტრით) არის არტემიდე/დიანა წარმოდგენილი მარმარილოს სტელაზე, რომელიც ინახება ლუვრში და იმპერიული პერიოდით თარიღდება. ასევე შუბითაა ის წარმოდგენილი ბერლინის მუზეუმში დაცულ ვერცხლის საკიდზე (Kahil, 1984, გვ. 691, 696, nn 917, 982), კანდელაბრის ძირზე რომიდან და ანტონიუს პიუსის დროიდან მედალიონზე (Simon, 1984a, გვ. 818, 824, nn 136, 204). შუბი უნდა ჭეროდა ასევე ხელში ელინისტური/რომაული პერიოდის არტემიდე/დიანას ქანდაკებას, რომელიც ინახება ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონი) (Kahil, 1984, გვ. 653, n 389). კობარიდში (სლოვენია) აღმოჩენილ პატარა

ზომის ბრინჯაოს ქანდაკებების ჯგუფში შედის არტემიდე/დიანა, რომელსაც უჭირავს დიდი ზომის შუბი, ზუსტად ისეთივე, როგორც დედოფლის გორის ცალს (Osmuk, 1984, გვ. 360-361, ტაბ. 4a). განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ კობარიდის აპოლონს შუბი მარცხენა ხელში უჭირავს (მარჯვენა ხელში ოვალური ნივთი – ავტორის აზრით პატერა), დედოფლის გორისას კი მარჯვენაში.

ლეთო-ლატონა (საინვენტარო N27-977:11650; ვერცხლი) ხნიერი მანდილოსნის გამოსახულება, ფირფიტოვან გრძელ დანაოჭებულ ქიტონში და ზედ მოცმულ მანტიაში; თავზე ედგა ფირფიტოვანი პალმეტების გვირგვინი, რომელიც სახეზე ჰქონდა ჩამოცურებული და მიდულელებული; აქვს მკაცრი გამოხედვა, ოდნავ კეხიანი ცხვირი, მკაფიოდ მოდელირებული ნუშისებური ამობურცული თვალები; ტუჩის ზემოთ და ქვემოთ ღრმულებია დატანილი; ნიკაპი ორადაა გაყოფილი; კეფიდან ტალღებად დაწყობილი თმა შუბლზე შუაზეა გაყოფილი, ლილვისებურად ჩახვეული, თავის გარშემო შემოხვეული და კეფაზე კვანძისებურად შეკრული; საფეთქლები და ყურები დაფარულია ტალღოვანი ვარცხნილობით; სამოსა მხრებზე და მკერდზე ირიბადაა გადაჯვარედინებული; მარჯვენა ხელი მუხლისკენაა დაშვებული; მარცხენა ხელი მოტეხილია, მაგრამ თან ახლავს და როგორც ჩანს მუცელზე ედო; ფიგურის ქვედა ნაწილი დეფორმირებულია, ნაწილი კი დაკარგული. სიმაღლე – 9.5 სმ., მაქს. სიგანე 3.0 სმ (სურ. 59.3).

ლეთო-ლატონა იყო ზევსის ცოლი ჰერაზე ადრე. ზევსისგან ლეტომ დაბადა აპოლონი და არტემიდე. ძველ ბერძნებს ლეთო წარმოდგენილი ჰყავდათ მოალერსე და უწყინარ, შავ ტანსაცმელში გამოწყობილ ღმერთქალად. როგორც თქმულების, ისე კულტის მიხედვით, ლეთო მჭიდროდაა დაკავშირებული თავის შვილებთან – აპოლონთან და არტემიდასთან. მას, როგორც მათ დედას, ეთაყვანებოდნენ. რომში მას ლატონას ეძახდნენ (გაფრინდაშვილი, 1972, გვ. 178). ლეტოს/ლატონას ხშირად გამოსახავდნენ აპოლონსა და არტემიდასთან ერთად (Aghion et al., 1996, გვ. 178).

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ლეთო/ლატონას ქანდაკების ზუსტი ანალოგი ვერ მოვიძიეთ. მისი შორეულ ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს ქ.წ. II საუკუნის შუა ხანებით დათარიღებული ლეტოს ტერაკოტული ქანდაკება ანკონიდან (იტალია) (Krauskopf, 1992, გვ. 265; LIMC VI/2, გვ. 137, n 9).

ზოგადად ლეტო/ლატონა ხშირადაა წარმოდგენილი თავზე დიადემით, ტანზე კი ქიტონში და მოსასხამში, როგორც დედოფლის გორის ცალი (Berger-Doer, 1992, გვ. 267-272). დედოფლის გორის ლეტოს მაგვარ სამოსშია წარმოდგენილი ლეტოს მარმარილოს ქანდაკება რომის მუზეუმიდან, რომელსაც ჩვილი არტემიდა და აპოლონი უჭირავს ხელებში. გრძელ ქიტონშია წარმოდგენილი ასევე მცირე აზიაში აღმოჩენილ ლეტოს მარამარილოს ქანდაკება (ქ.წ. II საუკუნე) (Kahil and Icard-Gianolio, 1992, გვ. 259, nn 25,26).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ლეტოს გამოსახულების აღმოჩენის ეს ფაქტი პირველია. ო. ლორთქიფანიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ქ.წ. V საუკუნით დათარიღებულ ე.წ. II ტიპის კოლხური ვერცხლის დიდრაქმების ავერსზე წარმოდგენილი ქალი ლეტო უნდა იყოს (ლორთქიფანიძე, 1999, გვ. 45-49).

ტიხე-ფორტუნა (საინვენტარო N27-977:11658; ბრინჯაო) ქალის ღრუ ფიგურა, თავზე კონუსური ფორმის მაღალი გვირგვინით, გრძელ ნაოჭიან ქიტონსა და ზედ შემოცმულ მანტიაში, მხარზე სფერული შესაკრავით; ყელზე ყლსაბამი აქვს შებმული. მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს ყურძნის მტევნით. ორივე ხელის მტევანი მოტეხილია; მარჯვენა ფეხთან რაღაც ნივთის ფრაგმენტია შერჩენილი. სახე დაზიანებულია; იკითხება ცხვირის ქვედა ნაწილი, ტუჩები და წვეტიანი ნიკაპი; ცეცხლში ნამყოფი, ნაკლული; სიმაღლე 7,0 სმ; მაქს.სიგანე 3,0 სმ (სურ. 60.1).

ტიხე-ფორტუნა – შემთხვევის, ბედისა და ბედნიერების ღმერთქალი. ოკეანოსისა და ტეთისის ქალიშვილი. გამოისახებოდა ახალგაზრდა ქალად, ერთ ხელში გემის საჭე ეჭირა, მეორეში – სიუხვის რქა. ტიხეს კულტი განსაკუთრებით ელინისტურ ეპოქაში გავრცელდა, მას ხშირად რომაულ ფორტუნასთან აიგივებენ. სიუხვის რქიდან მონეტებს ჰყრიდა (გაფრინდაშვილი, 1972, გვ. 293-294, 308).

საქართველოს ტერიტორიაზე ტიხე-ფორტუნას გამოსახულებას მრავლად ვხვდებით გემებზე. ის აგრეთვე გამოსახულია არისტარქე კოლხის ვერცხლის მონეტის ზურგზე. ტიხე-ფორტუნაა გამოსახული ვერცხლის ფიალის ფსკერის მედლაიონზე (მცხეთა), ვერცხლის სამკლაურზე (ბიჭვინთა) და ვერცხლის თეფშის მედლაიონზე (ციხისძირი) (ჩარკვიანი და ამირხანაშვილი, 2011, გვ. 180-181). დედოფლის გორის

ქანდაკება მთლიანი სხეულით წარმოდგენილი ტიხე-ფორტუნას ქანდაკების საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენის პირველი ფაქტია.

დედოფლის გორის ტიხე-ფორტუნას ქანდაკების თითქმის ანალოგიური ქანდაკება (მარჯვენა ხელის მტევანი მასაც მოტეხილი აქვს) ნაპოვნია შვეიცარიაში, ქალაქ ავანშში (ინახება ამავე ქალაქის მუზეუმში). ავტორის აზრით ეს ქანდაკება რომის იმპერიული პერიოდისთვის ძალიან გავრცელებული ტიპია (Leibundgut, 1976, გვ. 48-49, ტაბ. 35).

როგორც ზემოთ აღწერაშია აღნიშნული დედოფლის გორის ტიხე-ფორტუნას მარჯვენა ფეხთან რაღაც ნივთის ფრაგმენტია შერჩენილი. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს გემის საჭის ფრაგმენტი, რომელიც ტიხე-ფორტუნას ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია (სიუხვის ყანწთან ერთად) და ხშირადაა გამოსახული ღმერთქალი მისით. მსგავსი ტიპის ტიხე-ფორტუნას ბრინჯაოს ქანდაკებები ცნობილია ლუვრიდან (პარიზი) (Villard, 1997, გვ. 121, n 65), მარსელის არქეოლოგიური მუზეუმიდან (საფრანგეთი), შპაიერის მუზეუმიდან (გერმანია) (Rausa, 1997, გვ. 130, n 67d, 67f) და სხვა. გემის საჭით და სიუხვის ყანწით შემკობილი ტიხე-ფორტუნას პატარა ზომის ქანდაკებები გავრცელებულია რომაულ პერიოდში (Villard, 1997, გვ. 121).

სილენი (საინვენტარო N27-977:11660; ბრინჯაო) დრუ ფიგურა წარმოადგენს მძინარე მოხუც მამაკაცს წვერულვაშით, ღიპით, ჩლიქებით, რომელიც ზის ვაზის ხის ქვეშ; მარცხენა თეძოსთან ნახევრად დაცლილი ტიკი უდევს; თავზე მცენარეული გვირგვინი ადევს და წვეტიანი ყურები მოუჩანს. ქანდაკება დამაგრებული იყო წაკვეთილი კონუსის ფორმის სადგარზე, რომელიც იქვე იდო; საერთო სიმაღლე 7.0 სმ; მაქს სიგანე 7.8 სმ (სურ. 60.2).

სილენი - დემონი, ჰერმესისა და პანის ვაჟი. დიონისეს აღმზრდელი და ზედამხედველი. ძველი ბერძნების წარმოდგენით იგი მუდამ მთვრალი, მხიარული და კეთილი ხასიათის მელოტი მოხუცი იყო. სილენის ატრიბუტებია: თასი, სუროს გვირგვინი, ტირსი და ვირი (გაფრინდამვილი, 1972, გვ. 276-277). ხელოვნებაში სილენოსი ხშირად გამოსახება მჯდომარე პოზაში, უზომოდ მთვრალი, რომელიც ძლივს იკავებს ბალანსს (Aghion et. al., 1996, გვ. 271-272).

დედოფლის გორის სილენის ქანდაკების ზუსტ ანალოგს ვერ მივაგენი, თუმცა სახის გამომეტყველებით იგი ახლო მსგავსებას იჩენს ელინისტურ-რომაული ხანი სილენის მრავალ გამოსახულებასთან (Simon, 1997, გვ. 1108-1133; LIMC VIII/2 გვ. 746-913). შვეიცარიაში ქალაქ ავანშში აღმოჩენილი სილენის ბრინჯაოს ქანდაკება ღვინის ტიკითაა წარმოდგენილი, როგორც დედოფლის გორის ცალი. ავანშშივეა აღმოჩენილი ქ.შ. II საუკუნით დათარიღებული მჯდომარე და ხელაწეული სილენის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც სახის გამოსახულებით ძალიან გავს დედოფლის გორის სილენს (Leibundgut, 1976, გვ. 37-38, ტაბ. 20-22).

ზოგადად საქართველოს ტერიტორიაზე სულ ცნობილია სილენის სამი გამოსახულება. ქ.წ. II საუკუნითაა დათარიღებული, ვანში ნაპოვნი სილენის თავის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 232). საყანჩის ნამოსახლარზეა მიკვლეული თიხის სადგარი სილენის თავის გამოსახულებით (ქ.წ. III-II საუკუნეები) (ლიჩელი, 1991, გვ. 64-65. ტაბ. XXXVIII). სოფელ მეტეხში შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენს ბრინჯაოს ოინოხოია, რომლის ყურზე გამოსახულია ასევე სილენი (ჩარკვიანი და ამირხანაშვილი, 2011, გვ. 180).

როგორც ცნობილია სილენი დიონისეს წრის ერთერთი მთავარი წარმომადგენელი და მისი გამზრდელია. დიონისეს კულტი ელინისტურ ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. მით უფრო გასაგებია მისი პოპულარობა და ფართოდ გავრცელება საქართველოში, რომელიც მეღვინეობა-მევენახეობის ქვეყანას წარმოადგენდა (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 232). ამის თვალსაჩინო მაგალითია სარკინეში აღმოჩენილი ქ.წ. II-I საუკუნეებით დიონისესა და მისი მეუღლის არიადენს თიხის ქანდაკებები და მათი მხლებლების თიხის ნიღბები, რომლებც კრამიტით გადახურული ხის ნეგებობაში ინტერიერის დეკორად უნდა ყოფილიყო გამოყენებული (ბოხოჩაძე, 1973, გვ. 38-44). დიონისეს კულტს ეთაყვანებოდნენ ასევე ელინისტური პერიოდის ვანში. ქ.წ. II-I საუკუნეებითაა დათარიღებული ვანის ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილ ტაძარში აღმოჩენილი ბრინჯაოს ექვსი ჰორელიეფური გამოსახულება, რომლებიც დიონისეს წრის ღვთაებებს გამოხატავს (პანი, სატირი, არიადნე, მენადა) (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 223-226; Kacharava and Kvirkvelia, 2008, გვ. 113-124). საინტერესოა, რომ დედოფლის

გორის სასახლის N1 ოთახში ნაპოვნია ბრინჯაოს იტალიკური ამფორა, რომლის ყურებზე წარმოდგენილია დიონისეს თავის გამოსახულება (Löhr, 2008, გვ. 155).

არწივი (საინვენტარო N27-977:11659; ბრინჯაო) სამკუთხა სადგარზე გაშლილ ფეხებზე მყარად დგას ამაყად თავმოზიდული ოდნავ ფრთაგაშლილი ფრინველი სხვადასხვაგვარად მოდელირებული ბუმბულით; მოხრილ კუდზე მცირე ზომის ნახვრეტი აქვს; ახლავს კუბური ფორმის სადგარი. სიმაღლე – 7.0 სმ., მას. სიგანე – 4.5 სმ., სადგარის ზომები – 2.8 სმ. X 2.8 სმ. ცეცხლში ნამყოფი, ძლიერ დაზიანებული, დამსკდარი ზედაპირით (სურ. 61.1).

არწივი მიჩნეულია ზევსის/იუპიტერის წმინდა ცხოველად. ანტიკურ ხელოვნებაში ზევს ხშირად არწივი უზის ფერხით (გაფრინდაშვილი, 1972, გვ. 120-122). ლეგენდის თანახმად ზევსი ისე მოიხიბლა განიმედეს სილამაზით, რომ არწივად გადაიქცა, მოიტაცა იგი და ოლომპოზე წაიყვანა (Aghion et al., 1996, გვ. 131-132).

საქართველოში ქ.შ. პირველი საუკუნეებიდან ზევსის ნაცვლად გზას იკვლევს რომის სახელმწიფოსა და არმიის უზენაესი ღვთაება იუპიტერი. საქართველოში აღმოჩენილი არწივების გამოსახულებები, როგორც ჩანს, მას უკავშირდება. არწივი – იუპიტერის სიმბოლო, რომელი ლეგიონის სიძლიერის ნიშანია. ტაციტუსის სიტყვებით, “მას თავყვანს სცემდნენ ყველა ბანაკში, ხოლო მისი გამოსახულება ინახებოდა სალოცავში, საკურთხეველთან” (Tac. III,47) (კვიციანი, 1997, გვ. 105).

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი არწივი პოზით და სხვა ნიშნებით ძალიან წააგავს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ბრინჯაოს არწივებს (სამი ცალი), რომლებიც ამკობდა ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელს (ქ.წ. II ს.). ჩვენი არწივისგან განსხვავებით, ვანის ფრთაგაშლილი არწივების თითოეული დეტალი (ნისკარტი, თვალები, ბუმბული და ღონიერი ქვედა კიდურები) დიდი მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული. ო. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ არწივები და ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელთან დაკავშირებული სხვა ნივთები მცირე აზიიდან უნდა იყოს იმპორტირებული (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 224-225; Kacharava and Kvirvelia, 2008, გვ. 120-121).

დაახლოებით დედოფლის გორის არწივის მსგავსი ბრინჯაოს არწივის გამოსახულება ცნობილია ძველი ნისის გათხრებიდან. ავტორი მას იმპორტულ მასალად მიიჩნევს (Кошеленко, 1985, გვ. 223, ტაბ. LXXXVII). დედოფლის გორის არწივის ქანდაკება ასევე მსგავსებას იჩენს სომხეთის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ არწივის გამოსახულებთან, რომელიც ერთ შემთხვევაში აბოლოგებს ბრინჯაოს კიბეებიან პოსტამენტს, ხოლო მეორე შემთხვევაში კიბეებიან პოსტამენტზე მდგარ შველის თავს. საინტერესოა, აგრეთვე, ლუვრში დაცული ბრინჯაოს შველის თავზე მჯდარი არწივი, რომელიც ასევე სომხეთშია (არაგაცის მთასთან) ნაპოვნი. ყველა ამ ნივთს ბ. არქელიანი ელინისტური ხანით ათარიღებს (Аракелян, 1976, გვ. 78-79, ტაბ. XCIII-XCV).

თურქეთში, ქალაქ ოდემიშის მუზეუმშია დაცული სტამბოლის არქეოლოგიის მუზეუმის მიერ გადაცემული 3 არწივის ქანდაკება, რომლებიც ქ.შ. II-III საუკუნეებით თარიღდება. ავტორი ფიქრობს, რომ ეს არწივის ქანდაკებები მცირე აზიის სახელოსნოებში უნდა ყოფილიყო დამზადებული (Laffi, 2015/2016, გვ. 117-124, ტაბ. 15).

როდოსის მუზეუმში ინახება ელინისტური პერიოდის ზევსის პატარა ზომის ქანდაკება, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს არწივი (Levent and Machaira, 1997, გვ. 346, n247). არწივის ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებებია აღმოჩენილი აგრეთვე ავანში (შვეიცარია) და მდინარე რაინის პირას, ქალაქ ვესელთან (გერმანია). ორივე ქანდაკება ქ.შ. II საუკუნით თარიღდება (Leibundgut, 1976, გვ. 63-64, ტაბ. 47-48; Horn, 1973, გვ. 162-163, ტაბ. 106).

ყორანი (საინვენტარო N27-977:11651; ვეცხლი) ღრუ რეალისტური გამოსახულება კარგად მოდელირებული მძლავრი თავით და ნისკარტით, ნისკარტზე მოგრძო ღრმულით – ნესტოთი, ნუშისებური ამობურცული თვალით; ფრთებდაკეცილი; ფოთლისებური მომრგვალებული, წიწვოვანი ორნამენტით დაფარული ბულბულით; სამკლანჭიანი დეზებიანი ფეხებით. გაწმენდამდე შერჩენილი ჰქონდა ქსოვილის ანაბეჭდი; სიმაღლე – 9.0 სმ; მას. სიგანე 4.7 სმ (სურ. 61.2).

ბერძნული მითის თანახმად, როდესაც კორინდა ფეხმძიმედ იყო აპოლონისგან, აპოლონმა მის შესამოწმებლად თეთრი ყორანი გაგზავნა. ყორანმა, მას შემდეგ რაც ისქისისა და კორონიდას ურთიერთობის შესახებ გაიგო მაშინვე აპოლონს აცნობა. გაბრაზებულმა აპოლონმა კორონიდა და ისქისი დახოცა, ყორანი კი დაწყევლა და გააშავა (Guirand, 1968, გვ. 118). ასევე ცნობილია, რომ ფოკიდის მეფის შვილი, აპოლონის ცოლი კორონიდა ყორნად/ყვავად გადაიქცა. ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში ყორანი/ყვავი ითვლება უბედურების მომტან ფრინველად (Иванов и Топоров, 1982, გვ. 348).

დედოფლის გორის ვერცხლის ყორნის ანალოგს ვერსად მივაკლიეთ. უდავოა, რომ დაკავშირებულია აპოლონის კულტთან.

დეღფინი, (საინვენტარო N27-977:11664; ბრინჯაო) ბრტყელი, მაღალი შუბლით, მაღალი ზურგის ფარფლებით, სუროს ფოთლის ფორმის მოქნეული კუდით, ცეცხლში ნამყოფი, დეფორმირებული; სიგრძე 4,0 სმ; მაქს სიმაღლე 2,0 სმ (სურ. 61.3).

ბერძნული ტრადიციის მიხედვით დეღფინი აპოლონთან დაკავშირებული ცხოველია (Aghion et al., 1996, გვ. 117-118). საქართველოს ტერიტორიაზე დეღფინის გამოსახულებებს ვხვდებით გემებზე. ზოგადად დეღფინის გამოსახვა გემებზე ფართოდაა გავრცელებული რომაულ ხანაში (გაბუნია, 2017, გვ. 90). დედოფლის გორის დეღფინი წააგავს ქ.წ. III-II საუკუნეებით დათარიღებულ დეღფინის გამოსახულებას ერეტრიის (საბერძნეთი) ოქროს ყელსაბამის შესაკრავებზე (Ruxer and Kubczak, 1972, გვ. 233). დეღფინის მცირე ზომის ქანდაკებები ასევე ცნობილია ავანშიდან (შვეიცარია) (Leibundgut, 1976, გვ. 66, 81-82, ტაბ. 48, 54).

უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე, დედოფლის გორის სასახლის თანადროულ, ღია ცის ქვეშ მოწყობილ სამლოცველოსთვის შეწირულ ნივთებს შორის აღმოჩნდა პოსეიდონის ვერცხლის მცირე ზომის ქანდაკება, რომელსაც მარჯვენა ხელში დეღფინი უჭირავს (Novichenkova, 1996, გვ. 192).

სასაკმევლე-თიმიატერიონი (საინვენტარო N27-977:11652; ვერცხლი) ფეხიანი თასის ფორმის, ოვებიანი სარტყლით ზედა ნაწილში, კანელირებული გამოყვანილი ფეხით, ქვედა ნაწილში სუროს ფოთლის ონამენტით, ღომის თათებზე

დაყრდნობილი. ფეხი ძველადვე გადაუჭრიათ თასის დიამ. 6,4-7,5 სმ; ძირის დიამ. 7,0 სმ; ფეხის მინ. დიამ 3,0 სმ; შერჩენილი სიმაღლე 4,0 სმ (სურ. 62.2).

საქართველოს ტერიტორიაზე ხვდებით რამოდენიმე ტიპის სასაკმეველეთიმიატერიონს. პირველ რიგში აღსანიშნავია ვანში, თორმეტსაფეხურიანი საკურთხეველის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის მაღალფეხიანი თიმიატერიონები. ეს თასები ძველ სამყაროში საყოველთაოდ გავრცელებული საცეცხლე რიტუალური ჭურჭლების, ე.წ. თიმიატერიონების იმ სახეობასთან ავლენენ ტიპოლოგიურ სიახლოვეს, რომლებიც წარმომავლობით დასავლეთ-ირანულ სამყაროს უკავშირდებიან. ვანის თიმიატერიონები თარიღდება ქ.წ. II-I საუკუნეებით (ფირცხალავა და ყიფიანი, 1986, გვ. 67-68; ფირცხალავა, 2003, გვ. 86-90). ქ.შ. III საუკუნით თარიღდება ზღუდერის N2 მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ფიჭვის გირჩით დაგვირგვინებული ტაძრის ფორმის ბრინჯაოს საცეცხლური-თიმიატერიონი (ბრაუნდი და სხვ., 2009, გვ. 20, 58).

დედოფლის გორის თიმიატერიონის მსგავსი ნივთი, ოღონდ უფრო დიდი ზომის ცნობილია ეგვიპტიდან. გამოსახულია ასევე მოზაიკაზე ნეაპოლში, ფარნეუს ატლასის გლობუსზე, კართაგენულ სტელაზე, ბოსკორეალეში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე, ქალაქ სმირნაში მოჭრილ მონეტიზე, ე.წ. “აღდობრანდინის ფრესკაზე” და სხვა. კარლ ვიგანდი, რომელმაც მეცნიერულად შეისწავლა თიმიატერიონები, ზემოთ ჩამოთვლილი თიმიატერიონები ერთად აქვს დაჯგუფებული და მათ ეძახის “ელინისტური და რომაული პერიოდის მოკლე და დამჯდარ თიმიატერიონებს”. მისი აზრით ამ ტიპის თიმიატერიონები ქ.წ. III – ქ.შ. III საუკუნეებში გავრცელებული იყო მთლიან ელინისტურ-რომაულ კულტურის არეალში: სირია, ეგვიპტე, ჩრ. აფრიკა, მცირე აზია, იტალია, გერმანია. კ. ვიგანდი ამ ტიპის თიმიატერიონების სამშობლოდ სირიას მიიჩნევს (Wigand, 1923, გვ. 72-79).

გვირგვინის ფრაგმენტი, (საინვენტარო N27-977:11649; ოქრო) მცენარის სამკბილა ფირფიტოვანი ფოთლებით შედგენილი. ფოთლები ბოლოებისაკენ წვრილდება მავთულის ფორმამდე და უძრავადაა დამაგრებული მრგვალგანიკვეთიანი მავთულის რკალზე, ცალ ბოლოზე გაშლილი ყვავილი

(მირტის, ან ასკილის) აქვს, მეორე ბოლოზე მარყუჟი. წარმოდგენილია ნივთის ნახევარი (სურ. 62.1).

ანტიკურ სამყაროში მცენარის ფოთლებისაგან შედგენილი გვირგვინები ფართოდ იყო გავრცელებული. მათ ატარებდნენ თავზე ან კისერზე როგორც დღესასწაულებზე, ისე სამგლოვიარო ცერემონიებზე. ისინი ასევე იხმარებოდა ჯილდოდ, ნიჭიერების, არმიისა და ფლოტის მიერ წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობის თუ სამოქალაქო გმირობის შემთხვევაში. ბერძნებთანაც და რომაელებთანაც გვირგვინებს ატარებდნენ პოეტებიც (Smith, 1890, გვ. 547-548).

გვირგვინები ხშირად ტაძარში მიტანილ პირად ძღვენს წარმოადგენდა. ისინი იხსენიება ტაძრების საინვენტარო სიებში, მაშინ, როდესაც მონეტების შეწირვის შემთხვევები ძალზე იშვიათია. შესაძლოა, ტაძრის ქონებას გვირგვინების სახით ინახავდნენ (Уильямс и Огден, 1995, გვ. 36).

დედოფლის გორაზე გვირგვინის ნაწილი აღმოჩნდა საკურთხეველზე ღვთაებათა გამოსახულებებთან ერთად. ღმერთებისათვის გვირგვინის შეწირვის ტრადიცია რომაულ ხანაშიც განაგრძობს არსებობას და, როგორც ირკვევა, დასტურდება საქართველოშიც. გვირგვინის ფოთლები სამწვერაა, მაგრამ ყვავილი მირტის ყვავილს ჰგავს. საფიქრებელია, რომ დედოფლის გორის გვირგვინი არა სამგლოვიარო ცერემონიალს, არამედ მსხვერპლშეწირვას უნდა უკავშირდებოდეს.

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი გვირგვინი თავისი კონსტრუქციით (მის ფირფიტოვან სამწვერა ფოთლებს მავთულოვანი ყუნწები აქვს, რომლებიც შემოხვეულია მრგვალგანივკვეთიან მავთულოვან ღეროზე) სრულიად განსხვავდება საქართველოში აღმოჩენილი სხვა გვირგვინებისაგან, რომლებიც სამარხებიდან მომდინარეობს. ისინი ცალკეული ნახვრეტებიანი ფოთლების სახით არის წარმოდგენილი და ქსოვილზე ან ღვედზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული (მაგ. გვირგვინი არმაზისხევის N3 და N 9 სამარხებიდან) (აფაქიძე და სხვ., 1955, გვ. 49, სურ. 125). დედოფლის გორის გვირგვინის ფირფიტოვან სამწვერა ფოთლებს მავთულოვანი ყუნწები აქვს, რომლებითაც შემოხვეულია მრგვალგანივკვეთიან მავთულოვან ღეროზე. დაახლოებით მსგავსი გვირგვინი ცნობილია ბოსფორის სამეფოს ქალაქ გორგიპიის მდიდრული აკლდამიდან (ქ.წ. III-II საუკუნეები). განსხვავებაა ისაა, რომ

გორგიპიას გვირგვინის ცენტრში ყვავილის მაგივრად მედლაიონი ზის აფროდიტეს გამოსახულებით (Алексеева, 1984, ფერადი ტაბ. III,1). აგრეთვე ძველი ბოსფორის სამეფოს ტერიტორიაზე მიკვლეულ არტიუხოვის ყორღანშია ნაპოვნი ორი ოქროს გვირგვინი (ქ.წ. II საუკუნე), რომელთაც როგორც დედოფლის გორის ცალს ცენტრში ყვავილი ამშვენებს. მ.ა. მაქსიმოვა, რომელმაც მეცნიერულად შეისწავალ არტიუხოვის ყორღანი, მიიჩნევს, რომ გვირგვინები სპეციალურად დაკრძალვისათვის იყო გაკეთებული და ეს წესი ბოსფორის სამეფოს არისტოკრატთა ბერძნებისგან აიღო ქ.წ. IV საუკუნეში. იმის, გამო რომ მცირე აზიაში, საბერძნეთში და იტალიაში ანტიკური ხანის გვირგვინები სრულიად განსხვავდება ბოსფორში აღმოჩენილ გვირგვინებისგან (გარდა არტიუხოვის ყორღანისა სხვა ადგილებშიც არის აღმოჩენილი), მ.ა. მაქსიმოვა ფიქრობს, რომ ისინი ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენდა. ქ.წ. I საუკუნის შემდეგ ოქროს გვირგვინები ბოსფორში ქრება (Максимова, 1979, გვ. 41-44).

დედოფლის გორის N20 ოთახის ცეცხლის საკურთხეველზე აღმოჩნდა ქანდაკებების ბრინჯაოს ოთხი სადგარი (სურ. 63.3). აქედან ერთი კუბური ფორმის სადგარი (ინვ. N27-977:11659) არწივს უნდა ეკუთვნოდეს, წაკვეთილი კონუსის ფორმის, გვერდგამოყვანილი სადგარი კი სილენოსს (ინვ. N27-977:11660). დანარჩენი ორი სადგარი – ცილინდრულ ფორმის, განიერი ზედა და ქვედა სიბრტყეებით (ინვ. N27-977:11663) და მართკუთხა ფორმის, განიერი პროფილირებული ზედა და ქვედა სიბრტყეებით, ფეხებიანი (ინვ. 527-977:11662) ალბათ ეკუთვნოდა სხვა აქ აღმოჩენილ ქანდაკებებს. დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ქანდაკებების სადგრების ანალოგები უამრავია აღმოჩენილი მთელს ბერძნულ-რომაულ სამყაროში. მაგალითისთვის მოვიყვან ავანში (შვეიცარია) (Leibundgut, 1976, გვ. 37-38, 53-55, ტაბ. 21, 40-41), ტანაისში (უკრაინა) (Арсеньева, 1984, გვ. LIII 2,3), აუგსბურგში (გერმანია) (Fleischer, 1977, გვ. 61-72), პომპეიში, ჰერკულანიუმში (ორივე იტალია) (Adamo-Muscettola, 1984, გვ. 9-32) და სხვა ადგილებში აღმოჩენილ ბრინჯაოს სადგრებს (ზოგჯერ ქანდაკებითურთ, ზოგჯერ მარტო), რომლებიც ძალიან გავს დედოფლის გორის ცალებს.

N20 ოთახის საკურთხეველზე აღმოჩნდა მინის ჭურჭელში ჩაყრილი 15 მონეტა: ავგუსტუსის 13 დენარი და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის 2 ადგილობრივი ქართული ოქროს მინაბადი (სურ. 63.1,2) (გაგომიძე, 2015, გვ. 125).

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ავგუსტუსის დენარები მოჭრილი უნდა იყოს გალიის (ლუგდუნუმი/ლიონი) ზარაფხანაში ქ.წ. 2-ქ.შ. 4 წლებში. მონეტის შუბლზე გამოსახულია კეისრის მარჯვენა პროფილი, რომლის გარშემო შესაფერისი ლათინური ზედწერილია იუწყება კეისრის სახელსა და ტიტულს; ზურგზე კეისრის შვილობილები გაიუსი და ლუციუსი პირდაპირ დგანან და ფარებსა და შუბებს ეყდნობიან. გამოსახულების ირგვლივ შესაბამისი ლათინური ზედწერილია. ავგუსტუსის დენარები იბერიის ფულადი მეურნეობის საფუძველია I-II საუკუნეებში. ის მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. აღმოსავლეთ საქართველოში ორმოცამდე ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ქართული ოქროს მინაბადია ნაპოვნი. მათი ზოგადი აღწერილობა ასეთია: შუბლი – მარჯვნივ მიმართული ქალღმერთი ათენას სქემატური პროფილი. სახის ნაკვთები გადმოცემულია მკვეთრი, გაბედული შტრიხებით (დროთა განმავლობაში გამოსახულება თადათან მახინჯდება). ზურგი – ფრთოსანი ნიკეს სქემატური გამოსახულება პირდაპირ. ფრთები ფართოდ გაშლილ-ჩამოყრილი აქვს, პირობითადაა გადმოცემული, მაგრამ ისე, რომ არავითარ ეჭვს არ ტოვებს, თუ რისი გამოსახვა სურდა ხელოსანს. ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტების იმიტაციები აღმოჩენილია კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და მათი ემისიის ქრონოლოგიური დიაპაზონი ქ.წ. I – ქ.შ. I საუკუნეებია (დუნდუა და დუნდუა, 2006, გვ. 69-72; Sherozia, 2008, გვ. 237).

იბერია-კოლხეთში ტაძრისადმი მონეტების შეწირვა გავრცელებული ტრადიციია ქ.წ. II - ქ.შ. I საუკუნეებში. არქეოლოგიურ ძეგლებზე, სამლოცველოებში დადასტურებული შეწირული სამონეტო განძები აჩვენებს ამ ტრადიციის უწყვეტობას ქრისტიანულ ტაძრებამდე (პატარიძე, 2020, გვ. 127-131).

ზოგადად საკურთხეველისთვის/ტაძრისთვის ნივთების შეწირვა ძველ სამყაროში გავრცელებული წესი იყო. საქართველოს ტერიტორიაზე საინტერესოა ვანში 1967 წელს ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში გათხრილი მარტივი

მეგარონის ტიპის ტაძარი, რომლის ნანგრევებშიც აღმოჩნდა მდიდრული შეწირულობა: კოლხური ქვევრი და 40-ზე მეტი ამფორა, 119 სპილენძის მონეტა, ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი, რომელსაც ამკობდა სამი არწივის, ქალღმერთ ნიკეს და დიონისეს წრის ღვთაებების ბრინჯაოს ქანდაკებები (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 223-226). ვანის ცენტრალურ ტერასაზევეა მიკვლეული ე.წ. თორმეტსაფეხურებიანი საკურთხეველი, რომლის სამხრეთით არსებულ ხის შენობაში განძსაცავი ყოფილა. არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვან მონაპოვარში ყურადღებას იქცევს თიხის საწაფები, ქვევრები, ამფორები, სატევრები, ოროდ II-ის დრაქმა, ზემოთ უკვე ნახსენები ვერცხლის მედალიონი არტემიდე/დიანას გამოსახულებით, აპოლონის ორი პატარა ზომის ვერცხლის ქანდაკება და სხვ (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 229-233).

1981 წელს უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ქლაქ გურზუფთან ახლოს მთაში აღმოჩნდა ღია ცის ქვეშ მოწყობილი სამლოცველო, რომელიც ფუნქციონირებდა ქ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ქ.წ. I – ქ.შ. III საუკუნეების ფენები. ამ პერიოდის სამლოცველო წარმოადგენდა ფართო ოვალური ფორმის საკრალური სივრცეს, რომლის შიგნით ჩაჭრილი იყო ორმოები. ორმოებში აღმჩნდა დიდი რაოდენობით შეწირული ნივთები, რომელთაგანაც გამოსარჩევია მცირე ზომის ბრინჯაოსა და ვერცხლის ტიხეს, არტემიდას, კიბელას, ზევსის, პოსეიდონის, ჰერმესის, აპოლონის, ცხენის, არწივის და სხვ. ქანდაკებები. ორმოებში აღმოჩნდა აგრეთვე რამოდენიმე მონეტა. აქ როგორც ჩანს ტარდებოდა ცეცხლთან დაკავშირებული რიტუალები, რაზეც მიუთითებს შეწირულ ნივთებთან ერთად ორმოებში ნანახი დიდი რაოდენობით ნახშირი (Novichenkova, 1996, გვ. 181-217).

**ანალიზები.** საინტერესო შედეგი მოგვცა გერმანიაში, ქალაქ ბოხუმის სამთო საქმის მუზეუმის ანალიტიკური ლაბორატორიის ბაზაზე თ.ფარჯანაძის და მ.ბოდეს ხელმძღვანელობით ვერცხლის ნივთების (არტემიდე-დიანას ფეხის გარსაკრავი და გვირგვინი, ყორანი, ლეტო-ლატონა, თიმიატერიონი) იზოტოპური ანალიზებმა ტყვიაზე. ანალიზებმა აჩვენეს, რომ არტემიდე-დიანას ფეხის გარსაკრავის და ყორნის ვერცხლი მომდინარეობს ლოზერის მთის საბადოდან (სევენი, საფრანგეთი), არტემიდე-დიანას გვირგვინი კოპონიკის მთის საბადოდან (სერბეთი, კოსოვო),

ლეტო-ლატონა და თიმიატერიონი კი – ნახლავის საბადოდან (ისპაჰანის პროვინცია, ირანი). ლოზერის მთისა და კოპაონიკის მთის ვერცხლის საბადოები რომის იმპერიის ვერცხლის მოპოვებისა და დამუშავების ისტორიულად ცნობილ ცენტრებს წარმოადგენდა (Parjanadze and Bode, 2017, გვ. 39-50; ფარჯანაძე, 2017, გვ. 20-21, 25).

ბრინჯაოზე ჩატარებული რენტგენოფლოუორესცენტული სპექტრომეტრით კვლევის შედეგად ნივთებში გამოიყო ორი ჯგუფი: არწივისა და სილენოსის ქანდაკება კალის საშუალო შემცველობით და არტემიდე-დიანას, აპოლონის, ტიხე-ფორტუნას ქანდაკებები დამზადებულნი კალის დაბალი და ტყვიის უჩვეულოდ მაღალი შემცველობის შენადნობებისაგან. ცნობილია, რომ კლასიკური პერიოდის ბრინჯაოს ქანდაკებებში სპილენძი და კალა წარმოადგენენ მთავარ ელემენტებს, ხოლო ტყვია არ ფიქსირდება. რომაული ბრინჯაოს ქანდაკებებში კი კალის შემცველობა, როგორც წესი მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ბერძნულ ბრინჯაოში, ხოლო ტყვიის შემცველობა საკმაოდ მაღალია. პლინიუსი ქანდაკებებისთვის გამოყენებული ბრინჯაოს შემადგენლობის ყველა ფორმულაში წარმოაჩენს ტყვიას, როგორც აუცილებელ კომპონენტს. ეს განხვავება (ბრინჯაოსა და ტყვიით ლეგირებული სპილენძის შენადნობის გამოყენების ფაქტი) შესაძლოა მათი დამზადების განსხვავებულ თარიღზე მიუთითებდეს (კალანდაძე და სხვ., 2016, გვ. 194-201). მითუმეტეს, როგორც ზემოთ ითქვა ქ.წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე აშენებული დედოფლის გორის სასახლიდან, რომელიც ქ.შ. I საუკუნის ბოლოში დაინგრა, ცნობილია უფრო ადრეული ნივთების აღმოჩენის ფაქტები.

**ნივთების წარმომავლობა.** დედოფლის გორის სასახლის N20 ოთახის საკურთხეველზე აღმოჩენილ ნივთები ტიპიურია ბერძნულ-რომაულ სამყაროსთვის და მათ უმრავლესობას მრავალი ანალოგი ეძებნება ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ნაპოვნ არტეფაქტებთან. ვფიქრობ, ქანდაკებები და მათთან ერთად აღმოჩენილი სარიტუალო დანიშნულების ნივთები საქართველოს გარეთ, სხვადასხვა ქვეყნებში უნდა ყოფილიყო დამზადებული გვიანელინისტურ-ადრერომაულ პერიოდში.

როგორც ზემოთ აღინიშნა ვერცხლი რომლითაც ლეტოს ქანდაკება და თიმიატერიონია გაკეთებული მომდინარეობს ნახლავის (ირანი) საბადოებიდან. სავარაუდოა, რომ ისინი ახლო აღმოსავლეთის რომელიმე სახელოსნოშია

დამზადებული, რომელიც მარაგდებოდა ზემოთაღნიშნული საბადოდან მოპოვებული ვერცხლით. ქართლის სამეფოს ძალიან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ქონდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან განსაკუთრებით კი სირიასთან, რაზეც მიუთითებს აქ აღმოჩენილი დიდი რაოდენობით სირიული იმპორტული ნივთები (Saginashvili, 2008, გვ. 225). არ დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ კ. ვიგანდი ამ თიმიატერიონების სამშობლოდ სირიას მიიჩნევს (Wigand, 1923, გვ. 72-79).

არტემიდა-დიანას ფეხის გარსაკრავი ლოზერის მთიდან (საფრანგეთში) მოპოვებული ვერცხლისგანაა დამზადებული, მისი გვირგვინი კი კოპაონიკის მთიდან (სერბეთი, კოსოვო). ეს ადგილები რომის იმპერიაში ცნობილი საბადოებად ითვლებოდა. ვერცხლი, რომლისგანაც ყორანია დამზადებული აგრეთვე მოპოვებულია ლოზერის საბადოებში. როგორც ზემოთ ავღნიშნე დედოფლის გორის ყორანის ანალოგს ვერსად მივაკვლიე. სავარაუდოა, რომ ეს ნივთები რომის მეტროპოლიის რომელიმე სახელოსნოშია დამზადებული.

ბრინჯაოს არწივზე ჩატრებულმა ანალიზებმა აჩვენეს მასში კალის საშუალო შემცველობა, რაც დამახასიათებელია კლასიკური (ბერძნული) პერიოდის ბრინჯაოსთვის (კალანდაძე და სხვ., 2016, გვ. 196-197). ამიტომაც, სავარაუდოა რომ დედოფლის გორის არწივი ელინისტური პერიოდისა იყოს და შესაძლოა ის დამზადებული იყოს მცირე აზიის სახელოსნოებში, როგორც ვანისა და ოდემიშის არწივები. რომაულ პერიოდის მცირე აზიაში აღმოჩენილი ზემოთ ნახსენები არწივის ქანდაკებები (ოდემიშის მუზეუმიდან) ბერძნული ცალების მიხედვითაა დამზადებული, და ისინი შედარებით დაბალი ხარისხისაა (Lafli, 2015/2016, გვ. 117-124). დედოფლის გორის სილენიც არწივის ქანდაკების მსგავსად ელინისტური პერიოდის ნაწარმი უნდა იყოს. ანალოგიურ ქანდაკებას ვერ მივაკვლიე ვერსად, ამიტომ ძნელია საუბარი თუ სად შეიძლება ყოფილიყო დამზადებული ეს ქანდაკება.

ტიხე-ფორტუნას, არტემიდა-დიანას და აპოლონის ბრინჯაოს ქანდაკებები ტყვიის მაღალი შემცველობის გამო სავარაუდოდ რომაული პერიოდის ნაწარმი უნდა იყოს. ეს ღვთაებები ერთერთი ყველაზე პოპულარულები იყვნენ რომაულ სამყაროში და საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მათი გამოსახულებიანი ქანდაკებები ნაპოვნი

მთელს ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ცოდნის ამ ეტაპზე რთული იქნება მათი წარმომავლობის დადგენა.

დედოფლის გორის N20 ოთახში აღმოჩენილი გვირგვინი უნიკალურია საქართველოსთვის. მას ახლო ანალოგები ეძებნება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მდიდრული სამარხებიდან და შესაძლოა ქართლში მოხვედრილიყო მაგ ტერიტორიებიდან.

## თავი VI

### სავაჭრო გზები პირველი საუკუნეების ქართლში

საინტერესოა ის სავაჭრო გზები, რომლითაც ქართლში და კერძოდ დედოფლის გორაზე შემოიღოდა უცხოური ნაწარმი. როგორც ზემოთ უკვე ითქვა ქ.წ. პირველი საუკუნის დასაწყისში, პოლიტიკური ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში მკვეთრად შეიცვალა. უშუალოდ იბერიის მეზობლად ძლიერდება სომხეთისა და პონტოს სამეფოები. ამ დროს იწყება აღმოსავლეთის ქვეყნებში რომის აქტიური პოლიტიკური ექსპანსიაც, რაც ამიერკავკასიის ქვეყნებსაც და მათ შორის იბერიასაც შეეხო. უკვე რომაელთა ლაშქრობის შედეგად იბერიაში (ქ.წ. 66 წ.), ეს უკანასკნელი ექცევა რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ. მაგრამ ეს ვითარება, როგორც ჩანს, დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე ქ.წ. პირველი საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქართლის სამეფოს მესვეურები სარგებლობენ რომის იმპერიაში შექმნილი რთული ვიტარებით და ახერხებენ რომაელთა გავლენისგან თავის დაღწევას. ქ.შ. პირველი-მეორე საუკუნეები, როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაა, რაც გამოიხატა აგრეთვე მის აქტიურ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობასი მეზობელ სომხეთთან და რომის იმპერიასთან. ქ.შ. პირველი-მეორე საუკუნეები რომისა და ქართლის სამეფოს ურთიერთობა ძირითადად კეთილმეზობლურსა და მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, თუმცა ზოგჯერ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავებასაც. ქ.შ. პირველი-მეორე საუკუნეების რომისა და იბერიის პოლიტიკური ურთიერთობა გამოიხატებოდა თავისებურ კავშირში, რასაც, როგორც ფიქრობენ, გარკვეული ორმხრივი ეკონომიკური ინტერესებიც განსაზღვრავდა. რომაელთა ეკონომიკური ინტერესების სფეროში ექცეოდა ის დიდი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს, ამიერკავკასიაზე გავლით დასავლურ სამყაროსთან აკავშირებდა.

ქ.წ. პირველი საუკუნეები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა განსაკუთრებით ფართო მასშტაბების და აღმავლობის ხანაა. ვაჭრობა იღებს მანამდე უჩვეულო მასშტაბებს. რომაული სახელოსნოების ნაწარმი აღწევს სკანდინავიის ქვეყნებისა და ბალტიის ზღვის სანაპიროებს. დუნაის პროვინციების გავლით

რომაელი ვაჭრები გზას იკვლევენ დნეპრის სანაპიროებისკენ. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქები - ოლბია, ქერსონესი, პანტიკაპეონი განიცდიან ქ.შ. პირველ საუკუნეში გარესამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობათა ახალ აღმავლობას.

რომისა და რომაული სამყაროს უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაში დიდი ადგილი ენიჭება აღმოსავლეთთან ვაჭრობას, რომლის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ ეგვიპტის სანაპირო ქალაქები და პირველ რიგში კი ალექსანდრია. დიდ როლს ასრულებდნენ სირიის ქალაქები, სადაც გადიოდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქარავნო სავაჭრო გზები.

ქართლის სამეფოს მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას ახ.წ. პირველი საუკუნეების საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესში ხელს უწყობდა მისი სიახლოვე დიდ სავაჭრო მაგისტრალებთან.

სპეციალურმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო მაგისტრალი იბერიის მეზობელ სომხეთზე გადიოდა ქ. არტაშატთან, ხოლო აქედან ამ გზის ერთი მონაკვეთი აღწევდა ქართლის დედაქალაქ მცხეთამდე, იქიდან კი მდინარე მტკვრის გაყოლებით ვრცელდებოდა ქართლის სამეფოს სხვადასხვა საქალაქო ცენტრებში (ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 65-69). ანტიკური იმპორტის გავრცელების დეტალურ შესწავლას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოს ეკონომიკური ისტორიისათვის. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ამ დროს ქართლის ქალაქები დიდ სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე მიაქციეს ყურადღება წერილობითო წყაროების ცნობებს ქართლის ქალაქებში საგანგებო სავაჭრო-საბაზრო ადგილებისა თუ უბნების არსებობის შესახებ. იბერიაში საბაზრო მოედნების არსებობაზე მიუთითებს სტრაბონის ცნობა (XI, 3, 1), საინტერესოა „ქართლის მოქცევის“ ცნობა იმის შესახებ, რომ მცხეთაში იმართებოდა ხოლმე დიდი ბაზრობა, სადაც თავს იყრიდნენ ქართლის ყველა კუთხის მცხოვრებნი (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 103).

მცხეთა დაკავშირებული იყო სავაჭრო გზებით არა მხოლოდ სომხეთთან (არტაშატი), არამედ ალბანეთთან და მედია-ატროპატენასთანაც; იქიდან იბერიაში ხვდებოდა პართიული, სოგდიური, ბაქტრიული და სომხური მონეტები, ასევე აღმოსავლური ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები და სამკაული - მაგალითად, ოქროს სამაჯური დედოფლის გორიდან, რომლის ანალოგები მხოლოდ ცენტრალურ აზიაში მოიპოვება.

მცხეთიდან გზა გრძელდებოდა უფრო ჩრდილოეთითაც, დარიალის ხეობით უკავშირდებოდა აორსებსა და სირაკებს. ამ ტომების აღმოსავლური საქონლით ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობის შესახებ საინტერესო ცნობა სტრაბონთანაა (XI. 5, 8) შემონახული: სირაკებსა და აორსებს „შემოჰქონდათ აქლემებით ინდური და ბაბილონური საქონელი, რომელტაც ისინი არმენიელთა და მიდიელთაგან ღებულობდნენ“. როგორც ჩანს, დარიალის ხეობითა და სწორედ აორსებისა და სირაკების მონაწილეობით ვრცელდებოდა იბერიიდან გოტარზეს დრაქმები ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო იქიდან კი ბოსფორული სტატერები. ქ.შ. პირველ საუკუნეებში მშნიშვნელობა ქონდა რიონ-ყვირილა-მტკვირს მაგისტრალსაც. განსაკუთრებით ქვეყნის საშინაო ვაჭრობისთვის (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 68-69).

მცხეთა, როგორც სავაჭრო ცენტრი და სატრანზიტო პუნქტი, მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ალბანეთისთვის, რომლის დედაქალაქი კაბალა იბერიას უძველესი სავაჭრო გზით უკავშირდებოდა და მას მცხეთის გზით ხმელთაშუაზღვის სამყაროსთან ჰქონდა კონტაქტი. საპირისპირო მიმართულებით, იბერიის კავშირები მედია-ატროპატენესთან, პართიასთან და ცენტრალური აზიის სამხრეთ რეგიონებთან, სავარაუდოდ, ამავე გზით და ალბანეთის კაბალას გავლით ხორციელდებოდა.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მონეტარული მიმოქცევის სხვაობას იბერიასა და სომხეთს შორის, ასევე სომხეთში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას I საუკუნეში, უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ სირიული საქონელი (სულ მცირე, ამ საუკუნეში) უფრო დასავლური მარშრუტით შემოდის, რომელიც მხოლოდ რომის პროვინციებზე გადიოდა და არტაშატს გვერდს უვლიდა. სავარაუდოდ, ეს გზა ევფრატის გასწვრივ მიემართებოდა მტკვირს ხეობისკენ და იქიდან ქართლის

ტერიტორიაზე. ეგვიპტური საქონელიც, სავარაუდოდ, ამავე გზით შემოდიოდა. ამ მარშრუტის ინტენსიური გამოყენება I საუკუნეში იმითაც მტკიცდება, რომ ურბნისში - პირველ ქალაქში იბერიაში ამ გზაზე - არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაცილებით მრავალფეროვანი და დიდი რაოდენობით სირიული მინის ჭურჭელი იქნა აღმოჩენილი, ვიდრე ქართლის დედაქალაქ მცხეთაში. იგივე ეხება I საუკუნის იმ ჯგუფის გემებს, რომლებიც პალესტინური კესარიადან იქნა შემოტანილი. ურბნისი, რომელიც ამ მნიშვნელოვანი სავაჭრო გზაზე მდებარეობდა - ეგვიპტიდან სირიისა და პალესტინის გავლით იბერიაში და იქიდან ჩრდილოეთ კავკასიაში - ისეთივე კოსმოპოლიტური მოსახლეობით გამოირჩეოდა, როგორც ტიპურია სავაჭრო ცენტრებისათვის. ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები იუდეველები და სირია-პალესტინიდან წამოსული არამეული წარმოშობის ხალხი სავარაუდოდ, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობდნენ თავიანთ ძველ და ახალ სამშობლოს შორის. საქართველოში აღმოჩენილი ძვირფასი ვერცხლის ჭურჭლიდან ზოგი - მაგალითად, არმაზისხევში, N6 სარკოფაგში ნაპოვნი ფიალა, რომელზეც წარმოდგენილია „ადრიანეს ტიპის“ წვეროსანი ბიუსტი - რომაულ სირიასთან კავშირზე მიუთითებს. ფიალა II საუკუნით თარიღდება, მაგრამ, უდავოდ, I საუკუნიდანვე შემოჰქონდათ ტორეტიკის ნაწარმი, სამკაულები და ძვირფასი ჭურჭელი ეგვიპტიდან, სირიიდან და სხვა ახლო აღმოსავლეთის ცენტრებიდან. 1926 წელს დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ორი ბრინჯაოს ბატილა (საკურთხეველი ჭურჭელი) I საუკუნით თარიღდება და, სავარაუდოდ, სირიული წარმოშობისაა. დასავლური იმპორტი - განსაკუთრებით იტალიური ბრინჯაოს ჭურჭელი - შესაძლოა, იგივე გზით შემოსულიყო საქართველოში; ამ ტიპის ნიმუშები დედოფლის გორაზეა აღმოჩენილი. შესაძლებელია, ისინი ზღვით სირიამდე ჩაჰქონდათ, ხოლო იქიდან აღმოსავლეთში ვრცელდებოდა (Gagoshidze, 2008, გვ. 24-25).

სისტემატური სავაჭრო ურთიერთობის დამადასტურებელია რომაული და პართული მონეტების - ავგუსტუსის დენარებისა და გოტარზეს დრაქიმების აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე (საგინაშვილი, 1970, გვ. 7).

ამავე დროს ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოში აღმოჩენილი გემები რომლებზეც გამოსახულია პტოლემეაიოსების სამეფო ოჯახის პირთა პორტრეტები -

მაგალითად, დედოფლის გორის N1 ოთახში მიკვლეული ვერცხლის ბეჭედი გრანატის ინტალიოთი, რომელზეც გამოსახულია არსინოე II, ვაჭრობის საგანს შეადგენდა. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი ძველ ქართლში დიპლომატიური საჩუქრების სახით შემოსულიყო (Javakhishvili, 2008, გვ. 191-221).

## დასკვნა

დედოფლის გორის სასახლეში ცხოვრობდა დიდებული (დიდი აზნაური), რომელიც მართავდა სამეფო დომენს, სადაც მდებარეობდა ქართლის მეფეთა საგვარეულო სამლოცველო. პერიოდულად, როდესაც ქართლის მეფე სალოცავად მოაკითხავდა თავის საგვარეულო სამლოცველოს, დედოფლის გორის სასახლე იქცეოდა ხოლმე სამეფო რეზიდენციად, მაგრამ მეფის დომენის მმართველის მუდმივ სამყოფელოს წარმოადგენდა. სასახლის მცხოვრებლები იყვნენ აგრეთვე მსახურები, რომელთაც ევალებოდათ სასახლის დაცვა, ყოველდღიური მოვლა-პატრონობა და სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამურნეო სამუშაოების წარმოება.

სასახლის გათხრილი 23 ოთახი გორის თხემს შემოუყვება. თითქმის ყველა ოთახი გეგმაში ოთხკუთხაა. შიგადაშიგ კი გვხვდება ვიწრო და გრძელი ოთახები, რომლებიც სასახლის ზედა სართულებზე ასასვლელი ხის კიბის უჯრედები იყო. სასახლე ორსართულიანი იყო, ოთახების რიგში ჩართული 2 კომპი კი სამსართულიანია (ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში). ყველა ოთახის კარი გადის დერეფანში, რომელიც პილონებით გამოყოფილია შიდა ეზოსგან. პირველი სართულის ოთახებს ქონდათ ხის კარები, რომელთაც საკეტი ეკეთა, აღმოჩენილია როგორც საკეტები ისე გასაღებიც. დაკეტილი ოთახი ზოგჯერ იბეჭდებოდა. მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით, დედოფლის გორის სასახლე ტიპური ნაგებობაა ელინისტური ხანის ქართლისთვის. მზიდი კონსტრუქცია ხისაა. კედლებისა და პილონების ქვედა ნაწილი წარმოადგენს კედლის სიგრძივ და გარდიგარდმო დალაგებული ხის ძელებით შეკრულ გალიას, რომელიც 1,5-2 მ. სიმაღლემდე შევსებულია ბუნარევი თიხის ხსნარზე დაწყობილი მსხვილი რიყის ქვით. კედელი გარედან და ზოგჯერ შიგნიდანაც მოპირკეთებულია თლილი ბლოკებით, რომლებიც ერთმანეთთან და კედლის არმატურის ძელებთან დაკავშირებულია ისრისპირის ფორმის ხის პირონებით. 1,5-2.0 მეტრის სიმაღლის ასეთ ცოკოლზე აყვანილია ალიზის კედელი, რომელიც ასევე არმიერებულია ხის ძელებით. პირველი სართულის ოთახები (გარდა NN 10, 20 და 26 ოთახებისა რომლებიც სამლოცველოები იყო) ძირითადად სამეურნეო დანიშნულებისა იყო.

დედოფლის გორის სასახლის მმართველს საკუთარი მიწები ექნებოდა სასახლის გარშემო, რომელთა დამუშავება ალბათ დომენში არსებულ სოფლის მოსახლეობას ევალებოდა. სახვნელი იარაღი ინახებოდა სასახლეში, რომელიც საგაზაფხულო და სამეშემოდგომო ხვნის დროს გაჰქოდათ მინდორში. როგორც ჩანს, საქონელიც სასახლის გარეთ იყო და მათი მოვლაც სოფლის მოსახლეობას ევალებოდა, რადგან სასახლის ტერიტორიაზე ბოსლის კვალი არ შეგვხვდებოდა. საქონლისგან განსხვავებით დიდებულის ცხენები სასახლის ტერიტორიაზე საგანგებო თავლაში იდგნენ (N9 ოთახი). სამეურნეო საქმიანობაში ცხენი არ გამოიყენებოდა - ისინი ეტლში შესაბამელი ან საჯდომი ცხენები იყვნენ. რამდენადაც სასახლე გვიან-შემოდგომით დაინგრა და N20 ოთახის საკურთხეველზე ხოხბის კვერცხი აღმოჩნა, სავარაუდოა, რომ სასახლის ვოლიერებში ყავდათ ხოხბები (ველურ პირობებში ხოხობი მხოლოდ აპრილში დებს კვერცხს). დომენის მფლობელის მიწაზე მოწყული ჭირნახული - მარცვლეული (ხორბალი, ასლი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, სორგო), კაკალი, შვინდი, ჭანჭური, ბარდა, ხახვი ინახებოდა სასახლის პირველი სართულის საცავებში. მარცვლეული იფქვებოდა და პური ცხვებოდა სასახლეში - როგორც ფურნეში, ისე თონეშიც. სასახლის მფლობელს ქონდა აგრეთვე ვენახები. დაწურულ ღვინოს ინახავდა სასახლეში არსებულ მარანში.

სასახლეში სხვადასხვა ტიპის ხელსაწყო იარაღის (ჩაქუჩი, ხერხი, წერაქვ-ჩაქუჩი, ძალაყინი, ცული) არსებობა მიგვანიშნებს, რომ შესაძლებელი იყო ნებისმიერი სამუშაოს შესრულება. ერთ-ერთ ოთახში მიკვლეული საქსოვი დაზგის არსებობა, მიგვანიშნებს, რომ აქ მცხოვრებნი გარდა შემოტანილისა ადგილობრივ დამზადებულ ქსოვილსაც იყებნდნენ. ქსოვილების დასამზადებლად იხმარებოდა: ბამბა, სელი, აბრეშუმი და კანაფი. აქ აღმოჩენილი აბრეშუმი არის უძველესი არა მარტო კავკასიაში, არამედ წინა აზიაშიც.

სასახლის მეორე სართულზე განლაგებული იყო როგორც სასახლის მმართველის და მისი ოჯახის საცხოვრებელი ისე სამეფო აპარტამენტები, სადაც დედოფლის მინდვრის ტაძარში სალოცავად მოსული მეფე რჩებოდა. მეორე სართულის შესახებ საუბარი შეგვიძლია პირველ სართულის ოთახების შემავსებელ ნანგრევში ნაპოვნი ნივთებით რაც მეტად მრავალფეროვანი და განსაკუთრებულად

მდიდრულია, მათ შორის ბევრია იმპორტული მასალა. ავეჯი წარმოდგენილია ბერძნულ-რომაული ტახტებით (კლინე), კანდელაბრებით, მაგიდებით, სკამებით, ყუთებით. ძალიან საინტერესოა დედოფლის გორის სასახლის N12 ოთახში აღმოჩენილი ბერძნულ-რომაული სარეცლის გვერდის მორთულობა - ფულკრუმი. აღსანიშნავია, რომ ეს ფულკრუმის აღმოჩენის პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი ფაქტია საქართველოს ტერიტორიაზე. ფულკრუმი ქ.წ. მეორე საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ძვლისგან გამოთლილი პატარა ზომის სფინქსის ქანდაკება, რომელიც სავარძლის შესამკობელია. სფინქსის თავი წარმოადგენს ელინისტური ეგვიპტის პირველი ბერძენი ფარაონის პტოლემეაოს პირველის პორტრეტს. თვითონ სავარძელი, რომელიც ნამდვილად მეორე სართულზე იდგა არ შემორჩენილა.

სუფრისა და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელის უმეტესობა კერამიკულია და დამზადებულია დედოფლის მინდორზე არსებულ სამეთუნეო სახელოსნოში. გვხვდება რამოდენიმე უცხოური წარმომავლობის სუფრის ჭურჭელი: დოქი და ჯამები. ცხადია იმპორტულია თიხის სანელსაცხებლები, რომლითაც შემოდიოდა ძვირფასი ნელსაცხებელი. ნელსაცხებლისთვის იყო აგრეთვე განკუთვნილი როგორც ჩანს მინის ჭურჭელიც. სასახლეში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭურჭლის უმეტესობა კერამიკისგან განსხვავებით იმპორტირებულია, ძირითადად სამხრეთ იტალიიდან. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბრინჯაოს ორყურა ამფორა, რომელიც საქართველოში ჯერ-ჯერობით ერთადერთია. დედოფლის გორაზე ბრინჯაოს ორი რომაული პატერაცაა აღმოჩენილი, რაც პირველი შემთხვევაა მისი ნამოსახლარზე აღმოჩენისა საქართველოში, ყველა დანარჩენი მდიდრული სამარხებიდან მომდინარეობს. ბრინჯაოს სხვა ნივთებიც მრავლადაა აღმოჩენილი დედოფლის გორაზე - კოვზები, ჩამჩები, საწურები და სხვა.

დედოფლის გორაზე დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი სამკაული - მძივები, ბეჭედები, სამაჯური. პტოლემეაოსთა ეგვიპტის დედოფალი არსინოე მეორეა გამოსახული ვერცხლის ბეჭდის გრანატის ინტალიოზე, რომელიც ქ.წ. მესამე საუკუნით თარიღდება, ისევე როგორც სფინქსის ძვლის ქანდაკება. ძველი ნივთების აღმოჩენა პირველი საუკუნის სასახლეში, მიუთითებს იმაზე, რომ აქ ტრადიციული

ოჯახი ცხოვრობს. სასახლის N1 ოთახში ოქროს წყვილი სამაჯური აღმოჩნდა, რომელსაც საქართველოში ზუსტი ანალოგი ჯერ-ჯერობით არ მოეძებნება. იმპორტული მასალის ერთი ნაწილი (ბეჭედი არსინოე მეორის გამოსახულებით და სავარძელი, შემკული სფინქსის გამოსახულებით) შესაძლებელია დიპლომატიური საჩუქრების სახით მოხვედრილიყო დედიფლის გორის სასახლეში. მაგრამ აქ აღმოჩენილი იმპორტირებული ნივთების უმეტესობა აშკარად ბაზარზეა ნაყიდი იბერიის საქალაქო ბაზრებში, ალბათ უფრო მცხეთაში, სადაც თავს იყრიდა სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული საქონელი. ბუნებრივია სასახლის ნანგრევებში მიკვლეული მონეტები. აქ აღმოჩენილია ლისიმაქეს ოქროს სტატერი (ქ.წ. მეორე საუკუნე), ალექსანდრე მაკედონელის ოქროს ადგილობრივი მინაბადი (2 ცალი), რომის რესპუბლიკური დენარი (ქ.წ. 67 წ), ავგუსტეს ორიგინალური დენარი (13 ცალი) და ერთიც მისი დენარის ადგილობრივი მინაბადი.

სასახლის მცხოვრებლებში პოპულარული ყოფილა თამაშები, მათ შორის აზარტულიც. ნაპოვნია ასტრაგალები, კამათლები, ძვლისგან გაკეთებული ძაღლის ფიგურა და ძვლისავე დისკოები, რომელიც შესაძლებელია შაშის ან ნარდის მაგვარი თამაშისთვის განკუთვნილი კოჭები ყოფილიყო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ირმის რქისგან გამოთლილი ფირფიტები გრავირებული გამოსახულებებით, რომლებიც სამკითხაო-სათმაშო იყო. ზოგიერთ ფირფიტაზე არაემული წარწერაა ამოკვეთილი.

დედოფლის გორი სასახლეში მცხოვრებნი იცნობდნენ და ხმარობდნენ, როგორც არამეულს ისე ბერძნულ დამწერლობას. გარდა ზემოთ ნახსენები ფირფიტებისა, არამეული წარწერები ამოკვეთილია ქვევრებზე და კერამიკული დოქის ყურზე; აღმოჩენილია თიხის ბულა არამეულწარწერიანი საბეჭდავის ანაბეჭდით. ბერძნული ცალკეული ასო-ნიშნები ამოკვეთილია თიხის ჭურჭლებზეც. დამწერლობის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ძვლისგან გამოთლილი სტილოსების აღმოჩენა.

სასახლეს ორი შემოსასვლელი ქონდა - N1 ოთახის (კოშკის) დასვლეთით და გორის ჩრდილოეთ ნაწილის ცენტრალურ მონაკვეთში N11 და N13 ოთახებს შორის (N12). კარიბჭეს სამი ყარაული უნდა ჰყოლოდა, რამდენადაც ოთახში სანოვაგაიანი თიხის ჭურჭლის სამი ჯგუფია და ამ ჯგუფებთან დაკავშირებულია სამი სხვადასხვა

საბექდავის ანაბექდიანი თიხის ბულები: თითოეული დარაჯი, როგოც ჩანს, თვითონ ბექდავდა თავის სარჩოს საკუთარი საბექდავით.

სასახლეში ჩართულ ორ კოშკს თავდაცვითი ფუნქციაც ქონდათ. სასახლის მცველები კარგად იყვნენ შეიარაღებულნი. მათი იარაღი-საჭურველი იყო: შუბი, მშვილდისარი, სატევრი და ჯავშანი.

როგორც არქეოლოგიური მონაპოვრიდან ჩანს ქ.წ. I - ქ.შ. I საუკუნეებში ქართლის სამეფო სახლი თაყვანს სცემდა ადგილობრივ ქართულ ასტრალურ ღვთაებებთან მნიშვნელოვანწილად შერწყმულ, მაგრამ მაინც ირანულ (მაზდეანურ) ღმერთებს. თუმცა, დედოფლის გორის სასახლეში, სადაც ადგილობრივი დიდებული ცხოვრობდა, რამოდენიმე ტიპის სამლოცველო არსებობდა. ერთ შენობაში სამი საოჯახო სამლოცველოს არსებობა გვაფიქრებინებს, რომ მათ სხვადასხვა მომხმარებელი ჰყავდა.

სავარაუდოა, რომ N10 საკურთხევლიანი ოთახი უნდა ყოფილიყო ზოროასტრული ტიპის საშინაო სამლოცველო, სადაც დედოფლის გორის ციხე-დარბაზის მუდმივი მცხოვრებნი ყოველდღიურად სწირავდნენ მსხვერპლს და ლოცვას აღავლენდნენ. N10 ოთახის კედლებზე დაკიდებული იარაღი ზოროასტიური სამლოცველოს აუცილებელი ატრიბუტია. ცეცხლისთვის განკუთვნილი მსხვერპლის ცხოველური ნაწილის ნაშთი უნდა იყოს გოჭის დამწვარი ნეკნები, რომლებიც აღმოჩნდა ღუმელის ძირზე დარჩენილ ნაცარში [Gagoshidze 2001: 265-266]. შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ამ ოთახში აღმოჩენილი თიხის ბულები, რომლებზედაც ირმის გამოსახულებიანი საბექდავების ანაბექდებია: გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ დედოფლის მინდვრის მთავარი ტაძრის „გარშემოსასვლელის“ სამხრეთ-აღმოსავლეთ დერეფანში აღმოჩნდა მსხვერპლად მიტანილი კეთილშობილი იმრების, ნიამორების და ტახების თავის ქალები, რომლებიც კეფის არეში ჩამოხერხილი და გახვრეტილები იყო კედლებზე დასამაგრებლად. ცნობილია, რომ არდვი-სურა ანაჰიტასაც სწირავდნენ ცხოველებს და მის ტაძრებში დახოცილი მტრების თავებსაც აგზავნიდნენ (გაგოშიძე, 1978, გვ. 75).

სასახლის N20 ოთახში ლოცვებს კი - სასახლის დიდგვაროვანი მფლობელები აღავლენდნენ, რაზეც მიუთითებს საკურთხეველზე აღმოჩენილი მდიდრული

ნივთები. სავარაუდოა, რომ N20 ოთახში ზოროასტიულ საკურთხეველზე აპოლონის კულტს ეთაყვანებოდნენ, რადგან აქ აღმოჩენილი ქანდაკებების უმეტესობა აპოლონის წრეს უკავშირდება. ეს შემთხვევა ელინისტური ხანიდან წარმომადგენელი კულტების სინკრეტიზმის ნათელი მაგალითია.

იტალიაში ბერძნული კოლონიების გამო აპოლონის კულტმა რომშიც შეაღწია და ძალიან პოპულარული გახდა. ქ.წ. 31 წელს მის სახელზე რომში ტამარიც კი ააშენეს. იმპერატორმა ავგუსტუსმა აპოლონი გამოაცხადა თავის მფარველად და მის პატივსაცემად დააწესა თამაშები (Aghion et al., 1996, გვ. 45-46; გაფრინდაშვილი, 1972, გვ. 38-40).

ანტიკური პერიოდის საქართველოშიც აპოლონის კულტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

N26 ოთახშიც ცეცხლთან დაკავშირებული რიტუალი ტარდებოდა, მაგრამ როგორც ჩანს ოდნავ განსახვავებული ვიდრე ტრადიციული ზოროასტრიზმი. შეიძლება ის დაკავშირებული ყოფილიყო ნაყოფიერების, მიწათმოქმედების და მოსავლიანობის (ღვინო, პური) ადგილობრივ კულტთან. აღსანიშნავია, რომ ამავე ოთახში აღმოჩნდა ფეტვი (განსაზღვრა ნანა რუსიშვილმა). ფეტვი, როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდანაა ცნობილია დიდ როლს ასრულებდა ნაყოფიერების ღვთაებებთან დაკავშირებულ საკულტო რიტუალში [ლორთქიფანიძე 2002: 236].

ნაყოფიერების უძველესი ქართული წარმართული ასტრალური კულტები ხელუხლებლად იყო შემორჩენილი იბერიის უბრალო მოსახლეობაში, მიუხედავად იმისა, რომ იბერიის სამეფო ოჯახის რელიგია აქემენიანთა პერიოდის შემდეგ რაღაცა ტიპის ზოროასტრიზმი უნდა ყოფილიყო (Gagoshidze, 2001, გვ. 263).

დედოფლის გორის სასახლეში ისევე როგორც პირველი საუკუნის ქართლის სამეფოში სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები მშვიდობით თანაარსებობდნენ. დიდი, სადღესასწაულო წირვა-ლოცვა, ცხადია, ტარდებოდა დედოფლის მინდვრის ტაძრებში, სადაც რიტუალს ასრულებდნენ ქურუმები.

ძველ ქართულ წერილობითი წყაროებში არფერია ნათქვამი იმაზე თუ რომელი მეფის დროს აშენდა გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი და სასახლე. შესაძლოა ეს ყოფილიყო მეფე ფარნაჯომი (ქ.წ. II ს), რომელმაც წყაროს მიხედვით “უმატა ყოველთა

ციხე-ქალაქთა შენება“ და „შეიყვარა სჯული სპარსთა“, ან მეფე არშაკი (არსოკი), რომელიც იმავე წყაროს თანახმად, არშაკიდების დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო ქართლის ტახტზე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ მეფეთა ზეობის წლები სხვადასხვა მეცნიერს სხვადასხვაგვად აქვთ წამოდგენილი და ზოგ შემთხვევაში არ ემთხვევა დედოფლის მინდვრის ძეგლების არქეოლოგიურად დადასტრებულ თარიღებს.

კავკასიის იბერიის ქალაქების შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით კლავდიოს პტოლემეაოსის გეოგრაფიაში. გ. ყიფიანის აზრით კლავდიოს პტოლემეაოსის მიერ იბერიის ქალაქთა შორის დასახელებული და მისი მიერ კოორდინატებით -  $75^{\circ}-45^{\circ} 20'$  განსაზღვრული ქალაქი „სურა“, სოფელი არადეთის მიმდებარე ტერიტორია უნდა იყოს. მისი აზრით არ არის გამორიცხული, რომ სოფელი არადეთის ტოპონიმი დაკავშირებული იყო ანაპიტას სახელთან - არდვი-სურა, არდვი. „შეიძლება დავუშვათ, რომ ანაპიტას ორმაგი ტიტულით იწოდებოდა ქალაქი, მაგრამ ერთ-ერთით იხსენიებოდა. „სურა“ აისახა „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“, ხოლო „არდვი“ არადეთის ფორმით ტოპონიმად ჩამოყალიბდა და დაფიქსირდა“ (ყიფიანი, 2014, გვ. 23-24; მშვილდაძე, 2015, გვ. 87-96). გასახსენებელია ის ფაქტიც, რომ ი. გაგოშიძეც სოფელ არადეთის ტოპონიმის წარმომავლობას ანაპიტას ერთ-ერთ სახელს - „არდვი“-ს უკავშირებს.

აქედან გამომდინარე არ არის გამორიცხული დედოფლის გორის სასახლე და დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსი კლავდიოს პტოლემეაოსის გეოგრაფიაში მოხსენიებული ქალაქ „სურა“-ს ურბანული სისტემის ნაწილები ყოფილიყვნენ.

## გამოყენებული ლიტერატურის სია

- აბრამიშვილი, გ., და ალექსიძე, ზ. (1989). *ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი*, თბილისი: მეცნიერება.
- ანდრონიკაშვილი, მ. (1966). *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- აფაქიძე, ა. (1944). ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XII-B, 441-448.
- აფაქიძე, ა. (1963). *ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- აფაქიძე, ა. (1970). ანტიკური ხანის ქართული წარმართული პანთეონი. გ. მელიქიშვილი (რედ), *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* ტომი I, (გვ. 661-682). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- აფაქიძე, გ. (1973). ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი. *ძეგლის მეგობარი* 33, 59-64.
- აფაქიძე, ა., გობეჯიშვილი, გ., კალანდაძე, ა., და ლომთათიძე, გ. (1955). *მცხეთა I*. თბილისი: მეცნიერება.
- აფაქიძე ა., და ნიკოლაიშვილი, ვ. (1996). მცხეთის წარჩინებული განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა - აკლდამა 905. ა. აფაქიძე (რედ), *მცხეთა XI* (გვ. 7-42). თბილისი: მეცნიერება.
- ახვლედიანი, დ. (2008). განძი ვანიდან (ექსპრეს ინფორმაცია). *იბერია-კოლხეთი* 4, 129.
- ახვლედიანი, დ. (2022). ვანის ნაქალაქარზე 2005 და 2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში* 25, 5-63.
- ბოხოჩაძე, ა. (1973). ნასტაკისი, სარკინე, ძალისი (არქეოლოგიური კვლევის შედეგები), *ძეგლის მეგობარი* 33, 36-45.
- ბრაუნდი, დ. (2014). *საქართველო ანტიკურ ხანაში*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბრაუნდი, დ., ჯავახიშვილი, ქ., და ნემსაძე, გ. (2009). *საგანმედიკამენტოზო ზღუდერიდან*. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

გაბუნია, ა. (2017). გლიპტიკის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან. *იბერია-კოლხეთი* 13, 87-98.

გაგოშიძე, დ. (2018). არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2017 წლის საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში. მ. ჩოლოყაშვილი, თ. ნინიაშვილი (რედ.), *2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშები* (გვ. 30-33). თბილისი: LTD Forma.

გაგოშიძე, დ. (2019). არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში. მ. ჩოლოყაშვილი, თ. ნინიაშვილი (რედ.), *2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული* (გვ. 186-189). თბილისი: LTD Forma.

გაგოშიძე, დ. (2020). არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2019 წლის საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში. მ. ჩოლოყაშვილი, თ. ნინიაშვილი (რედ.), *2019 წელს ატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული* (გვ. 232-238). თბილისი: LTD Forma.

